# კვირის პალიტრა

№ 43 (403) ◆ 28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## იყო მცდელობა, მომხდარი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ...



...ტერაქტთან დაკავშირებით სკანდალები და აჟიოტაჟი ახლა დაიწყება და შესაძლოა მისი ლიკვიდაციის შედეგებმა რუსეთის მთელი ხელისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს... ტერაქტის ლიკვიდაციის წარმატება მძევალთა მსხვერპლთან პირდაპირპროპორციულია...

...ვთქვათ, ხვალიდან გაგვაწევრეს ნატოში, — როგორ წარმოგიდგენიათ ნატოს მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომელიც ჯარისკაცს საკვებს ჰპარავს ან იარაღს ყიდის?! ეს პრობლემა ვერანაირი უმაღლესი დაფინანსებით ვერ გადაიჭრება. ამერიკის მხრიდან საქართველოთი დაინტერესება უფრო და უფრო მზარდი ხდება...

გვ.3

## „იოსებიძელები“, „დელისელები“, „კულინარიელები“
## კრიმინალური გარჩევები თბილისში

### ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა...

ინტერვიუ კრიმინალურ ავტორიტეტთან დღემდე უცნობ დეტალებზე



კვირაიამ კაცი გამომიგზავნა — ქუჩა შენ გააკონტროლეო, ეს იყო ბრძოლა პირველობისთვის. ყველაფერი შედის მანდ — ეს იყო ქუჩის რეკეტი. დიდძალი ფულია ქუჩის რეკეტში.

გვ.5,11



## ქეთინო ქიპაშვილი — 14 წლის ქართველი მძევალი

ის კონცერტზე არ ყოფილა...

გვ.8

რა მდგომარეობაში იქნება... ქალი რობოტივით სამი ღამე იდგა იქ. ერთადერთი, კონტაქტი ჰქონდათ ჩვენთან. მერე ვაკავშირებდით საელჩოსთან.

ქეთინოს საავადმყოფოდან მალე გამოწერენ და გააგრძელებს სრულფასოვან ცხოვრებას, მაგრამ ივლის თუ არა ცეკვაზე იმავე კულტურის სასახლეში, ძნელი სათქმელია.

## გაბედული ნაბიჯი



...„დიდი მწვანე ველის“ გადამღები ჯგუფი ზოოპარკში იმალებოდა — ძალიან საიმედო ადგილიაო... ფილმიც და ჩვენც სერგო ზაქარიაძემ გადაგვარჩინა.

**მერაბ კოკოჩაშვილი**

...გადავწყვიტეთ, რელსებს შუა გავწოლილიყავით... გაქანებულ მატარებელს ჩვენზე გადაევლო და იქიდან ამირანივით უძლეველები წამოვმდგარიყავით...

გვ.12 **გია ბუღაძე**

## ყველაზე მდიდარი ქართველები

მკითხველის რეიტინგი

გვ.35

**სპორტი — სენსაცია** გვ.32

## შუქური, რუშტუ და გიუნეში (წარმომავლობით) ქართველები ყოფილან

შოკის მომგვრელი ინტერვიუ თურქ გეგიძესთან

„შუქურმა ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენა კიდეც თავისი წარმომავლობა“

## „გაზის კამერა“ საკონცერტო დარბაზში

### რა სახის გაზი გამოიყენეს რუსეთის სპეცსამსახურებმა?



მძევლების გათავისუფლების ოპერაცია სამწუხაროდ, მათივე, არცთუ მცირე ნაწილის განადგურებით დასრულდა...

დარბაზში მყოფთა უმეტესობას მომწამვლელმა აირმა პარალიზების შემდეგ, სასუნთქი გზები გადაუკეტა... ისინი ნელ-ნელა მოითენთნენ და ძილბურანში ჩაიძირნენ...

უკანასკნელი მონაცემებით, დაახლოებით 120 ადამიანი გარდაიცვალა, უცხოური საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

„ალფა“ დარბაზში შეიჭრა და მეთოდურად დაიწყო გათიშული ტერორისტების დახვრეტა საკონტროლო გასროლით საფეთქელში... რამდენიმე ავტომატური ჯერი იარუსზეც მიუშვეს. სპეცრაზმელები აირწინაღებით იყვნენ აღჭურვილნი, მათ სკამებშივე ჩაცხრილეს ჩაძინებული ჩეჩენი ქალი-კამიკაძეები.

გვ.33



### ვინ გაუკეთა პროვოცირება იერიშის დაწყებას?



გვ.33

ჩეჩნებმა მართლაც ესროლეს დარბაზში სავარძლიდან მოულოდნელად წამოვარდნილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და ბოთლით ხელში ტერორისტის მიმართულებით გაქანდა.

ამ დროისთვის „ალფას“ მებრძოლები უკვე შენობაში იმყოფებოდნენ და სავენტილაციო სისტემაში გასაშვებად გაზს ამზადებდნენ, ანუ ბრძანება იერიშის შესახებ უკვე გაცემული იყო...

### საიდან იმართებოდნენ ტერორისტები? გვ.33

რუსეთის სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს თეატრალური ცენტრიდან თანამგზავრული კავშირგაბმულობის სისტემით გასული არანაკლებ სამი საზღვარგარეთული ზარი...



### რას აბრალებენ რუსები ბურჯანაძეს? გვ.8

ხომ არ „აღიარებენ“ საკონცერტო დარბაზიდან აყვანილი ჩეჩნები, რომ ისინი ოპერაციისთვის პანკისში ემზადებოდნენ?

### ვინ იყვნენ ის აზერბაიჯანელი მძევლები, რომლებიც ჩეჩნებმა ბოლო მომენტში გაუშვეს? გვ.2

რუსულ მედიაში გამოთქმული ვარაუდით, გამორიცხული არ არის გავლენიანი აზერბაიჯანელი მოქალაქეების გათავისუფლებისთვის ტერორისტების ანგარიშზე მესამე პირის მეშვეობით დიდძალი თანხა დამჯდარიყო.

### რუსეთის სპეცსამსახურებმა ტერორისტის ნაცვლად ჟურნალისტი დააკავეს... გვ.33

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## პანკისის სპეცოპერაციას კიდევ ერთი ეტაპი დაემატა?

ჟურნალ „ტაიმში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით, გუანტანამოს ცნობილ ბაზაში პანკისის ხეობაში დაკავებული 15 არაბი ტერორისტი გადაიყვანეს. საქართველოს უშიშროება ამ ფაქტს არ ადასტურებს, მაგრამ არც უარყოფს. ამავე პუბლიკაციაში საუბარია ტერაქტებზე, რომლებსაც პანკისში მყოფი არაბი ტერორისტები რუსეთის ბაზაზე განთავსებული ამერიკული ბაზების წინააღმდეგ გეგმავდნენ. პრეზიდენტის პრესსამსახურზე დაყრდნობით ანალოგიური ინფორმაცია გამოაქვეყნა „ვაშინგტონ პოსტმაც“, თუმცა პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ ინფორმაცია უარყო და ყველაფერი ამერიკელი ჟურნალისტის ფანტაზიას დააბრალა. ასეა თუ ისე, ედუარდ შევარდნაძემ საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე ძალოვან უწყებებს პანკისის ხეობაში მოქმედების გააქტიურება უბრძანა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ხელისუფლებამ დიდი ზარ-ზეიმით განაცხადა ხეობაში სპეცოპერაციის ბოლო ეტაპის დასრულების შესახებ.

## ნადარეიშვილი უკან დახევას არ აპირებს...

ბორის კაკუბავას შემდეგ, ერთი კვირის თავზე, ფილარმონიაში ყრილობა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეებმა ჩაატარეს. ფორუმს აფხაზეთის ომის სამი ათასამდე ვეტერანი დაესწრო. ყრილობის დელეგატებმა მხოლოდ აფხაზეთის საკითხში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ასლან აბაშიძის შესახებ იმსჯელეს და აღნიშნული პოსტი მისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. თამაზ ნადარეიშვილი და მისი მომხრეები თვლიან, რომ ასლან აბაშიძის იდეა აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნის შესახებ, ამ ეტაპზე ყოვლად დაუშვებელია. თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, რომელსაც ქართველი პარტიზანებიც ეთანხმებიან, აფხაზეთში რკინიგზის გახსნის ყოველი მცდელობა აფეთქებითა და ტერაქტით დასრულდება. შეკრების მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, აფხაზეთის პრობლემა ძალისმიერი მეთოდებით უნდა მოგვარდეს, რადგან გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედება არაეფექტურია.

## უკანონო მშენებლობას მინისტრი შეეწირა...

ტრადიციულ მთავრობის სხდომაზე კულტურის მინისტრის მიერ უკანონო მშენებლობების შესახებ გაკეთებულ განცხადებას და მშენებლობა-ურბანიზაციის მინისტრის, მერაბ ჩხენკელის მოხსენებას შორის არსებული შეუსაბამობა პრეზიდენტმა საკმაოდ ორიგინალურად გადაჭრა — ჩხენკელი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა თანამდებობიდან. ამასთან, შევარდნაძემ საბოლოო გაფრთხილება მისცა ქონების მართვის მინისტრს და მოხსნით დაემუქრა თბილისის მერსაც. მიუხედავად კატეგორიულობისა, პრეზიდენტის მოქმედების შედეგი ალბათ ტრადიციული იქნება — მინისტრის სავარძელი კიდევ ერთხელ გათავისუფლდება, უკანონობა კი კვლავაც ძალაში დარჩება.

## ლანძღვა-გინების მარათონი პარლამენტში

პარლამენტის პლენარული სხდომა აღორძინებასა და აფხაზეთის დეპუტაციას შორის ლანძღვა-გინების მარათონში გადაიზარდა. კონფლიქტი სხდომაზე დეპუტატ დიმიტრი ჯაიანის გამოსვლის შემდეგ დაიწყო, რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთის ომის დროს სეპარატისტები იარაღით აჭარიდან მარაგდებოდნენ. აჭარის დეპუტაციის მწვავე რეაქციის შემდეგ ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელს მუშტი-კრივის თავიდან ასაცილებლად სხდომის დროებით შეწყვეტა მოუხდა.

## კონკორდატი ძალაში შევიდა

საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებულ საკონსტიტუციო შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ დეპუტატებმა გადაწყვეტილება თითქმის ერთსულოვნად მიიღეს — 203 ხმით 1-ის წინააღმდეგ. კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ხელი 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე მოაწერეს. წმინდა სინოდმა მისი რატიფიცირება გასულ ხუთშაბათს მოახდინა. შეთანხმება 12 მუხლისგან შედგება და, ძირითადად, ეკლესიის უფლებებს აღიარებს. პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო, სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმება ძალაში შევიდა. კონკორდატზე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად თითქმის სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. განხილვის სტადიაში დოკუმენტმა საერთაშორისო სამართლებრივი ექსპერტიზაც გაიარა.

## ბრძოლა ხანმოკლე დეპუტატობისთვის

საბურთალოს რაიონში გამოთავისუფლებული პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის ბრძოლა ოფიციალურად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. არსებულ პარლამენტში ხანმოკლე დეპუტატობისთვის ერთმანეთს ორი ძლიერი პოლიტიკური ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“ და „აღორძინება“ შეერკინება. ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის თავმჯდომარე, გიორგი კობახიძე, წინასაარჩევნო კამპანიას აჭარის ლიდერის მხარდამჭერი განცხადებებით იწყებს. თუმცა ალიანსის ლიდერი აცხადებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“ კი შევარდნაძის ხელისუფლების დანგრევას კობახიძის მეტოქის, გივი თარგამაძის დახმარებით აპირებს.

## ხელისუფლება თავს აცოდებს ევროკავშირს...

პანკისის ხეობაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის მიუხედავად, ქართველმა ძალოვნებმა ევროკავშირის ექსპერტის გათავისუფლება ვერ მოახერხეს. თუმცა ირწმუნებიან, რომ მისი ადგილსამყოფლისა და გამტაცებლების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ. დაპირებების ყველაზე ნაკლებად ევროკავშირს სჯერა, რომელმაც პიტერ შოუს გატაცების შემდეგ საქართველოსთვის განკუთვნილი გრანტები შეაჩერა. ხელისუფლება ცდილობს საერთაშორისო იმიჯი აღიდგინოს და ძალისმიერი ოპერაციების პარალელურად, დიპლომატიურ სვლებს მიმართავს. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა. მან დიპლომატებს საქართველოს მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ აუწყა და დახმარების აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა. ამასთან, იგი კიდევ ერთხელ დაჰპირდა დიპლომატებს პიტერ შოუს გამოხსნას.

## ფრაქციები სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ

2002 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგების მიხედვით შემოსავლებში გარღვევა 81 მილიონი ლარია, ხარჯვით ნაწილში კი 110 მილიონი. „მემარჯვენეები“ მთელ პასუხისმგებლობას სახელმწიფო მინისტრს, ავთანდილ ჯორბენაძეს აკისრებენ და მის იმპიჩმენტს მოითხოვენ. „ახალ მემარჯვენეებს“ მხარს უჭერენ ფრაქციები: „გაერთიანებული დემოკრატები“, „ნაციონალური მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის“ და „ტრადიციონალისტები“. „მემარჯვენეების“ მხრიდან სახელმწიფო მინისტრს საქართველოს რეგიონებში ვოიაჟების დროს სახელმწიფო სახსრების პარტიული საქმიანობისთვის ხარჯვის ბრალდებაც დაემატა.

## არმია კვლავ დაუფინანსებელია!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა საგანგებო სხდომაზე სამხედრო ძალების დაუფინანსებლობის საკითხი განიხილა. უშიშროების, თავდაცვის, საზღვრის დაცვისა და შინაგანი ჯარების წარმომადგენლებმა თავიანთ პრობლემებზე პარლამენტში კიდევ ერთხელ ისაუბრეს. როგორც აღმოჩნდა, ატეხილი აჟიოტაჟის და პარლამენტის გადაწყვეტილების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტრომ დამატებით 11 მილიონი ლარი მაინც ვერ მიიღო. კუთვნილი თანხები ვერ მიიღო საქართველო-ამერიკის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამამაც. დაუფინანსებლობის გამო სერიოზული პრობლემები აქვს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს. მიუხედავად მწვავე გამოსვლებისა, ვერც ძალოვნებმა და ვერც კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ბათიაშვილმა კონკრეტული პასუხი ვერ მიიღეს, რადგან სხდომას ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებელი პირები არ დაესწრნენ!

## მორიგი გაუხსნელი მკვლელობა?

თემქა-სანზონის გზაზე, ღამის 11 საათზე გზის პირას გაჩერებული სამარშრუტო ტაქსი იპოვეს, რომლის მძღოლიც ცეცხლსასროლი იარაღით იყო მოკლული. საქმეს გლდანი-ნაძალადევის პოლიცია იძიებს. ექსპერტიზის მონაცემებით, თავდამსხმელები მანქანაში იმყოფებოდნენ და 30 წლის მამუკა ქაჯაია გვერდიდან, მიბრჯნით გასროლით მოკლეს.

სავარაუდო დამნაშავეთა ვინაობა და მკვლელობის მოტივი უცნობია, გამოძიება ამ ეტაპზე დაყაჩაღების ვერსიას ამუშავებს.

## ჩეჩნებს საქართველოშიც გაასამართლებენ...

გენერალური პროკურატურა თბილისის მეხუთე იზოლატორში დარჩენილ რვა ჩეჩენ მებრძოლს ახალ ბრალდებებს წაუყენებს. დაკავებულებს ბრალი ედებათ რუსეთში ხუთი ჩეჩენის ექსტრადიციისას ციხეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურმა განახორციელა და დასკვნა პროკურატურას გადაუგზავნა. დასკვნის მიხედვით, 4 ოქტომბერს მეხუთე საპყრობილეში დარჩენილ რვა ჩეჩენსა და ციხის ადმინისტრაციას შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო დაწესებულების ხუთამდე თანამშრომელმა.

## კიდევ ერთი ჩეჩენის ექსტრადიცია?

გენერალურმა პროკურატურამ გაზაფხულზე, ფოთში დაპატიმრებული ჩეჩენი მოქალაქის, აბდულ ჰამიდ ალიევის რუსეთში ექსტრადიციის გადაწყვეტილება გამოიტანა. მას ბრალად ედება 1997 წელს არხანგელსკში ერთ-ერთი რუსი მოქალაქის მკვლელობა. ბრალდებულის ადვოკატებმა გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.

## იეღოველები მკალავიშვილის დაპატიმრებას მოითხოვენ

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში დიდი ხმაურითა და აყალმაყალით წარიმართა ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ 2001-2002 წლებში აღძრული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. ბრალდებები მკალავიშვილისთვის ტრადიციულია და არატრადიციული რელიგიების დარბევაში მდგომარეობს — იეღოველების და ბაპტისტების დარბევა, იერიში სახალხო დამცველის ოფისსა და გაზეთ „რეზონანსის“ რედაქციაზე. ამ ეტაპზე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იეღოველთა ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის მოთხოვნა მკალავიშვილის დაპატიმრების თაობაზე.

## პასპორტები შეიცვლება

საქართველოს ხელისუფლება საქართველოს მოქალაქის პასპორტების გამყალბებელთა მომრავლებამ შეაწუხა და საინფორმაციო საძიებო კომპიუტერული სისტემის დანერგვას აპირებს. სისტემის დანერგვასთან ერთად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობები და საზღვარგარეთის პასპორტებიც შეიცვლება. პრეზიდენტის ბრძანებით გამოცხადებული ტენდერის პირველი ეტაპი შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე გაიმართა. მასში კანადის, ავსტრიის, ისრაელისა და საფრანგეთის ფირმები მონაწილეობდნენ. გამარჯვებული ინვესტორი ვალდებული იქნება, საქართველოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ახლანდელი პასპორტი ქვეყნის კონსტიტუციასთანაც შეუსაბამოა, რადგან უნდა შეიცვალოს წარწერა „საქართველოს რესპუბლიკა“. ტენდერში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლები პროექტის ფინანსურ მხარეზე ჯერჯერობით არ ლაპარაკობენ.

## რეფორმა — ამჯერად საბაჟოზე

ევროკავშირის ქვეყნების დახმარებით, საქართველო საბაჟო კოდექსს ევროგაერთიანების ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანს. პროექტი, რომელიც 18 თვეზეა გათვლილი, 850 ათასი ევროთი ფინანსდება და ორ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე ქართველი მებაჟეები საკანონმდებლო ბაზის მომზადებისა და ლობირების საკითხებს ავსტრიაში შეისწავლიან და მომდევნო წლის ივნისში საბაჟო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებს ქართველი მებაჟეები პარლამენტს წარუდგენენ. ამის შემდეგ ჰოლანდიელი მებაჟეები საქართველოში ჩამოვლენ და ქართველ კოლეგებს საბაჟო მენეჯმენტის დახვეწაში დაეხმარებიან. პროექტში ინგლისის, ავსტრიისა და ჰოლანდიის საბაჟოს წარმომადგენლები მონაწილეობენ.

## როდის დაადგება საშველი საკრებულოს არჩევნებს?

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თბილისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გადახედვა დაასრულა. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ვიდრე აღმოჩენილი დარღვევების ანალიზი არ მოხდება და კომისია მიზანშეწონილად არ ცნობს ახალი შედეგების დამტკიცებას, საკრებულო მუშაობას ვერ დაიწყებს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომისია ბათილად ცნობს საუბნო ოქმების 20 პროცენტს, შესაძლოა დღის წესრიგში არჩევნების შედეგების საბოლოო გაუქმება დადგეს. კიდევ ერთ შემაფერხებელ გარემოებად პარტიებისგან შედეგების შესაძლო გასაჩივრებას ასახელებენ. წინასწარი ინფორმაციით, ახალ შედეგებზე შესაძლოა სასამართლოში საჩივარი სოციალისტებმა შეიტანონ.

## თბილისის ახალი რჩეულნი

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭომ ფარული კენჭისყრით აირჩია დედაქალაქის ცხრა საპატიო მოქალაქე. 28 ოქტომბერს რჩეულთ თბილისის საპატიო მოქალაქის სიგელი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადასცა: 1. მზია ჯუღელი — პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი; 2. ზურაბ ლეჟავა — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი; 3. თამაზ ჩხენკელი — პოეტი, მთარგმნელი; 4. თამარ დეკანოსიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 5. დორიან კიტია — ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე; 6. ალექსანდრე ბასილაია — კომპოზიტორი; 7. მერაბ მერაბიშვილი — მოქანდაკე; 8. გივი ინწკირველი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; 9. ზურაბ წერეთელი — მხატვარი-მოქანდაკე.

## ელექტროენერგია ნოემბრიდან გაძვირდება

როგორც ჩანს, „ეი-ი-ეს თელასს“ ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების უფლებას მაინც მისცემენ. საბითუმო ბაზარმა, რომელიც ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, იუსტიციის სამინისტროს დადგენილების პროექტი კვლავ დაუბრუნა. პროექტის მიხედვით, ელექტროენერგიის ტარიფი თბილისში 13,7 თეთრამდე უნდა გაიზარდოს, საქართველოს სხვა რეგიონებში კი 8,5 თეთრამდე. აქამდე „ეი-ი-ეს თელასს“ ტარიფის გაზრდის სანაცვლოდ ნაკისრი ვალდებულებები არ ჰქონდა შესრულებული. ამჟამად კი საბითუმო ბაზრის განცხადებით, ამერიკულ კომპანიას მხოლოდ მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებაღა დარჩა, რომლის ტექსტიც უკვე მზად არის და სავარაუდოდ, დეკემბერში გაფორმდება.

## დამნაშავე პარლამენტარებს დააპატიმრებენ...

...ყოველ შემთხვევაში, ასეთი დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა პარასკევს. დადგენილების მიხედვით, გენერალურმა პროკურატურამ მასალები ქართველი დეპუტატების დანაშაულებრივი ქმედების შესახებ პარლამენტს 15 ნოემბრამდე უნდა წარუდგინოს. საინტერესოა, რომ ამავე სხდომაზე გენერალურ პროკურატურას დეპუტატების წარსულში რეაგირების გარეშე დარჩენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზეც აგებინებენ პასუხს.

## მსახიობის იუბილე

გამოჩენილ ქართველ მსახიობს გურამ საღარაძეს სცენაზე მოღვაწეობის 50 წლის იუბილე შეუსრულდა. ამ თარიღს რუსთაველის თეატრის დასმა „კავკასიური ცარცის წრის“ კიდევ ერთი წარმოდგენა მიუძღვნა. მსახიობებმა სპექტაკლი უკვე 600-ჯერ ითამაშეს. „კვირის პალიტრის“ რედაქცია უერთდება მილოცვას.

## ნორდ-ოსტის ეპოპეა დასრულდა?!




23 ოქტომბერს, ღამით, მოსკოვის ცენტრში მდებარე კულტურის სახლში 50-მდე ჩეჩენი ტერორისტი შევარდა. მათ მძევლად აიყვანეს ამ დროს მიმდინარე მიუზიკლის წარმოდგენაზე მყოფი 700-ზე მეტი მაყურებელი. ჩეჩენი ტერორისტები, რომელთა შორისაც 20-მდე კამიკაძე ქალიც იმყოფებოდა, აცხადებდნენ, რომ მთელი დარბაზი დანაღმული იყო და თუ რუსეთი ჩეჩნეთიდან ჯარებს არ გამოიყვანდა, შენობას მძევლებიანად ააფეთქებდნენ. ტერორისტებთან მოლაპარაკებამ სამ დღეს გასტანა. ულტიმატუმის ბოლო წუთებში რუსეთის სპეცდანიშნულების ძალებმა კულტურის სახლზე შტურმი განახორციელეს, რის შედეგადაც ტერორისტთა უმეტესობა ლიკვიდირებულ იქნა.

## ვინ იყვნენ აზერბაიჯანელი მძევლები?

მძევალთა გათავისუფლების ოპერატიული შტაბის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვის თეატრალური ცენტრიდან ჩეჩენ ტერორისტთა მიერ პირველ დღეს გამოშვებულ მძევალთა შორის აზერბაიჯანის გავლენიანი მოქალაქეები: „აზერბაიჯანის ავიახაზების“ გენერალური წარმომადგენელი ელდარ გაჯიევი, აღნიშნული ავიაკომპანიის პრეზიდენტის მეუღლე და ერთ-ერთი თანამშრომელი არიან. მათ, ვინც აზერბაიჯანელ მძევლებს გულშემატკივრობდა, როგორც ჩანს, რუსული სპეცსამსახურების იმედად ყოფნა ვერ გარისკეს და პასიურ დამკვირვებლებად ყოფნას, ახლობლების ნებისმიერ ფასად გამოხსნა ამჯობინეს — რუსულ მედიაში გამოთქმული ვარაუდით, გამორიცხული არ არის, აზერბაიჯანის მოქალაქეთა გათავისუფლებისთვის ჩეჩენი ტერორისტების ანგარიშზე მესამე პირის მეშვეობით დიდძალი თანხაც დამჯდარიყო.

## დანია რუსეთს ანგარიშს აღარ გაუწევს

მოსკოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ დანია მზად არის ჩეჩნეთის საერთაშორისო კონგრესი თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაატაროს. დანიის მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას რუსეთის დიპლომატიური კონგრესი ტერორისტებისთვის აშკარა მხარდაჭერად მიიჩნევს, რის გამოც შესაძლოა პუტინმა გადადოს ან სულაც გააუქმოს თავისი ვიზიტი კოპენჰაგენში, რომელიც ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი.

## ისრაელში კამიკაძე-მძღოლები გამოჩნდნენ

ისრაელის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ჰადერაში აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა და 40 დაიჭრა. ყველანი ავტობუსის მგზავრები იყვნენ. ავტობუსს „ჯიპმა“ გადაუსწრო, რომლის პალესტინელმა მძღოლმა-კამიკაძემ ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. ოფიციალური თელ-ავივი მომხდარზე პასუხისმგებლობას პირადად პალესტინის ლიდერს, იასირ არაფატს აკისრებს.

## ვენესუელაში პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ

ვენესუელაში ვითარება კვლავ უკიდურესად არის დაძაბული. პრეზიდენტის სასახლესთან საპროტესტო აქციები არ წყდება. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მძაფრი შეტაკებები ხდება, არეულობებს, ჯერჯერობით, არც ერთი მხრიდან მსხვერპლი არ მოჰყოლია. მრავალათასიანი აქცია არ იშლება. სიტუაციის ასეთი გამწვავების მიუხედავად, პრეზიდენტი უგო ჩავესი კომენტარს კვლავ არ აკეთებს. მისი წარმომადგენლების განცხადებით, ლიდერი მუშაობას ჩვეული რეჟიმით განაგრძობს.

## ნიანგმა ტურისტი შეჭამა...

ტრაგედია ავსტრალიის ჩრდილოეთში, ნაციონალურ პარკ „კაკადუში“ მოხდა. 24 წლის გოგონა ტურისტულ ჯგუფთან ერთად სწორედ ამ ნაკრძალში სეირნობდა. სიცხით გაბეზრებულმა ტურისტებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს და მდინარეში ბანაობა გადაწყვიტეს, სადაც გოგონა ნიანგმა გაიტაცა. პარკის ხელმძღვანელობის განცხადებით, ირგვლივ არაერთი გამაფრთხილებელი ნიშანი იყო, მაგრამ ტურისტებმა მათ ყურადღება არ მიაქციეს.

# „იყო მცდელობა, მომხდარი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ...“





ევროპა-აზიის გზაშესაყარზე შეკუნჭული საქართველო ოდითგანვე შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მეზობელ დიდ სახელმწიფოში მიმდინარე კრიტიკულ მოვლენებს. ასე იყო არაბი ხალიფების, მონღოლი ყაენების თუ სპარსი შაჰების დროს. ასეა დღესაც, საპრეზიდენტო რუსეთის ეპოქაშიც. შეშფოთებას საფუძვლად ისტორიული გამოცდილება უდევს — გადატრიალების თუ ტერაქტის დროს დიდ სახელმწიფოთა მბრძანებლები მიზეზს და ორგანიზატორებს ჩვენს ქვეყანაში ეძებდნენ, საქართველო ურჩობისთვის კიდევ ერთხელ რომ დაესაჯათ. ვერ ვიტყვით, რომ ქართული მენტალიტეტი საუკუნეების მანძილზე დიდად შეიცვალა — ჩვენში კვლავაც მრავლად არიან შადიმანები, განდიდების სურვილით აღძრულ მეფის სიძულვილს რომ ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვით ამართლებენ. გვყავს ისეთებიც, პრეზიდენტის კალთას შეფარებულებს სახელმწიფო რომ საკუთარი მარანი ჰგონიათ. დაბოლოს, საქართველოს ისეთი მეფეებიც ახსოვს, შორეულ ჰორიზონტზე, ნათელი მომავლის ჭვრეტით გართულებს ქვეყანა რომ თვალსა და ხელს შუა ენგრეოდათ. სამაგიეროდ, თანამედროვეობაში აშკარად საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა საერთაშორისო ვითარება. უკვე ღიად მიდის საუბარი ნატოში გაერთიანებაზე არა მხოლოდ ქართველების, არამედ ნატოს მხრიდანაც. პრაღის სამიტის მოახლოებასთან ერთად, სადაც საქართველომ ნატოში გაწევრების განაცხადი უნდა გააკეთოს, რუსეთის რეაქცია უფრო და უფრო მძაფრი ხდება. ჩრდილოელი მეზობელი უკვე აბსურდულ ბრალდებებს აყენებს და ცდილობს საქართველო იმაშიც კი დაადანაშაულოს, რაშიც ყველაზე მეტად დამნაშავე თვითონ არის. ვესაუბრებით საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ **ირაკლი ბათიაშვილს**.

**— ბოლო პერიოდში რუსული მედია, ძალოვანი უწყებები და პოლიტიკოსები საქართველოს ერთსულოვნად უკიჟინებდნენ კავკასიონზე, თებულოს მთის საცალფეხო ბილიკებით გადმოსული ჩეჩენი ბოევიკების შესახებ. გასული ორი დღის განმავლობაში კი აღმოჩნდა, რომ საქართველოზე გაცილებით მძლავრი ძალოვანი უწყებების მქონე რუსეთს მოსკოვის ცენტრში, კრემლთან ახლოს 50 კბილებამდე შეიარაღებული ჩეჩენი ტერორისტი ავტობუსით შეეპარა...**

„ნორდ-ოსტის“ ტერაქტი უდიდესი ტრაგედიაა, რომლის ლიკვიდაციაც, რუსულმა სპეცსამსახურებმა საბედნიეროდ, მოახერხეს. თუმცა, ეს რამდენად წარმატებით გაკეთდა, მეორე საკითხია. რასაკვირველია, ამხელა მასშტაბის ტერაქტის აღკვეთა ძალიან ძნელია, მაგრამ ნებისმიერი ტერაქტის ლიკვიდაციის წარმატება პირდაპირპროპორციულია ოპერაციის დროს მძევალთა მსხვერპლთან.

— გეთანხმებით, საქართველოს მიმართ რუსეთს არანაირი პრეტენზიის უფლება არ აქვს. რუსული მედია მთელი მსოფლიოს გასაგონად, იმხელა პროპაგანდას უწევდა პანკისის ხეობაში თითქოსდა განთავსებულ ტერორისტების ბაზებს, რომ ბოლო დრომდე ბევრ ევროპელ ექსპერტს პანკისის ხეობა უზარმაზარი, ავღანეთის თუ დორა ბორას ხელა ტერიტორია ეგონა. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ძალიან მკაცრად ვარ განწყობილი პანკისში მიმდინარე სპეცოპერაციის მიმართ, მაინც ვთვლი, რომ ამით ძალიან დიდი საქმე გაკეთდა, თუნდაც იმისთვის, რათა მთელ მსოფლიოს გაეგო, ამ პაწაწინა ხეობაში რამდენიმე ათასი ბოევიკის „დასვენება და გაწვრთნა“, რომ მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. პუტინის პრეზიდენტობა ჩეჩნეთის ომის მაშინდელმა ეიფორიამ განაპირობა. რუსმა ხალხმა აირჩია ძლიერი ნების, ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელიც აცხადებდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ომს რუსეთის მთავრობის გამარჯვებით და ჩეჩნური ტერორიზმის ალაგმვით დაასრულებდა. დასრულება კი არა, „ნორდ-ოსტის“ ტერაქტმა ცხადყო, რომ თურმე ყველაფერი ახლა იწყება — თანაც, რუსეთის შუაგულში! როდესაც 50 ბოევიკი დედაქალაქის ცენტრში შენობას აიღებს და იქ ლამის ტონობით ასაფეთქებელ ნივთიერებას შეიტანს, ეჭვი გეპარებათ, რომ კონფლიქტი მათი განადგურებით არ ამოიწურება? დღესდღეობით, ჩეჩენი ტერორისტები მთელ რუსეთში არიან მოდებულნი. როგორც ჩანს, ჩეჩნები ჯერ კიდევ დუდაევის მუქარის ასრულებაზე გადავიდნენ — ჩეჩნეთის ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადააქვთ. ამაში კი, ვინც რა უნდა ილაპარაკოს, ყველაზე ნაკლები წვლილი საქართველოს მიუძღვის (თუ საერთოდ, შეიძლება რაიმე წვლილზე საუბარი). უკვე გაცვეთილი თემაა, მაგრამ როდესაც ბოევიკების საქართველოდან რუსეთში გადასვლაზე საუბრობენ, ხომ არ სჯობს, მანამდე იმაზე იფიქრონ, საიდან მოხვდნენ ეს ბოევიკები საქართველოში? მე ვფლობ დაზუსტებულ ინფორმაციას, რომ უმეტესი მათგანი რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიამდე საკუთარი ტრანსპორტით მოაცილეს(!). ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ მინდა, ჩემმა მსჯელობამ ნიშნისმოგებასავით გაიჟღეროს. ქართული სპეცსამსახურები თავიდანვე დაუკავშირდნენ რუს კოლეგებს და მათ ყველანაირი თანადგომა გამოუცხადეს. „ნორდ-ოსტის“ ტერაქტი უდიდესი ტრაგედიაა, რომლის ლიკვიდაციაც, რუსულმა სპეცსამსახურებმა საბედნიეროდ, მოახერხეს. თუმცა, ეს რამდენად წარმატებით გაკეთდა, მეორე საკითხია. რასაკვირველია, ამხელა მასშტაბის ტერაქტის აღკვეთა ძალიან ძნელია, მაგრამ ნებისმიერი ტერაქტის ლიკვიდაციის წარმატება პირდაპირპროპორციულია ოპერაციის დროს მძევალთა მსხვერპლთან. ამ შემთხვევაში კი ასამდე მძევალია დაღუპული და ეს რიცხვი დროთა განმავლობაში იზრდება. რუსეთს ძალიან ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავს — ფედერალური უშიშროების სამსახური იქნება ეს, შინაგანი დაზვერვა თუ თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო. ამ უწყებებს ათწლეულობის მანძილზე ჩამოყალიბებული აგენტურული სისტემები აქვთ და წესით, სპეცსამსახურის ქმედებაში ყველაზე პრიორიტეტულ, პრევენციულ ღონისძიებებს იოლად უნდა ახორციელებდნენ. მაგრამ როგორც ჩანს, ამ უწყებებშიც ყველაფერი რიგზე ვერ არის — რუსეთი ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა და ალბათ, ბევრ რამეზე დაფიქრდებიან — სანამ საქართველოს მიმართ ბრალდებებს წამოაყენებენ, საკუთარი პრობლემების გადაჭრაზე იზრუნონ. ამ მოვლენებმა ცხადყო, რომ ჩეჩნეთის პრობლემის ტანკით გადაჭრა შეუძლებელია, დროთა განმავლობაში სიტუაციას ეს უფრო და უფრო ამძაფრებს. მით უმეტეს, რომ ჩემი ინფორმაციით, თითქმის ყველა სეველე მეთაური ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იმყოფება და დღეს ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ...

**კიდევ ერთი საკითხი, რასაც უცხოელი პარტნიორები ყველაზე მეტი სიმწვავით აყენებენ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული კორუფციაა. დასავლეთის ექსპერტებს ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია აქვთ. გაგიკვირდებათ, ეს ინფორმაცია იმდენად დეტალიზებულია. ვთქვათ, ხვალიდან გაგვაწევრეს ნატოში – როგორ წარმოგიდგენიათ ნატოს მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომელიც ჯარისკაცს საკვებს ჰპარავს, ან იარაღს ყიდის?!**

**— მიუხედავად უდიდესი მასშტაბებისა და მსხვერპლისა, სადავო არ უნდა იყოს, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაქსიმალურად ისარგებლა, რათა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლა გამოეცხადებინა. რამდენად რეალურია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს მსგავსი ვარიანტის გათამაშება ნდომოდათ — მიახლოებით მაინც სცოდნოდათ შესაძლო ტერაქტის შესახებ და შემდგომში მისი შედეგების გამოყენების მიზნით, ბოევიკები ნებაზე მიეშვათ... მით უმეტეს, რომ ტერაქტის პირველივე დღეს გახმოვანდა ქართველი მძევლების უპირობოდ გამოშვების ამბავი. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ისინი ბოლო წუთამდე დარბაზში იმყოფებოდნენ. რუსული მედია ჩეჩნების მიერ შენობაზე საქართველოს დროშის გამოფენაზეც საუბრობდა, თუმცა ეს დროშა რატომღაც არც ერთ კადრში არ მოხვედრილა...**

— სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ. ნუთუ არ შეიძლებოდა რაიმე, უფრო სერიოზულის მოფიქრება, თუ დაბრალებაზე იყო საქმე. მაგრამ ეს გაკვირვება სხვათა შორის პირველი არ არის — ანალოგიური რამ მოხდა პანკისის დაბომბვასთან დაკავშირებითაც, როდესაც რუსი სამხედროები ქართველ მფრინავზე, ვინმე რუსტაველზე ალაპარაკდნენ.

ან კიდევ რუსი პოლიტოლოგის განცხადება ანზორ ბურჯანაძის მიერ ტერორისტების დაფინანსების შესახებ(!). სად ანზორ ბურჯანაძე და სად ჩეჩნები? რუსეთის სპეცსამსახურებს მსოფლიოში უმდიდრესი გამოცდილება აქვთ. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ გამაოგნებელ ნაბიჯებს დგამენ ხოლმე. რა გითხრათ — როგორც იტყვიან „Россию умом не познать“. ბევრი საფუძვლიანი ეჭვის მიუხედავად, არა მგონია, რომ „ნორდ-ოსტის“ ტერაქტი რუსული სპეცსამსახურების ჩაწყობილი იყოს. რუსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები მომხდარის გამო ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ასეთი დაბნეული სახეები მე ჯერ არ მინახავს. ესეც არ იყოს, ასეთი რამ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ყველაფერი. „ნორდ-ოსტის“ ტერაქტთან დაკავშირებით სკანდალები და აჟიოტაჟი ახლა დაიწყება და შესაძლოა, ტერაქტის ლიკვიდაციის შედეგებმა რუსეთის მთელი ახლანდელი ხელისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. თუმცა, ის კი ფაქტია, რომ როგორც კი ტერაქტთან დაკავშირებული ეიფორია დაიწყო, რუსეთის მხრიდან იყო აშკარა მცდელობა, მომხდარი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ.

**— რუსეთის მზარდი აგრესია საქართველოს მხრიდან პირველ რიგში, ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებით უნდა იყოს გამოწვეული. უკანასკნელ პერიოდში თვით ამ გაერთიანების ხელმძღვანელობიდან საკმაოდ გამბედავი განცხადებები გაკეთდა. საქართველოში ვიზიტით მყოფმა, ნატოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის დირექტორატის მეთაურმა, კოლინზმა ღიად განაცხადა, რომ ნატო დაჩქარებული წესით განიხილავს თავის სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებს.**

— ევროპისა და ამერიკის დაინტერესება უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ნატოში ინტეგრირებასთან დაკავშირებით მართლაც რომ ძალიან გაიზარდა. მაგრამ ამ დაინტერესებამ საეჭვოა, ჩვენი შეიარაღებული ძალების მდგომარეობას იმდენად გადასძალოს, რომ ნატოში ხვალ და ზეგ, დაუფიქრებლად მიგვიღონ. რაზეა საუბარი, როდესაც ელემენტარულად, თავდაცვის მინისტრსა და გენერალურ შტაბს შორის ფუნქციები არ არის განსაზღვრული. დასავლური სტანდარტების მიხედვით, მინისტრი სამოქალაქო, პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, გენერალური შტაბი კი მის დირექტივებს პროფესიონალური თვალსაზრისით იხილავდეს და ასრულებდეს. გარდა ამისა, კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება დაფინანსების საკითხიც. ჩვენი კომიტეტი უკვე დაიღალა თანხებზე წუწუნით. დაფინანსება ისედაც მათხოვრულია და უმეტეს შემთხვევაში ამასაც ვერ იღებენ. უახლოეს მომავალში პარლამენტს საგანგებო პროექტს წარვუდგენთ, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის თავდაცვისთვის ევროპა-ამერიკის მსგავსად, ბიუჯეტის გარკვეული პროცენტი სტაბილურად იქნება განსაზღვრული და ეს ციფრი პერმანენტულად გაიზრდება. კიდევ ერთი საკითხი, რასაც უცხოელი პარტნიორები ყველაზე მეტი სიმწვავით აყენებენ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული კორუფციაა. დასავლეთის ექსპერტებს ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია აქვთ. გაგიკვირდებათ, ეს ინფორმაცია იმდენად დეტალიზებულია. ვთქვათ, ხვალიდან გაგვაწევრეს ნატოში — როგორ წარმოგიდგენიათ ნატოს მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომელიც ჯარისკაცს საკვებს ჰპარავს, ან იარაღს ყიდის?! ეს პრობლემა ვერანაირი უმაღლესი დაფინანსებით ვერ გადაიჭრება — ვინც გუშინ ათასს და 10 ათასს იპარავდა, ხვალ 100 ათასს მოიპარავს და ეს იქნება. საბედნიეროდ, ქართულ ჯარში ბევრი პროფესიონალი და პატიოსანი მოსამსახურეც არის და მათზე დაყრდნობით სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ჯერ სტრუქტურული რეორგანიზაცია, შემდეგ კი საკადრო ცვლილებები, რადგან ერთი ადამიანის სამსახურიდან გაშვებით და მეორის მიღებით ბევრი არაფერი შეიცვლება. ამ რეფორმებზე მუშაობა დაჩქარებული წესით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან დასავლეთის ქვეყნების და განსაკუთრებით, ამერიკის მხრიდან საქართველოთი დაინტერესება უფრო და უფრო მზარდი ხდება.

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს პარტნიორი ამ შემთხვევაში დღეს მსოფლიოს ერთადერთი ლიდერი ქვეყანა, ამერიკაა, რომლის მარტო სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ბიუჯეტი მთლიანად რუსეთის ბიუჯეტს აჭარბებს. თუ საქართველო პოლიტიკურ ნებას და ერთიანობას გამოიჩენს, დასავლეთთან ინტეგრაციას აუცილებლად მივაღწევთ, თანაც არცთუ შორეულ მომავალში.**

**— ამ დაინტერესების გამო, გარკვეულ ტექნიკურ პრობლემებზე მართლაც, შესაძლებელია დასავლეთმა თვალი დახუჭოს, მით უმეტეს, რომ ნატოს ინტეგრაციის პრაქტიკაში იყო ისეთი ფაქტები, როდესაც შეიარაღებული ძალების სისუსტის მიუხედავად, სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, საბერძნეთი და პორტუგალია ნატოში დაჩქარებული წესით მიიღეს.**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს პარტნიორი ამ შემთხვევაში დღეს მსოფლიოს ერთადერთი ლიდერი ქვეყანა, ამერიკაა, რომლის მარტო სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ბიუჯეტი მთლიანად რუსეთის ბიუჯეტს აჭარბებს. თუ საქართველო პოლიტიკურ ნებას და ერთიანობას გამოიჩენს, დასავლეთთან ინტეგრაციას აუცილებლად მივაღწევთ, თანაც არცთუ შორეულ მომავალში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთს ომი გამოვუცხადოთ და მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე უარი ვთქვათ. დასავლეთელი პარტნიორების უპირველესი მოთხოვნა სწორედ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაა.

*ზურაბ მჭედლიშვილი*
*დაჩი გრძელიშვილი*






# თბილისობა?!

## როგორი არ უნდა იყოს თბილისობა





— ვინც „თბილისობას“ გადავურჩით, ერთად გადავიღეთ სურათი



— კაი პატივი გვეცი შენ დღეს, ჩემო „სერაფიონა“...

— ზუსტად ისეთი, როგორსაც ამ ორი დღის მანძილზე ვუყურეთ — პირმოღებულს, მუცელგადმოგდებულს, დაუხვეწავსა და სპონტანურს... თითქოს ერთი ჯოხის აქნევა იყო საჭირო, რომ ქალაქის, დედაქალაქის მთავარი მოედნები და მისი შემოგარენი აევსო ჭრელ, მომაბეზრებელ, უგემოვნო, ავ თვალს რომ ენახვება, სწორედ ისეთ სანახაობას... ქუჩები გადაეკეტათ, ერთმანეთს „მაგარ ბიჭობაში“ გაჯიბრებული ათასი ჯურის მძღოლებით მოზიმზიმე მანქანებს...

იქ, სადაც უნდა ყოფილიყო კეთილი სიტყვა, ქართული ლექსი, უნდა ემღერა ქართველ კაცს და მანდილი გაეშალა პირმცინარ ასულს, ისმოდა ქუჩურსაც კი გაცილებული ღრიანცელი, ტყდებოდა ღვინით სავსე ბოცები, მტვერში იგანგლებოდა საკლავი (ორ თბილისს რომ ეყოფოდა, სწორედ იმდენი), მწვადის ოხშივარს მიდევნებული მყიდველი, იქვე გროვად და ზვინებად დაწყობილ ყელგამოღადრულ ღორსა და ძროხას არიდებდა თვალს, ბავშვი და ქალი არ გამოიშვებოდა ქუჩაში...

არ ვიცი, ალბათ ქალაქმა სადღაც ღირსეულად აღნიშნა თავისი დღე, მაგრამ ხალხის თვალწინ სწორედ ასეთი თბილისობა გაიმართა...

ვიფიქროთ — კიდევ მოვა თბილისობა და ან უარი ვთქვათ, ან საკადრისი დღესასწაული გავუმართოთ საკუთარ თავსა და საკუთარ ქალაქს.



— მარტო ამ ერთი ჩურჩხელისთვის წამომიყვანე?

# მთელი ჩემი შემოქმედება ჩემს შვილს ეძღვნება

*მოდური ხელოვნების საჩვენებელ საღამოებს უკვე მიჩვეული თბილისელები, კიდევ ერთი ლამაზი სანახაობის მოწმენი გახდნენ. პოპულარულმა დიზაინერ-მეწაღემ* ***თათა ვარდანაშვილმა*** *ახალი საშემოდგომო კოლექციის გამოფენა მოაწყო სასტუმრო „საქართველოში“, სადაც მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა და თათას ხელოვნების თაყვანისმცემელთა სპექტრი, პროფესიული თვალსაზრისით, ერთობ ჭრელი გახლდათ. თათას პროდუქციის სარეალიზაციო ფასით დავინტერესდით:*

**— ძვირია თქვენი საფირმო ფეხსაცმელები?**

— ვფიქრობ, რომ არა. მათი ფასი ბევრად ნაკლებია იმ უცხოურ პროდუქციაზე, რომელშიაც მოდის მიმდევარი ქართველები უშურველად იხდიან ფულს.

**— სპონტანურად იღებთ ფეხსაცმლის შეკერვის გადაწყვეტილებას, თუ?..**

— ფეხსაცმელზე მუშაობის პროცესი ჩემთვის ხელოვნებაა. როგორც ფერმწერი მიდის მოლბერტთან და იწყებს ხატვას, ისევე ვიწყებ ფეხსაცმლის შეკერვას. ასე რომ, ყოველი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც ამ კოლექციისთვის იქმნება, იგივეა, რაც მხატვრის მიერ შესრულებული კომპოზიცია.

**— ბევრს ეგონა, რომ ამ კოლექციას მოდელები წარმოადგენდნენ.**

— უკვე მესამე წელია, ფეხსაცმლის გამოფენას ვაწყობ და არასდროს მიმიცია მისთვის საგანგებო სახე. თუმცა, ახლახან ავთო ცქვიტინიძის მოდელებთან ერთად, მანეკენებმა ჩემი ფეხსაცმელიც გაიტანეს პოდიუმზე.

**— მთელი საღამოს განმავლობაში აქ თქვენი პატარა შვილი დარბოდა და ვიფიქრე, თათას ნამდვილი მემკვიდრე ეზრდება-მეთქი.**



— მართალია. ჩემი დემეტრე 6 წლისაა და დიდი ხანია ხატავს. ამ კოლექციაში მის მიერ შექმნილი ესკიზებით შეკერილი ფეხსაცმელებიცაა. მართალია მისი სახელი ჩემი პროდუქციის საფირმო სახელიცაა, მაგრამ არ ვიცი, დემეტრე რა გზას აირჩევს, შეიძლება სულაც ექიმი გახდეს... იმის თქმა უკვე ნამდვილად შემიძლია, რომ მას ერთი პროფესია უკვე აქვს და მთელი ჩემი შემოქმედებაც ჩემს შვილს ეძღვნება.

***ეკა ლომიძე***

# ყოველ დილით მოვალ ჩემს თეატრში!

*რუსთაველის თეატრი რემონტის გამო იკეტება... ორი წლით. ნოემბრიდან სპექტაკლები აღარ გაიმართება. ამისი მიზეზი საკმაოდ სასიამოვნოა: თეატრის ისტორიული შენობა კარგა ხანია სერიოზულ შეკეთებას საჭიროებდა. როგორც იქნა, ეს დროც დადგა. დიდი რემონტი უკვე დაიწყო. ასე რომ, ამ დღეებში ბოლო სპექტაკლებს იხილავენ მაყურებლები რუსთაველის თეატრის სცენაზე. მერე იქნება გასტროლები...*

*... როგორ იცხოვრებენ ამ პერიოდში ადამიანები, რომლებიც შეესისხლხორცნენ თეატრს... რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენი მაყურებელი ბედნიერი წასულიყო თეატრიდან. ამ ადამიანთა სახელები არც აფიშას, არც პრესას არ აუტაცია.*

*აშოტ მატევოსიანი რუსთაველის თეატრის მეწაღეა. შეიძლება ითქვას, თეატრალური ეპოქები შეიცვალა „მის ხელში“, უფრო ადრე კი ყველაფერი მისი მამის თვალწინ მოხდა.*



— მამაჩემი 1928 წლიდან მუშაობდა თეატრში, — გვიამბო ბატონმა აშოტმა — ისე დღესასწაული ისე არ ჩაივლიდა, ჩვენთან სახლში არ მოსულიყვნენ სერგო ზაქარიაძე, პოგო ლევანიჩ მურღულია — მაშინდელი თეატრის დირექტორი, ჟორა ქორიძე, ჟორჟიკა საღარაძე — გურამ საღარაძის მამა, კოლია კრავეიშვილი. მთელი თეატრი ყოველ ორშაბათს მიდიოდა ავტობუსით ქალაქგარეთ. მაშინ ბავშვი ვიყავი. მამას დავყვებოდი. ხან მონასტრებში მივდიოდით, ხანაც ბუნებაში. ბატონი მიხო ჩიხლაძე განთქმული მეთევზე იყო. მისი დაჭერილი თევზის გემო ახლაც მახსოვს...

**— თეატრში საოცარი ურთიერთობები ყოფილა. როგორები იყვნენ დიდი მსახიობები მამათქვენის მიმართ?**

— „მეტეხის ჩრდილში“ სერგო ზაქარიაძე მეწაღეს თამაშობდა. ჩამოვიდა სახელოსნოში. შენი დაზგა მომეციო, უთხრა მამას. მამაჩემმა, — ბატონო სერგო, მე როგორღა ვიმუშაოო? — შენ ახალს მოგცემენო! წაიღო დაზგაც, წებოიანი წინსაფარიც მოხსნა მამას და სპექტაკლებზე იმას იკეთებდა. ისწავლა როგორ უნდა დაეჭირა კალაპოტი, ჩაქუჩი... ლურსმნებსაც პირში იდებდა, როგორც მამაჩემი...

**— როდიდან მუშაობთ თეატრში?**

— 1966 წლიდან ოფიციალურად. თორემ სულ თეატრში დავყავდი მამას. ვეხმარებოდი, ხელობას ვსწავლობდი. ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, რა! ჭირში და ლხინში ერთად ვიყავით. როცა ეროსი მანჯგალაძე შინ რემონტს აკეთებდა, ერთად დავდიოდით მასალაზე. თეატრში ვიყავი, რომ დარეკეს, ეროსი მანჯგალაძე ცუდად გახდა, სასწრაფოდ მოდითო. დირექტორის მოადგილემ, აწ განსვენებულმა ნოდარ მარგველაშვილმა დამირეკა სახელოსნოში, ჩქარა ამოდი, არც გამოიცვალო, ეროსისთან მივდივართ შენი მანქანითო. გამოვედი. ჩამისხდნენ: ნოდარ მარგველაშვილი, ზინა კვერენჩხილაძე, ნესტორ ჭილაძე, ვიქტორ ნინიძე. მივედით. რამდენიმე სასწრაფო იდგა შენობასთან. ეროსი სამზარეულოში იწვა. ნემსი უნდა გაეკეთებინათ გულში. ნემსის მეშინოდა, მაგრამ მივედი, მისი თავი მუხლებზე დავიდე. ვერ უშველეს... ეხ, ბევრი კარგი მსახიობი მახსოვს. იმ თაობის მსახიობები იცით, როგორები იყვნენ?

**— თუ წარმოგიდგენიათ, რომ სადმე სხვაგან იმუშაოთ?**

— არა! არა და არა! ბევრჯერ შემოუთავაზებიათ სხვა სამუშაო, არსად არ წავსულვარ. შვილიც აქ მოვიყვანე. ისიც მეწაღეა. ოჯახიდან მესამე თაობაა, თეატრში რომ იმუშავებს. ისე, მეოთხე კაცია: მამაჩემის მერე ბიძაჩემი მუშაობდა აქ, მერე მე და ჩემი შვილი...

**— გული რაზე გწყდებათ დღევანდელი თეატრის შემხედვარეს?**

— ძველი სპექტაკლები მენატრება: „ხანუმა“, „მეტეხის ჩრდილში“, „ჭინჭრაქა“... ერთი მეგობარი მყავდა, ყოველ საღამოს თეატრში იჯდა... სხვანაირი სპექტაკლები იყო!

**— ახლა ორი წლით უნდა დაისვენოს თეატრის პერსონალმაო.**

— მე აქედან არ გავალ. ყოველ დილით მოვალ ჩემს თეატრში და საღამოს წავალ სახლში. იქნებ სადმე გაგრძელდეს სპექტაკლების ჩვენება! თუ არა და, ვივლი აქ. ფეხი მოვიტეხე, ყავარჯნებით დავდიოდი და შინ მაინც ვერ გავჩერდი. ვისაც არ გამოუცდია, ვერ გაიგებს, თეატრის სიყვარული რა არის! მე მახსოვს მამაჩემის სახე, როცა რუსთაველის თეატრს ცეცხლი გაუჩნდა ღამით, წამოხტა ლოგინიდან და უკანმოუხედავად გამოიქცა. ჩემი თეატრი იწვისო, ყვიროდა. მინდა აქვე გავიხსენო ლევან აბუაშვილი — 70 წელი რუსთაველის თეატრის სცენის მემანქანე იყო. რაღაც რომ მოიხსნებოდა სპექტაკლიდან, დეკორაციის ნაგლეჯი იყო, ფოტოსურათი თუ ნივთი, იღებდა და ინახავდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

P.S. ოთახში ძია ჟორა შემოვიდა, თეატრის მკერავი. ერთხანს უსმინა ჩვენს საუბარს, მერე ამოოხვრით დასძინა: თეატრის გარეშე? ღმერთმა ნუ ქნას. თქვენ არ იცით, ხან ისიც კი გენატრება, ნეტავ მსახიობი შემოვიდეს და თუნდაც მეჩხუბოსო...

***ლელა ჯიყაშვილი***

# გრძელდება ჟურნალისტთა კონკურსი „დედაქალაქი“

**ორგანიზატორები:** თბილისის მმართველობა და თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ინსტიტუტი“.

კონკურსის გენერალური სპონსორია „ფილიპ მორის მენეჯმენტ სერვის ბ.ვ.“ საქართველოს წარმომადგენლობა.

კონკურსის მიზანია თბილისის ცხოვრების აქტუალური თემატიკის ამსახველი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრების გამოვლენა.

**ნომინაციები:**

1. ბეჭდვითი პუბლიკაცია
2. რადიოსიუჟეტი ან გადაცემა
3. სატელევიზიო სიუჟეტი ან გადაცემა
4. მიწისძვრა თბილისში (საგაზეთო, რადიო, სატელევიზიო მასალა)
5. პრესაში განთავსებული ფოტომასალა

*საუკეთესო ნამუშევარი დაჯილდოვდება 1000 ლარით, გაიცემა სპეციალური პრემიები.*
*კონკურსის ოფიციალური დახურვა და დაჯილდოება გაიმართება ქალაქის მერიაში.*
*საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: თბილისი 380007, გერგეთის ქუჩა №3*
*საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ინსტიტუტი.*
*საკონტაქტო ტელეფონები: 92-30-12, 93-35-92, 94-04-73, 94-04-73 ფაქსი*

# „ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა“

## ინტერვიუ კრიმინალურ ავტორიტეტთან დღემდე უცნობ დეტალებზე...


დათო ძებნიაური

გასულ კვირას შვიდი წლის მანძილზე ძებნილის, დავით ძებნიაურის დაკავებამ კვლავ წინა პლანზე წამოსწია 90-იანი წლების ე.წ. საძმოების თემა. „დელისელთა“ საძმოს ერთ-ერთ წევრს, დავით ძებნიაურს სამართალდამცველები ადანაშაულებენ „იოსებიძელების“ საძმოს წევრის, იუზა თოფურიასა და პროფესორ ნოდარ ბოხუას მკვლელობაში. ადვოკატი გულიკო გაბაიძე მიიჩნევს, რომ გამოძიებას ძებნიაურის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ გააჩნია და არსებობს მხოლოდ ერთ-ერთი პატიმრის ცემა-წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენება. თუმცა სასამართლომ დავით ძებნიაურს უკვე სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

შეიძლება ითქვას, რომ საძმოებს შორის სისხლიანი გარჩევები უკვე წარსულს ჩაბარდა. ფაქტია, რომ დღეს იმ პირტიტველა ბიჭების უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის. ისინი შეეწირნენ შავი სამყაროს ავტორიტეტობისთვის, გავლენის სფეროების გადანაწილებისა თუ მამლაყინწობისთვის ბრძოლას...

ამ უბედურებების და, საერთოდ, საძმოების ჩამოყალიბების მიზეზად გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს, რეზო ზარანდიას სამოქალაქო ომი მიაჩნია. იგი დავით ძებნიაურის საქმეს კურირებს:

„სამოქალაქო ომმა სხვა უბედურებებიც მოიტანა ქვეყანაში. ძალიან ბევრს მიუწვდებოდა ხელი იარაღზე. 1993-94 წელს არაერთი ე.წ. საძმო ჩამოყალიბდა თბილისში. ცხადია, კარგი საქმე არ კეთდებოდა. ხშირი იყო შეტაკებები დაყაჩაღებისა თუ ურთიერთგანაწყენების ნიადაგზე, რაც არცთუ იშვიათად სისხლის ღვრით მთავრდებოდა“.

**— ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა. ყველაფერი შედის მანდ — ეს იყო ქუჩის რეკეტი. დიდძალი ფულია ქუჩის რეკეტში.**

ამ კვირას ძებნიაურის მხარე სასამართლოს მიერ გამოტანილი სამთვიანი პატიმრობის გასაჩივრებას აპირებს. თუმცა მძიმე ბრალდებებიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ ის გაათავისუფლონ.

### გამოძიების ვერსია

1995 წლის 24 მარტს სამ საძმოს — იოსებიძელ-დელისელებ-კულინარიელებს შორის გარჩევები მიმდინარეობს. მტრობა ღვივდება „იოსებიძელთა“ წევრის, გიორგი სულაძისა და სხვათა დაჭრის გამო. ამის ნიადაგზე 24 მარტს, ღამის პირველის ნახევარზე, ნუცუბიძის ქუჩის მე-12 საცხოვრებელი კორპუსის წინ დავით ძებნიაური და პაატა შატბერაშვილი თავს დაესხნენ იუზა თოფურიასა და ანდრია რაზმაძეს, რომლებიც ამ უკანასკნელის „მერსედესში“ ისხდნენ. ძებნიაურმა და შატბერაშვილმა თოფურია ორივე ბარძაყის არეში დაჭრეს, „მერსედესს“ კი სროლის დროს ავზი გაუსკდა, ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა. თოფურია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს (ორი კვირის შემდეგ იგი იქვე გარდაიცვალა). მანამდე კი მისი ნასროლი ტყვიით დაიჭრა შატბერაშვილი, რომელიც მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაახლოებით სამი საათის გასვლის შემდეგ, დილის 4 სთ-ზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს გამოსასვლელთან ძებნიაური და მისი საძმოს წევრები ჩასაფრდნენ და საავადმყოფოდან გამოსულ მანქანას, რომელშიც „იოსებიძელები“ ეგონათ (სინამდვილეში კი მანქანაში იჯდა პროფესორი ბოხუა), ცეცხლი გაუხსნეს. პროფესორი ნოდარ ბოხუა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მანქანაში მსხდომი სხვა პირები დაიჭრნენ.

აი, დაახლოებით ასეთია ბრალდების ფაბულა. თუმცა ამ დეტალებს სხვაგვარად იხსენებს „დელისელების“ საძმოს თავკაცი თემურ ქურდიანი. სხვათა შორის, მოხდა უცნაური დამთხვევა, ძებნიაურის დაპატიმრების შემდეგ, რამდენიმე დღეში თემურ ქურდიანი ციხიდან გაათავისუფლეს, — იგი პრეზიდენტმა შეიწყალა. შავი სამყაროს ავტორიტეტი საძმოების სისხლიანი დაპირისპირების მიზეზად შოთა კვირაიასა და მის უწყებას ასახელებს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, სადაც აქამდე უცნობ დეტალებზეა საუბარი.

**— გასულ კვირას დააკავეს ძებნილი დათო ძებნიაური, რომელიც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით დასახელდა „კულინარიელების“ საძმოს თავკაცად...**

— ძებნიაური „კულინარიელების“ რიგითი წევრიც კი არასოდეს ყოფილა. ის იყო „დელისელი“. ისე, ჩვენ ჩვენს თავს საძმოს არ ვეძახდით, ჩვენ ვიყავით სამეგობრო. ვინმე რომ საძმოს იტყოდა, დავცინოდით. საძმო რა, ფიცი კი არ გვქონდა დადებული. იმიტომ არ მოვწონდით არავის, რომ ჩვენ ძლიერები ვიყავით. ძლიერები არა იმიტომ, რომ ბევრი ტყვია-წამალი გვქონდა ან ვინმესთან ვიყავით შეკრულები — არა, ჩვენ პიროვნულად ვიყავით ძლიერები.

**— თქვენ ხელმძღვანელობდით „დელისელებს“?**

— ეგ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. უბრალოდ, მე მიჯერებდნენ. ეს ბიჭები ძმაკაცები, მეზობლებიც იყვნენ. საბავშვო ბაღიდან ერთად მოდიოდნენ.

**— დათო ძებნიაურს საკმაოდ მძიმე ბრალდებები აქვს...**

— „ლიპაა“ ყველაფერი და გეტყვი რატომ. იმიტომ კი არა, რომ ჩემიანია და ვიცავ, არა. ჯერ ერთი, „კულინარიელი“ არასოდეს ყოფილა. მეორეც, ზუსტად იმ მომენტში, როდესაც იუზა თოფურიაზე თავდასხმა მოხდა, საათ-ნახევრით ადრე ჩემთან მოვიდა პაატა შატბერაშვილის დედა და მითხრა, პაატა დაჭრილია, საავადმყოფოში წევსო. მაშინვე საავადმყოფოში მივედი. დაახლოებით ნახევარ საათში დათო ძებნიაურიც და კიდევ სხვა „დელისელები“ საავადმყოფოში მოვიდნენ. ასე, 40-ოდე წუთის შემდეგ კი უკვე თავდასხმა მოხდა „იოსებიძელ“ იუზა თოფურიაზე, რომელსაც ბოხუამ გაუკეთა ოპერაცია.

**— თქვენ საიდან გაიგეთ, რომ თავს დაესხნენ თოფურიას?**

— „იოსებიძელების“ თავკაცი სერგი ბუბუტეიშვილი (იგი ერთი წლის წინ ჩაცხრილეს საბურთალოს რაიონის პოლიციის წინ, კაფე „მგელთან“ — მ. მ.) მოვიდა საავადმყოფოში. ამ დროს შატბერაშვილს უკვე ოპერაციას უკეთებდნენ. ბუბუტეიშვილს ვკითხე — რა გინდა, რისთვის მოხვედიმეთქი. იუზა დაჭრეს ახლახანო, მითხრა. რამდენი ხანია-მეთქი, ჩავეძიე. 15 წუთი იქნებაო. ვუთხარი, მე საათ-ნახევარია აქ ვარ და მანამდე, რამდენი ხნით ადრე მოიყვანეს შატო, არც კი ვიცი-მეთქი. მიპასუხა, მე კიდევ ისეთი ინფორმაცია მქონდა, თითქოს შატომ და ძებნიაურმა დაჭრეს იუზაო. ვუპასუხე: ცუდად გაგიგია, ძებოც აქ იყო და შატოცმეთქი. ისე, იმწუთას გავიფიქრე, იმიტომ ხომ არ მოვიდნენ საავადმყოფოში, რომ ესენი მოეკლათ-მეთქი. მაშინ „დელისელებსა“ და „იოსებიძელებს“ შორის უკვე ომი იყო. შატბერაშვილს მიმავალი მანქანიდან ესროლეს კანდელაკზე და გადარჩა. დღეს იმალება, იმიტომ, რომ იუზას მკვლელობა აჰკიდეს. უამრავი მტერი ჰყავდა მაგ თოფურიას.

**— რატომ?**

— ბუბუტეიშვილი და თოფურია ერთი საძმო იყო და ბევრი ცუდი საქმე ჰქონდათ ჩადენილი. ეს ყველამ იცის. „კულინარიელებზე“ ხომ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ათასგვარ საშინელებას ამბობდნენ „იოსებიძელებზე“.

**— თქვენი ინფორმაციით, ვინ ესროლა თოფურიას?**

**სომხეთის მხრიდან შუამავლად ყოფილი პოლიციელი იყო. რომ ნახა, სომხეთშიც ნაცნობობა მყავდა, შეეშინდა და ჩარია უშიშროება, შსს და თან იცით, როგორ? ვითომ შვილი მომტაცეს და ფულს ამაში მთხოვენო. სინამდვილეში კი თვეების მანძილზე მძღოლებს ატყუებდა, მერე 21 წლის ბიჭი თვითონ ჩამოიყვანა და მძღოლებს შეჰპირდა, აი, ჩემი შვილი იყოს თქვენთან და უსინდისო ვიყო, თუ ფული არ მოგიტანოთო. ამათაც დაიტოვეს ბიჭი... არც ვიცოდი ეს, ამის მერე ჩავერიე და ტელეფონზე რომ დავურეკე, იცით, რა მითხრა? მაგხელა ფულით ხუთ მაგისთანა ბიჭს ვიყოლიებო.**

— არ ვიცი, მე მათთან კონტაქტი არ მქონია. გამარჯობა-გაგიმარჯოთი ვიცნობდი. 1994 წელს მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, გიგა გელაშვილთან ვიყავი და იქ გავიცანი ეგ ხალხი.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)



# „მინისტრის მოადგილე თანამდებობის სანაცვლოდ, თბილისში ბინას მპირდებოდა“

## გაწყვეტილი ხელშეკრულება, უხელფასოდ დარჩენილი გაფიცული მაღაროელები და ბრძოლა დირექტორის სკამისათვის


მოლაპარაკებაზე გაფიცულ მაღაროელებთან

წინა ორშაბათს, დილით ადრე, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად ე.წ. შუქრუთის მაღაროს ვეწვიეთ, რომლის მშრომელები უკვე თვეზე მეტია, რაც გაფიცულები არიან აგვისტოს ხელფასის მიუღებლობის გამო. გაფიცულ მაღაროელებთან „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელების მოლაპარაკება თითქმის სამ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც გაფიცულები მუშაობის გაგრძელებაზე დათანხმდნენ. თავის მხრივ, დირექტორატის წევრებმა მუშებს პირობა მისცეს, რომ დაგვიანებულ ხელფასს ათ ნოემბრამდე დაურიგებდნენ. ხელი ხელს დაჰკრეს და უკან გამოვბრუნდით მიღწეული შეთანხმებით გახარებულ „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელებთან ერთად. სააქციო საზოგადოების ოფისში დაბრუნებულს ერთი საათის შემდეგღა გამახსენდა, რომ შუქრუთის მაღაროსთან, გასახდელში ფოტოაპარატი დამრჩა და ამიტომ კვლავ უკან დაბრუნება მომიხდა. მასპინძლებმა საწარმოს ტექნიკური დირექტორი გამომაყოლეს. ფოტოაპარატი კი ვნახეთ, მაგრამ მაღაროს მშრომელები სულ სხვა გუნებაზე დაგვიხვდნენ. თურმე ნუ იტყვით და ჩვენ შემდეგ მაღაროში ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის „სოლიდარობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მისულა და მუშებისთვის გაფიცვის გაგრძელებისკენ მოუწოდებია. საბოლოოდ, მაღაროელებმა „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელებისთვის მიცემული სიტყვა გატეხეს და გაფიცვა გააგრძელეს. ოფისში დაბრუნებულებმა ეს ამბავი გენერალურ დირექტორს ვაცნობეთ. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა საიდუმლოდ მითხრა: „ყველაფერი ეს საგანგებოდ, ხელოვნურად კეთდება, ყოველივეს მოთავეები ქონების მართვის სამინისტრო და რაიონის გამგებელი არიან. უკვე მერამდენედ დავიჭირეთ „სოლიდარობის“ ხალხი შეგნებულად მოწყობილი საბოტაჟის ფაქტზე, — მუშებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ, რათა ჭიათურაში მუდმივად დაძაბული სიტუაცია იყოს, თორემ სად გინახავთ საქართველოში ერთი თვის გაუცემელი ხელფასის გამო ხალხი იფიცებოდეს?“


როლანდ გოცაძე: ჩემს თანამდებობაზე აუქციონი გამოაცხადეს

როგორც გაირკვა, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“ მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც რაიონის გამგებელმა საწარმოს დირექტორატის წევრებს კოოპერატივების მიერ მოპოვებული მარგანეცის უკრაინაში უფრო იაფად შეტანა დასდო ბრალად, ვიდრე თვითონ „ჭიათურმანგანუმი“ აწვდიდა თავის მთავარ პარტნიორს, სინგაპურულ ფირმას „დელტა-ექსპრესს“ (რომელიც თავის მხრივ ჭიათურული მარგანეცით უკრაინულ ბაზარს აჯერებდა). ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით კი „ჭიათურმანგანუმი“ პირობას დებდა სინგაპურელებთან, ჭიათურაში მოპოვებული მარგანეცი უკრაინაში მათ გარეშე არ შეეტანა. სამწუხაროდ, ეს პირობა დაირღვა და „დელტა-ექსპრესმა“ ჭიათურიდან მარგანეცის მიღებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგადაც „ჭიათურმანგანუმს“ პროდუქციის გასაღების და, აქედან გამომდინარე, ფინანსური პრობლემები შეექმნა. მაინც ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ „ჭიათურმანგანუმმა“ მომგებიანი ხელშეკრულება ჩაშლის პირას მიიყვანა?

— საწარმოს ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ძილი დაუფრთხო მისი გაკოტრების მოსურნეებს. მათ თავიანთი საცეცები აამუშავეს და იმ დროს, როცა შვებულებაში ვიყავი, მაინც მოახერხეს „ჭიათურმანგანუმისთვის“ უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების ჩაშლა, — გვითხრა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალურმა დირექტორმა **როლანდ გოცაძემ**, — ვინ გვებრძვის და რატომ, ამ თემაზე არ მინდოდა საუბარი, მაგრამ მოთმინების ფიალა ამევსო. მით უმეტეს, რომ მე და ჩემი ოჯახის წევრებს გვადანაშაულებენ სინგაპურულ ფირმასთან ხელშეკრულების ჩაშლაში, ვინ იცის, რას აღარ გვაბრალებენ — მაფიოზებს გვიწოდებენ და ა. შ. მე პირნათელი ვარ ყველასთან და სიკეთის გარდა, ჭიათურელებისა და საწარმოსთვის არაფერი გამიკეთებია, ამიტომაც იძულებული ვარ კარტი გავხსნა. საქმე ის არის, რომ შემოდგომამდე წარმატებით მიმდინარეობდა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ბევრს უკარგავდა მოსვენებას. საწარმოს აღორძინების მთავარ მოქმედ პირად მე მივაჩნივარ მოწინააღმდეგეებს და ამიტომაც, როცა ამ თანამდებობიდან ტკბილი სიტყვით და ათასგვარი დაპირებით ვერ მომიშორეს, ცილისწამებაზე გადავიდნენ.

**— ვინ და რას გპირდებოდათ?**

— ქონების მართვის სამინისტროდან და ადგილობრივი გამგეობიდან შემომთავაზეს, ნებით გადავმდგარიყავი დაკავებული თანამდებობიდან. სანაცვლოდ მპირდებოდნენ ხელფასის შენარჩუნებას, შავიზღვისპირეთში აგარაკს, მიტოვებდნენ ავტომანქანას, მთავაზობდნენ ნებისმიერ თანამდებობას, — თუნდაც რომელიმე მაღაროს დირექტორობას ან ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის პოსტს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანამდებობა არ არსებობს, სამინისტრო გამონაკლისის სახით შტატს დაუშვებდა. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ქონების მართვის მინისტრის მოადგილე თანამდებობის სანაცვლოდ, თბილისში ბინას მპირდებოდა. უარით გავისტუმრე ჩემი „კეთილისმსურველები“. ეგრე არ უნდაო და რაიონის ახალარჩეული გამგებელი დავით ივანიშვილი გადამკიდეს. როგორც გავიგე, გარაყანიძე და ივანიშვილი დიდი ხნის მეგობრები ყოფილან. სწორედ იმ დროს, როცა ავად ვიყავი, ერთ-ერთ თათბირზე გამოსულა რაიონის გამგებელი და ასეთი რამ განუცხადებია, — „კოოპერატივმა „გიგანტმა“ უკრაინაში დიდი რაოდენობით მარგანეცის მადანი გაიტანა. ამის გამო შეწყდა ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ და სინგაპურულ ფირმა „დელტა-ექსპრესს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის უმთავრესი პირობა ის იყო, რომ „დელტა-ექსპრესის“ გარდა, უკრაინაში ჭიათურის მარგანეცს არავინ შეიტანდა. კოოპერატივი „გიგანტი“ როლანდ გოცაძესა და მის შვილებს ეკუთვნის და ის არის დამნაშავე, ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ ეს მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ამჟამად რომ შეწყვეტილია.“ ასეთ აბსურდულ განცხადებას რაიონის გამგეობის თავმჯდომარისგან არ ველოდი. მოგვიანებით შესაბამისმა სამსახურებმა ყველაფერი დეტალურად გამოიკვლიეს და დამტკიცდა, რომ კოოპერატივ „გიგანტს“ მარგანეცის მადანი უკრაინაში კი არა, რუსეთში შეუტანია. ისიც გამოიკვლია და დაადგინა კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის სამხარეო სამმართველომ, რომ არც მე და არც ჩემს შვილებს კოოპერატივ „გიგანტთან“ არაფერი გვესაქმება — არც ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრის დაფუძნებულია და იქ არც წილი გვაქვს. სამაგიეროდ, გამგებლის განცხადებამ თავისი ქნა, — საკმაოდ შემილახა ავტორიტეტი და სწორედ ეს იყო მთავარი მიზანი. ის კაცი არა ვარ, მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ვილაპარაკო. თუ რამეს იტყვი, დამტკიცებაც უნდა შეგეძლოს, მაგრამ არსებობს ლოგიკაც და ფაქტიცაა, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პირადად მე, პიროვნულად დამიპირისპირდა რაიონის გამგებელი. ამას ახლა ვერ დავამტკიცებ... მაგრამ როგორც შევიტყვე, არჩევნების წინ შედგა გარიგება დავით ივანიშვილსა და ზოგიერთ სახელმწიფო მოხელეს შორის. კერძოდ, ისინი მხარს დაუჭერდნენ გამგებლობაზე მის კანდიდატურას, შემდეგ კი ივანიშვილი ჩემს თანამდებობას მათ კაცს მისცემდა. საამისოდ მას ექვსი თვე მისცეს — ეს დრო უკვე იწურება და გამგებელს ალბათ პირობის გატეხისათვის მკაცრად მოსთხოვენ პასუხს „პატრონები“. სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო დროს გამგებელი ჩემს საწინააღმდეგოდ აქეზებს რაიონის სხვა ხელმძღვანელებს. ერთი სიტყვით, ზოგიერთებისთვის უმართავი პიროვნება გახლავართ, — მათ დაკრულზე არ ვცეკვავ და ჩემს პრინციპებს არ ვღალატობ. სამინისტროს ასე ხელაღებით ჩემი გათავისუფლება არ შეუძლია. ამიტომ ზეწოლა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ხდება. მაგალითად, მინისტრის მოადგილემ დაიბარა საბჭოს თავმჯდომარე და მისი წევრები და მკაცრად მოსთხოვა — გოცაძე დაკავებული თანამდებობიდან უნდა წავიდეს. დააწერინეთ განცხადება. თუ არ დაწერა, მაშინ თქვენ გაგათავისუფლებთო. გარაყანიძის ნათქვამი ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იანდი შეყილაძემ სიტყვასიტყვით გადმომცა და მირჩია, შენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავთ და წადიო. მართლაც, ამდენ აყალმაყალს განცხადების დაწერა ვარჩიე. დავწერე კიდეც, მაგრამ იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა პირობა წაუყენა საბჭოს წევრებს — თუ გოცაძე წავა, ყველა წადითო. სხვათა შორის, რაც ქონების მართვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავედით, იქიდან არავინ დაგვხმარებია, მხოლოდ დაპირებებით გვისტუმრებენ და რეალურად არაფერს აკეთებენ. არა და არ მოხერხდა ძველი ვალების რესტრუქტურიზაცია მაშინ, როცა არსებობს პრეზიდენტის შესაბამისი რეზოლუცია ჩვენი ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ. სწორედ ვალების გამოა, რომ საწარმო ყოველდღე ჯარიმებისა და საურავების სახით 17 ათას ლარზე მეტს იხდის, რაც წელიწადში დაახლოებით 6 მილიონ ლარს შეადგენს. ბანკები დროულად არ გვირიცხავენ კუთვნილ თანხებს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვისაც რითი შეუძლია, იმით გვიშლის ხელს. ვეჭვობ, რომ ყველაფერი ეს შეგნებულად კეთდება და ერთ მიზანს — „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრებას ემსახურება.

**— ე. ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გასაკოტრებლად მორიგი კამპანია წამოიწყეს?**

— რა თქმა უნდა. დავიწყებთ მუშაობას, შევა მაღაროში მუშა, გაითიშება შუქი. გვეკუთვნის ფული, ბანკი კი შეგნებულად აგვიანებს მის გადმორიცხვას, რათა დროულად ვერ დავარიგოთ ხელფასები. იძულებული ვართ, სხვა ბანკიდან სესხი ავიღოთ, სესხის გამო კი პროცენტები უნდა ვიხადოთ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ იმისა, თუ როგორ ცდილობენ ჩვენი ვალების ხელოვნურად გაზრდას: ჭიათურა ვერ ასრულებდა ადგილობრივ ბიუჯეტს, გვასესხებინეს ბანკიდან 300 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ბიუჯეტის შესასრულებლად წავიდა. მერე ჩვენ დაგვჭირდა ხელფასის დასარიგებლად ფული და ადგილობრივმა გამგეობამ ჩვენივე ფული გვასესხა. ახლა ბანკსაც ჩვენ ვუხდით პროცენტს და გამგეობაც თავის წილს გვთხოვს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებას ძნელად თუ დავარქმევთ სახელმწიფოებრივ მიდგომას, მას უფრო სხვა სახელი შეეფერება. რაც შეეხება გარაყანიძესა და ივანიშვილს, ამ საქმეში ორივე ჭანჭიკის როლს თამაშობს. მთავარი დამკვეთები უფრო ზემოთ უნდა მოძებნოთ. ჭიათურაში იმასაც ამტკიცებენ, რომ „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის ადგილზე რაიონის გამგებელმა აუქციონი გამოაცხადა, რომელშიც ვინმე თაბაგარს გაუმარჯვია. ვერ ითმენს გამგებელი. მის გასაგონად ვაცხადებ, — განცხადება თანამდებობის ნებით დატოვების შესახებ შაშიაშვილის კაბინეტში დავხიე. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ჭიათურაში ოთხ ათეულამდე კოოპერატივია რეგისტრირებული, რომლებსაც მარგანეცის მადნის მოპოვების ლიცენზია აქვთ. ლიცენზიები ქონების მართვის სამინისტროს მიერ არის გაცემული. მათ დამაგრებული აქვთ ისეთი მიწები, სადაც საერთოდ არ მოიპოვება მარგანეცი. გეკითხებით, საიდან მოიპოვებენ წიაღისეულს? მე გიპასუხებთ — ჩვენი კარიერებიდან იპარავენ. იღებს ამაზე ხმას ვინმე? გარწმუნებთ, არავინ. ჩემს წინააღმდეგ გამართული კამპანიის ერთ-ერთი მიზეზი კოოპერატივებთან ბრძოლაცაა. მათ უკან საკმაოდ გავლენიანი პირები დგანან თბილისში. მათ ხელს აძლევთ, რომ ჭიათურაში დაძაბული სიტუაცია იყოს, — ამღვრეულ წყალში თევზი ადვილი დასაჭერია...

ჩვენ შევხვდით ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს **იანდი შეყილაძეს**:

**— დაგავალათ თუ არა, ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ თქვენი გენერალური დირექტორის, გოცაძის გათავისუფლება?**

— ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, გვქონდა შეხვედრა ბატონ ზურაბთან და მას ოფიციალურად გოცაძის გათავისუფლების ბრძანება არ მოუცია. მხოლოდ გვითხრა, გამოასწორეთ შექმნილი მდგომარეობაო.

**— თორემ არც ერთი არ დარჩებით სამეთვალყურეო საბჭოშიო, არა?**

— გეტყვით ეს ვისი სიტყვებია. ქონების მართვის სამინისტროში გადაწყდა, რომ უნდა შეცვლილიყო დირექტორატი. კანონით სამინისტროს არ აქვს დირექტორის გათავისუფლების უფლება, ეს სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა. ეს სიტყვები თემურ შაშიაშვილმა ბრძანა, — თუ გოცაძე წავა, ყველა უკან მიჰყვებითო.

მინისტრის მოადგილემ გვითხრა, რადგან გენერალურ დირექტორს გართულებული აქვს ურთიერთობა სახელმწიფო მინისტრთან, სამხარეო ადმინისტრაციასა და გამგეობასთან, ამიტომ უნდა შევცვალოთ იგიო...

ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი **გოგი ლეჟავა**: — შემოდგომამდე საწარმო ნელ-ნელა მოგებისკენ წავიდა, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევამ სინგაპურის ფირმასთან ფინანსური პრობლემები წარმოშვა, რამაც აგვისტოს ხელფასების გაუცემლობა და შემდგომ გაფიცვა გამოიწვია. თუმცა საქმე არც ისე ცუდად არის, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. დიდი იმედი გვაქვს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, რომელსაც წლის ბოლომდე 20 ათასი ტონა მარგანეცის მადანი უნდა გადავუტვირთოთ. დასანანია, რომ აწყობილი საქმე „დელტა-ექსპრესთან“, გაუგებრობამ გაგვიფუჭა.

**— რომელშიც რაიონის გამგებელი საწარმოს გენერალურ დირექტორს ადანაშაულებს...**

— აი, ეგ არის ყველაფრის თავიდათავი. გამგებლის დაუფიქრებელმა განცხადებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. არ შეიძლება დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთება. ეს ვუთხარი კიდეც გამგებელს. დამპირდა, თუ მადნის უკრაინაში გატანასთან არავითარი კავშირი არ გაქვთ, გენერალურ დირექტორს საქვეყნოდ მოვუბოდიშებო. ჩვენ ჩვენი სიმართლე დავამტკიცეთ, მაგრამ გამგებელს პირობა არ შეუსრულებია.

**— როგორც აქაურებმა მითხრეს, მარგანეცის მადნის მომპოვებელი კოოპერატივი თქვენც გქონიათ და უკრაინაში მალულად თქვენც გაგაქვთ მარგანეცი.**

— საკმაოდ კარგი ინფორმატორი გყოლიათ. დასამალი რა არის? ერთ-ერთმა პირველმა მე დავაფუძნე კოოპერატივი ჭიათურაში, რომელიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით და გადამუშავებით იყო დაკავებული. მას სახელად „მაწისი“ დავარქვი, მაგრამ 1997 წლიდან აღნიშნული კოოპერატივი მეგობრებს დავუტოვე და მასთან ახლა კავშირი არ მაქვს. რაიონის გამგებელმა რომ თქვა, „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორატის წევრებს კოოპერატივები აქვთ და მადანი უკრაინაში იაფად გააქვთო, გულზე კი მომხვდა, მაგრამ ჩემს მეგობრებს ამის გამო ვერ ვუღალატებ. ისე, ერთ-ერთი პირველი მე ვარ კოოპერატივების მოწინააღმდეგე. შესაბამის ორგანოებს ვუთითებ იმ სუსტ წერტილებს და იმ კანონდარღვევებს, რომლებიც მათ მუშაობაში სისტემატურად აქვთ, მაგრამ რად გინდა? ვერც ერთი მაკონტროლებელი ორგანო ვერ ვნახე, ამ საკითხით რომ დაინტერესებულიყო. ყველა გაიძახის, მათი შემოწმება (კოოპერატივებს ვგულისხმობ), არ მევალებაო. არადა, თამამად შემიძლია ვთქვა, ყველა კოოპერატივი ჩვენს კუთვნილ მადანს იპარავს...

რადგანაც ჭიათურაში ვიყავით, გამგებლის უნახავად და მისი კომენტარის გარეშე იქიდან წამოსვლას არც კი ვიფიქრებდით, ამიტომ ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ ოფისიდან გამგეობაში წავედით და რაიონის გამგებელს, **დავით ივანიშვილს** კომენტარი ვთხოვეთ: — მდგომარეობა არც ისე რთულია, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. მართალია, ორი მაღარო გაფიცულია, მაგრამ როგორც მითხრეს, შეთანხმება მიღწეულია და ისინი ხვალიდან დაიწყებენ მუშაობას. მალე ჭიათურაში ველოდებით „დელტა-ექსპრესის“ დირექტორს და ალბათ გავაგრძელებთ ხელშკრულებას.

**— რომელიც დღეს იმის გამოა გაწყვეტილი, რომ უკრაინაში ჭიათურიდან კოოპერატივების იაფი მარგანეცის მადანი მოხვდა.**

— კონკრეტულად არავინ დამისახელებია. თუ სასამართლო მომთხოვს დაკონკრეტებას, შემიძლია დავაკონკრეტო კიდეც.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

„ყველაფერი ეს საგანგებოდ, ხელოვნურად კეთდება, ყოველივეს მოთავეები ქონების მართვის სამინისტრო და რაიონის გამგებელი არიან. უკვე მერამდენედ დავიჭირეთ „სოლიდარობის“ ხალხი შეგნებულად მოწყობილი საბოტაჟის ფაქტზე, — მუშებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ, რათა ჭიათურაში მუდმივად დაძაბული სიტუაცია იყოს, თორემ სად გინახავთ საქართველოში ერთი თვის გაუცემელი ხელფასის გამო ხალხი იფიცებოდეს?“

# „შევარდნაძეს თუ უერთგულე, აუცილებლად კონსტიტუციას დაგარღვევინებს...“

საპარლამენტო ოპოზიციაში ერთსულოვნების სიომ დაქროლა. ძველი მოშუღარნი შუღლს ივიწყებენ, მოქიშპენი მტრობას მიმტევებლობას არჩევენ, განხეთქილების სენის ამოძირკვას კი ერთმანეთისკენ სავალი გზების ძებნით ცდილობენ. რა არის ეს, მორიგი ავანტიურა, რომელშიც ყველა პარტია თავის სარგებელს ხედავს, საპარლამენტო არჩევნების წინ მომგებიანი პოზიცია (არაპოპულარული ხელისუფლების კრიტიკა სწორედ ასეთი სახეირო პოზიციაა) თუ კარიერისტული ამბიციების დაკმაყოფილება.

ბოლოდროინდელი პოლიტიკური ვითარების ანალიზი **ლევან ბერძენიშვილს** ვთხოვეთ:

— ოპოზიციის ერთად ყოფნა ძალზე პირობითი და დროებითი მოვლენაა. პოლიტიკის ანბანია — როცა ინტერესი ემთხვევა, ხალხი ერთადაა, როცა ინტერესი განსხვავებულია, ხალხი ერთად არ არის. უზუსტესი პოლიტიკური გამონათქვამია — არ არსებობენ მუდმივი პარტნიორები, არსებობს მუდმივი ინტერესები. ოპოზიციამ დაძლია ემოცია და უფრო პრაგმატულ ნაბიჯებს დგამს.

ამ ეტაპზე ოპოზიცია თემატურად გაერთიანდება პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ, ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ, მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ, იმპიჩმენტის საკითხი და სხვა... მაგრამ როგორც კი დაიწყება გარჩევა — მე აქედან რა უნდა მოვიგო, მე პირველმა ვთქვი ხელისუფლებაზე აუგიო, ეს პოლიტიკური ძალები წააგებენ. აქ არის კიდევ ერთი მომენტიც, — ამ ხალხს ერთმანეთზე ცუდი რაღაცები აქვთ ნათქვამი, მაგრამ საზოგადოებას ამასთან შეგუება მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობას და „აღორძინებას“ საერთო ინტერესები აქვთ, მაინც ვერავინ შემაცვლევინებს აზრს ასლან აბაშიძეზე, რომ ის ბანდიტია.

— **ბანდიტი?!**

— დიახ, დიახ, იმიტომ, რომ ბიუჯეტიდან იპარავს ფულს, ისე როგორც ყველა. თუმც ერთი-ორი კაციც კი ჰყავს მოკლული. და მე მას აკადემიკოსს ვერ ვუწოდებ. საიდან არის ასლან აბაშიძე მილიონერი? არ მითხრათ ახლა, რომ მამამისმა — იბრაგიმმა დაუტოვა. საქართველოს კუთვნილი ფული — საბაჟოდან, პორტიდან, გემებიდან რაღაცნაირად აბაშიძის ჯიბეში აღმოჩნდა.

— **გასულ კვირას საპარლამენტო ოპოზიციამ ორი ფიგურა — შევარდნაძე და ჯორბენაძე ამოიღო მიზანში — ორივეს იმპიჩმენტის საკითხი დადგა.**

— ამათგან ერთი, პრეზიდენტი, მართლაც ფიგურაა, რომელსაც ჰქონდა წარმატებები, წარუმატებლობები, იგი ხელწამოსაკრავი ადამიანი ნამდვილად არ არის (მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა). გინდა თუ არ გინდა, ედუარდ შევარდნაძე დიდი სახელი და გვარია, აქვს ფიგურალური სიდიდე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტობაში ხელმოცარულია. რაც შეეხება ავთო ჯორბენაძეს — ის ფიგურა არ არის. თუ საჭადრაკო ტერმინს ვიხმართ, ის პაიკია, რომელიც შევარდნაძემ ლაზიერში გაიყვანა (ანუ დასვა ამ ადგილას). ავთო ჯორბენაძე არის კარგი პიროვნება, ყურადღებიანი ექიმი, რომლის გზა არ მიდიოდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობისკენ... „მეფისთვის“ და „დედოფლისთვის“ პირადი ერთგულება ძალიან ბევრს ნიშნავს და ამიტომ გადაწყვიტეს ჯორბენაძისგან გაეკეთებინათ „მხედარი“, „კუ“ ან სულ ცოტა „ეტლი“ მაინც.

**საქართველოში არ არის იმ დონის საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა, რომლებიც პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოუწყობენ. შეიძლება პრეზიდენტს ნერვები მოუშალო, ჩამოაგდო, გადადგომამდე მიიყვანო, მაგრამ იმპიჩმენტს ვერ მოუწყობ.**



ჯორბენაძე ხან სახელმწიფო მინისტრია, ხან კი მოქკავშირის გენერალური მდივნის რანგით გველაპარაკება. ქართველი ხალხი — ნატანჯი, შევარდნაძის 30-წლიანი ქვემძრომობისა და ეშმაკობის შემსწრე, ავთოს ასეთ ხუმრობაზე ველარ იცინის. ასეთმა მიდგომამ გააჩინა ეჭვები ჯორბენაძის მიმართ.

შევარდნაძის ერთგულება საქართველოს ერთგულება არ არის. შევარდნაძეს თუ უერთგულე, ისეთი კაცია, უსათუოდ კონსტიტუციას დაგარღვევინებს. სახელმწიფო მინისტრად დანიშვნის შევარდნაძისეული პრინციპი ასეთი იყო — კარგი ადამიანები, რომლებიც იმ საქმის აზრზე არ არიან, რასაც ავალებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილზე არასოდეს იქნება ისეთი კაცი, რომელიც საზოგადოების თვალში შევარდნაძის მემკვიდრედ აღიქმება.

— **ფიქრობთ, რომ ამის გამო გახდა საჭირო პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნა?**

— საქართველოში არ არის იმ დონის საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა, რომლებიც პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოუწყობენ. შეიძლება პრეზიდენტს ნერვები მოუშალო, ჩამოაგდო, გადადგომამდე მიიყვანო, მაგრამ იმპიჩმენტს ვერ მოუწყობ. კარგად უნდა კონსტიტუციას წაკითხვა. იმპიჩმენტისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. როგორ გგონიათ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ჯონი ხეცურიანი და მოსამართლეები ოდესმე იტყვიან, რომ პრეზიდენტმა ეს ჩაიდინა?! ჯონი ყოველთვის იტყვის, რომ შევარდნაძე კარგია, ამისთვისაც დანიშნეს იმ ადგილზე.

ავთო ჯორბენაძის იმპიჩმენტის საკითხს კი სერიოზულად ვუყურებ. შევარდნაძე არის ლოდი, რომელიც საქართველოს განვითარების გზაზე დევს და ეს ლოდი რამენაირად უნდა გადავაჩოჩოთ. პარლამენტში ფიქრობენ

**ჩემთვის, ბიბლიოთეკის გამგისთვის, ჯორბენაძე, აბაშიძე და შევარდნაძე, გარდა იმისა, რომ საქმეს ვერ აკეთებენ, დასაწუნი არიან სხვა კრიტერიუმებითაც — საბჭოთა დროში მაგათი ასაკის ხალხს ცოტა მეტი განათლება უნდა მიეღო. ამიტომაც იმპიჩმენტის მომხრე ვარ, მიუხედავად იმისა, შედგება თუ არა.**

ავთოთი (მისი იმპიჩმენტით) ამ ლოდს პატარა მიარტყან, რომ აზრზე მოვიდეს. ამიტომაც ეს კარგი კაცი (ავთო) უნდა წავიდეს და მისი იმპიჩმენტის საკითხი ჩვენს კანონებში ეტევა — არც უზენაესი სასამართლოს დასკვნა უნდა და არც საკონსტიტუციოსი. ბიუჯეტი ვერ შეასრულა და ვერც შეასრულებს ვერასოდეს ვერავინ.

— **რატომ გახდა ბიუჯეტი ასეთი დაუძლეველი სიმძიმე?**

— არავის უნდა მისი შესრულება და იმიტომ. ბიუჯეტი რომ შესრულდეს, მერე ვილაცას თავში მისი გაზრდა მოუვა. თუ ბიუჯეტი შესრულდა, მით უფრო ძნელი იქნება ცხოვრება „მათთვის“. დიდი ბიუჯეტი კი ვის უნდა? — მე, ბიბლიოთეკის დირექტორს, რომელსაც წიგნის ფულს არ მაძლევს ავთო ჯორბენაძის მთავრობა. ბიბლიოთეკას რომ წიგნი სჭირდება და ამას რომ ვერ გაიგებენ სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრები, ისინი ადამიანები არიან? მაგრამ რა გასაკვირია — ისინი ხომ ბიბლიოთეკებში არ დადიან.

შევარდნაძეზე მეტს ასლან აბაშიძეზე ჭორაობენ. ლაპარაკობენ მის ვაჟზე, სიძეზე, ქალიშვილზე.

თუ ჩემი ქვეყანა შევარდნაძის, ჯორბენაძის და აბაშიძის ხელისუფლებას იმსახურებს, არასწორად შემიფასებია მისი შესაძლებლობები. უკეთესი გვინდა და ეს ნურავის ეწყინება. ახალი პოლიტიკური თაობა — ივლიანე ხაინდრავა, ჩემი ძმა დავითი, ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი — პოლიტიკური დონით, რა თქმა უნდა, სჯობს შევარდნაძე-ჯორბენაძე-აბაშიძეს. მეტსაც გეტყვით, ეს ხალხი ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობდა და წიგნიერი ხალხია. ჩემთვის, ბიბლიოთეკის გამგისთვის ჯორბენაძე, აბაშიძე და შევარდნაძე, გარდა იმისა, რომ საქმეს ვერ აკეთებენ, დასაწუნი არიან სხვა კრიტერიუმებითაც — საბჭოთა დროში მაგათი ასაკის ხალხს ცოტა მეტი განათლება უნდა მიეღო. ამიტომაც იმპიჩმენტის მომხრე ვარ, მიუხედავად იმისა, შედგება თუ არა. ჯორბენაძის იმპიჩმენტი შევარდნაძისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იქნება.

აღარ გვინდა საბჭოთა შევარდნაძე, საბჭოთა აბაშიძე. წავიდა მათი დრო. გაისისთვის თოფი თუ არ გვესროლეს და საარჩევნო ურნებთან მიგვიშვეს, ჩვენ გავიმარჯვებთ — ქართველი ხალხი. დროზე წასვლას პელე მიხვდა — დიდი ფეხბურთელი. სხვა ვარსკვლავებს ცოტა შეუგვიანდათ და დედის გინებით გაუშვეს. არ ესმოდა პრეზიდენტს რას გაიძახდნენ ჩამქრალ სტადიონზე?.. როცა 20 ათასი კაცი სტადიონზე პოეზიისთვის მოიცლის და ამ პოეზიაში შევარდნაძის გვარს საგინებლად ჩასვამს, ის პრეზიდენტი უნდა დაფიქრდეს, — იქნება რამეს ვაშავებო...

როცა საზოგადოებამ მითხრა, მსუქანი ხარო, — ჩემი წონის ნახევარს შეველიე... შევარდნაძეს რომ ეუბნებიან — წადი, ცუდი ხარო, მოუსმინოს საზოგადოებას და კაცურად წავიდეს, ნუ დაგვათვლევინებს დღეებს, თორემ როცა მისი ვადა ამოიწურება, მისი ოჯახის ქონების საკითხს სასამართლო განიხილავს, რომელიც მოულოდნელად ობიექტური აღმოჩნდება, იმიტომ, რომ სხვა პრეზიდენტის ერთგულებაზე ექნება ფიცი დადებული...

# „ზოგიერთებს ურჩევნიათ, გონს მოეგონ...“

## ზოდელავა პრეზიდენტის მესამე ვადით არჩევაზე ისევ ალაპარაკდა...

ნათქვამია, ცეცხლი თივაში არ დაიმალებაო. დიდხანს მალეს სახელმწიფო მინისტრმა და ქალაქის მერმა ურთიერთდაპირისპირების ამბავი, მაგრამ დაფარული მაინც გამჟღავნდა. პრეზიდენტის ფავორიტი ზოდელავა, პრეზიდენტის მეუღლის ფავორიტმა ჯორბენაძემ ლამის დაჯაბნოს.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ სახელმწიფო მინისტრმა დედაქალაქზე მიიტანა იერიში და ზოდელავას თბილისის გაკონტროლების ექსკლუზივის წართმევა მოუნდომა. თბილისის მერი თავის დროზე მაგრად დადგა, მაგრამ ექიმმა ჯორბენაძემ მას მოგვიანებით მაინც მოუძებნა აქილევსის ქუსლი — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „მოქკავშირის“ მიერ აღებული 1,5%-ი.

გასული კვირის მთავრობის სხდომაზე პოლიტიკურმა არბიტრებმა ანგარიში ისევ ჯორბენაძის სასარგებლოდ დააფიქსირეს. თავის ფავორიტს პრეზიდენტმა უკანონო მშენებლობების გამო უსაყვედურა. გვეგონა მერიაში ჯორბენაძეზე გაცეცხლებულ **ვანო ზოდელავას** ვნახავდით, მაგრამ მივედით, ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ ქალაქისთავს ყველაზე მეტად თურმე შალვა ნათელაშვილი უშლის ნერვებს.

— **ბატონო ვანო, ითქვა თითქოს „მოქალაქეთა კავშირის“ მთავარი საბჭოს სხდომაზე მწარედ გაუკრიტიკებიხართ.**

— ვერავინ დამწამებს მმართველი პარტიის ლიდერობას. მთავარი საბჭოს წევრი არ ვარ... რამდენადაც ვიცი, იქ არ უმსჯელიათ, გავერიცხე თუ არა „მოქალაქეთა კავშირიდან“. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის გუნდის წევრი ვარ და ამიტომაც ვითვლები იმ პარტიის წევრად, რომლის საპატიო თავმჯდომარე თავად არის.

— **მაშ, რატომ გახსენეს დახურულ სხდომაზე?**

— გოგავას უთქვამს რაღაც... ეგღა მაკლია, ვინმემ გამრიცხოს, — გასარიცხი თავისკენ მოიკითხონ.

— **ვის გულისხმობთ?**

— ვინც ასეთ განცხადებებს აკეთებს. ზოგიერთებს ურჩევნიათ, გონს მოეგონ, თორემ თუ დავტოვე ეს პარტია, თბილისში „მოქალაქეთა კავშირი“ აღარ იქნება. არავისზე არ ვაპირებ ძალადობას. „მოქალაქეთა კავშირი“ რეიტინგს კიდევ იმით ინარჩუნებს, რომ მის რიგებში რამდენიმე ღირსეული კაცია. თუ ისინი წავლენ, პარტია დაიშლება.

— **თქვენსა და სახელმწიფო მინისტრს შორის დაპირისპირებაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ.**



**ზოგიერთებს ურჩევნიათ, გონს მოეგონ, თორემ თუ დავტოვე ეს პარტია, თბილისში „მოქალაქეთა კავშირი“ აღარ იქნება. არავისზე არ ვაპირებ ძალადობას. „მოქალაქეთა კავშირი“ რეიტინგს კიდევ იმით ინარჩუნებს, რომ მის რიგებში რამდენიმე ღირსეული კაცია. თუ ისინი წავლენ, პარტია დაიშლება.**

— ავთოს პატივს ვცემ... მაგრამ ეტყობა ქვედინებებში ვილაცებს ხელს აძლევთ ჩვენი დაპირისპირება და ამ თემის გახმაურება. პირში მთქმელი კაცი ვარ — რაც არ მომწონს, ყოველთვის ვიტყვი. აქედან გამომდინარე, ხშირად ვკამათობ ბატონ ავთოსთან. მისალებს მივიღებ, რაც არ მიმაჩნია ნორმალურად, იმას მხარს როგორ დავუჭერ?! ალბათ აქედან გამომდინარე გავრცელდა ხმა, თითქოს ჩემსა და ავთოს შორის დაპირისპირებაა. ეტყობა, მორჩილი მერი უნდათ... რაკი ავთო სტრუქტურულად ზემდგომია, ფიქრობენ, რომ ხმა არ უნდა ამოვიღო მასთან... არ ვარ და არც ვიქნები ისეთი კაცი, რაღაცის გამო გავჩუმდე...

— **ნათქვამი გაქვთ, ერთ-ორ პარტიასთან არ ვითანამშრომლებო. შერისხულთა კატეგორიაში ვინ გყავთ?**

— მისი არაობიექტური და უპატივცემულო განცხადებების გამო, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარესთან მიჭირს ურთიერთობა. კაცმა თავისი ფრაქცია გააქცია და მე მაბრალებს. შალვა ცუდი ორგანიზატორია, ტყუილად კი არ ვთქვი, დემაგოგია-მეთქი.

— **ნათელაშვილი აცხადებს, რომ მისი პარტიის წევრებს ფულს აძლევდით, სამარშრუტო ხაზებსა და სახლების ასაშენებელ ტერიტორიებს სთავაზობდით.**

— ასეც რომ ყოფილიყო, როგორ უნდა ეთქვა რამე. რატომ სხვა პარტიებს არ აქვთ ჩემთან პრობლემები? შალვამ ისიც კი არ იცის, როგორი ხალხი შეჰყავს პარტიულ სიაში. მისი ფრაქცია ჯერ არ შემოსულა საკრებულოში და უკვე გაიხლიჩა. ბევრი ხალხი წამოვიდა მისგან და კიდევ წამოვა, იმიტომ, რომ მუშაობა არ იცის. თავდაპირველად, მის მიმართ სიმპათიით ვიყავი განწყობილი.

— **მაშ, რა მოხდა?**

— თავის შეცდომებს მე მაბრალებს.

— **უარყოფთ, რომ მისი პარტიის წევრებს, კორექტულად რომ ვთქვათ, ხელს უმართავდით?**

— მე ყველას ვეხმარები, პარტიის წევრობის მიუხედავად... სამარშრუტო ხაზები ჩემს დროს კი არა, 1991 წლიდან არის დედაქალაქში. პირადად ერთი სამარშრუტო მანქანაც არ მაქვს, ხაზზე აღარაფერს ვამბობ. შალვა ნათელაშვილმა თავის ბაზრობებს და ბაზრებს მიხედოს. ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ... ვურჩევ შალვას დადინჯდეს. ცუდი პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ მრჩევლები არ უვარგა. რატომ არის ჩემზე ნაწყენი, როცა ყველაზე მეტი ხმა მიიღო თბილისში. არჩევნები რომ იყოს, შალვას ფორას მივცემ და მაინც მაღალი პროცენტით მოვუგებ...

— **ადგილობრივ არჩევნებს მივუბრუნდეთ, ზურაბ ჟვანიას ხომ არ გულშემატკივრობთ?**

— ზურაბ ჟვანია ღირსეული კაცია, უნიჭიერესი პიროვნება...

— **დედათქვენის, ნინა ჟვანიას ნათესავი ხომ არ იყო?**

— ნამდვილად არ ვართ ნათესავები.

— **როდემდე დარჩებით „მოქკავშირში“?**

— სანამ იქ ედუარდ შევარდნაძე იქნება.

— **თქვენ და ჯორბენაძეს პრეზიდენტის მემკვიდრეებად მოგიაზრებენ.**

— საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი ჰყავს...

— **საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ?**

— მალე ნახავთ, საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდება, ეს ოთხი წლის წინ ვთქვი...

— **ე.ი. მესამე ვადით იყრის კენჭს შევარდნაძე?**

— წინასწარ არაფერს ვიტყვი... მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

— **ქონებრივ დეკლარაციაში გიწერიათ, რომ 180 ლარი გაქვთ ხელფასი. ფინანსური მდგომარეობა კი საკმაოდ სტაბილური გაქვთ. როგორც ვიცი, ბიზნესი 1991 წელს წამოიწყეთ. ეს სამოქალაქო დაპირისპირების და ომის პერიოდია. როცა ხალხი იბრძოდა, თქვენ ბიზნესზე ფიქრობდით?**

— ხალხი რომ იბრძოდა, მაშინ ჰუმანიტარული დახმარება და პროდუქტი შემომქონდა საქართველოში. სახელმწიფო სესხები არ ამიღია და დოვლათი არ გამიტანია ქვეყნიდან. 1992 წლის იანვარში 110 ათას დოლარად ღირებული ფორმები გამოვუგზავნე ამერიკიდან ქართველ მეომრებს. ასე რომ, ვისაც შეეძლო იბრძოდა, ვისაც ბიზნესის ნიჭი ჰქონდა, ის თავის საქმეს აკეთებდა.

— **რას იტყვით თბილისზე, როგორი ქალაქია?**

— ურთულესი ქალაქია, დუშელს გაუჭირდება მისი მართვა. თქვენ, „კვირის პალიტრის“ რედაქციას, თბილისელებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ თბილისობის დღესასწაულს.

***გვერდი მოამზადა იზო რეკაძემ***






# ქეთინო ჭიპაშვილი — 14 წლის ქართველი მძევალი...

23 ოქტომბრის საღამოს, მოსკოვში, კულტურის სასახლეში, ჩეჩენმა ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს რამდენიმე ასეული ადამიანი. მათ შორის ქართველთა გვარებიც ფიგურირებდა. იმ დღეს 14 წლის ქეთინო ჭიპაშვილიც მძევალთა შორის აღმოჩნდა.

„კვირის პალიტრა“ გოგონას მამას, ვახტანგ ჭიპაშვილს დაუკავშირდა.

— **დღეისათვის რა ინფორმაცია გაქვთ, როგორ არის ქეთინო?**

— საუბარი მქონდა ქეთინოს დედასთან და ვიცით, რომ ბავშვი გამოვიდა მდგომარეობიდან და თავისი გვარი, სახელი დაასახელა. ვიცით, რომ კარგად არის უკვე. თუმცა მაინც მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ არის.

— **თქვენ თქვით, რომ ვინაობა დაასახელა, მანამდე გონზე არ იყო?**

— არა. ბავშვს ეძინა... ჩვენ მთელი ღამე ტელევიზორთან ვისხედით, რომ გავიგეთ, შტურმი განხორციელდა, წარმოიდგინეთ — რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით... მაშინვე დავუკავშირდით ჩვენს საელჩოს, თემურ გამცემლიძეს და მან გვითხრა, რომ შტურმის შემდეგ უკვე ბავშვის მოძებნით იყვნენ დაკავებული. ერთადერთი, რითიც დაგვამშვიდა, ის იყო, რომ გვითხრა — მოცეკვავეთა შორის მსხვერპლი არ არისო.

— **როგორ მოხვდა ქეთინო მოსკოვის თეატრალურ ცენტრში?**

— ის კონცერტზე არ ყოფილა. დადიოდა ცეკვაზე და ჩვეულებრივ იმავე შენობის სტუდიაში ჰქონდა ცეკვის გაკვეთილი. 11-ის ნახევარზე უნდა დაბრუნებულიყო შინ და არ დაბრუნდა. აი, ასე მოხვდა მძევლებს შორის. ჩვენ ამის შესახებ მეორე დღეს გავიგეთ, რადგან ჩვენი ტელეფონი დაზიანებული იყო და ბუნებრივია ვერ დაგვირეკავდნენ. ჩვენ საინფორმაციო საშუალებებიდან გავიგეთ და ამის შემდეგ დავიწყეთ რეკვა.

— **ქეთინომ თუ შეძლო დაკავშირება ახლობლებთან? იყო თუ არა ამის შესაძლებლობა?**

— როდესაც მძევლად აიყვანეს, ტერორისტებმა მხოლოდ ერთხელ მისცეს დარეკვის უფლება. დედას დაურეკა და უთხრა: „კარგად ვარ, ცუდად არ მეპყრობიან და მშვიდად იყავიო. ამის შემდეგ ბავშვისგან ზარი აღარ ყოფილა.

— **დიდი ხანია, რაც ქეთინო მოსკოვში ცხოვრობს?**

— კი. უკვე 9-10 წელია დედასთან ერთად იქ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, რუსულ სკოლაში დადის და ქართული არ იცის. ამიტომაც გაჭირდა მისი მონახვა, რადგან რუსულად მეტყველებს.

— **როგორ შეაფასებდით სპეცსამსახურების მიერ შენობის შტურმით აღებას.**

— ამ პოზიციიდან, როცა ვიცი, რომ ბავშვი ცოცხალია, დავმშვიდდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სპეცსამსახურების ქმედება გაუმართლებელი იყო და ჩეჩენი ტერორისტების ნაბიჯზე ხომ საერთოდ ლაპარაკი არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, რა დააშავეს იმ ბავშვებმა, ისინი ხომ არ ომობენ.

— **აპირებთ მოსკოვში ჩასვლას?**

— აუცილებლად.

— **თვითონ ქეთინოს დედა, ქალბატონი ლილი როგორ არის?**

— წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნება. ქალი რობოტივით სამი ღამე იდგა იქ. ერთადერთი, კონტაქტი ჰქონდათ ჩვენთან. მერე ვაკავშირებდით საელჩოსთან. სხვა არაფერი შეეძლო, რადგან იმ ადგილს ვერ ტოვებდა. ყოველ წუთს რაღაც ახალი ინფორმაცია იყო.

როგორც შევიტყვეთ, ქეთინოს საავადმყოფოდან მალე გამოწერენ და გააგრძელებს სრულფასოვან ცხოვრებას, მაგრამ ივლის თუ არა ცეკვაზე იმავე კულტურის სასახლეში, ძნელი სათქმელია.

***მარინა მამისაშვილი***






# რას აბრალებენ რუსები ბურჯანაძეს?!

## ხომ არ „აღიარებენ“ საკონცერტო დარბაზიდან აყვანილი ჩეჩნები, რომ ისინი ოპერაციისთვის პანკისში ემზადებოდნენ?

მოსკოვმა ტერორისტები „სამაგალითოდ დასაჯა“. სპეცდანიშნულების რაზმებმა საკონცერტო დარბაზში გაზი (სავარაუდოდ, ფსიქოტრონული) შეუშვეს და შემდეგ იერიშიც მიიტანეს. დერეფნებსა და ჰოლში მყოფ ჩეჩენთა და სპეცრაზმელთა შორის ატეხილ ორმხრივ სროლას მსხვერპლი მოჰყვა, დაპატიმრებულია ორი ტერორისტი. რამდენიმე მათგანმა შენობიდან გაქცევა მოახერხა. ქალაქში მილიციის გაძლიერებულმა კორდონებმა უმკაცრესი რეჟიმი დაამყარეს. აჩერებენ თითქმის ყველა მანქანასა და არასლავური გარეგნობის ფეხით მოსიარულეს. დაკავებულია 30 კავკასიური წარმოშობის პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ტერორისტებთან თანამშრომლობაში. მოსკოვში ტერორისტებზე (და არა მარტო მათზე) განხორციელებული შტურმის შემდეგ კავკასიელთა მიმართ რადიკალურმა განწყობამ იმატა, რაც ჩვენს თანამემამულეებსაც შეეხო. ჩვეულებრივი სატელეფონო საუბრები კონტროლზეა აყვანილი, რამდენიმე საინფორმაციო საშუალებაც დროებით დაიხურა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი თანამემამულეები, რომელთაც დავუკავშირდით, ასე მიიჩნევენ და შეშინებულები ჩანან.

შტურმამდე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა „ცხელ გულზე“ განაცხადა, რომ ოპერაცია უცხო ქვეყანაში დაიგეგმა... ტერორისტების მოსამზადებელი ბაზები კი პანკისის ხეობაში ისევ არსებობს, რაც რუსეთის ხელისუფლებას იძულებულს ხდის, იერიში მიიტანოს საქართველოს ამ უკონტროლო ტერიტორიაზეო. მოგვიანებით, ვლადიმირ პუტინი აკონკრეტებს, რომ უცხო ქვეყანაში საქართველო არ იგულისხმებოდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა პუტინს სწორედ ეს კითხვა დაუსვა — იგულისხმებოდა თუ არა საქართველო იმ მესამე ქვეყანაში,




რომელსაც რუსეთის მხარე არ ასახელებდა. ჯაფარიძის თქმით, პუტინი იძულებული გახდა პასუხი დაეკონკრეტებინა. ჩვენდა საბედნიეროდ, პასუხი უარყოფითი იყო. ამ მოვლენების ფონზე ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთის მიმართ თანადგომის ფორმა შეარჩიეს და პარლამენტარების მიერ შედგენილ განცხადებაში ჩამოაყალიბეს. ტექსტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა თავადვე ჩაუტანა რუსეთის დუმის დეპუტაციას.

### საქართველოს პარლამენტის განცხადება

„საქართველოს პარლამენტი რუსეთისთვის ამ მძიმე დროს გამოხატავს ღრმა აღშფოთებას და გულწრფელ შეშფოთებას 2002 წლის 23 ოქტომბერს ქ. მოსკოვში ტერორისტების მიერ მძევლების აყვანასთან დაკავშირებით და იზიარებს ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულთა, მათი ნათესავებისა და ახლობლების, აგრეთვე რუსეთის მთელი მოსახლეობის წუხილს.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს რწმენას, რომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას ტერორისტული აქტის ტრაგიკულად დასრულების თავიდან ასაცილებლად, რომლის შედეგად დაზარალებულთა შორის საქართველოს მოქალაქეებიც არიან. პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრი, მხარს უჭერს ტერორიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას და იმედს გამოთქვამს, ამ მორიგ, შემზარავ ტერორისტულ აქტს გარკვეული წრეები არ გამოიყენებენ ერთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი შუღლის გასაღვივებლად, რადგან ბანდიტებსა და ტერორისტებს ეროვნება არ გააჩნიათ და კეთილი ნების ყველა ადამიანი გაერთიანდება ჩვენი დროის ამ შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს პარლამენტი კვლავ ხაზს უსვამს ტერორიზმისა და მისი მასაზრდოებელი წყაროების, მათ შორის, აგრესიული სეპარატიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის საერთაშორისო ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობას და ადასტურებს საქართველოს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს ანტიტერორისტული კოალიციის მონაწილე ყველა ქვეყანასთან, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასთან“.



ეს მეგობრული ნაბიჯი რამდენიმე რუსმა პარლამენტარმა დიდსულოვნად დააფასა და მადლიერებაც საქვეყნოდ გამოხატა. რუს და ქართველ მოღვაწეებს შორის ვითარების დათბობამ კი საქართველოსა და რუსეთში მცხოვრები ქართველები გარკვეულწილად დაამშვიდა და თითქოს ანტიქართული განწყობის საფრთხე გაანელა. რუსი პარლამენტარებისა და პოლიტოლოგების მიერ განცხადებები მიგვანიშნებენ, რომ ამ საეჭვო პროცესებს კვლავ „დენთის სუნი“ ასდის. რუსი პოლიტოლოგი მარკოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ოჯახს პირდაპირ ადანაშაულებს ჩეჩენი ტერორისტების და დაფინანსებაში.

პარლამენტის სპიკერის მამა ანზორ ბურჯანაძე ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აბსურდულს უწოდებს: ყველასთვის ცნობილია, ქ-ნ ნინო ბურჯანაძის პრინციპული პოზიცია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირებასა და ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვის საქმეში. არიან ადამიანები საქართველოშიც და რუსეთშიც, რომელთაც ეს პრინციპულობა აღიზიანებთ. მე მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს და უშიშროების მინისტრს. იმედი მაქვს, ისინი რუსეთის შესაბამის სამსახურებთან ერთად გამოიკვლევენ თუ ვინ დგას ყოველივე ამის უკან...

— **ხომ არ უკავშირდება ეს ბრალდება ხიზრი ალდამოვთან თქვენს ურთიერთობას?**

— ხიზრი ალდამოვი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცია, ბუნებრივია, ვიცნობ. მით უფრო, რომ ყოფილ პურკორპორაციის შენობაში, სადაც ჩემი ოფისია, 1996 წლიდან ხიზრი ალდამოვსაც ჰქონდა ქისტ და ჩეჩენ მოქალაქეთა საზოგადოების ოფისი. თუკი ეს ადამიანი რაიმე ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწევა, ეს უკვე სხვა სტრუქტურების საქმეა.

საქართველოს მიმართ აგრესიულ განწყობას რუსეთი აშკარად ვერ მალავს. იბადება კითხვა: რა ახალ ბრალდებებს უნდა მოველოდეთ მოსკოვიდან „გამარჯვებული“ რუსი გენერალიტეტის მხრიდან? ხომ არ „აღიარებენ“ საკონცერტო დარბაზიდან აყვანილი (დაპატიმრებული) ჩეჩენი ბოევიკები, რომ ისინი ოპერაციისთვის პანკისში ემზადებოდნენ? როგორ მოახერხეს ალყაშემორტყმული შენობიდან გაქცევა ტერორისტებმა? ან ვინ იყვნენ საერთოდ ისინი (გაქცეული ტერორისტები)? ბოლო — მოსკოვური ბრალდებები და განწყობა აძლიერებს კულუარულ ხმებს იმის შესახებ, რომ მოსკოვში დატრიალებული უბედურება სულაც არ იყო ჩადენილი ჩეჩნეთისათვის (ანუ მის გასათავისუფლებლად რუსეთის ჯარებისაგან) არამედ, ეს იყო მსხვერპლთშეწირვა პუტინის წინააღმდეგ ან პუტინის სასარგებლოდ. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება თუნდაც 700 ადამიანის გამო, ჩეჩნეთში (სადაც ათასობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და იღუპება) ომის შეწყვეტაზე არ წავიდოდა. არც ჩეჩენი თვითმკვლელი ქალების არგუმენტები (რომ მათ რუსებმა ახლობლები დაუხოცეს) აუჩუყებდა გულს... მოსკოვს ხომ ცრემლების არ სჯერა! არც ის არის გამორიცხული, რომ ცოტა ხანში ვინმემ ბერეზოვსკის ცნობილი (ლონდონში გაკეთებული) განცხადებებიც შეგვახსენოს. ეს უკანასკნელი დღემდე მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ბრალს რუსეთის პრეზიდენტს პუტინს სდებს. მოტივი იმ შემთხვევაში ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დასაწყებად საზოგადოებრივი აზრის მომზადება-ჩამოყალიბება გახლდათ. შესაძლებელია, პუტინის ოპოზიციაში კვლავ გამოჩნდეს ადამიანი, თუნდაც კვლავ ბორის ბერეზოვსკი, ვინც პუტინის ცოდვებს კიდევ ერთი დეტალით დაამძიმებს.

ერთი სიტყვით, მოსკოვის კულტურის სახლის სცენაზე დატრიალებული ტრაგედია შიშის და ეჭვის მომგვრელია ყველასათვის, როგორც ბოლო მოვლენები გვიჩვენებს, ეს შიში შეიძლება საქართველოსთვისაც აქტუალური გახდეს.

***რუსუდან ხუბულავა***

# პანკისიდან ჩეჩნების გაყვანა ბოლო მომენტში მოვასწარით

**„კვირის პალიტრის“ მიერ სამი კვირის წინ გამოთქმული შიში გამართლდა – უცხო ტომის შეიარაღებული ჯგუფები ისევ პანკისის ხეობას მიადგნენ.**

ნოემბრის დასაწყისში, გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვთქვამდით შიშს, რომ პანკისის ხეობიდან აგვისტოს ბოლოს ქართული სპეცსამსახურების მოქმედებით გასული უცხო ტომის შეიარაღებული ჯგუფების ნაწილი, რომელმაც ვერ შეძლო ან არ ისურვა ჩეჩნეთში გადასვლა, ეცდებოდა პანკისში დაბრუნებას და იქ გამოზამთრებას.

ჩვენი ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა — ეს მცირერიცხოვანი ჩეჩნურ-არაბული ჯგუფი (ალბათ 26 კაცი) ხეობაში ჯერ არ შესულა, მის ახლოს, ტყეში, აფარებს თავს. მათ შესაძლოა შეუერთდეს ხეობიდან დროებით გასული კრიმინალური დაჯგუფების 50-80 კაცი.

„კვირის პალიტრამ“ სცადა, ერთგვარი სინათლე მოეფინა პანკისის ხეობაში ბოლო ხანს მიმდინარე პროცესებისთვის და ახმეტაში ექსკლუზიური ინტერვიუ აიღო საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილესთან **ირაკლი ალასანიასთან**.



**უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილეს ირაკლი ალასანიას ხშირად უწევს პანკისში ყოფნა**

**— როგორ მოხერხდა პანკისის ხეობიდან უკანონო შეიარაღებული ჯგუფების გაყვანა და რა როლი მიუძღვის ამაში საქართველოს უშიშროების სამინისტროს?**

— ცოტა შორიდან დავიწყოთ: მას შემდეგ, რაც უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობაში აღმოჩნდა ჩვენი ჯგუფი, პანკისის ხეობის პრობლემის შესწავლა უშიშროების მინისტრმა ბატონმა ვალერი ხაბურძანიამ დაგვავალა ანტიტერორისტულ ცენტრს და მე, როგორც ამ სპეცდანაყოფის კურატორს. დაახლოებით ერთ თვეში მოვიპოვეთ ოპერატიული ინფორმაცია ხეობის შესახებ და გავაანალიზეთ, განვსაზღვრეთ, თუ კონკრეტულად რა საფრთხეს უქადდა პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობა მთლიანად საქართველოს. საბოლოო ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხეობაში უკანონო შეიარაღებული ჯგუფების ზრდამ და ამასთან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში ეჭვმიტანილი ჯგუფების იქ ყოფნამ, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენი მეგობრების მიერ მოწოდებულმა ოპერატიულმა სადაზვერვო ინფორმაციამ მიგვაღებინა კონკრეტული გადაწყვეტილება — უნდა დასრულებულიყო პანკისის ხეობაში მათი არსებობა. შედგა კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობდა საზღვრების მაქსიმალურ გაკონტროლებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მესაზღვრეებს ძალზე მწირი შესაძლებლობები აქვთ, მაინც მოვახერხეთ ერთობლივი ჯგუფების შექმნა იმ სატრანზიტო გზების დასაბლოკად, საიდანაც მანამდე შემოდიოდნენ უკანონო შეიარაღებული ჯგუფები. ეს იყო აზერბაიჯანის, ცხინვალისა და ლარსის მიმართულებები. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც აქტიურად, თურქეთის მხრიდანაც არღვევდნენ საზღვარს.

ძირითადად ამ პირველ ღონისძიებებში მოჰყვნენ კურიერები, რომლებსაც პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი საველე მეთაურებისთვის საზღვარგარეთიდან ან ინფორმაცია და ბრძანებები მოჰქონდათ, ანდა სოლიდური ფინანსური ინიექციები. ამ კურიერთა უმრავლესობა ნეიტრალიზებული და დაკავებულ იქნა ჩვენ მიერ, მათი 70% არაქმედითუნარიანი გავხადეთ. ფინანსური დახმარების თითქმის მთლიანად შეწყვეტამ ხეობაში მყოფი საველე მეთაურების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და დაიწყეს ახალი გზების ძებნა. რაღა დასამალია და, ბოლო წლებში საქართველოს სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების წარმომადგენლები, ჩვენდა სამწუხაროდ, აქტიურად ჩართული იყვნენ ხეობისკენ მიმართული უცხოური „ინვესტიციებისთვის“ გზის გახსნაში.

**— მათ შორის ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელობაც?**

— ზოგადად რომ ვთქვათ, სპეციალური სტრუქტურებისა და სამართალდამცველების გარკვეული ნაწილი მართლაც ჩართული იყო ამ უკანონო ქმედებებში. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში ხეობაში მყოფ უკანონო დაჯგუფებებთან.

ჩვენ შევცვალეთ ეს გარემო, რამაც ასევე დიდი დარტყმა მიაყენა ხეობაში ამ დაჯგუფებებს.

შემდეგი ეტაპი გახლდათ უშუალოდ ხეობაში მანამდე არსებული მათი დასაყრდენის განეიტრალება.

ყოველივე ამის შემდეგ დავიწყეთ დიალოგი ჩეჩნეთში დე ფაქტო მყოფ ხელმძღვანელობასთან და მათი ზეწოლით — პანკისის ხეობაში თავშეფარებულ საველე მეთაურებთანაც. ჩვენი მოთხოვნა იყო ძალიან მარტივი — საქართველოს ტერიტორიაზე აღარ უნდა ყოფილიყო არც ერთი უკანონო (მათთვის „სამხედრო“) შეიარაღებული დაჯგუფება.

ამის გარდა, ჩვენ ამ პროექტში ჩავრთეთ ჩეჩენი გავლენიანი ფიგურები უცხოეთის ქვეყნებშიც, რის შემდეგაც პანკისის ხეობაში მყოფი შეიარაღებული პირებისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ მათ აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ როგორც ეს ხეობა, ისე მთლიანად საქართველო.

მაგრამ აქვე დაისვა მეორე პირობაც — დავაკავებდით და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დავაკისრებდით პირებს, რომლებსაც დანაშაული ჩადენილი აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო საერთაშორისო ტერორიზმში ან მას ხელშეწყობაში ეჭვმიტანილებს დავაკავებდით და გადავცემდით შესაბამის დაინტერესებულ ქვეყანას.

ამ ყველაფერს, გარდა მოლაპარაკებებისა, დასჭირდა ძალის დემონსტრირება და დრო — რამდენიმე თვე. ბოლოს კი დაიწყო დამამთავრებელი ეტაპი ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციისა, რომელსაც, საბედნიეროდ, არ ახლდა სამხედრო ფაქტორი, თორემ შეიძლება ჩეჩნეთის ომზე უარესი დატრიალებულიყო ჩვენში. დღეს უკვე გვაქვს ნორმალური შედეგი — შინაგანი ჯარების დანაყოფები მთელი ხეობის სივრცეს აკონტროლებენ.

**— იყვნენ თუ არა პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტები?**

— რა თქმა უნდა, იყვნენ პირები, რომლებსაც გარკვეული კავშირი ჰქონდათ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მაგრამ ძნელი სათქმელია, პანკისის ხეობიდან რამდენად იღებდნენ მონაწილეობას ამა თუ იმ ტერორისტული აქტის დაგეგმვაში.

ჩვენი უცხოელი კოლეგების ინფორმაციით, პანკისის ხეობაში მყოფ პირებს ჰქონდათ წინასწარი მონაცემები ამა თუ იმ ტერორისტული აქტის განხორციელებაზე. ყოველივე ამანაც უფრო დააჩქარა პანკისის ხეობიდან მათი იძულებით გასვლა.

**— დაბრუნდა თუ არა ბოლო დროს ხეობაში ის შეიარაღებული ჯგუფი, რომელმაც ვერ (ან არ) დატოვა საქართველოს ტერიტორია?**

— იმ ჯგუფის ნაწილი მესაზღვრეების მოტოსამანევრო დანაყოფმა დააკავა (ჩვენი ინფორმაციით, დაკავებული იქნა 4 კაცი, ხოლო 26-მა ჰაერში ავტომატების სროლით გაიკაფა გზა, — რედ.), ხოლო ნაწილმა შეიძლება მოასწრო ხეობაში ჩამოსვლა. ამჟამად მიმდინარეობს ამ ინფორმაციის გადამოწმება. მანამდე უკანონო დაჯგუფებების დიდი ნაწილი ხეობის სოფლებში — წინუბანში, ხალაწანსა და ომალოში აფარებდა თავს, დღეს ისინი იქ აღარ არიან. არის რამდენიმე ადგილი ხეობის მისადგომებთან, სადაც თავმოყრილია ნარჩენი ძალა, მათ წინააღმდეგ აქტიურ მუშაობას ვაწარმოებთ.

**— როგორ ფიქრობთ, დაასწარით თუ არა რუსული დესანტის გადმოსხმას პანკისის ხეობაში თქვენი ანტიკრიმინალურ-ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებით?**

— სამი წლის წინ ჩეჩნების სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი ჰამზათ გელაევი რუსეთის სპეცსამსახურებმა აიძულეს, საქართველოში გადმოსულიყო, რათა საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს შეჯახებოდა და ნელ-ნელა ჩეჩნეთის ომი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდოდა.

**— ე.ი. გელაევს რუსეთის სპეცსამსახურები მართავდნენ?**

— ძნელი სათქმელია, უბრალოდ, იგი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იძულებული გახდა, ასე ემოქმედა. არა მგონია, გელაევი რუსეთის სპეცსამსახურების პირდაპირი გავლენის ქვეშ იყოს.

**— თქვენი სპეცოპერაციის შემდეგ რამდენმა შეიარაღებულმა ადამიანმა დატოვა საქართველო?**

— აუცილებლად უნდა დავაფიქსირო, რომ ჩვენს სპეცსამსახურს ამ ჯგუფებისთვის საზღვრის გადაკვეთაში არანაირად არ შეუწყვიათ ხელი. უბრალოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მათ შევუქმენით ისეთი გაუსაძლისი პირობები, რომ თავის სამშობლოში დაბრუნება არჩიეს; ანუ ჩვენ შევქმენით უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისათვის მიუღებელი გარემო. მათი რაოდენობა ხეობაში თავის დროზე იცვლებოდა, ხანდახან 700-საც აღწევდა, ახლა 80 კაცზე მეტი აღარ უნდა იყოს დარჩენილი, ისინი დამნაშავეები არიან და წასასვლელი აღარსად აქვთ. ისინი ყველაზე მიუღებული ფენაა არა მარტო მთლიანად სახელმწიფოსთვის, არამედ ხეობის მცხოვრებლებისთვისაც. ამიტომაც მათ მიმართ ძალიან მკაცრი ღონისძიებები განხორციელდება — ისინი ან დაკავებულნი იქნებიან, ანდა ფიზიკურად განადგურდებიან.

# ჩვენს სამხედროებს ფიჩხოვანის ტყიდან უთვალთვალებენ

24 ოქტომბერს ოფიციალურად დაიხურა სამხედრო სწავლება კოდური სახელწოდებით „კახეთი — 2002“. იგი, თავისი მასშტაბებით, ყველაზე გრანდიოზული იყო — მასში მონაწილეობდა 2000 სამხედრო მოსამსახურე და მიმდინარეობდა ორ თვეზე მეტხანს.




ამ სწავლებამ, უფრო სწორად კი პანკისის ხეობის სიახლოვეს თავდაცვის სამინისტროს დანაყოფების თავმოყრამ, თავისი როლი ითამაშა — აუცილებლობის შემთხვევაში ისინი უნდა დახმარებოდნენ პანკისის ხეობის სიღრმეში შესულ შინაგან ჯარებს, პოლიციასა და სპეცსამსახურებს. თუმცა, როდესაც ერთხელ უკვე იყო ამის მცდელობა, სამწუხაროდ, ურთიერთშეთანხმებული მოქმედება მთლიანად ჩაფლავდა, რასაც მარტო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ვერ ვუსაყვედურებთ, „წვლილი“ შსს-მაც შეიტანა.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ფიჩხოვანში, ორი თვის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფი, რომლებიც მანამდე ერთმანეთს წლობით ვერ ხედავდნენ, ერთად სრულყოფდნენ საბრძოლო მზადყოფნას, რაშიც ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, 7 მლნ ლარის ღირებულების ტყვია-წამალი დაუხარჯავთ (ეს ციფრი მაინც იწვევს გაოცებას).

სამწუხაროდ, ორთვიანმა სწავლებამ მთლად უმსხვერპლოდ ვერ ჩაიარა. საერთოდ, სამხედრო მანევრების დროს გათვალისწინებულია მონაწილეთა გარკვეული მსხვერპლი, რომელიც საწვრთნელ სროლებსა და მძიმე ტექნიკის მანევრირებას მოჰყვება ხოლმე. ეს საბჭოთა პერიოდშიც ასე იყო, მაგრამ ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ თანამებრძოლის დანით მოკვლა, ცხადია, არ იყო გათვალისწინებული. „კახეთი-2002“-ის დროს კი ასე მოხდა. მეორე ჯარისკაცი ბარისახოში იარაღთან გაუფრთხილებელ მოპყრობას შეეწირა.

**ქართულმა „დეგა“-მ და „დეგა-2“-მა პირველი საბრძოლო ნათლობა პანკისის ხეობის ახლოს მიიღეს.**

ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ ფიჩხოვანის სწავლებებს მუდმივად უთვალთვალებდნენ, მათ შორის პანკისის ხეობიდან დროებით გასული ქისტებიც თუ ჩეჩნებიც. ამაზე მეტყველებს ქართველი სამხედრო მზვერავების მიერ ფიჩხოვანის მიმდებარე მთების ტყიან ფერდობებზე ე.წ. მეტყევეებისა და სოკოს მკრეფავთა დაჭერა — ამ საქმიანობას მძლავრი დურბინდები ნამდვილად არ სჭირდება!

ჩვენი ყურადღება მიიქცია ფიჩხოვანში გამოჩენილმა ორმა ახალმა ქართულმა საბრძოლო მანქანამ. „ნივას“ ბაზაზე შექმნილი „დეგას“ შესახებ „კვირის პალიტრა“ თავის დროზე დაწვრილებით წერდა, ხოლო მის უმცროს, სინამდვილეში კი უფრო მოზრდილ „ძმაზე“ — „დეგა-2“-ზე — პირველად გვიწევს საუბარი.

„დეგა-2“ საბჭოთა მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომანქანა ÃÀÇ 66-ის ბაზაზეა შექმნილი, თუმცა ძრავას გაუმჯობესებული გაცივების სისტემა აქვს. მძღოლის საქარე მინა შეჯავშნულია, მას კარგად ეტყობა ორი ნატყვიარი — „კალაშნიკოვის“ ავტომატისა და „მაკაროვის“ პისტოლეტისა, თუმცა ჯავშნიანმა მინამ ორივე ტყვიას გაუძლო. მძღოლის გვერდით Ï ÊÌ ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მებრძოლი ზის, ხოლო ძარის ამაღლებულ ადგილზე მსხვილკალიბრიანი ÀØ Ê ტყვიამფრქვევი დგას. სულ საბრძოლო მანქანაში 9 კაცი ჯდება, რომლებიც ყველა მიმართულებით ახორციელებენ სროლას.




„დეგა“-ს და „დეგა-2“-ს ერთობლივად შეუძლიათ გადაწყვიტონ სწრაფი რეაგირების ძალებისთვის დაკისრებული გარკვეული ამოცანები, რაც ფიჩხოვანის ახლომახლო ფერდობებზე მათმა გამოცდამაც დაამტკიცა. თუმცა მათი აწყობა საკმაოდ ძვირი ჯდება. ისე, სასურველი იქნებოდა, თუკი მანქანებს უფრო ეკონომიური, დიზელის ძრავებით აღჭურავდნენ.

# „რეაქტიულ მოხეტიალეს“ ქართველებიააფრენენ ცაში

მთელი მსოფლიო მოსკოველი მძევლების ტრაგედიითაა შეძრწუნებული. ამის გამო ძნელია სხვა თემაზე წერა, მაგრამ ჩვენს მკითხველს „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში დავპირდით ახალ თვითმფრინავზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას და პირს ვერ ვუტეხთ.

Maverick Jet-ი ქართულად „მოხეტიალედ“ ითარგმნება, თუმცა სინამდვილეში პატარა კოხტა სამგზავრო თვითმფრინავია, რომლის ყოლასაც ბევრი ინატრებდა.

პერსონალური ავტომობილი დღეს საქართველოშიც აღარ მიიჩნევა დიდ ფუფუნებად, მაგრამ ამერიკასა და ევროპაშიც შეძლებულებს პერსონალური თვითმფრინავებიც კი ჰყავთ. ასეთი სწრაფი გადაადგილების საშუალებაზე მოთხოვნა განსაკუთრებით 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ გაიზარდა, რასაც კონკრეტული მიზეზი ჰქონდა: ამერიკაში ძალიან გამკაცრდა საჰაერო რეისზე მოსახვედრად რეგისტრაციის გავლა, რასაც 2 სთ მაინც სჭირდება. ფულიან, მაგრამ მუდმივად მოჩქარე შეწუხებულ ბიზნესმენებს კი აღარ უნდათ დროის დაკარგვა და სურთ საკუთარი თვითმფრინავით მგზავრობა, რომელსაც გვერდში მჯდომი ტერორისტიც ვერ დაიპყრობს.

ამიტომაც ამერიკაში ბოლო დროს ძალზე პოპულარულია რეკლამა — „იფრინეთ 1 მლნ-ზე ნაკლებად“ — სწორედ ამდენი ჯდება პერსონალური 5-კაციანი თვითმფრინავები, მათ შორის Maverick Jet-ი, რომელსაც მალე სერიულად „თბილავიამშენიც“ გამოუშვებს.

38 წლის გიორგი ბერაძე კარგა ხანს მუშაობდა ონკოლოგიურ საავადმყოფოში ექიმად, მაგრამ როგორც ბევრი, საზღვარგარეთ აღმოჩნდა და ბიზნესში ჩაერთო. სწორედ მან და მისმა ამერიკელმა კოლეგებმა შესთავაზეს ორიოდე წლის წინ „თბილავიამშენის“ ხელმძღვანელობას ამ პროექტის განხორციელება (სხვათა შორის, შარშან, ლე ბურჟეს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე მყოფმა „კვირის პალიტრამ“ შემოთავაზებული თვითმფრინავის მოდელი ამერიკულ საექსპოზიციო გამოფენაზე დაათვალიერა).



**„რეაქტიული მოხეტიალეებით“ „თბილავიამშენი“ ყველაზე პატარა ოლიგარქსაც მოამარაგებს.**

**ჩვენი დოსიე: ორძრავიანი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი Maverick Jet-ი 2,2 ტ-ს იწონის და კრეისერული 555 კმ/სთ სიჩქარით, 9 კმ სიმაღლეზე 5 მგზავრის გადაყვანა 1900 კმ-ის სიშორეზე შეუძლია.**

„მოხეტიალის“ ორი ერთეულის ასაწყობად საჭირო დეტალები უკვე ჩამოტანილია „თბილავიამშენში“. ამ თვითმფრინავის უპირატესობაა ის კომპოზიციური მასალა, რომლისგანაცაა დამზადებული, ამასთან, იგი აღჭურვილია ყველა თანამედროვე სანავიგაციო სისტემით, მათ შორის „გლობალური სანავიგაციო სისტემის“ — GPS-ის ორი დანადგარით.

Maverick Jet-ი უცხოეთის ბაზარზე გასატანად არის გათვალისწინებული, მაგრამ არც ქართველ ოლიგარქებს ეტყვიან უარს, მით უმეტეს, რომ მისი ერთი საათი ფრენა სულ „რაღაც“ 150 დოლარი ჯდება. თბილისიდან ბათუმში „მერსედეს 600“-ით ჩასვლას თუკი 3-4 სთ სჭირდება (ისიც იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ლიმუზინს ვერც ერთი ჩვენი ავტოინსპექტორი ვერ შებედავს გაჩერებას), „რეაქტიული მოხეტიალე“ სულ რაღაც 40-50 წთ-ში ჩაიყვანს, თანაც არანაკლებ კომფორტულად.

# „ოღონდ მამიდაჩემს შეეშვით...“



## „კოლკა მხეცის“ დაბრუნება

„კოლკა მხეცი“ ციხიდან დაბრუნებულაო! — ამ ცნობამ ელვასავით დაკვესა უბანში. ვის გაუხარდა, ვის ეწყინა. ისეთებიც იყვნენ, ვისთვისაც სულერთი იყო, დაბრუნდებოდა თუ არა ეს კაციჭამია, რადგან მეტად ქესატად იყვნენ, კოლკა კი ბობოლებს უფრო ერჩოდა. ისიც კარგად იცოდნენ, რომ დიდხანს ვერ გაძლებდა ციხის გარეთ. მალევე დაიჭერდნენ და ეს აურზაურიც ჩაცხრებოდა. კოლკა ქურდული სამყაროს ის იშვიათი წარმომადგენელი გახლდათ, ვინც კატეგორიულად არ ემორჩილებოდა ამ „სინდიკატის“ დაუწერელ კანონს (რომელიც სხვათა შორის, იმასაც გულისხმობს, რომ ქურდმა საკუთარ უბანში არ უნდა მოიპაროს). მისთვის სულერთი იყო, სად მოიპარავდა. მთავარი საკბილოს შოვნა გახლდათ, — საკუთარ ძმასაც არ დაზოგავდა, თუ რაიმე სახეიროს დაიგულებდა. ამჯერად კოლკას ციხიდან ადმინისტრაციული ზედამხედველობაც მიაყოლეს, — კოლკას აუკრძალეს საღამოს ცხრიდან დილის რვა საათამდე შინიდან გასვლა. ძნელი იყო ამ რეჟიმთან შეგუება, მაგრამ კოლკამ, რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, თავისი „მოღვაწეობა“ „კაბინეტური“ პრინციპით წარმართა. ამიტომაც დღის მანძილზე მის წინაშე „სმირნაზე“ იდგა უბნის ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელთაც სწორედ კოლკასთან სიახლოვემ გაუღვივა შავი სამყაროს მიმართ სიმპათიები. ასე რომ, კოლკამ, ფაქტობრივად, ხელის გაუნძრევლად, მხოლოდ თავისი შავი წარსულის გამო, მოიპარა ყველაზე ფასეული რამ, — მოიპარა ... ბიჭები.

## „ხაზინის“ შესავსებად

— რამდენი დღეა, რაც ამ მუქთამჭამელებს ვარჩენთ, აღარ კმარა, აიმარა?!

— ერთი თვე ხდება, კოლკა, ფულიც თავდება და თუ ერთი-ორი მსუქანი საქმე არ მოვარტყით სასწრაფოდ, დავიმშევით და ეგაა.

— საქმე თუ გვაქვს რამე? ამათი დედა!.. გამომიშვეს და ბორკილი დამადეს. ამას ციხე სჯობია. წუხელ ღამის სამ საათზე დამადგა უბნის ინსპექტორია თუ ვიღაც ჯანდაბა. რა ჰქვია? ხო, გივი მესხი. სულ კვალდაკვალ დამყვება. გამაფრთხილა, უბნის ბიჭებს მოეშვი, თორემ ერთი მათგანიც რომ ასცდეს გზას, შენ დაგიჭერო... რა გკითხე? საქმე თუ გვაქვს-მეთქი.

— არაფერიც არა გვაქვს. შენ არ მითხარი, ჯერ არაფერი დაავალოო. ხუთ კაცს ვინახავთ მუქთად. რატომ? რას მიკეთებენ?

— იმათ, დღეს რომ მოვლენ, დავალებებს მისცემ. თითო საქმე მოიტანონ. მერე კი ვნახავთ.

— რას ვნახავთ, კოლკა, შენ დღე გძინავს, ღამე გარეთ ვერ გადიხარ და მე „აფრონიკასა“ და „წრიპას“ იმედად წავალ საქმეზე თუ მარტომ ვიმტვრიო თავი? ასე არაფერი გამოვა.

— მოიცა, ნუ გაუტიე. ეგ ბიჭები დღეს რომ საქმეს მოგვცემენ, ხვალ შემსრულებლად გამოდგებიან. მართალია, ერთი-ორჯერ „რაზვედკაში“ შენ გაჰყვები, მაგრამ მერე ვინც იყოჩაღებს, დავიტოვებთ, ვინც არადა, საჯიბგიროდ წავა ავტობუსებში. დღეს მაგათი მასპინძლობის ბოლო დღეა ამ სახლში...

სადილობის დრო ახლოვდებოდა, ბიჭებიც ამ დროს მოდიოდნენ ხოლმე. ეამაყებოდათ, რომ მათი უბნის რისხვა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და უკვე ხუთჯერ ნასამართლევი „კოლკა მხეცი“ თავის სუფრაზე იწვევდა ამ რძეშეუმშრალ ღლაპებს.

— როგორა ხართ, ბიჭებო, ხომ არავინ გაწუხებთ? ფული ხომ არ შემოგაკლდათ? არ მოგერიდოთ, კაცურად მითხარით!

— არა, ძია კოლკა, ფული არ გვინდა, მაგრამ აი, ის უბნის ინსპექტორი რომაა, გივი, იმან გაგვაფრთხილა: თუ კოლკასთან სიარულს არ მოიშლით, ჩემთან გექნებათ საქმეო.

— რა უნდა მაგ შობელძაღლს, მე გარეთ არ მიშვებს, თქვენ ჩემთან მოსვლას გიკრძალავთ. თუმცა ჯერჯერობით აჯობებს მართლაც აღარ მოხვიდეთ. ასე გავაკეთოთ: ვისაც ჩემ გვერდით ყოფნა და წელგამართული ცხოვრება გინდათ, შიგადაშიგ საქმეც უნდა აკეთოთ. მართალია, ფულის გაჭირვება არა გვაქვს, მაგრამ წესია — „ხაზინა“ მუდმივად უნდა ივსებოდეს. ახლა გამოჩნდება, ვის უნდა ჩვენთან მეგობრობა. პირველობას ის მოიპოვებს, ვინც ყველაზე ნაღდ საქმეს მოიტანს. გაიხსენეთ, ვის რა აბადია თქვენს სანაცნობო-სამეზობლოში და ხვალ დილით აიმარას შეატყობინეთ. იცოდეთ, ის ჩემი მარჯვენა ხელია.

მეორე დღეს „აფრონიკამ“ და „წრიპამ“ რაღაც წვრილმანი საქმეები შესთავაზეს აიმარას, ნოდარამ და ვახომ შედარებით უფრო მსუყე ლუკმები. ერთადერთი, ვინც ხელცარიელი მოვიდა, რობერტი იყო. აიმარამ მშიერი აფთარივით შეუღრინა: — შენ რა, ეს ამბავი არ გეხება თუ უკვე „რამკაში“ ჩაჯექი, რომ იქით მოგემსახუროთ.

— არავის ვიცნობ ისეთს, შეძლებულად რომ ცხოვრობდეს. ჩემიანებში ყველაზე მდიდარი მამიდაჩემია, რომელიც იმდენს ახერხებს, რომ მე და ჩემს ძმებს თვეში ერთხელ თითო თუმანს გვაძლევს, — ვითომ ხუმრობა სცადა და ნაძალადევად გაიღიმა რობერტმა.

— შენი მამიდაც... კაცმა რომ შეგხედოს, კამეჩს მოერევი ცალი ხელით. ნაგავი ყოფილხარ. აქედან გამეცალე, თორემ... აგე, ნოდარა შენი მეზობელი არაა? ნახე, რა ცვეტნოი საქმე მოიტანა, ის ვითომ სულ მილიონერებში გულაობს არა?.

დარცხვენილი რობერტი თავქვე დაუყვა დაღმართს. მიხვდა, რომ ის სამ-სამი, გნებავთ, ხუთ-ხუთი მანეთები, რომლითაც ქურდები აჯილდოებდნენ ამ ბოლო ერთი თვის მანძილზე, ასმაგად უნდა ეზღო. არა, აიმარას მუქარის კი არ შეშინებია, ისეთი ღონიერია, აიმარასთანას ბარე ხუთსაც გალახავდა. უბრალოდ, მიხვდა, რომ ქურდული სამყაროთი გატაცება მხოლოდ რომანტიკა არ ყოფილა, როგორც აქამდე წარმოედგინა. ახლაღა დაფიქრდა საფუძვლიანად: „არა, მე ასე ვერ ვიცხოვრებ“, — გადაწყვიტა რობერტმა, მაგრამ...

მეორე დღეს რესტორან „გალუბოი დუნაიში“ დაიბარა კოლკამ. მგელივით ბიჭია, მაგის დაკარგვა არ იქნებაო, — უთხრა აიმარას. ეგეც არ იყოს, ასე რომ უშვებ, ხვალ-ზეგ რომ ჩაგიშვას, მერე რას შვრებიო და თვითონ იკისრა „აღმზრდელობითი“ საუბრის ჩატარება.

რესტორანში დათქმულ დროზე მივიდა რობერტი. კოლკა უკვე ელოდებოდა. კუპეში ოთხ კაცზე გაშლილ სუფრას მასთან ერთად ორი ლამაზმანიც უჯდა. რობერტს ეგონა, აქ რაღაც წვეულება იმართებოდა, მაგრამ როცა აღმოაჩინა, ეს სადილი მხოლოდ მისთვის იყო დაგეგმილი, ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო. თუმცა რამდენიმე ჭიქის შემდეგ გათამამდა და აღარც იმ ქერა ლამაზმანისთვის დაუშლია მუხლებზე ჩამოჯდომა, გრძელტარიან პაპიროსს რომ აბოლებდა. რვა საათი იქნებოდა, სუფრიდან რომ აიშალნენ. კოლკამ მანქანა დაუქირავა გოგონებს და გაუშვა. ის და რობერტი სხვა მანქანაში ჩასხდნენ, რომელიც როგორც ჩანდა ამ ხნის მანძილზე გარეთ ელოდებოდა მათ.

— შენ ჯანიანი ბიჭი ჩანხარ, რობერტ. მაგარი უდარი გექნება. მერე რა, რომ საქმე ვერაფერი მოიტანე ამჯერად, სხვა დროს იყოს. თუმცა გითქვამს, მამიდაჩემი ყველაზე მდიდარიაო.

— ვიხუმრე, უბანში კი ჰგონიათ, რომ მამიდაჩემი მდიდარი ქალია, მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ არაფერი გააჩნია. ესეც არ იყოს, მამიდის გაქურდვას არ ვაპირებ. სანახევროდ მასთან ვცხოვრობ, გასაღებიც ჯიბეში მიდევს. რაც მამა მოგვიკვდა, ჩემი და ჩემი ძმების პატრონი მამიდაა.

— არა, შენ არა... თუ საჭირო იქნა, ამას სხვა გააკეთებს. რაკი ხალხი ამბობს მდიდარიაო, ესე იგი რაღაცაშია საქმე. იქნებ შენ არ გიმხელს?!

— ტყუილია ეგ და თუ არ გჯერა, წამოდი, ხვალ მამიდა რომ სამსახურში წავა, ერთად შევიდეთ მის ბინაში. ერთი ოთახი აქვს იტალიურ სახლში.

— კარგი, კარგი. თუ ძალიან გაგვიჭირდა, მერე ვილაპარაკოთ მამიდაშენზე. ახლა კი ასე დავშორდეთ ერთმანეთს — ძმაკაცებად, — რობერტი ბალნეოლოგიურთან ჩამოსვეს და მანქანამ გზა გააგრძელა.

იმ ღამეს არ უძინია რობერტს. თავისთვის ვერ ეპატიებინა ის უკბილო ხუმრობა — მამიდაჩემი ყველაზე მდიდარი ქალიაო. გრძნობდა, მალე ყოველივე ეს სანანებლად გაუხდებოდა. მეორე დღეს მიაკითხა კოლკას — ოღონდ მამიდაჩემს შეეშვით და რაც გინდათ დამავალეთო, მაგრამ „კოლკა მხეცი“ ისე აგდებულად ელაპარაკა, საბოლოოდ დარწმუნდა, ამ დღეებში მამიდამისის ბინას გაასუფთავებდნენ.

— რაკი არ იშლით, იმის პირობა მაინც მომეცით, რომ ამას მამიდაჩემის შინ არყოფნის დროს გააკეთებთ. ავადმყოფი ქალია, თავზე რომ დაადგეთ, გული გაუსკდება.

— მოსულა, — მიუგდო კოლკამ, შეტრიალდა და ოთახში შევიდა. ამით აგრძნობინა, აუდიენცია დამთავრებულიაო.

## სიკვდილის სუნი

მთელი კვირა არ გაუვლია რობერტს მამიდასთან. აბა, როგორ შეეხედა თვალებში ამაგდარი ადამიანისათვის? იყო კიდევ ერთი გარემოება, რაც ზედმეტად აფიქრებდა. ამ ბოლო დროს ბიძამისი რუბენ ჩიაძეც დაინტერესდა მისით. ორი წელია სკოლა დაამთავრე და დღემდე უსაქმურად დაეხეტებიო, ხშირად საყვედურობდა. ჩანდა, იმისთვისაც მოეკრა ყური, რომ რობერტი კოლკასთან დადიოდა და ეს მოთმინებას აკარგვინებდა კაცს.

— რა შემიძლია, ერთი ავადმყოფი კაცი ვარ, ცოლ-შვილი ვერ შემინახავს. ამათ რა ვუყო, სამნი არიან. საწყალი ჩემი ძმა რომ ცოცხალი იყოს, გაგიჟდებოდა ამ ბიჭის უქნარობის შემყურე. კიდევ კარგი, უფროსებმა დროზე მოჰკიდეს საქმეს ხელი. თუმცა ეს რობერტი? ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ობოლს. არაა ცუდი ბიჭი, მაგრამ... — ამ ფიქრებში იყო, როცა ტელეფონმა დარეკა — თქვენი დის, ვარას ოთახის კარი ერთი კვირაა არ გაღებულა და იქნებ მობრძანდეთ, რომ გავარკვიოთ, რაშია საქმეო.

— ვარას რაღა უნდა მოსვლოდა? კი, არც ისაა მთლად ჯანმრთელი ქალი, მაგრამ... შეიძლება სოფელში წავიდა, ჩვენ ხომ გვეტყოდა ამას?

ვარას ოთახის წინ მეზობლებს მოეყარათ თავი. აქვე იყო უბნის ინსპექტორი გივი მესხიც. რუბენის გამოჩენისთანავე მეზობლებს ერთი მათგანი გამოეყო და პირდაპირ მიახალა:

— ოთახიდან ისეთი სუნი გამოდის, უეჭველია, ან მაცივარი დარჩა ღია, ანდა რაღაც სხვა ამბავია. ბინა შიგნიდანაა ჩაკეტილი და კარი უნდა გავალოთ. უთქვენოდ არ გვინდოდა ამის გაკეთება. — რუბენმა მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, გასაღები ჩემს ძმისშვილს, რობერტს აქვს, მაგრამ ახლა იმის მონახვა გაგვიჭირდება და თანახმა ვარ, ბინა გავტეხოთო. კარის გაღება იყო და ერთბაშად ისეთი სიმყრალე გამოვარდა აივანზე, მეზობლებმა უკან დაიხიეს. მხოლოდ გივი მესხმა გაბედა და ოთახში შეაბიჯა. საზარელი სურათი დახვდა: მოკლული ქალის დანაწევრებული გვამი აქეთ-იქით იყო მიყრილი. სისხლის გუბეები დამშრალიყო და იმდენი ბუზი ეხვია, რაიმეს გარჩევა ჭირდა. ოთახში ყველაფერი გადმოტრიალებული იყო. აშკარად ჩანდა, მკვლელობას ძარცვა ედო საფუძვლად.

საბრალო მარტოხელა ქალის ნაწილები მეორე დღესვე დაასაფლავეს. გივი მესხმა ჭირისუფლებში რობერტი რომ ნახა და ისიც გაიგო, ბიჭი მოკლულის ის ერთადერთი ძმისშვილია, რომელსაც თავისი ბინის გასაღებს ანდობდაო, პირველად მისი გამოკითხვა დააპირა, მაგრამ რობერტი მანამდე დაითესა, ვიდრე მამიდამისს საფლავში ჩაასვენებდნენ. მეორე დღეს უბნის ინსპექტორი ბიძამისს მიადგა. რუბენი ზედმეტად აფორიაქებული ჩანდა — მე და მომიკლეს და ჩემი გასაჭირი მეყოფა. ახლა მოდიხართ და აქ ეძებთ დამნაშავეს, ნამუსიც აღარ გაქვთო. გივი მესხმა შეურაცხყოფა გადაყლაპა. მას კარგად ესმოდა ამ კაცის, მაგრამ არც ის გამოჰპარვია, რომ მას დის დაღუპვის გარდა, კიდევ რაღაცა აწუხებდა. ცოტა ხნის შემდეგ, რუბენმა, როგორც იქნა, მოთოკა თავი და გივის მოუბოდიშა კიდეც — ნუ განმირისხდებით. ეგ ერთი დაღა მყავდა დედმამიშვილებიდან. სიკვდილი გამიგია, მაგრამ ამისთანა? ლამისაა გავგიჟდე კაცი. გივიმ მალევე დაადგინა რუბენის საეჭვო ნერვიულობის მიზეზი. მასაც შეეტყო ძმისშვილის „კოლკა მხეცთან“ ურთიერთობის შესახებ და მართალია, დაჯერება არ უნდოდა, რომ ამ საქმეში რობერტის ხელი ერია, მაგრამ მაინც ეჭვი აწვალებდა. ამ წუთიდან გივი რობერტის ყველა ნაბიჯს უთვალთვალებდა, მაგრამ ამ დღეს კიდევ ერთხელ დაუსხლტა ბიჭი. არადა გრძნობდა, მისი მეშვეობით შეძლებდა კაციჭამიების იმ ხროვის აღმოჩენას, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს.

**ამ წუთიდან გივი რობერტის ყველა ნაბიჯს უთვალთვალებდა, მაგრამ ამ დღეს კიდევ ერთხელ დაუსხლტა ბიჭი. არადა გრძნობდა, მისი მეშვეობით შეძლებდა კაციჭამიების იმ ხროვის აღმოჩენას, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს.**

## ტრაგედია გრძელდება

რიგითი მილიციელი სურენა მარქარიანი ფოტოგრაფიით იყო გატაცებული. ამიტომაც მისმა ხელმძღვანელობამ ბოტანიკურ ბაღში მიუჩინა სამსახური და აქ, როგორც რუსები იტყვიან, — სასარგებლოსა და სასიამოვნოს უხამებდა ერთმანეთს. სამი წელია ამ ბაღს იღებდა, მაგრამ ყოველდღე იმდენ სიახლეს პოულობდა, კიდევ და კიდევ აჩხაკუნებდა აპარატს. აგვისტოს ხვატი იდგა, მაგრამ ხალხი თითქმის არ იყო. მხოლოდ იქ, გაღმა იდგა რამდენიმე ახალგაზრდა და რაღაცაზე დაობდნენ. ჯერ ზურგი აქცია იმ მხარეს. მერე გაახსენდა, რომ მილიციელი იყო და დაჟინებით დააკვირდა ახალგაზრდებს. საკმაოდ შორს იდგნენ და აქამდე ხმა არ აღწევდა, მაგრამ ბიჭების გაცხარებული ლაპარაკით თუ იმსჯელებდა, რაღაც საქმეს არჩევდნენ. რამდენადაც შეეძლო, წინ წაიწია და ბეწვისხიდზე შედგა.

— კოლკა, — ამჯერად თანასწორივით შეუტია რობერტმა, — ჩვენს გარიგებაში მამიდაჩემის მოკვლა არ შედიოდა. რატომ დაარღვიე პირობა?

— ესეც რომ საქმეს მირჩევს. რა შენი საქმეა, ნაბიჭვარო, მე ვის და რატომ მოვკლავ, ეგღა მაკლია, შენ გაბარო ანგარიშები. მე კოლკა ვარ და არავისში აგერიო იცოდე.

— ნაბიჭვარიცა ხარ და ნაგავიც, შენი!

კოლკას მოქნეული ხელი საფეთქელში მოხვდა რობერტს და ისე შექანდა, ცოტაც და ალბათ წაიქცეოდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და ისეთი აპერკოტი ამოსცხო მოწინააღმდეგეს, რომ კოლკა გულაღმა გაიშხლართა. იმწამსვე ხელი ასწია ნიშნად იმისა, რომ თვითონ მიიღებდა გადაწყვეტილებას, როგორ დაესაჯათ რობერტი, კაცი, რომელმაც ქურდზე აღმართა ხელი. მერე კი კოლკამ სამი კბილი გადმოაფურთხა, ზლაზვნით წამოდგა და „დიდსულოვნად“ მიმართა თავის გამლახავს — მაგარი ყოფილხარ, ჩვენ სწორედ შენისთანეები გვჭირდებაო და მოჩხუბრებმა შერიგების ნიშნად ხელი ხელს მისცეს. უცებ ერთმა მათგანმა ბეწვისხიდზე მდგარი სურენა მილიციელი შენიშნა, რომელიც მართალია ზურგშექცევით იდგა მოჩხუბრებისკენ, მაგრამ აშკარა იყო, ყველაფერი გაიგონა და თვალით ანიშნა ატამანს — რა ვიღონოთო. კოლკამ კიდევ ერთხელ ამოაფურთხა სისხლი, მერე მარცხენა ხელი ყელთან მიიტანა, რითაც აიმარას ანიშნა, გაასაღეთო და ყველამ ერთად გასწია ბეწვისხიდისკენ. ადგილზე მხოლოდ რობერტი დარჩა. იარაღი არ ჰქონდა, თორემ იქნებ ყველანი დაეხოცა. მიხვდა მის თვალწინ ახლა ადამიანს მოკლავდნენ, მაგრამ ვერაფერს იღონებდა. გარეწრები ბეწვისხიდზე ისე შემოერტყნენ სურენას, ისე უხმაუროდ მოგუდეს, რომ შემთხვევით ვინმეს რომ დაენახა კიდეც, ახალგაზრდების უწყინარ ღლაბუცად ჩათვლიდა. მერე კი, როცა დარწმუნდნენ მკვდარიაო — ხევში გადააგდეს სურენას გვამი.

**კიდევ ერთხელ ამოაფურთხა სისხლი, მერე მარცხენა ხელი ყელთან მიიტანა, რითაც აიმარას ანიშნა, გაასაღეთო და ყველამ ერთად გასწია ბეწვისხიდისკენ. ადგილზე მხოლოდ რობერტი დარჩა. იარაღი არ ჰქონდა, თორემ იქნებ ყველანი დაეხოცა. მიხვდა მის თვალწინ ახლა ადამიანს მოკლავდნენ, მაგრამ ვერაფერს იღონებდა.**

**პირველი სარდაფის კარშივე გათიშეს მესხმა და ახალაძემ. მეორემ კი, რაკი დარწმუნდა, რომ ჩასაფრებულებს გადაეყარა, რამდენჯერმე ისროლა მილიციელების მიმართულებით და ჭიშკრისაკენ აღარ წასულა — პირდაპირ, მაღალ ღობეზე დააპირა გადახტომა, მაგრამ უკან დადევნებულმა ტყვიამ უწია და ვიდრე ჩამოხსნიდნენ, სულიც განუტევა. ეს კოლკა „მხეცი“ იყო.**

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა“

**ინტერვიუ კრიმინალურ ავტორიტეტთან დღემდე უცნობ დეტალებზე...**


თემურ ქურდიანი

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

ვერ ვიგებ, ამ ძებნიაურს რა უფლებით უყენებენ მკვლელობის ბრალდებას, როცა მოწმე არ ჰყავთ, იარაღი არ აქვთ ამოღებული და ტყვია. ძებნიაურს ჩემ გამო გადაეკიდნენ, რადგან მე ვიყავი კვირაიასთან დაპირისპირებული. ეს სასამართლოზეც ვთქვი.

**— რატომ იყავით კვირაიასთან დაპირისპირებული?**

— 1993 წლის ოქტომბერში ჩემი ძმა ჩამოასვენეს აფხაზეთიდან. საშინელი დეპრესია მქონდა. ცოტა ხანში რამდენიმე ქართველი მძღოლი მოვიდა ჩემთან დასახმარებლად.

კერძოდ, ამ რამდენიმე კაცმა თანხა შეკრიბა, იყიდეს ბენზინი, გაიტანეს სომხეთში და გაყიდეს 200 ათას დოლარად, მაგრამ სომხებმა გადააგდეს. ჩემი ახლობელი ჩაერია ამ საქმეში. ერთი კვირა არაფრის გაგონება არ მინდოდა, იმდენად დეპრესირებული ვიყავი. წარმოიდგინეთ, ჩემი ძმის გარდა, ორი უახლოესი მეგობარიც: გია მასხარაშვილი და კაკი ხიდაშელი მომიკლეს ქუჩაში. ხიდაშელის მკვლელი ჩემთან იჯდა ზონაში. იმდენად გარეწარი და არარაობაა, რომ ხელიც კი არ გამირტყამს. ერთი ავადმყოფი, გაუბედურებული არაკაცია. ბოლოს ბენზინის საქმეზე დავთანხმდი. სომხეთის მხრიდან შუამავლად ყოფილი პოლიციელი იყო. რომ ნახა, სომხეთშიც ნაცნობობა მყავდა, შეეშინდა და ჩარია უშიშროება, შსს და თან იცით, როგორ? ვითომ შვილი მომტაცეს და ფულს ამაში მთხოვენო. სინამდვილეში კი თვეების მანძილზე მძღოლებს ატყუებდა, მერე 21 წლის ბიჭი თვითონ ჩამოიყვანა და მძღოლებს შეჰპირდა, აი, ჩემი შვილი იყოს თქვენთან და უსინდისო ვიყო, თუ ფული არ მოგიტანოთო. ამათაც დაიტოვეს ბიჭი... არც ვიცოდი ეს, ამის მერე ჩავერიე და ტელეფონზე რომ დავურეკე, იცით, რა მითხრა? მაგხელა ფულით ხუთ მაგისთანა ბიჭს ვიყოლიებო. წარმოიდგინეთ, სომხებმა ხელები დაიბანეს, მართალი კაცი ხარო და კვირაიასთან მონახეს საერთო, — ჩამოუტანა ამ სომეხმა 100 მილიონი მანეთი, ეს დაახლოებით 70 ათასი დოლარი იქნებოდა. დაგვიჭირა კვირაიამ და „ადამიანის გატაცების“ მუხლი მოგვიყენეს მეც და მძღოლებსაც. გავგიჟდი. ჩამაგდეს მე-5 იზოლატორში. დავიწყე მშრალი შიმშილობა და ერთ თვეში გამომიშვეს. იმიტომ, რომ გიგა გელაშვილი ჩემი ძმაკაცი იყო, მთელი პარლამენტი ჩაერია. მარტო მე გამომიშვეს. ეს საცოდავი მძღოლები გააუბედურეს. გამწარებული ვიყავი — რისი გულისთვის ვიჯექი. ბოლოს და ბოლოს შემოეთვალა, რომ ფული უნდოდა და მინისტრს ხომ არ დავეტაკებოდი?! შევეშვებოდი ამ საქმეს. გავიდა ცოტა ხანი. კვირაიამ იცოდა, რომ მე „დელისელებს“ ვპატრონობდი. ბოხუა რომ მოკლეს, დაჭერ-

**საავადმყოფოში მწოლიარე დაჭრილ იუზას, დაახლოებით ორმოცი „იოსებიძელი“ იცავდა. ამის პარალელურად, პირველივე დღიდანვე კვირაიას ომონი ჩადგა საავადმყოფოში, — იუზას იცავდნენ. ახლა თქვენ იფიქრეთ, რატომ იცავდა „იოსებიძელებს“ ომონი?!..**

ილ „კულინარიელებს“ აწვებოდნენ, რომ ჩემზე ეთქვათ — ვითომ მე ვიყავი ორგანიზატორი. 29 აგვისტოს ტერაქტი რომ მოხდა, ნოემბერში ხალხი გამომიგზავნა დასაჭერად, მე გავიქეცი. თავს ხომ არ დავაჭერინებდი. რომ დავეჭირე, მომკლავდნენ. მე რომ გავიქეცი, დაიჭირეს ძებნიაური და ხუთი დღე აწამეს, იცით რატომ? თუ არ გინდა ბოხუას საქმე აგკიდოთ, ქურდიანი დაასახელეო. მე ვიცი, რომ გაუძლო, მაგრამ ძალიან გახმაურდა და გამოუშვეს. ეს 1995 წლის ნოემბერში მოხდა. ერთი წლის შემდეგ „კულინარიელების“ უმრავლესობა დაიჭირეს ბოხუას მკვლელობაზე.

**— გადმოცემით ვიცი, რომ თქვენ „კულინარიელებსაც“ მფარველობდით...**

— უბრალოდ, როცა „კულინარიელებს“ ყველა აგინებდა, გელაშვილთან მივიდნენ და სთხოვეს, თემური თუ გაგვიწევს მფარველობას, თანდათან ყველა გაიგებს, რომ არ ვართ ცუდი ხალხიო. ამის შემდეგ შევხვდი „კულინარიელებს“. არ მეგონა, თუ 18-20 წლის ბიჭები დამხვდებოდნენ... სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა თოფურიას დაჭრაც და ბოხუას მკვლელობაც. ვერ გეტყვით, იუზას ვინ ესროლა, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით. ის ორი კვირის მერე გარდაიცვალა. მას არ ჰქონდა სერიოზული ჭრილობები. ჟილეტი ეცვა, ჟილეტში შეუძვრა ერთი ტყვია და ხერხემალთან გაკაწრა. ვფიქრობ, ექიმებმა ვერ შეამჩნიეს, ინფექცია შეეჭრა და ამას შეეწირა კიდეც. თუმცა კვირაიას ეს არ აწყობდა, არ აწყობდა ექიმებსაც. საავადმყოფოში მწოლიარე დაჭრილ იუზას, დაახლოებით ორმოცი „იოსებიძელი“ იცავდა. ამის პარალელურად, პირველივე დღიდანვე კვირაიას ომონი ჩადგა საავადმყოფოში, — იუზას იცავდნენ. ახლა თქვენ იფიქრეთ, რატომ იცავდა „იოსებიძელებს“ ომონი?!..

**— ფაქტია, რომ ბოხუა შემთხვევით მოკლეს. სინამდვილეში, ვინ ეგონათ მანქანაში, ვისი მოკვლა უნდოდათ?**

— „იოსებიძელების“ მანქანა იყო და მათ ესროლეს. საავადმყოფოში შესვლის დროს ამ მანქანაში ბუბუტეიშვილი იჯდა. ალბათ ეგენი ეგონათ. წარმოიდგინეთ, იქ ომონი იდგა და არაფერი გაუკეთებია მისახმარებლად. როგორც მოსახლეობამ თქვა, ორი მხრიდან იყო სროლა, ერთი ნაძვების მხრიდან, ხოლო მეორე — უკვე რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ, ღია ფერის დაბურულმინებიანი „09“ მარკის მანქანიდან. სხვათა შორის, ეს „09“ რამდენიმე ტერაქტშია შემჩნეული, მათ შორის, ქურდი პაატა ჩლაიძის მკვლელობის დროსაც. ამის შემდეგ ოთხი „კულინარიელი“ დაიჭირეს, მათ შორის დაოშვილი. კვირაიამ დააწერინა, რომ ისინი ქურდიანმა მიმალ-მომალა. ათქმევინა, ვითომ ჩვენ მოვკალით ბოხუა დილის 5 საათზე, მერე ქურდიანთან მივედით და ვუთხარით, ბოხუა შემოგვაკვდა-თქო. სხვათა შორის, წამიყენეს კიდეც ბოხუას მკვლელობასთან დაკავშირებით დანაშაულის დაფარვის ბრალდება. მგონი, დაოშვილს დაჰპირდნენ, ოღონდ დაწერე და გაგიშვებთო. თუ დაოშვილმა ესროლა, მოკლა, მერე მოვიდა და მე მითხრა, დილის 5 საათზე რაღას უშვებ გარეთ თუ მკვლელია? მაგრამ გაუშვეს დაოშვილი, გაათავისუფლეს. კურიოზია, აბა, რა?!

**— თქვენ ქურდი ხართ თუ ავტორიტეტი?**

— არა, ქურდი არა ვარ. ქუჩის ავტორიტეტი ვიყავი. არასდროს არავინ მომიკლავს. 47 წლის ვარ და ჩემი მტერიც კი ვერ იტყვის, რომ ვიღაც ოდესმე დამეჩაგროს.

**— რატომ გადაემტერეთ ერთმანეთს თქვენ და „იოსებიძელები“?**

— ეგეც გინდაც გაიგოთ?!.. კვირაიამ კაცი გამომიგზავნა — ქუჩა შენ გააკონტროლეო. ეს იყო 1994 წელს... ვაგინე — ჯერ იმას, ვინც მომიტანა ეს ამბავი და მერე კვირაიას.

**— მერე „იოსებიძელებს“ შესთავაზა?**

— ამას აღარ გეტყვით, დასკვნები თქვენ გამოიტანეთ.

**— და ის სისხლიანი დაპირისპირებაც იმიტომ დაიწყო?**

— რა თქმა უნდა.

**— ეს კონკრეტული დაპირისპირებები და მკვლელობები ყოველგვარი საქმის გარჩევის გარეშე მიდიოდა?**

— რა თქმა უნდა. ეს იყო ბრძოლა პირველობისთვის.

**— არ თვლით, რომ ყველანი დამარცხდით?**

— დამარცხებულები ვართ ფიზიკურად, თორემ ჩემები ყველანი სუფთები არიან.

**„იოსებიძელების“ მანქანა იყო და მათ ესროლეს. საავადმყოფოში შესვლის დროს ამ მანქანაში ბუბუტეიშვილი იჯდა. ალბათ ეგენი ეგონათ. წარმოიდგინეთ, იქ ომონი იდგა და არაფერი გაუკეთებია მისახმარებლად. როგორც მოსახლეობამ თქვა, ორი მხრიდან იყო სროლა, ერთი ნაძვების მხრიდან, ხოლო მეორე — უკვე რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ, ღია ფერის დაბურულმინებიანი „09“ მარკის მანქანიდან. სხვათა შორის, ეს „09“ რამდენიმე ტერაქტშია შემჩნეული, მათ შორის, ქურდი პაატა ჩლაიძის მკვლელობის დროსაც.**

**— დღეს „დელისელებიდან“ რამდენი კაცი ზის ციხეში?**

— არც ერთი, მარტო ძებნიაური დაიჭირეს.

**— „კულინარიელებიდან“?**

— ქინქლაძე ზის. ნახევარი მოკლეს. შვიდი კაცი გარეთაა.

**— რატომ დაემთხვა თქვენი გათავისუფლება და ძებნიაურის დაკავება?**

— ეს მართლაც დამთხვევაა. ყოველ შემთხვევაში, პოლიცია მას ხელს დღემდე არ ჰკიდებდა, თუმცა იცოდნენ, რომ აქ იყო. პარასკევს დაიჭირეს ძებნიაური, ორშაბათს — მე გამათავისუფლეს. არ მესმის, ვის დასჭირდა, — კვირაია აღარ არის, ჩვენი „ზუბი“ რომ ჰქონდა. მე თუ მკითხავთ, დაუგროვდა პოლიციას გაუხსნელი საქმეები და ესღა მოიფიქრეს.

**— თქვენს საძმოებს შორის დაპირისპირება გავლენის სფეროების გადანაწილების გამო დაიწყო?**

— რა თქმა უნდა.

**— გავლენის სფერო ბიზნესის გაკონტროლებას ითვალისწინებდა?**

— ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა. ყველაფერი შედის მანდ — ეს იყო ქუჩის რეკეტი. დიდძალი ფულია ქუჩის რეკეტში.

**— დღეს რა მდგომარეობაა საძმოების მხრივ?**

— ყველა დაშლილია.

**— თქვენ ქუჩის რეკეტი იყავით?**

— არა. პირიქით. ვიღაცა რომ „არეკეტებდა“, მირეკავდნენ და ჩავდიოდი, ვეხმარებოდი.

**— წილს ხომ გაძლევდნენ?**

— მე არ ვიღებდი. ხომ დაუჯერებელია, მაგრამ კაპიკი არ ამიღია. ეს იცით რამხელა ტიტანური შრომა იყო?! ისეთი პერიოდი იდგა, დღეში ერთ ჯიხურს ხუთი კაცი მიადგებოდა. აბა, ჩადი და ყველას აუხსენი! იცით, როგორ შემხვდნენ უბანში? ეს მე დამიფასდა. ფული რომ ამეღო, ასე შემხვდებოდნენ? 130-მდე ჯიხური იყო; 15-მდე მაღაზია, ხუთი ბანკიც თავის ფილიალებით.

**— ყველას აკონტროლებდით?**

— კი არ ვაკონტროლებდი, ვიცავდი. მანეთი არ ამიღია.

**— აბა, ვინ გაფინანსებდათ?**

— მოსკოვი. მეგობრები მყავდა და ისინი მიგზავნიდნენ ხან 5 ათასს, ხან 10 ათასს, ხან 1000 დოლარსაც...

**— ახლა რას აპირებთ?**

— რას ვაპირებ? გადავხედავ... გააჩნია, ვინ რას შემომთავაზებს. ბევრს ვჭირდები.

***მარინა მამისაშვილი***






**ვაგრძელებთ განვლილი გზის გახსენებას. რესპონდენტები ცხოვრებაში მათი ყველაზე გაბედული ნაბიჯის შესახებ კვლავ გვიამბობენ.**

# საიმედო ადგილი ...ზოოპარკში

**მერაბ კოკოჩაშვილი,** რეჟისორი:

— ჯერ კიდევ ხუთი წლისა, საბავშვო ბაღში, ეზოში გამართული საკმაოდ მაღალი სასრიალოდან გოგონას თავის მოსაწონებლად გადმოვხტი. გადმოვხტი და ცხვირი გავიტეხე, ძლიერი სისხლის დენა დამეწყო. ექიმიც კი დამჭირდა, მაგრამ ჩემს პირველ შეყვარებულს დავუმტკიცე, რომ სიმაღლიდან ხტომა ჩემთვის არაფერი იყო და ამით ძალიან ამაყი ვიყავი. ჩემი პირველი გაბედული ნაბიჯი ალბათ ეს იყო.

ისე კი უნდა გითხრათ, რომ საქმიანობა, რომელსაც მე ვეწევი, მუდმივ გაბედულებას მოითხოვს. არის კი ფილმი, რომლის გადაღებისას რეჟისორი გაბედულ ნაბიჯს არ დგამს? მით უმეტეს, თუ მას საბჭოურ სისტემაში მოუხდა ცხოვრება. „დიდი მწვანე ველი“ ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როცა მოითხოვეს ფილმის მასალა ცეკას I-ელი მდივნისათვის მეჩვენებინა. ვიცოდი, ეს კარგს არაფერს მიქადდა. ოთარ იოსელიანის მაგალითი მახსოვდა. მისი ფილმის „გიორგობისთვის“ გადაღება გააჩერეს და თავად რეჟისორს ბალტიისპირეთში მოუხდა გადამალვა, თუმცა მაშინდელ რეჟიმს სად დაემალებოდა?

შვებულება ავიღე, რათა ჩემი გამოძახების საშუალება არ ჰქონოდათ, მემონტაჟეს კი ფილმის დამონტაჟებული ნაწილის დაშლა და არევა დავავალე, რომ მნახველს ბოლომდე ვერ გაეაზრებინა მისი არსი. მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯგუფის დირექტორმა ასე არეული ფილმი კინოსტუდიის დირექტორის მოადგილეს მიუტანა, რომელსაც იგი ცეკაში უნდა წარედგინა — საშინელი სკანდალი ატყდა. სკანდალის დეტალები მემონტაჟემ და ჯგუფის დირექტორმა ტელეფონით შემატყობინეს. — თქვენ სადლა ხართ? — შეშფოთებულმა ვიკითხე. ზოოპარკშიო, — მიპასუხეს; გავოგნდი — ზოოპარკში რა გინდათ-მეთქი? — აქ ვიმალებით, ძალიან საიმედო ადგილიაო!



კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“

გაბედულებაზე ვსაუბრობთ და მინდა სხვისი გამბედაობის შესახებაც გითხრათ ორიოდ სიტყვა. როცა „დიდი მწვანე ველი“ დავასრულე საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში წარვადგინეთ, კარგად მახსოვს დარბაზის პირველ რიგში სამი კაცი იჯდა — მჟავანაძე, ძოწენიძე და ჯავახიშვილი. მათ უკან, ერთი რიგის შემდეგ კი ცეკას მდივნები მოთავსებულიყვნენ, შემდეგი უკანა რიგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებსა და იდეოლოგიის განყოფილების წარმომადგენლებს (რომლებიც პასუხს აგებდნენ კულტურასა და ხელოვნებაზე) დაეკავებინათ. სუკ-ის თავმჯდომარე ალექსი ინაური კი იჯდა მარცხნივ და განაპირას ისე, რომ იერარქიული კიბის ვერც ერთ საფეხურს ვერ მიაკუთვნებდით. პირველ რიგში მსხდომთა წინ დაბალი მაგიდა იდგა, რომელზეც მანდარინი, ლიმონათისა და ბორჯომის ბოთლები ელაგა. ვერც მანდარინს, ვერც ბორჯომსა თუ ლიმონათს ვერავინ მიეკარებოდა მჟავანაძის, ძოწენიძისა და ჯავახიშვილის გარდა. თუმცა, ალბათ ინაურს შეეძლო ამ სუფრიდან რაღაც ეგემა. ფილმის ჩვენება დამთავრდა. სუკის თავმჯდომარე წამოდგა და გაიარ-გამოიარა, სამარისებურ სიჩუმეში მკვეთრად ისმოდა მისი მაღალყელიანი ჩექმის ჭრაჭუნი, რომელიც წვივზე მოტკეცილ გალიფე შარვალზე ამოეცვა. „ჩვენ დავკარგეთ სამუშაო დღის ორი საათი“, — რუსულად წარმოთქვა და დაჯდა. „კარგი, ალექს, კარგი, შენ სულ ასე იცი“, — დაგვიცვა ძოწენიძემ. გამოსვლები გაგრძელდა, ფილმი სამარეში ჩადეს. ბოლოს გამობრძანდა ქალბატონი იდეოლოგიის განყოფილებიდან და საბოლოოდ მიწა მოგვაყარა: — საღამოს შინ დაბრუნებულ, დაღლილ თანამშრომლებს დასვენება სჭირდებოდათ და არა ასეთი დრამატული ისტორიების ცქერაო. სწორედ ამ დროს წამოდგა სერგო ზაქარიაძე და თქვა: თუ ჩვენ ამ ლოგიკას გავყვებით და უარს ვიტყვით დრამატიზმზე ხელოვნებაში, მაშინ უნდა უარი ვთქვათ შექსპირზე, შილერსა და სხვა მრავალ ჭეშმარიტ ხელოვანზეო. სერგომ თავისი სიმართლითა და გაბედულებით ყველა დანარჩენი მოსაზრება გააცამტვერა — მკერდით დაგვიცვა ჩვენც და ჩვენი ფილმიც. მისმა ამ გამოსვლამ მაშინ ისე გამაოგნა, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე, თუმცა შემდგომში არ გამიშვია შემთხვევა, ეს ამბავი არ შემეხსენებინა.

# — მარტო ყოფნისა და ტირილის გარდა, სხვა არაფერი მინდოდა

**ელენე თევდორაძე,** პოლიტიკოსი:

— პროფესიით პედაგოგი ვარ. სკოლა, რომელშიც იმჟამად ვმუშაობდი და დირექტორის მოადგილე გახლდით აღმზრდელობით დარგში, 9 ძმის ქუჩაზე, კუკიის სასაფლაოსთან ახლოს მდებარეობს. ეს იყო რუსულ-ქართული სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები სწავლობდნენ, მაგრამ ძირითად კონტინგენტს მაინც ქურთები შეადგენდნენ.



ქურთული ოჯახები ხშირად საფლავებზე დატოვებული სანოვაგით იკვებებოდნენ და სასაფლაოს ტერიტორიაზე გავლენის სფეროებსაც ინაწილებდნენ, რის გამოც მათ შორის ხშირი იყო ჩხუბი და აყალმაყალი. ოჯახური პრობლემები ბავშვებს სკოლაში მოჰქონდათ და პედაგოგებს მუდმივად გვიწევდა კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება, რომელშიც არა მხოლოდ ქურთები, ავტომატურად ყველა ეროვნების ბავშვები ერთვებოდნენ ისე, რომ ხშირად, ჩხუბის მიზეზსაც კი ველარ იხსენებდნენ.

ერთხელაც, სკოლის ეზოში ახალფეხშედგმულს, აღელვებული გოგონები შემომეხვივნენ და მითხრეს, რომ შენობის უკანა მხარეს მე-10 კლასელი ბიჭების ორი დაპირისპირებული ჯგუფი ჩხუბობდა. იქითკენ გავიქეცი. მეგონა, ეს ჩვეულებრივი მუშტი-კრივი იქნებოდა, მაგრამ შორიდანვე დავინახე დანებითა და შუშის გრძელი ნამტვრევებით შეიარაღებული, ერთმანეთის პირისპირ მდგომი ეგზალტირებული ახალგაზრდები, რომლებიც ყვირილითა და ღრიალით არჩევდნენ საქმეს და ყველა ნიშნის მიხედვით, საცაა, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერეოდნენ.

კატეგორიულად მოვითხოვე შეჩერებულიყვნენ, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, თითქოს ჩემი ხმა არც გაუგონიათო. და აი, ორი შეიარაღებული ხელი ერთმანეთის საპირისპიროდ აღიმართა, შიშის გრძნობა სადღაც გაქრა და არც კი ვიცი, როგორ აღმოვჩნდი გამძვინვარებული ბიჭების შუაში! წამით ყველაფერი გაიყინა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით, მაგრამ მხოლოდ წამით, მალე გამოერკვნენ და ახლა ჩემს თავს ზემოთ, უფრო გააფთრებით აღმართეს იარაღები ერთმანეთის საპირისპიროდ... ეს იმდენად უმართავი წამი იყო, კონკრეტულად რას ჩავდიოდი, აღარც კი ვიცი. მაჯების სისველემ გამომაფხიზლა, საკუთარ მკლავებს თვალი ავაყოლე — ორივე ხელი ჩემს თავს ზემოთ შემართული ბასრი იარაღებისათვის ჩამევლო და დასერილი თითებიდან სისხლი მდიოდა. მოჩხუბრები კი, როგორც ჩანს, ვერც იარაღის გამოგლეჯას მიბედავდნენ და ვერც თავად უშვებდნენ ხელს, იდგა საშინელი სიჩუმე, საშინელი ხმაურის შემდეგ...

სისხლის დანახვამ მდგომარეობა აბსოლუტურად განმუხტა, ბიჭებს მრისხანე სახეები დაურბილდათ და ბასრი ნივთები ისე დაყარეს, თითქოს დაუცვივდათო, არავინ გაქცეულა, იდგნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა შემდეგ, რა ზომებს მივიღებდი, რა სასჯელს მოვიგონებდი მათთვის... ბიჭებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ მე ახლა არავის დასჯის თავი არ მქონდა და მარტო ყოფნისა და ტირილის გარდა, სხვა არაფერი მინდოდა — ასეც მოვიქეცი, მას შემდეგ, რაც კაბინეტამდე მივაღწიე და კარი შიგნიდან ჩავკეტე.

# რატომ იგდებენ საფრთხეში თავს ბიჭები

**გია ბუღაძე** — მხატვარი:

— იმ დროს, რომელზეც ახლა გიამბობთ, მე და ნუკრი ხუციშვილი სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტები, 16 წლის ბიჭები ვიყავით. ნუკრი პრინციპული, საინტერესო და, ამავე დროს, მეტად ხიფათიანი ადამიანი იყო. ორივეს ძალიან გვიყვარდა ფილოსოფოსობა, ცოტა ზედმეტადაც კი, ვიდრე ეს მხატვრებს მოეთხოვებოდათ. ზნეობა, მორალი, ჭეშმარიტი ვაჟკაცობა, — აი, თემები, რომლებიც ჩვენი განსჯის მუდმივი საგანი იყო. იმდენ ხანს ვიმსჯელეთ, სანამ არ აღმოვაჩინეთ, რომ ორივენი მშიშრები ვიყავით. რაღა თქმა უნდა, ეს აღმოჩენა, სასიამოვნოდ არ დაგვრჩენია და ამ დღიდან, დავიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორ გავმხდარიყავით ვაჟკაცები. ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, მივედით დასკვნამდე, რომ გაბედულება შიშის შეგნებულად დაძლევაა და არა ის, რომ შეუგნებლად ებმები ხიფათში და ამით, საბოლოოდ მაგარი გამოდიხარ. ეს მიგნება ძალიან მოგვეწონა და გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, რეალურად განგვეცადა შიშის დაძლევით მოგვრილი სიამაყე, მაგრამ როგორ? სახელოსნოში ჯდომითა და ხატვით ხომ ამას ვერ მივაღწევდით!

ერთხელაც ღამით სასაფლაოზე წასვლა გადავწყვიტეთ. ჩვენი აზრით, ეს ჩვენს გაუბედაობას ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებდა. თვითგამოცდისათვის აუცილებლად ქალაქის სასაფლაო უნდა აგვერჩია და არა სოფლისა, რადგან სოფლის სასაფლაოზე რომანტიკა სჭარბობს და აქედან გამომდინარე, ნაკლებად საშიშია.

ერთი სიტყვით, ნუკრიმ კუკიაზე წასვლა გადაწყვიტა, მე — ვაკის სასაფლაო ავირჩიე და ერთი ბნელი ღამის 12 საათისთვის, შიშთან მორკინალი რაინდები, ჩვენ-ჩვენ გზას დავადექით... იქ განცდილის შესახებ აღარაფერს მოგიყვებით, რადგან ჩვენი თვითგამოცდის კულმინაციური წერტილი ეს კონკრეტული ამბავი არ ყოფილა.

რამდენიმე დღეში, ღამის ვოიაჟით დაუფლებული ემოციები განელდა. მე და ჩემმა მეგობარმა ვერაფრით ვიგრძენით, თითქოს სასაფლაოზე ყოფნის შემდეგ, ჩვენში რამე შეცვლილიყო, არადა გულით გვინდოდა ნამდვილი ვაჟკაცები გავმხდარიყავით.

ერთ დღეს, ნუკრიმ ჩემთან მოირბინა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა — ახალი ამბავი უნდა შეგატყობინოო. თურმე, მისი ნაცნობის ნაცნობი რელსებშუა შეგნებულად გაწოლილა, ზედ მატარებელსაც გადაუვლია და იქიდან ისეთი წამომდგარა — ნუკრიმ კულტურისტივით მოზიდა მხარ-მკლავი — მასთან შედარებით, ამირანიც კი მხდალი მოგეჩვენებოდაო...

აგვეკვიატა ეს ახალი იდეა და მოსვენება დაგვეკარგა. დიდხანს არ გვიფიქრია — გადავწყვიტეთ რელსებშუა გავწოლილიყავით, გაქანებულ მატარებელს ქვეშ მოვქცეოდით და იქიდან ამირანზე ძლიერები წამოვმდგარიყავით.

საასპარეზოდ, სარკინიგზო მაგისტრალის ჩუღურეთის მონაკვეთი ავირჩიეთ. დეკემბრის სუსხიან საღამოს დათქმულ ადგილზე ერთმანეთს შევხვდით... ირგვლივ ადამიანიშვილის ჭაჭანება არ იყო, გაჩქარებულები ბაქანზე მივდი-მოვდიოდით და შორიდან მატარებლის გამოჩენას ველოდით, რომ სასწრაფოდ ლიანდაგებზე გავწოლილიყავით, მაგრამ მატარებელი არ ჩანდა... მოლოდინში დრო საშინლად გაიწელა, ბინდი ჩამოწვა, სუსხმა იმატა, დავიძაბეთ... მოულოდნელად ნუკრის მივუახლოვდი, თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი — შეგნებულად განსაცდელში თავის ჩაგდება უფრო სიმხდალის ნიშანი ხომ არ არის, ვიდრე ვაჟკაცობისა-მეთქი?



ყინვა უკვე ძვლებში ატანდა, ჩვენ კი ჯიუტად ვიდექით უკაცრიელ ბაქანზე. გაცხარებით ვკამათობდით და ვარკვევდით — დაწოლა უფრო მეტი სიმფრთხალე იქნებოდა თუ არდაწოლა... საბოლოოდ, ბაქანზე პირველად აღმოვაჩინეთ რეალური განსხვავება სიმფრთხალესა და სიფრთხილეს შორის.

ბაქანზევე მივხვდი, უფრო სწორად ვიგრძენი, რომ ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანა აღემატებოდა ადამიანის ნებას და შეუგნებლად, რაღაც სხვა ნებაში ვერეოდით. ათეისტურ ოჯახებში გაზრდილებმა ჯერ კიდევ არ ვიცოდით — „არ გამოსცადო უფალი“, არ ვიცნობდით სახარებას და სახარების ტექსტით კი ვლაპარაკობდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სისხლში გენეტიკურად ძევს ქრისტეს მოძღვრების არსი.

თავიდან ვთქვი, ნუკრი ხუციშვილი ძალიან ხიფათიანი ადამიანი იყო-მეთქი — იგი ტრაგიკულად დაიღუპა 29 წლის ასაკში.

***ნათელა თუთისანი***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— ვიცით, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით: მაშ, რატომ არის აღნიშნული ზოგიერთ ლოცვაზე: „დაუჯდომელი“?**

— არ არის მართალი, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით. მაგალითად დამჯდარმა შეიძლება წაიკითხოთ „ფსალმუნები“.

**— მყავს ავადმყოფი მამა. ნათელმხილველმა მიმკითხავა, რომ მამის ავადმყოფობის მიზეზი წმინდა გიორგი იყო, რომელიც საკლავს ითხოვდა და ცხვრის შეწირვის შემდეგ მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდებოდა. გთხოვთ, ამიხსნათ, რამდენად მიზანშეწონილია საკლავის შეწირვა ღვთისადმი და უნდა შემესრულებინა თუ არა ეს დარიგება?**

— სჯობს, რომ მეორედ საერთოდ აღარ მიხვიდეთ იმ „ნათელმხილველთან“, რადგან ბოროტი ძალის სურვილია, თავისთან გიყოლიოთ კონტაქტში მისი მეშვეობით. თქვენი მამის ავადმყოფობას კი, რომელიც მისივე ცოდვების მიზეზით შეიძლება იყოს წარმოშობილი, უკეთ უწამლებს მისი ეკლესიაში მიყვანა, აღსარების თქმა და მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებებთან ზიარება.

**— ჩემს სიზმრებში ზოგჯერ უკეთური სახით ჩნდებიან ჩემი ახლობელი ადამიანები, რაც მძიმე გუნებაზე მაყენებს ხოლმე გამოფხიზლების შემდეგ. მიფიქრია, მეც ხომ შეიძლება ასე დავესიზმრო ჩემს მოყვასს? გთხოვთ, მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება, ვევედრო ჩემს მფარველ ანგელოზს ან წმინდანებს, ჩემი თავი უკადრისი სახით არ დაასიზმროს არავის?**

— თქვენ ყოველივეს თხოვნის უფლება გაქვთ წმინდანებისა და მფარველი ანგელოზისადმი, რაც არ შეეწინააღმდეგება უფლის ათ მცნებას.

**— 30 ოქტომბერს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს უვერცხლო მკურნალების — კოზმასა და დამიანეს ხსენებას. ვინ იყვნენ ისინი?**

— ისინი იყვნენ არაბიელნი (არ უნდა შეგვეშალოს თანამოსახელე ასირიელ წმინდანებში), რომლებიც ქრისტეს ძალით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე კურნავდნენ სნეულთ. კილიკიაში წარმართებმა შეიპყრეს ორივე და განმგებელ ლისიუსს მიჰგვარეს დასასჯელად, რადგან უარი თქვეს განდგომოდნენ ქრისტეს. განმგებლის ბრძანებით ჯერ გვემეს და შემდეგ ზღვაში ჩაყარეს, მაგრამ უფლის ანგელოზმა ისინი ნაპირზე გამოიყვანა. მაშინ წარმართებმა თავი მოჰკვეთეს წმინდა მოწამეებს — კოზმა და დამიანე უვერცხლოებს. (უვერცხლო იმიტომ ეწოდათ, რომ კურნებაში გასამრჯელოს არ იღებდნენ).

**— რამდენად მიზანშეწონილია მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ნათელმხილველის დახმარებით სარგებლობა, თუ ეს ნათელმხილველი მკითხაობს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე?**

— ჩვენ უკვე არაერთხელ მოგვიხდა გვეპასუხა მსგავს შეკითხვებზე: მიუხედავად იმისა, მკითხაობენ ეს ადამიანები ანაზღაურებით თუ ანაზღაურების გარეშე, სრულიად მიუღებელია მათი დახმარება — „თეთრს“, „შავს“, „კეთილსა“ და „ბოროტ“ მაგიას — ყველას ერთი დამხმარე ძალა ჰყავს, რომელსაც ბოროტი დემონი ჰქვია.

**— ძალიან დამაბნია ერთმა ქადაგებამ: მღვდელმსახურმა ამბიონიდან ბრძანა, რომ შვილები მშობლების ცოდვაზე პასუხს არ აგებენ. სხვა მღვდელმსახურისაგან კი მსმენოდა, რომ აგებენ! რომელია მათში ჭეშმარიტება?**

— იგავსიტყვით მოგახსენებთ პასუხს და დასკვნა თავად შეგეძლებათ გამოიტანოთ: ეგვიპტელ წმინდანს, ღირს ამონს, მშობლებმა მიუყვანეს თავიანთი მომაკვდავი შვილი და ცრემლებისაგან თვალებდაოსებულნი შესთხოვდნენ, სააქაოს მოებრუნებინა. ბავშვი ცოფიან ძაღლს დაეკბინა და ექიმის ყოველი მცდელობა ამაო გამომდგარიყო. წმინდა ამონმა მიმართა მათ: „თქვენი შვილი ჩემთან მკურნალობას არ საჭიროებს; ის მაშინვე გამოჯანმრთელდება, რაჟამს თქვენ დაუბრუნებთ პატრონს იმ პირუტყვს, რომელიც მას მოჰპარეთ“. ასეც მოხდა: როდესაც დაუბრუნეს პატრონს მოპარული ხარი, ბავშვი მაშინვე გამოჯანმრთელდა.

**— არის თუ არა ხათუნა წმინდანის სახელი და როდის არის მისი ხსენების დღე?**

— ხათუნა არის წმინდანის სახელი, რომელიც მოიხსენიება სხვა ქართველ წმინდანთა დასთან ერთად 24 დეკემბერს (ახ. სტ.).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „მინისტრის მოადგილე თანამდებობის სანაცვლოდ თბილისში ბინას მპირდებოდა“

## გაწყვეტილი ხელშეკრულება, უხელფასოდ დარჩენილი გაფიცული მაღაროელები და ბრძოლა დირექტორის სკამისათვის

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— თქვენ ალბათ „მაწისი“ გაქვთ მხედველობაში, რომელიც ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაციის სამსახურის უფროსის დაფუძნებული ყოფილა.**

— ალბათ. ისე, უნდა გითხრათ, რომ როლანდ გოცაძეს ვილაცები ათამაშებენ — ამ ბოლო დროს აბსურდულ განცხადებებს აკეთებს, თითქოს მე და ზურაბ გარაყანიძე მეგობრები ვართ და მე ვთხოვე მას გოცაძის სამსახურიდან გათავისუფლება. მისი ადგილის გასაყიდად აუქციონიც მომიწყვია პრეტენდენტებს შორის. აქედან სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ გარაყანიძე მართლა ჩემი მეგობარია. საერთოდ დროა, „ჭიათურმანგანუმს“ მიეცეს მარგანეცის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება; ანუ მისი მოპოვება ყველას შეეძლება, მაგრამ გაყიდვა „ჭიათურმანგანუმის“ პრეროგატივა იქნება და ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დემოკრატიული და ანტიმონოპოლიური პრინციპებიც დაცული იქნება და „დელტა-ექსპრესთან“ მსგავსი ხელშეკრულებები აღარ ჩაიშლება...

ჭიათურიდან გამომგზავრებამდე ჩემს ინკოგნიტო, „ჭიათურმანგანუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შევხვდი. მისი განცხადებით: — იძულებული ვარ, ანონიმურობის გარანტია გთხოვოთ, რადგან „ჭიათურმანგანუმის“ გენერალურ დირექტორს უპირებენ ჭიათურიდან გაგდებას და მე რას მიზამენ? მერწმუნეთ, მალე ჭიათურაში ისეთი ამბები დატრიალდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ყველაფერი თბილისიდან იქნება სანქცირებული, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტოს მუშაობა ს/ს „ჭიათურმანგანუმმა“ და კოოპერატივებმა იპარპაშონ. ყველა დაგიდასტურებს, რომ სასარგებლო წიაღისეულს ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ კუთვნილი კარიერებიდან იპარავენ. ამასაც არ სჯერდებიან და მარგანეცის მადნის მისაღებად დახარჯულ ელექტროენერგიას და წყალს ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ ახდევინებენ. თუ ნაცნობობამ და ნათესაობამ არ გაჭრა, მაშინ დიდი კაცის სატელეფონო ზარი აგვარებს პრობლემას. თუ სასწაული მოხდა და ამანაც არ იმოქმედა, მაშინ პირდაპირ მუქარასა და იარაღის ტრიალზე გადადიან. რატომ არ იკითხავთ, რას საქმიანობს ჭიათურაში პროფკავშირული ორგანიზაცია „სოლიდარობა“ და ვისი მითითებით აბრიყვებს იგი მუშებს?..



სხვათა შორის, ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ ოფისში, გენერალური დირექტორის კაბინეტში ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაცია „სოლიდარობის“ ლიდერს, **დავით ჭუმბურიძესაც** შევხვდით:

— დღეს დილით შუქრუთის მაღაროში იმის გასაგებად ვიყავი, თუ რა შეთანხმებას მიაღწია მაღაროელებთან „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელობამ. არავისთვის მომიწოდებია, გაფიცვა გაეგრძელებინათ. არავის შეკვეთებს ჩვენ არ ვასრულებთ — მხოლოდ მუშების ინტერესებს ვიცავთ. ვინმესთვის გაფიცვის გაგრძელება რომ მეთხოვა, ამას არც დავმალავდი და პირდაპირ გეტყოდით.

**— თქვენი ორგანიზაცია არ იყო, ზესტაფონში რომ ჩავიდა და ენერგეტიკოსებს სთხოვა, „ჭიათურმანგანუმისთვის“ ელექტროენერგია არ მოეწოდებინათ?** — ჰკითხა როლანდ გოცაძემ.

— მაშინ მე არ ვყოფილვარ „სოლიდარობის“ წარმომადგენელი...

თბილისში ჩამოსულები უკრაინაში სინგაპურული ფირმის წარმომადგენლობას ტელეფონით დავუკავშირდით. ფირმის თანამშრომელი **ვიტალი ბონდარჩუკი**: „ვაში მაფიოზნიე ჩინოვნიკი პაპრასილი ნაშიხ უკრაინსკიხ მაფიოზნიხ ჩინოვნიკოვ, ჩტობი ანი ლუბიმი სპოსობამი ვაზდეისტვოვალი ნა ნაშუ ფირმუ. ჩტობი მი პრეკრატილი პოდსტავკუ ვ უკრაინე ჩიატურსკოვო მარგანეცა. სეიჩას ნაშე რუკავოდსვტო იშჩეტ დრუგოი რინოკ, ვ დრუგომ გოსუდარსტვე. ნავერნა ეტო ბუდეტ კიტაისკაია ნაროდნაია რესპუბლიკა.“

დასასრულ, თბილისში ქონების მართვის სამინისტროში მინისტრის მოადგილეს, ზურაბ გარაყანიძეს ვთხოვეთ კომენტარი: — მარტო „დელტა-ექსპრესთან“ ხელშეკრულების დროებით გაწყვეტას არ გამოუწვევია ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი. აქ არის სხვა მიზეზებიც — მოხმარებული ელექტროენერგიის არასრულად გადახდა, კრედიტორული დავალიანებების ყოველთვიური ზრდა და სხვ. ისე, უნდა გითხრათ, რომ ეს კაცი ჩამოყალიბებული ლოთია(?!). რამდენჯერაც ვნახე, არყის სუნად ყარდა. მისთვის არც აგარაკები და არც სხვა რამ არ შემითავაზებია. რომელი აგარაკის ბინის მიმცემი ვიყავი, ჩემთვის არ მაქვს ნორმალური ბინა. თუმცა მისი გათავისუფლება კანონით სამინისტროს გადასაწყვეტი არ არის. ეს საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა. სხვათა შორის, ეს საწარმო ძლიერ არის პოლიტიზებული, პოლიტიკა კი მოგეხსენებათ ბინძური საქმეა...

P. S. როგორც შევიტყვეთ, როლანდ გოცაძემ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ახალი განცხადების დაწერა ამჯობინა.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „ოღონდ შამიდაჩიმს შიუშვით…“

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

## მოვალეობის ერთგულნი

ნაშუადღევს იპოვეს მიცვალებული ხევში ღორჯოებზე მოთევზავე პატარა ბიჭებმა. ვიდრე ოპერატიული ჯგუფი პროკურორთან ერთად შემთხვევის ადგილზე დამნაშავეთა კვალს ეძებდა, გივი მესხი მოკლულის ფოტოაპარატის ძებნით იყო დაკავებული. იქნებ აპარატს მეტი მოეთხრო, ვიდრე ადგილზე აღებულ სიგარეტის ნამწვავს ან ვიღაც არაკაცის დაჭიანებულ კბილებს, რომელიც სისხლთან ერთად აღმოაჩინეს. გონიერ მილიციელს მოუხერხებია და ფოტოაპარატი ბალახებში გადაუგდია. ახლა კი გივიც, რაიონის პროკურორიც, მილიციის უფროსიც და სხვა თანამშრომლები სურენას გადაღებული ფოტოების გამჟღავნებას ელოდებოდნენ. პირველ ფოტოზე ნელ-ნელა გამოიკვეთა რამდენიმე სახე. ერთ მათგანში გივიმ „კოლკა მხეცი“ ამოიცნო, მეორეში — აიმარა. შემდეგ კი — „აფრონიკა“, „წრიპა“, ნოდარა და ვახო. ეს ვირგლა ვიღაა? ნახე, როგორ მოხერხებულად ურტყამს კოლკას. ეჰე... აგე, კბილები, ბატონო პროკურორო, კოლკასი ყოფილა. ნახეთ, რა სიმწრით აფურთხებს. აუ, რა ტოჩნადაა ყველაფერი. მეტი რაღა დოკუმენტი გვჭირდება. საქმეც გახსნილია და დამნაშავეებიც ვიცით ვინ არიან, — თავი ვერ შეიკავა ამ აღმოჩენით აღფრთოვანებულმა ლეიტენანტმა.

## სისხლი სისხლის წილ

„აფრონიკამ“ დაპატიმრების დღესვე დაფქვა ყველაფერი. კოლკამ იმიტომ აკუწა რობერტის მამიდა, რომ ბინაში ორი ცალი ბეჭდის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. დარწმუნებული იყო, ქალს ბევრი ოქრო და ფული ჰქონდა და სამალავი არ გათქვაო. გასაღები, რომლითაც ბინა გავაღეთ და მერე დავკეტეთ, რობერტს „წრიპამ“ მოჰპარა. სურენა კი მან და აიმარამ დაახრჩვეს და მერე აიმარამ გადააგდო ხევშიო. რობერტს ეყო ვაჟკაცობა და თავისი ფეხით მივიდა მილიციაში, — ვერც მამიდაჩემი დავიცავი და ვერც მილიციელი, მაგრამ მზადა ვარ ამისთვის პასუხი ვაგოო.

თითქმის ყველანი დაიჭირეს, ვისაც ამ საქმეებთან მეტ-ნაკლები შეხება ჰქონდათ, მაგრამ მთავარი ღლავები, ანუ კოლკა და აიმარა ისე ერთბაშად აორთქლდნენ, კაცმა ვერ გაიგო, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

— ბაქოში უნდა წახვიდე, გივი. აგენტი გვატყობინებს, რომ კოლკამ და აიმარამ იქით აიღეს გეზი. ვისაც შენ აირჩევ, იმას გამოგაყოლებ, — ორიოდე დღის შემდეგ მისცა განკარგულება მილიციის უფროსმა.

— თუ არ მიწყენთ, გეტყვით — ეგ თვითონ კოლკას შემოგდებული სატყუარაა. კარგად ვიცნობ, თბილისს მანამ არ დატოვებს, ვიდრე რობერტს არ გადაუხდის სამაგიეროს ბოტანიკურ ბაღში კბილების დაყრევინებისთვის. კარგი ქენით, რომ რობერტი ხელწერილით გაუშვით, თუმცა მერჩივნა აქ, კამერაში გვყოლოდა. ასე უფრო დავიცავდით.

— გეთანხმები. ვინც გინდა, ის გამოიყენე ჩვენი თანამშრომლებიდან. ბაქოში კი სხვას გავაგზავნი. ხომ იცი, თავის დაზღვევა აჯობებს.

მერამდენე ღამე იყო აქ, ჩიაძეების სახლის სარდაფში თვალმოუხუჭავად ათენებდა გივი მესხი. მაშინ მარტო იყო. ახლა კი ლეიტენანტი ახალაძე აიყვანა მეწყვილედ და ამის იმედით შიგადაშიგ თავს წათვლემის უფლებას აძლევდა. მეშვიდე ღამე თენდებოდა და, როგორც იტყვიან, არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ჩამიჩუმიც არ ისმოდა აქამდე. ახლა კი, როცა გათენებას აღარაფერი აკლდა, ჩიაძეების ჭიშკარი ქურდულად გააღო ვიღაცის უჩინარმა ხელმა და მთვარის მკრთალ შუქზე ეზოში ორი ლანდი გამოჩნდა. ერთმა პირდაპირ სარდაფისაკენ აიღო გეზი, მეორემ კი სახლის მეორე სართულის კიბისაკენ. პირველი სარდაფის კარშივე გათიშეს მესხმა და ახალაძემ. მეორემ კი, რაკი დარწმუნდა, რომ ჩასაფრებულებს გადაეყარა, რამდენჯერმე ისროლა მილიციელების მიმართულებით და ჭიშკრისაკენ აღარ წასულა — პირდაპირ, მაღალ ღობეზე დააპირა გადახტომა, მაგრამ უკან დადევნებულმა ტყვიამ უწია და ვიდრე ჩამოხსნიდნენ, სულიც განუტევა. ეს კოლკა „მხეცი“ იყო.

*ვაჟა გავაშელი*

www.tavisupleba.org

რადიო თავისუფლება
RADIO LIBERTY

ვხედავთ, გვესმის, ვამბობთ

● პოლიტიკა ● ეკონომიკა
● კულტურა ● სამხედრო სფერო
● სპორტი ● ახალგაზრდობა

RADIO FREE EUROPE • RADIO LIBERTY

გვისმინეთ ყოველდღე

20:00 - 21:00 ▸ FM 100.9, AM 1044 ● 00:00 - 01:00 ▸ FM 102.6, AM 1044 ● 09:00 - 10:00 ▸ FM 107.4

# აშშ-მა პირველად არ დაუჭირა მხარი საქართველოს!

10 ოქტომბერს ვენაში, ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე, აშშ-ის ელჩმა სტივენ მინიკესმა გამოხატა აშშ-ის ხელმძღვანელობის შეშფოთება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სიტუაციის გამწვავების გამო. ელჩმა ბრძანა, რეგიონში დაძაბულობის შესანელებლად საჭიროა ქართველებმა და ოსებმა ერთობლივად იზრუნონო. ამასთან, არაორაზროვნად აღნიშნა, რომ სიტუაცია გაამწვავა ოფიციალური თბილისის განცხადებამ, სამხრეთ ოსეთში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების აუცილებლობაზე, რის შემდეგაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მობილიზაცია გამოაცხადა.



რატომ დაინტერესდა აშშ იმ სახელმწიფოს შინაური საქმეებით, რომლის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უკვე 11 წელია, ქადაგებს? მით უმეტეს, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, მიუხედავად საქართველოსგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობისა, დღემდე აუღიარებელი სახელმწიფო წარმონაქმნია. მსოფლიო თანამეგობრობის უმეტესობის აზრით, სამხრეთ ოსეთი — სეპარატისტულია ისევე, როგორც ჩეჩნეთი ან მექსიკის შტატი — ჩიაპასი...

თითქოსდა აშშ-ის ადმინისტრაციას არ უნდა აინტერესებდეს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები. პრაგმატულმა ამერიკელებმა კარგად გაიაზრეს საქართველოს პრეზიდენტის მერყევი მდგომარეობა და ისიც, რომ თუკი საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმმა სამხრეთ ოსეთში ანტიკრიმინალური ოპერაცია დაიწყო, რეგიონში ომი გარდაუვალი იქნება. ამას კი მოჰყვება არასტაბილურობა საქართველოში, მისი ეკონომიკის საბოლოო განადგურება და შედეგად — ხელისუფლების ძალისმიერი შეცვლა. უკანასკნელი ორი წლის მოვლენებმა დაგვანახვა, რომ საქართველოში სხვანაირად არ ხდება ხელისუფლების არც გადაცემა და არც მიღება.

თუკი მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდება, აშშ მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ერთი მხრივ, ამერიკული დემოკრატია ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს და საამისოდ დასახა კიდეც ძირითადი მიზნები. იგულისხმება, რა თქმა უნდა, ერაყი და „ბოროტების ღერძის“ სხვა სახელმწიფოები. მეორე მხრივ კი — მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ წლების მანძილზე აშშ მხარს უჭერდა იმ რეჟიმს, რომელიც ხალხის რისხვამ დაამხო. გაიხსენებენ იმასაც, რომ რუსეთმა არაერთხელ განაცხადა, შევარდნაძის საქართველოში თავს აფარებენ საერთაშორისო ტერორისტები, ხალხი გაღატაკებულია, პრეზიდენტის კლანი კი ფუფუნებაში ცხოვრობსო. ამან შეიძლება ისედაც დაბალი რეიტინგის მქონე ამერიკის პრეზიდენტზე სავალალოდ იმოქმედოს, რასაც მოჰყვება ამერიკის ადმინისტრაციაში კადრების ცვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვერსიაა, თუმცა არცთუ უსაფუძვლო. ფაქტი კი ის არის, რომ შევარდნაძეს არ შეუცვლია თავისი განკარგულება სამხრეთ ოსეთში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების თაობაზე. როგორც საინფორმაციო სააგენტო „ორეანდა“ გვაცნობებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული დაჯგუფების სარდალთან, ჯოზეფ როლსტონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ აშშ აპირებს საქართველოს თავდაცვის სისტემას ფინანსურად დაეხმაროს. თევზაძის თქმით, შეხვედრაზე საუბარი ეხებოდა საკითხს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ნატოში გაწევრებისთვის საჭირო ზომების მიღებას. აშშ-მა საქართველოს თავდაცვისთვის უკვე 64 მლნ დოლარი გაიღო და თუკი სამხრეთ ოსეთში სიტუაცია უფრო გამწვავდება და ქართველებისთვის არახელსაყრელად წარიმართება, ეს მილიონები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება და ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო კავშირიც დისკრედიტირებული, რადგან მათ კინაღამ თავის რიგებში მიიღეს დიქტატორული ტიპის სახელმწიფო.

***ვერსია №41***

# თბილისს მოსკოვის ეშინია




ჩეჩენი მომღერალი ბირდიანტ რამზაევა ლტოლვილია და ეს ერთი წელია თბილისში ცხოვრობს თავის ორ ქალიშვილთან ერთად. მისთვის ყველაზე მძიმე — გაურკვევლობაა. მომღერლის მეუღლე, მაკალა საბდულაევი ასლან მასხადოვის მთავრობის კულტურის მინისტრი, 2000 წელს დაიჭირეს. მას შემდეგ არაფერი ისმის მის შესახებ. მიცვალებულებშიც ვეძებეო, — ამბობს რამზაევა. მან საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართა, რათა მათი საშუალებით ემოქმედა რუსეთის მთავრობაზე. გერმანიის ბუნდესტაგის მიერ გაგზავნილმა შეკითხვამაც შედეგი არ გამოიღო.

რამზაევას შიში არ ტოვებს — ის თბილისის ძველ უბანში ცხოვრობს — ყოველდღე ველოდები, როდის დამადგებიან თავს ნიღბიანი ქართველები და რაღაცის ძებნას დაიწყებენ. ამიტომ ბარგიბარხანა შეკრული გვაქვსო, — ამბობს გამწარებული ქალი. კონცერტებს მომღერალი ვერ მართავს — საქართველოს ხელისუფლება უკრძალავს.

ომს გამოქცეული ჩეჩნები მარტო პანკისის ხეობაში არ ცხოვრობენ. თბილისს 500 ლტოლვილი აფარებს თავს. აქ ლეგალურად მუშაობს იჩქერიის რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტიტუტიც. ექსპერტების მონაცემებით, იატაკქვეშეთიც მოქმედებს, რომელიც ჩეჩნეთს იარაღითა და ფულით ამარაგებს, ხოლო დაჭრილებს თურქეთში ამგზავრებს. აქამდე ქართველები ხელს უწყობდნენ ჩეჩნებს — ჩეჩნების ბრძოლა დიდი რუსეთის წინააღმდეგ მათ სიმპათიას იწვევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსკოვმა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე „საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობ“ თალიბებს შეადარა და დაემუქრა, საქართველოს დავბომბავთო, თბილისმა გადაწყვიტა, მკაცრად მოპყრობოდა ჩეჩნებს. ამისათვის ჯერ სპეციალური პოლიცია გაგზავნეს პანკისის ხეობაში, იქ დაბანაკებული მეომრების უკან, რუსეთში გასადევნად, მერე კი რუსეთს საზღვარზე დაკავებული ხუთი ჩეჩენი გადასცეს. მიგრაციის საქმეთა სამინისტრომ უხეშად უგულებელყო ჩეჩენ ლტოლვილთა პროტესტი, ხოლო რუსეთი და საქართველო ახლა ერთობლივად აპირებენ საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რათა გზა გადაუკეტონ ჩეჩენ მეომრებს უღელტეხილის მაღალმთიან რაიონებში. თბილისში ჩეჩნეთის არაოფიციალური ელჩი ხიზრი ალდამოვი იმედს არ კარგავს — შევარდნაძეს მისთვის პირობა მიუცია — ზურგს არასოდეს შეგაქცევთო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და იჩქერიის დროშითა და ჯოჰარ დუდაევის პორტრეტით მაინც სხვა ოფისში გადაბარგდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მამის კუთვნილი პურკომბინატის შენობის მისამართი, სადაც მანამდე იმყოფებოდა, ნახევარმა თბილისმა იცოდა და მოსკოვმაც...

ალდამოვი ამბობს, — მასხადოვი ომის შეწყვეტას ითხოვსო.

თუ მოსკოვი ამას არ დათანხმდება, ჩეჩნები ათწლეულობით არ შეწყვეტენ პარტიზანულ ომს. ისე, საეჭვოა, საქართველოზე ზეწოლამ რუსეთს ჩეჩნეთში ომი მოაგებინოს.

მიუხედავად ამისა, ევროპელი დიპლომატები ურჩევენ ქართველებს მათ ტერიტორიაზე მყოფი ჩეჩენი მეომრების განიარაღებას, რათა პირნათელი გამოჩნდნენ რუსეთის წინაშე.

***შტუტგარტერ ნახრიხტენი***

# ამერიკამ ბრძანა: საჭიროა! შევარდნაძემ უპასუხა: არის, ბატონო!



საქართველოს პრეზიდენტის ეს აღიარება ნამდვილად სენსაციურია: თურმე ტერორისტები, უფრო სწორად, „ალ-ქაიდას“ „ბოევიკები“ დღემდე პანკისის ხეობაში არიან.

ალბათ ამით აიხსნება შევარდნაძის ბრძანება, პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის დაუყოვნებლივ განახლების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა ამის თაობაზე ილაპარაკა პრესკონფერენციაზე, რომელიც გავლენიანი ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ ბრალდების საპასუხოდ გაიმართა.

„პანკისის ხეობა მუსლიმანი ტერორისტების საერთაშორისო ბაზად იქცა“, — წერს „ტაიმი“. რეპორტაჟის ავტორის, პოლ კუინ-ჯაჯის თქმით, ჯიჰადის მომხრე არაბებმა პანკისის ხეობაში 1999 წლიდან დაიწყეს თავის მოყრა და ინტერნეტის საშუალებით აგროვებდნენ ჩეჩნეთის ომისთვის მოხალისეებს, რომლებიც პანკისის ხეობაში წვრთნის შემდეგ გადადიოდნენ „ისლამურ ბრიგადაში“.

„არაბები პანკისის ხეობაში ორ ტერაქტს ამზადებდნენ, რომელნიც ქართველებმა აშშ-ის დახმარებით აღკვეთეს, — განაგრძობს ამერიკელი ჟურნალისტი, — „ალ-ქაიდას“ ტერორისტები დიდძალი ასაფეთქებელი მასალის შეძენას აპირებდნენ მოსკოვში აშშ-ის ან დასავლეთ ევროპის რომელიმე ორგანიზაციის გასანადგურებლად, ხოლო ქიმიკოსთა ექვსკაციანი ჯგუფი დასავლეთის ქვეყნებისა და ცენტრალური აზიის მოქალაქეთა მოსაწამლავად მომწამლავ ნივთიერებებს ამზადებდა.“

ამერიკული ჟურნალის ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების ძალებმა ათზე მეტი არაბი მეომარი დააპატიმრეს, მათ შორისაა „ალ-ქაიდას“ ორი ლიდერი. სავარაუდოდ, ამჟამად ისინი კუბაზე, გუანტანამოს ამერიკულ ბაზაში არიან.

„ტაიმში“ გამოქვეყნებული სტატიის კომენტირებისას შევარდნაძემ თქვა, რომ პანკისის ხეობაში კვლავ იმყოფება „ბოევიკთა“ გარკვეული რაოდენობა და მისი დავალებით მიმდინარეობს დამატებითი ღონისძიებები, რათა საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი უცხოელი მეომარი არ ჭაჭანებდეს. ამასთან, შევარდნაძემ არ უარყო ის ფაქტი, რომ პანკისში დაკავებული არაბები ახლა გუანტანამოს ამერიკულ ბაზაში გადაიყვანეს. ტერორისტებს ჩვენ არა მარტო რუსეთს, არამედ სხვა ქვეყნებსაც გადავცემთო, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ვაშინგტონ პოსტისთვის“ ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში კი შევარდნაძის პრესმდივანმა კახა იმნაძემ განაცხადა, — რამდენიმე არაბი დავიჭირეთ და აშშ-ს გადავეცით. ახლა საქმის გამოძიება შტატებში გაგრძელდებაო. ბოლოს კი დასძინა, — პანკისი ტურისტული მარშრუტი არავის ეგონოსო.

***ნეზავისიმაია №227***

# ვიმედოვნებ, ავი სიზმარივით დავივიწყებთ ამ ჩხუბს...

**მოსკოვში იმყოფებოდა მთავარი ქართველი მზვერავი ავთანდილ იოსელიანი:**

— **ბ-ნო ავთანდილ, დიდი დრო არ გასულა საქართველოს დაბომბვის შემდეგ და მაინც, ვისი თვითმფრინავები იყო?**

— ბოლო დალაშქვრის შესახებ თუ მეკითხებით, ზუსტად ვიცით — თქვენი თვითმფრინავები იყო. დიდი იმედი გვქონდა, რომ რუსი მეგობრები ბოდიშს მაინც მოგვიხდიდნენ, მაგრამ...

— **ერთ დროს აფხაზეთის კგბ-ს ხელმძღვანელობდით. როგორ შეაფასებდით რუსეთის მშვიდობისმყოფელთა ქმედებებს?**

— თავიდან კარგად განვეწყვეთ მათდამი, მაგრამ დიდი დრო გავიდა და რაღაც უნდა შეიცვალოს. რუსეთის სამხედროები მესაზღვრეებად იქცნენ. ისინი საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე დგანან და მეტი არაფერი. კარგი იქნებოდა, თუ ცოტას გადაიწევენ, მაშინ ქართველი ლტოლვილები გალის რაიონში დაბრუნდებიან.

— **სად არის და რას აკეთებს მოუხელთებელი ბ-ნი გიორგაძე?**

— მე გიორგაძის პირველი მოადგილე ვიყავი. ოჯახებით ვმეგობრობდით. მაგრამ... ამჟამად დსთ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მოსკოვსა და მინსკში ხშირად დადის.

— **რამ შეიძლება გააერთიანოს ჩვენი ქვეყნები?**

— ბოროტებასთან ბრძოლამ. მგონია, რომ ეს ჩვენი ჩხუბი ავი სიზმარივით გაქრება.

***ნოვაია გაზეტა №76***


## საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა: ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების სტაჟირება აშშ-ში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო (ECA), აშშ-ის საელჩო საქართველოში და ამერიკული არამომგებიანი ორგანიზაცია პროექტი „ჰარმონია“ გთავაზობთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ითვალისწინებს ქართველი მეწარმეებისა და პროფესიონალების აშშ-ში 3-5-კვირიან სტაჟირებას. პროგრამის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ამერიკის ბიზნეს და პროფესიული გარემო, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კავშირების დამყარებას აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის. აშშ-ის მთავრობა თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებელი ადგილი და კვება აშშ-ში. პროგრამის მონაწილეები იცხოვრებენ ამერიკელ მასპინძელთა ოჯახებში.

**შემოდგომაზე შეირჩევა ორი ჯგუფი:**
- თბილისის ბიზნეს (10-კაციანი) ჯგუფი
- ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10-კაციანი) ჯგუფი

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნესპროგრამა ქართველ მეწარმეებს აშშ-ში ინდივიდუალური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. ბიზნესპროგრამა მოიცავს:
- ორ ორიენტაციას საქართველოში
- ინდივიდუალურ სტაჟირებას აშშ-ში
- ჯგუფურ ტრეინინგებს
- საწარმოებში მისვლას და კონსულტაციებს
- მასპინძელ ოჯახებში განთავსებას

**საზოგადოებრივი კავშირების ბიზნესპროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:**
- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული მწვანე ბარათის გათამაშებაში
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- თავისუფლად ფლობდეთ სასაუბრო და პროფესიულ ინგლისურ ენას
- ბიზნესში საპასუხისმგებლო, მმართველობით თანამდებობაზე მუშაობდეთ (გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იღებდეთ აქტიურ მონაწილეობას)
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი 13 ნოემბრამდე პროექტ „ჰარმონიის“ ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ „ჰარმონიის“ წარმომადგენლების მიერ დანიშნულ გასაუბრებაში.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 13 ნოემბერი, 2002 წელი, 17:00 საათი
როცა საბუთებს ჩააბარებთ, ჩაეწერეთ გასაუბრებაზე.
ანკეტები აიღეთ და ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:
პროექტი „ჰარმონია“, ფალიაშვილის ქუჩა 82, მე-4 სართული, ბინა 16, ტელ/ფაქსი: 22-23-49; 25-23-29
ელ-ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge
ბიზნესანკეტები ასევე შეიძლება ჩამოტვირთოთ საზოგადოებრივი კავშირების ვებ-გვერდიდან: www.projectharmony.ge/cc.htm
კონსულტაციები ჩატარდება პროექტ „ჰარმონიის“ ოფისში 5-8 ნოემბერს, 15:00-დან 18:00 საათამდე.
გასაუბრებები ჩატარდება პროექტ „ჰარმონიის“ ოფისში 15-21 ნოემბერს.



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიხიობენ

**პატარა ანანოს** ფეხში რაღაცა შეერჭო.
— დედა, ფეხში კაწკაწი მომდის! — შესჩივლა დედას.

***

**პატარა გიორგი სიფრაშვილს** თამაშის დროს ამხანაგები ეუბნებიან:
— გიორგი, ინტერვიუ მოგვეცი.
გიორგი ვერ ხვდება და პასუხობს:
— ალა მაქვს ინტერვიუ!
მერე შინ გარბის და რაღაცას ეძებს:
— ინტერვიუ სად ალი, ბავშვებს უნდა მივცე!

***

შინ დაბრუნებულ ვაჟა ბაბუას ხელგაშლილი **2 წლის მარიამ გუჯაბიძე** შეეგება.
— მარიკუნა, დასაბანი ვარ, მივიღებ შხაპს და მერე მოგეფერები.
— ბაბუ, დედა გყავს? — ეკითხება მარიამი.
— არა ბაბუ, არ მყავს.
— მაშ, ვინ უნდა გაბანაოს?

***

**7 წლის თათია** და **4 წლის ანანო** მშობლებმა ღამით სამარშრუტო ტაქსით წამოიყვანეს შინ. ანანო ეკითხება დას:
— თათი, მარშუტკაში ღამე გაგიშინჯია? მე ახლა ვსინჯავ და მომწონს.

***

დილით დედამ შუქი აანთო. **3 წლის ზვიადმა** სთხოვა: — დედიკო, ჩააქრე და საღამოსთვის შემინახე, რა?

***

**2,5 წლის სანდრომ** სავსე მთვარეს შეხედა და დედას უთხრა:
— დედა, ნახე, ლამხელა ხაჭაპური გამოცხვა ცაზე.


# უკვე გამოვიდა! ბავშვებო და მშობლებო!



ერთი წიგნი-ზღაპარი
1 ლარი და 20 თეთრი ღირს
„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში


შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამონათქვამიდან გამოტოვებულ სიტყვას: „ ... ყველაზე ბოლოს კვდებაო“.




## იპოვე 10 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1. რატომ ახამხამებს ადამიანი თვალებს?**
ა) თვალი რომ დაასვენოს; ბ) თვალის გარსი რომ გაისუფთაოს; გ) იფიქროს; დ) თვალის გარსი რომ არ გაუშრეს.

**2. რა ჰქვია კოსმონავტების ტანსაცმელს?**
ა) ტოგა; ბ) აკვალანგი; გ) მანტია; დ) სკაფანდრი.

**3. რა ნაწილებად იყოფა ლექსი?**
ა) სტროფებად; ბ) აბზაცებად; გ) თვალებად; დ) ციტატებად.




შემოხაზეთ ის ნივთები, რომლებიც ბაღში მუშაობისას გამოგადგებათ



მიიყვანე ბავშვები კარავთან

იპოვე ორი ერთნაირი ცხენი




## II რებუსი






## ჭიავორდი



| რიგითი სამხედრო მოსამსახურე | საჭიდაო ლეიბი | ნოტი | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | მჭევრმეტყველი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაშქარი, არმია | ფუტკრის სახლი | სიტყვასიტყვით ამონაწერი სხვა ტექსტიდან | სახის კუნთების მოძრაობა გრძნობების გამოხატვისას | ნაცვალსახელი | პატარა ჩიტუნია | ცხოველის თათი | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# როცა სრულ უმწეობას იგრძნობ, არ შეიძლება არ მოგენატროს დედა, რომელიც ყველასა და ყველაფრისგან დაგიცავს „ფრთებით“

ლია სტურუას ერთ-ერთი კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „იგი ცდილობს კეთილი და მშვენიერი ამოაშუქოს მახინჯისა და ბოროტის ჩრდილიდან. მისი ლირიკული გმირი ის ადამიანია, რომელიც მიუხედავად მარტოხელობის განცდისა, არ კარგავს რწმენას და „სინათლის წვეთს ამ ყიამეთში“. რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატ პოეტს, რომლის ლექსები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მართლაც არასოდეს დაუკარგავს „დიდი ხნის წინ ნასწავლი, ადამიანისთვის მქლად დადების სურვილი“, ღმერთის, სამშობლოს და პოეზიის წინაშე მუხლმოდრეკის სურვილი.

— ან კი, როგორ შეიძლება, მუხლი არ მოიდრიკო და ისე წერო ლექსი, ისე გიყვარდეს სამშობლო და ისე გწამდეს ღმერთი? ტიციანს აქვს კარგად ნათქვამი — მინდა პატარა ძაღლივით ვიცავდეო თბილისს. დალოცვილო, თუ ეს მხოლოდ პოეტური ნათქვამია, თუ ზედმეტად გამძაფრებული და ჰიპერბოლური მოგეჩვენება, ცოტათი მაინც ხომ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ ისე არ გაანადგურო, როგორც ახლა ანადგურებს ბევრი? ჩვენ ირგვლივ დატრიალებულმა ომმა, საშინელებამ და ათასგვარმა უბედურებამ ერთხანს ისე დამთრგუნა, წერასაც კი მივანებე თავი, მაგრამ ეტყობა, ის ყველაფერი — ცუდი და ნეგატიური — როგორღაც არაცნობიერში მაინც დაილექა და მერე ლექსებად ამოინთხა. რომანიც მაქვს იმ პერიოდზე, „მზეში ჩავარდნილი ქვა“ ჰქვია. უფრო, ალბათ, შეგრძნებების რომანია, „მნათობში“ დაიბეჭდა, თამაზ ჭილაძესთან. მაქვს მცირე პროზაც — პარიზული შთაბეჭდილებები. ალბათ ორივეს გამოვცემ წიგნად, როგორც კი ამის ფინანსური შესაძლებლობა გამოჩნდება.

— **რაკი პარიზი ახსენეთ, ეგებ იქაურ ამბებზე უფრო დაწვრილებით გეთქვათ?**

— პარიზში არსებობს ხელოვნების ქალაქი — „სიტე ინტერნაციონალ დ’არტ“, სადაც მხატვრებს, მოქანდაკეებს, კომპოზიტორებს, მუსიკოსებსა და მოცეკვავეებს იწვევენ და შრომისა და დასვენების კარგ პირობებს უქმნიან. მე და ელგუჯა იქ შვიდჯერ ვიყავით და ამას ღმერთის დიდ საჩუქრად ვთვლიდით. თუმცა, იქ დარჩენა არც გვიფიქრია. პარიზში დაწერილ ერთ ლექსში ვთქვი: მე მინდა დავბრუნდე ჩემს ბნელსა და უსინათლო ქვეყანაში და, როცა ამ ზამთარს გადარჩენილთა სიას ამოიკითხავენ, სადღაც კუთხეში ჩემი სუსტი ხმაც უნდა გაისმას, რომ აქა ვარ. იქ პოეტებს არ იწვევენ და რადგან ელგუჯა აღარ მყავს, წასვლის შანსიც აღარ მაქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ეს ორთვიანი გასვლები სულიერი გამდიდრების, ამოსუნთქვის, ნამდვილი დასვენების საშუალებას გვაძლევდა და ამაში არაჩვეულებრივი, მართლაც უკეთილშობილესი ადამიანი, ცნობილი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი გვეხმარებოდა.

— **წელს 35 წელი შესრულდებოდა თქვენი ოჯახის შექმნიდან. მაინც როგორ დაიწყო ელგუჯა ამაშუკელისა და ლია სტურუას — ამ ორი გამორჩეული ხელოვანის სიყვარული?**

— მაინცდამაინც არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, მგონია, რომ ინტიმი დაფარული და ხელშეუხები უნდა იყოს. ისე, ჩვენი ნაცნობობა ცნობილი მწერლისა, „ას ერგასის დღის“ ავტორის, მიხეილ კვესელავას ოჯახში დაიწყო, რომლის ქალიშვილი ჩემი ბავშვობის უახლოესი მეგობარია. ბ-ნი მიხეილი უაღრესად განათლებული ადამიანი გახლდათ. ბევრი საინტერესო რამ იცოდა, კარგად აზროვნებდა, კონსერვატიზმის ნატამალიც არ გააჩნდა. ბუნებრივია, მის ირგვლივაც ასეთივე ადამიანები იყრიდნენ თავს. ელგუჯაც იქ გავიცანი. მას იმ დროისათვის უკვე გაკეთებული ჰქონდა „გორგასალი“ და „ქართვლის დედა“. ჩემი პირველი წიგნიც გააფორმა — „ხეები ქალაქში“ ერქვა. მერე თავისთავად განვითარდა მოვლენები — სიყვარულიც მოვიდა და როცა მივხვდით, რომ თავს ერთად კარგად ვგრძნობდით, ოჯახიც შეიქმნა. მერე გაჩნდა ეკა, გვყავს პატარა, 4 წლის შვილიშვილი ელენე. სიძე ინჟინერია — დათო კვიმსაძე. ორივენი უმუშევრები არიან. არადა, ეკა კარგი მხატვარია, ინგლისურიც იცის და კომპიუტერიც, მაგრამ თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, ვერანაირად ვერ „მოვაწყვეთ“ სამსახურში. როგორც ჩანს, ამას კიდევ რაღაც სხვა უნდოდა, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებოდით.

— **ორი ხელოვანი, ორი შემოქმედი, რამდენად ეხმარებოდნენ, ან უშლიდნენ ერთმანეთს ხელს?**

— ეს ერთდროულად კარგიცაა და ცუდიც. უფრო სწორად — ძნელიც, რადგან შემოქმედი, ხელოვანი, არ შეიძლება იყოს მსუბუქი და იოლი ხასიათის. წარმოიდგინეთ, ორი ძლიერი ხასიათი, მძიმე ქვა — ხომ შეიძლება მათ დოლაბებივით გასრისონ მუსიკა, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს ორი ადამიანის ურთიერთობაში? ჩვენ კი ერთმანეთს ვავსებდით, მას ესმოდა ჩემი, გრძნობდა ჩემს პოეზიას. მაჩვენებდა თავისი ნამუშევრების ესკიზებს, ჩემს აზრს პატივს სცემდა და შენიშვნებს ითვალისწინებდა. ადამიანებს გარდა სულიერისა, სჭირდებათ კიდევ სხვა ურთიერთობები — და ეგებ არანაკლებ მნიშვნელოვანიც — მაგრამ სულიერი ურთიერთობის გარეშე ცხოვრება ტრაგიკული და აუტანელიც კია.



*სულ რამდენიმე თვეა დაირღვა ის ბუნებრივი ჰარმონია, სამ ათეულ წელიწადზე მეტი რომ აკავშირებდათ ერთმანეთთან ქ-ნ ლია სტურუასა და ბ-ნ ელგუჯა ამაშუკელს.*

*სითბოს, სიყვარულს, ერთგულებას შეჩვეული და მაინც გამუდმებით სევდიანი, თითქოს გრძნობდა, რომ მზის ჩასვლის წინ, ცხოვრების შემოდგომის დასაწყისში, ფრთამოტეხილი ჩიტივით უმწეო და უნუგეშო, ცხოვრების პირდაპირ მარტო აღმოჩნდებოდა.*

*„ამ ქვეყნიდან წავიდა კიდევ ერთი ჭკუის საკითხავი კაცი. წავიდა ხელოვანი, რომელმაც აჯობა დროს“ (რ. მეტრეველი, უნივერსიტეტის რექტორი); „წავიდა მსოფლიო მნიშვნელობის მოქანდაკე, რომლის ყოველი სიტყვა ერთგვარი ტრაქტატი იყო“ (ს. ქოიავა, სამხატვრო აკადემიის რექტორი); „წავიდა კაცი, რომლის შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა სრულიად საქართველო“ (ს. გოგიბერიძე, კულტურის მინისტრი); „წავიდა და დატოვა ფიქრი, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი, უბრალოდ, კაცი“ (ნ. ფაღავა, ბათუმის კონსერვატორიის რექტორი).*

*და მაინც, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს დანაკარგი, ალბათ, ერთგვარი შვებაა, წლების მანძილზე ყოფილიყავი იმ კაცის გვერდით, როგორიც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკე, უკეთილშობილესი პიროვნება ბ-ნი ელგუჯა გახლდათ...*

**„ჩენჩო“, შენი სხეული, ტანი, სახე ბერდება და დროის კვალი აჩნდება, სული კი არ ბერდება. ისეთებსაც ვიცნობ, სიბერეშიც რომ ბავშვებად რჩებიან.**

— **„არსებობს მუზა, რომელიც ზოგჯერ შერეკილთა სახლებში დადის“. ეს თქვენი სიტყვებია, მე კი დავუმატებდი, ყველა შემოქმედი თავისებურადაა „შერეკილი“, ჩვეულებრივ ჩარჩოში ვერ ეტევა და სადღაც აუცილებლად უნდა „ამოხტეს“, რომ რაღაც განსაკუთრებული შექმნას.**

— სამაგისოდ კარგ მაგალითს მოგიყვანთ: ქართველმა სიმბოლისტებმა — ტიციანმა, პაოლო იაშვილმა და ვალერიან გაფრინდაშვილმა ქართულ პოეზიაში შემოიტანეს სონეტის ფორმა. სონეტს, ამ მართლაც დახვეწილ და მშვენიერ სალექსო ფორმას აქვს თავისი კანონები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული. მაგრამ ბოლოს თვითონ ტიციანი ისე შეაწუხა ამ „ჩარჩომ“, რომ დაარღვია აუცილებელი საზომი რიტმი და დაწერა „კოჭლი სონეტი“. ასეა, ჩარჩოში, თუნდაც მოოქრულში, ვერასოდეს ეტევა შემოქმედი. მე რაც შემეხება, ყოფაში უფრო რბილი და დამთმობი ვარ, მაგრამ როცა საქმე ხელოვნებას ეხება, მკაცრი და ჯიუტი ვხდები. ჩემს სამყაროში სხვისი შეშვება, რაგინდ ნიჭიერიც უნდა იყოს, არ მიყვარს. ყოფისგან განსხვავებით, იმდენად კარგად ვგრძნობ თავს ჩემს წარმოსახულ სამყაროში, რომ იმ მყუდროებას ვერავის დავარღვევინებ. ჩემი ბედნიერებაა, რომ წერა ისევ შემიძლია. ელგუჯა რომ საავადმყოფოში იწვა და ძალიან მძიმედ იყო, ღამეები არ მეძინა, საშინელ დღეში ვიყავი, მაგრამ როგორც კი ჩაიძინებდა და თავს მარტო დავიგულებდი, ისევ შემეძლო ფიქრი და ხანდახან წერაც კი. აბა, მუზა რისი მუზაა — სად და როდის გეწვევა, ვინ იცის?

— **თქვენი პოეზია არასოდეს დარჩენილა ყურადღების მიღმა. კიდეც აქებდნენ, კიდეც აძაგებდნენ, თუმცა მის სიღრმესა და ფილოსოფიურობას ვერავინ უარყოფდა.**

— თავისუფალ ლექსს ჩემზე გაცილებით ადრე შოთა ჩანტლაძე წერდა, მაგრამ ჩემმა პოეზიამ ბევრი აღაშფოთა, ბევრმა გაუგებარი უწოდა. გაუძნელდათ ყურის გაჩვევა ახალი ფორმისადმი. ამბობდნენ, რომ ეს ევროპეიზმია, რომ ქართული არ არის. იმას კი ივიწყებდნენ, რომ თეთრი ლექსითაა დაწერილი ქართული ჰიმნოგრაფია. როგორც ჩანს, საეკლესიო ლიტერატურისთვის ეს დასაშვებად მიაჩნდათ, საეროსთვის კი აუცილებელ სამკაულად ითვლებოდა რითმა. მაგრამ მაინცდამაინც რითმა არ არის საჭირო, რომ ლექსში მუსიკა იგრძნობოდეს. მე მქონდა პერიოდი, როცა რითმიანი ლექსების წერა მომინდა და სონეტები დავწერე. ამან ძალიან გააოცა ჩემი ახლობლები და კოლეგები. როგორ, შენ ესეც შეგიძლიაო? — მეკითხებოდნენ. იმიტომ კი არ ვწერდი თავისუფალ ლექსს, რომ გარითმვა არ შემეძლო, გარითმვაზე ადვილი რა არის, მაგრამ ჩემს ახალგაზრდულ მაქსიმალიზმს, ამბოხს, ცნობიერების ნაკადს, შინაგან მონოლოგს, თუ ასოციაციურ აზროვნებას უფრო კარგად თავისუფალი ლექსის ფორმა მოერგო. მაშინ თავისუფალი ლექსი უფრო მომწონდა და ახლაც უფრო ჩემეულად მიმაჩნია. იქნებ აბსოლუტური სმენა არ მაქვს, მაგრამ ბებიამ, ციციშვილის ქალმა, პატარაობიდანვე ისე შემაყვარა ოპერა, რომ მუსიკისა და რიტმის გრძნობა საკმაოდ განვითარებული მაქვს. ჩემი სმენა კი მხოლოდ რითმიანი ლექსების გამოქვეყნების შემდეგ აღიარეს, რაზედაც უბრალოდ მეღიმება.

— **ეგებ ამანაც გათქმევინათ: „ვაი, სულს, ლურსმანზე დაკიდებულს, ჩემს დახშულ ყურებს, ქართული სიტყვა რომ მოშივდათ, ვითარცა პური“. იქნებ ბავშვობის უზრუნველობაში დაბრუნების სურვილი, დედის მონატრების სევდაც, იმიტომ ჟღერს თქვენს სიტყვებში: „მე დავიბადე სულიერად, მე მინდა დედა“.**

— ვიდრე დედა გყავს, მანამდე ბავშვი ხარო, ამბობენ. მე კი მგონია, ადამიანში სიკვდილამდე ცოცხლობს ბავშვი, მხოლოდ გაუხეშებულ, პრაქტიკულსა და პრაგმატულ ადამიანში კვდება იგი, მაგრამ შემოქმედში ბოლომდე ცოცხლობს, რადგან მას რჩება გაკვირვების უნარი და რწმენა, რომ შეიძლება სასწაული მოხდეს ქვეყანაზე. შენში არსებული ბავშვი რაღაცნაირად გაძლებინებს. ცუდისა და ბოროტის ჩადენას არ განებებს და თუკი ანგარიშს გაუწევ, სუფთა რჩები. ერთი მხრივ, შენი ბავშვურობა და სიწმინდე ბევრს აღიზიანებს, მეორე მხრივ, დაუცველი ხარ, როცა „ქვებს გესვრიან და ნემსებით გჩხვლეტენ“. ამავე დროს, შენი სისუფთავით ძლიერიც ხარ. შეიძლება ყოფაში მოგერიონ და ნივთიერად დაგთრგუნონ, მაგრამ სულიერად ვერ დაგთრგუნავენ. ყოფაში გაჯობებს ყველა, ვინც ბავშვი მოკლა თავის თავში, პრაგმატიკოსი აუცილებლად გაჯობებს და როცა სრულ უმწეობას იგრძნობ, არ შეიძლება არ მოგენატროს დედა, რომელიც ყველასა და ყველაფრისაგან დაგიცავს „ფრთებით“.

— **„უხმოდ ვიტანო მარტოობას“, თქვით ერთგან. „ხალხით სავსე სიმარტოვეც“ ახსენეთ მერე. რატომაა თქვენი ლექსის გმირი მარტო?**

— ადამიანი, თითქმის მუდამ მარტოა. მარტოა შემოქმედებითი პროცესის დროს, მარტოა ტკივილის დროს, მარტოა სინდისისა და ღმერთის წინაშე, მარტოა, რაც უნდა ბევრი და საყვარელი ადამიანი ეხვიოს გარშემო. და თუმცა ლექსის შექმნის მომენტში მარტო ვარ, არავისზე და არაფერზე ვფიქრობ, მერე, როცა იგი დაიბეჭდება, უკვე მარტო მე აღარ მეკუთვნის: ვიღაც კითხულობს, ვიღაცას მოსწონს, ან არ მოსწონს, ვიღაცა მსჯელობის საგნად აქცევს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტური მარტოობა, უბრალოდ, შეუძლებელია. ამერიკელ მწერალს, შერვუდ ანდერსონს აქვს ერთი კარგი მოთხრობა, სადაც ადამიანები აშენებენ ჭებს, ივლებენ გარშემო გალავნებს და იკეტებიან გაუცხოების გამო, მაგრამ ბოლოს ხვდებიან, რომ დიდი სიამოვნებით დაანგრევენ ამ ყველაფერს. ასე რომ, ადამიანს შინაგანი ბუნება მარტოობისკენაც უბიძგებს, მაგრამ არა გამუდმებით.

— **„სალონური კამათის ჯვარზე გაკვრაც მიგემნიაო“, ესეც ბრძანეთ.**

— მე სალონური კამათის ჯვარზე გაკვრა მირჩევნია დღევანდელ ცხოვრებას. გალაკტიონისა არ იყოს, მინდა წიგნების მკითხველები თუ არა, გადამკითხველები მაინც არსებობდნენ. ხელოვნებასა და პოეზიაზე ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე იმ პარლამენტარის ცხოვრებაზე, რომელსაც რამდენიმე სახლი აუგია და დიდი ბიზნესიც დაუტრიალებია. სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს სრული უწიგნურობა, უსულობა, ქართული ენის დამცირება, დაკნინება და გაუბედურება? ოღონდ წიგნი წაიკითხოს ვინმემ და მე ვიქნები მისი პირველი მაქებარი და აპოლოგეტი.

— **რას იტყვით, მართლა „ხომ არ მოგიკვდათ სიჭრელე ველთა“, ანუ, ხომ არ გარბის ახალგაზრდობის დროინდელი შეგრძნებები და ხომ არ ბერდება სული?**

— არავითარ შემთხვევაში, და ეს ერთდროულად, კარგიცაა და ცუდიც. „ჩენჩო“, შენი სხეული, ტანი, სახე ბერდება და დროის კვალი აჩნდება, სული კი არ ბერდება. ისეთი ადამიანებიც ვიცი, დაბადებიდანვე რომ მოხუცები არიან, მაგრამ ისეთებსაც ვიცნობ, სიბერეშიც რომ ბავშვებად რჩებიან. ხშირად არც კი მახსოვს, რომ ასაკი მემატება. დღესაც ბევრი 10-15 წლით უმცროსი მეგობარი მყავს — არავითარ ბარიერს არ ვგრძნობ მათთან ურთიერთობისას.

— **ალბათ გინატრიათ განვლილი დროის დაბრუნება.**

— უმიზნო, ფუჭი ნატვრა არ მიყვარს, მინდა, მაგრამ რაც შეუძლებელია, იმაზე ფიქრს აზრი არა აქვს, ამით არ უნდა ცხოვრობდე.

— **ნიჭიერება თუ სიზარმაცე, რომელი სჭარბობს თქვენში?**

— როგორც ყველა ქართველი, მეც ზარმაცი ვარ, მაგრამ ჩემს საქმეში — არა. წერა ისეთი რამეა, როცა „მოგაწვება“, მაინც არ მოგასვენებს. ყოფაში ზარმაცი ვარ, ვერ ვიტან საოჯახო საქმეს, მაგრამ რა გაეწყობა.

— **„დილამდე შუქი, უძილობა“, ესეც შემოქმედის ნატვრაა. თქვენი მეუღლე როგორ ეგუებოდა ამას?**

— იღბლად, მეც და ელგუჯაც, ნამდვილი „ბუები“ ვიყავით. დილით ადგომა სასჯელი იყო ჩვენთვის, გათენებამდე მუშაობა კი — სიხარული და სიამოვნება.

— **„ქურდი მასწავლის სათნოებას, კახპა — ზნეობას“, ეს ჩვენი დღევანდელი საზოგადოების სურათია, არა?**

— ეს დიდი ხნის წინ დავწერე. სამწუხაროდ, ერთგვარ წინასწარმეტყველებას დაემსგავსა.

— **რატომ სჭარბობს მინორი თქვენს შემოქმედებაში?**

— არ შეიძლება შემოქმედი სულ მაჟორული და ხალისიანი იყოს, დიდი ტრაგედია ტეხს ადამიანს და კლავს შემოქმედს, სევდა და მინორი, პირიქით, ხელს უწყობს შემოქმედებას. ფიროსმანი სიღარიბესა და მარტოობაში ქმნიდა შედევრებს. ფუფუნებაში რომ ეცხოვრა, ალბათ ასეთი მხატვარი არ იქნებოდა. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვი მოდილიანზე, რომელმაც შიმშილსა და სიღარიბეში დალია სული — უკეთეს გარემოში ის, ალბათ უკეთეს შედევრებს შექმნიდა. შემოქმედი იშვიათად თუ იქნება დალხენილი. გავიხსენოთ ვაჟა, რომელიც სულ შიმშილობდა, მაგრამ ამბობდა — პირში ბალახიც რომ ამომივიდეს, ცხოვრების წესს ვერ შევიცვლიო. ანდა გალაკტიონი — ის ხომ ჩვეულებრივი, რიგითი პოეტი ვერ იქნებოდა და ჩვეულებრივ კოლექტიურ პორტრეტში ვერაფრით ჩაეწერებოდა. ტრაგედიამ მასში პოეტიც მოკლა, ვეღარც კოლექტიურ მარტოობას გაუძლო და გადმოხტა, თუ გაფრინდა... მიხარია, რომ მის მიუსაფარ სულს, ბოლოს და ბოლოს, თავშესაფარი გაუჩნდა, აქამდე ალბათ როგორ დაძრწოდა, დაეხეტებოდა ქუჩებში. ახლა ღამღამობით მაინც მიდის თავის სახლ-მუზეუმში, ჯდება, ისვენებს, კითხულობს, შვებას პოულობს, საკუთარ ნივთებს ეხება და როცა იქ მეც მივდივარ, როგორც მუზეუმის თანამშრომელი და კონსულტანტი, მიხარია, რომ იქ მისი ნაკვალევი მხვდება და მის სულსაც ვეხები.

**გალაკტიონისა არ იყოს, მინდა წიგნების მკითხველები თუ არა, გადამკითხველები მაინც არსებობდნენ. ხელოვნებასა და პოეზიაზე ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე იმ პარლამენტარის ცხოვრებაზე, რომელსაც რამდენიმე სახლი აუგია და დიდი ბიზნესიც დაუტრიალებია. სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს სრული უწიგნურობა, უსულობა, ქართული ენის დამცირება, დაკნინება და გაუბედურება?**

— **„ო, რა შორია და უვალი გზები ღმერთამდე“ — მართლა ასეა?**

— ალბათ ასეა, მაგრამ როგორც არ უნდა დავბერდეთ და დავუშნოვდეთ, როგორც არ უნდა დაგვივიწყოს ყველამ, უფალი მაინც არ დაგვივიწყებს, ყოველთვის ვეყვარებით და სოპრანოს ალისფერ ვარდებსაც გაგვიფენს ფეხქვეშ და ბანების იისფერ სიღრმესაც აუცილებლად გვისახსოვრებს, თუ მისი ნებისამებრ ვიცხოვრებთ.

P.S. 16-19 სექტემბერს ქ-ნი ლია სტურუა წმინდა სინოდის მღვდელმსახურებთან, მრევლსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად კოდორის ხეობაში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ახლდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. მცირე კომენტარისთვის მივმართეთ თავად ქ-ნ ლიას:

— კოდორის ხეობა დღემდე გმირულად უძლებს თავსდატეხილ განსაცდელს, უჭირს სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობასაც. მათთვის პატრიარქის სტუმრობა დიდი შვება და სიხარული იყო. სიყვარულით ხვდებოდნენ ძვირფას სტუმრებს, დასალოცად მოჰყავდათ ბავშვები. ეს მოგზაურობა რომ უფლის ნების გამოხატულება იყო, იმაშიც გამჟღავნდა, რომ ჩვენი ყოველი გადაადგილების წინ, რაგინდ წვიმიანი და ღრუბლიანი დღე ყოფილიყო, აუცილებლად გამოანათებდა მზე და ვერტმფრენით მგზავრობა უხიფათო ხდებოდა. სვანეთში უძველესი ხელნაწერები და ხატები ვინახულეთ. ვერასოდეს დავივიწყებ იმ ცრემლებს, კოდორში ღვთისმშობლის უძველესი ხატის ხილვისას რომ მოედინა პატრიარქს, ვეწვიეთ რაჭის მაღალმთიან სოფელ ღებს, სადაც მთელ საქართველოში აღდგომის სახელზე აგებული ერთადერთი ტაძრის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ვინახულეთ აჭარის დედათა და მამათა მონასტრები...

პატრიარქის მოგზაურობამ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში სულიერი მხნეობა, ღვთის სიყვარული და იმედის სხივი გაუჩინა იქაურ მოსახლეობას.

***თამარ კაპანაძე***

CMYK

# წითელი ვარდები „არ იდარდოს“ სახურავზე



**რეზო გაბრიაძესთან ინტერვიუს აღებაზე დიდხანს ვფიქრობდი. ვისაც მისი მოთხრობები წაუკითხავს, მისი მარიონეტების თეატრი უნახავს, მისი ფანტაზიითა და ხელებით შექმნილ კაფე „არ იდარდოში“ შეუხედავს, მისი სცენარებით გადაღებული ფილმების ნახვით ცრემლი და სიხარული შეუჯერებია, იოლად გაიგებს, რატომ.**

**...იმიტომ, რომ რეზო გაბრიაძე ყველასაგან გამორჩეული შემოქმედია.**

**...იმიტომ, რომ ვერასოდეს მიხვდები წინასწარ, რას იტყვის, რას გააკეთებს.**

**...იმიტომ, რომ მისი სპექტაკლები გულწრფელ აღტაცებას იწვევს, აღტაცება კი XXI საუკუნეში ასე იშვიათად გვეწვევა ხოლმე.**

**ვინ იცის, რამდენჯერ მისულს სასაუბროდ, ხან ერთ სიტყვას გეტყვის, ხან იმ ერთსაც არა, ხან მამაშვილურად, თბილად გელაპარაკება. და რაც მთავარია, მისგან წამოსული სავსე ხარ შეგრძნებით, რომ ეს-ესაა დამაჯერებლად მოგცეს იმედი: „არ იდარდო, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლე მშვენიერია!“**

## უცნაური, თუ...

როგორ იწყება ჩვეულებრივი ინტერვიუ? ჟურნალისტი რთავს დიქტოფონს და მაგიდაზე დებს. უნდა მივმხვდარიყავი, რეზო გაბრიაძესთან ასე ვერ დავიწყებდი. რატომ ვერ მივხვდი, არ ვიცი... მანაც, ყველაზე უცნაურმა თანამოსაუბრემ არ დააყოვნა: „არა, დიქტოფონს ტვინი არა აქვს, თანაც, მთელი დასავლეთის ჟურნალისტები ფანქრითა და ბლოკნოტით მუშაობენ...“

ასე უცნაურად დაიწყო ჩვენი საუბარი და ძალიან მალე მივხვდი, რატომ გამიხანგრძლივდა ინტერვიუს ლოდინი, რატომ არ უნდოდა ბატონ რეზოს საუბარი. ეს უცნაური ადამიანი განფენილია თავის მოთხრობებსა და ნახატებში, სცენარებსა და პიესებში, მარიონეტებში და კაფე „არ იდარდოს“ კედლებში, ნახევრად ჩამონგრეული მარიონეტების თეატრის გამო გაჩენილ ტკივილში, დუქნის კედლისათვის დაწერილ მოთხრობაში და ცათმფრენში... ყველაფერი თუ არ შევკრიბე...

„არ იდარდოში“ ვარდისფერი მაგიდაა. აქ უყვარს ჯდომა რეზო გაბრიაძეს. ახლაც თვალწინ მიდგას ერთხელ ნანახი: მაგიდაზე ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტო უდევს. ეს-ესაა თვითნაკეთი აეროპლანით ადამიანი აფრენილა ჰაერში.

— მოდი, ეს მინის ჩარჩოში ჩავსვათ და დავკიდოთ. რა კარგია, არა?! — ეუბნება ერთ-ერთ მსახიობს.

ხშირად მსმენია, უცნაური კაცია, თუკი პიესაზე მუშაობს, ან წერს, საერთოდ ვერ დაელაპარაკებიო.

— ეს საკვირველია?— გულწრფელად გაუკვირდა ბატონ რეზოს, — მე ხომ არ შემიძლია ორი საქმის ერთდროულად კეთება. როცა სადილს ამზადებ და თან ლაპარაკობ, გასაგებია. მაგრამ მე ხომ სადილს არ ვამზადებ. მე იმხელა გათვლასთან მაქვს საქმე!

და კიდევ ერთი... თუკი ერთხელ მაინც შეესწარი, როგორ იქმნება პერსონაჟი, როგორ უჭირავს ხელებში ბატონ რეზოს ნამცეცა კოსტიუმები, როგორ ხაზავს უბრალო ადამიანებისათვის გაუგებარ სქემებს, აკვიატებულ კითხვასაც გასცემ პასუხს: ვინ არის ის? — უცნაური, ჭირვეული კაცი თუ უბრალოდ ნამდვილი ხელოვანი?

## ელიტოპოლში, „ნემეცის“ ქუჩაზე, ძუყნურში და ცხადში

**რუსუდან ბოლქვაძე** (მსახიობი): ბატონ რეზოზე საუბარი ძალიან ძნელია, რადგან იგი უკიდეგანო და ამოუწურავია. დემიურგივით საკუთარ სამყაროს ქმნის, სადაც თავადვეა ერთადერთი და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი. ამ საოცარ სამყაროსთან ყოველი შეხება უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. „სტალინგრადის ბრძოლა“ რომ ვნახე, გაოგნებული დავრჩი.

ვგიჟდები, როგორ იგონებს ასეთ სცენებს. ყოველ ჯერზე, როცა ვკითხულობ, ან ვუყურებ მის ნაწარმოებს, თავიდან მიყვარდება. მე მიყვარს რეზო გაბრიაძე, როგორც ნიჭიერი ადამიანი. მისი ნამდვილი სახე მისი შემოქმედებაა და ადამიანი, რომელიც ასეთ რამეს ქმნის, შეუძლებელია არ გიყვარდეს... ის ახერხებს, რომ გაგაცინოს და თან ცრემლი მოგგვაროს.

ბატონ რეზოს არაერთი შედევრი აქვს შექმნილი, ბევრიც — გადმოქართულებული, როგორც თვითონ ამბობს, უცხო ნაწარმოების ტრანსპლანტაციას აკეთებდა ქართულ ნიადაგზე. თუნდაც „ჩვენი პატარა ქალაქი“... ეს ხომ შედევრია. თითოეულ სიტყვას ოქროს ფასი აქვს: „სუნამოთი დანამული მარაოები“, „ლეღვის ნელი ცრემლი“ და რა ვიცი, რომელი ერთი ვთქვა. მართლაც ეს ნელი ცრემლია, რასაც მის სამყაროსთან შეხება განიჭებს. ეს საოცარი სინატიფეა. მე „ჩვენს პატარა ქალაქში“ პაწაწკინტელა როლი მაქვს. სპექტაკლის განმავლობაში უმეტესად კულისებში ვარ. სცენაზე სულ სამჯერ გამოვდივარ. დანარჩენი — ვზივარ ჩემს ოთახში მარტო, ვუსმენ რადიოში ტექსტს და ვნეტარებ... ზოგს, შეიძლება, არც აქვს გაცნობიერებული, მაგრამ მისი ფრაზებით ლაპარაკობს... „ბატონი ბონა“ რომ ჰქვია აფთიაქს, განა რა არის ეს? ან ვიღაცა, რომ ვიღაცას დაუძახებს: „ნარდი პერის ეთამაშეო“... ქართველები მისი ფრაზებით ლაპარაკობენ! ეს ბატონი რეზოს დიდი გამარჯვებაა .ამაზე დიდი ბედნიერება შემოქმედისათვის არ არსებობს.

**გივი ქაშიბაძე:** ბატონ რეზოსთან ერთხელ ლენინგრადში „კოჯრის ტყის ზღაპრების“ გადაღებაზე ვიმუშავე, მეორედ „ედელვაისს“ და „დეგუსტატორებს“ ვიღებდით გარიყულაში... მთელი ჯგუფი ველოდებოდით მის გამოჩენას. სითბოთი, უბრალოებით, ანეკდოტებით სავსე კაცია. გარიყულაში ამოვიდოდნენ ის და გივი ბერიკაშვილი, გამაგზავნიდნენ კოლას დუქანში, ამოვიტანდი ერთ ყუთ ღვინოს და იწყებოდა, რაც იწყებოდა... მას შეეძლო დღესასწაული შეექმნა ჩვენთვის.

**ლერი მაჩაიძე:** ის რომ ჩამოვიდა მოსკოვიდან და სტუდიაში მოვიდა, ძალიან კარგი წლები იყო. ბევრი ნიჭიერი რეჟისორი, სცენარისტი გამოჩნდა მაშინ... რეზო გაბრიაძე სულ უბრალოდ, ბუნებრივად შემოვიდა ჩვენთან. ისეთი მოყოლა იცოდა, შეიძლებოდა, გული გაგსკდომოდა სიცილით. თანაც, რაში არ დაგარწმუნებდა. ერთხელ მიამბო, როგორ დადიოდნენ ქუთაისში ბავშვები და ყორღანებში ეძებდნენ თემურ ლენგის ნაწილებს. ტრაქტორმა დიდი არხი გაიყვანა და ყორღანები გაჩნდაო... ამას ხუმრობდა, მაგრამ ისე სახიერად ჰყვებოდა, რომ მართალი გვეგონა.

1972 წელს „თეთრი ქვები“ გადაიღო. რაც გადაღებისას ხდებოდა, წარმოუდგენელი სანახაობა იყო. რეზომ შეკრიბა თუკი ვინმე იყო ქუთაისში. თეთრ ქვებზე მოვაწყვეთ მიზანსცენა, ავაგეთ ფოტოგრაფის ოთახი... რეზო გაბრიაძემ გადაღება დღესასწაულად გვიქცია. ძლივს ვაჩუმებდით, რომ სიცილით არ დავხოცილიყავით. ასეთი თავმდაბალი და თბილი ადამიანი სხვა არც მეგულება. როცა გადამღები ჯგუფი ისვენებდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ სიხარული ეჩუქებინა ჩვენთვის...

ქუთაისელებს როგორ უყვართ! გაოცებული ვიყავით, ქუთაისელებისა და მისი ურთიერთობების შემხედვარე. ახლა გადაღების პერიოდში არ იკითხავთ, როგორი იყო? ისეთ რამეს მოიფიქრებდა, რომ გადასაღებად კი არა, ჩვენ წარმოსადგენადაც კი გაგვიჭირდებოდა. ერთი ასეთი სცენა მოიფიქრა: გაქცევას ვიღებდით — ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით გარბოდა. ცხენოსანს თავზე ბოხოხი ედო. ცხელოდა. ამ ცხენოსნის ბოხოხიდან ცეცხლის ალი უნდა ამოვარდესო. როგორც იქნა მოახერხეს: ქუდში დენთი ჩადეს, შეაერთეს დენზე. დანიშნულ დროს მართლა ცეცხლი არ ამოვარდა მოჯირითის თავიდან?! ასეთ საოცრებებს გვაკეთებინებდა. 3 თვე გაგრძელდა იქ მუშაობა და მე თვითონ შევიცვალე ამ პერიოდში. უბედნიერესი დღეები გვაჩუქა.

## „ისა სჯობიან, შვილოსა“

მე არ ვიცი, რა ჰქვია ამას: რაც არ უნდა დამძიმებული მიდიოდე კაფე „არ იდარდოში“, როგორი ფორიაქიც არ უნდა გქონდეს სულში, უცებ გეხსნება ყოველივე. ძალიან კეთილ სამყაროში შედიხარ. ზღურბლზე ბატონი რეზოს ხელით არის წაწერილი: „ისა სჯობიან, შვილოსა, ფეხი გაუსვა ტილოსა“. იქვე, „ადამიანების კარის“ გვერდით მინიატურული კარია გამოჭრილი ფისოებისათვის. დიახ, არც სამყარო და არც ეს კაფე მხოლოდ ადამიანების კუთვნილება არ არის.

„არ იდარდო“ ყოველთვის იალქნიან ნავს მაგონებდა. ერთხელ, ამ ნავში ვიჯექი და ბატონ რეზოს ველოდებოდი, როდის დაამთავრებდა მორიგ ნახაზზე მსჯელობას. უეცრად მან თავი ასწია და ხალისიანად გამოეხმაურა ვიღაცას:

— მოხვედი? მოდი, მოდი, შემოდი, ვინ შემოვა შენზე უკეთესი ამ კაფეში?! გრცხვენია?! ნუ გერიდება, მოდი ჩემთან...

დავიგრძელე კისერი და კარს იქით გავიხედე. იქ, მეორე ოთახში, დაბნეული დარბოდა ლამაზი ძაღლი.

## ლოკომოტივი ჩვენს სულებში

ახლახან გამომცემლობა SANI-მ გამოსცა რეზო გაბრიაძის ახალი წიგნი „ქუთაისი ქალაქია“.

რა თქმა უნდა, ის კეთილი ფრაზები და პერსონაჟები მის შემოქმედებაში, ყველას რომ თანაბრად აგრძნობინებენ სევდასა და სიხარულს და არანაირ საზღვრებს რომ არ ცნობენ, მისივე სულიდან მოდიან. იქ ყველაფერი ისეთი მსუბუქია, თითქოს მშვენიერ მარგალიტას მკერდზე დასასვენებლად ემზადება: „მარგალიტას თეთრი ქვა ედო საფლავზე. ზედ გაფერადებული ფოტო იყო დამაგრებული. ცოტა წამოწვიმა. ქვა ფირუზისფერი გახდა. აი, იმ ქვასთან გავიგე მადლიერების გრძნობით, რომ ჩემი პირველი ნაწარმოები ღრმად არის ჩამარხული მიწაში მშვენიერი მარგალიტას მკერდზე. ასეთი ყოფილა მისი უკანასკნელი ნება“ („მოთხრობა დუქნის კედლისათვის“).

ტყუილად როდი წარუმძღვარა ბატონმა რეზომ ამ მოთხრობას კიპლინგის სიტყვები: „ყველაზე ნაზი და სათუთი, რაც ადამიანს შეუქმნია, ეს არის ლოკომოტივი“. შემოქმედება სამყაროსთან ის დამოკიდებულებაა, რომელიც ლოკომოტივს საკუთარ სულში გაპოვნინებს, რომლის ძალითაც ფრენაზე ვოცნებობთ.

## ცხვირა კაცის ამბავი

ერთხელ ბატონმა რეზომ მიამბო: არ დაიჯერებთ, რომ გითხრათ, თხუთმეტი წელი მქონდა სამამულო ომი: დავრგავდი კაფის წინ ვარდს, გასრესდნენ, დავრგავდი — მოტეხდნენ. ერთხელაც, ის-ის იყო აყვავდა ვარდი. აივანზე ვდგავარ. ვხედავ, მოდის ერთი კაცი, ახტა როგორც თხა (არც დაეზარა!), გამოვარდა აქეთ. ჯერ ერთ ნესტოზე მიიჭირა თითი, მერე მეორეზე და მიაცხვირა ვარდს. გესმით? ავიღე ნაჯახი, ჩამოვედი, მოვჭერი ის ვარდი და გადავაგდე...

მაისში მარიონეტების თეატრის სახელოსნოში განახლებული „ჩემი გაზაფხულის შემოდგომის“ გენერალურ რეპეტიციაზე მივედი. სიცოცხლის მძლავრ ტალღასავით შემომეფეთა: წითლად ყვაოდნენ ვარდები „არ იდარდოს“ სახურავზე.

***ლელა ჯიყაშვილი***

# ნუცა ამერიკული ტურნესთვის ემზადება




*მთელი მისი ცხოვრება რისკზეა აგებული. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მოსკოვში სწავლა გადაწყვიტა — მეგობარმა აუღო თვითმფრინავის ბილეთი — ჯიბეში კი მხოლოდ ათი დოლარი ედო. ერთი პერიოდი კაფეში მუშაობდა. თავისუფალ დროს ინსტრუმენტს მიუჯდებოდა და მღეროდა. დარწმუნებული იყო, ოდესმე შეამჩნევდნენ... მეგობარმა — მსახიობმა ჟან დანიელმა ურჩია, დროდადრო მუნიციპალური თეატრის მცირე სცენაზე ემღერა. მართლაც შეამჩნიეს... ასე დაიწყო* ***ნუცა ჟანჟიაშვილის****, როგორც მომღერლის კარიერა.*

*— ყოველ საღამოს მოდიოდა ვლადიმირ პრესნიაკოვი — იჯდა და ყურადღებით მისმენდა... ერთ მშვენიერ დღესაც მომიახლოვდა და მითხრა — იქნებ იალტის ფესტივალზე გაემგზავროო... ჭკუაში დამიჯდა — მეორე დღესვე გავუგზავნე ჩემი ჩანაწერები ფესტივალის ორგანიზატორებს. სულ მალე მოწვევა და თვითმფრინავის ბილეთები მივიღე — ჰყვება ნუცა...*

*ეს მისი პირველი წარმატება იყო.*

*ამერიკაში მოგზაურობისას, ფრენკ სინატრას დაკრძალვის დღეს კიდევ ერთხელ რისკავს და ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ საკონცერტო დარბაზში მღერის სინატრასავე „ნიუ-იორკ, ნიუ-იორკს“... საბედნიეროდ, რისკი კვლავ ამართლებს და აუდიტორია ოვაციას უმართავს...*

*პარალელურად იწყებს თეატრზე ფიქრს...*

*ეს ნატვრაც აუხდება — მიშა ეფრემოვი რუსეთის დრამატული თეატრის სცენაზე იწვევს და მთავარ როლს ანდობს სპექტაკლში „ზღვარზე“. ისევ რისკი და წარმატება... ამ როლისთვის ნუცას რუსეთში ყველაზე მნიშვნელოვან პრიზს „Чайка“-ს ანიჭებენ.*

*ნინო ანანიაშვილის იუბილეზე თანამედროვეობის უდიდეს რეჟისორს რომან ვიკტიუკს ხვდება... მისი ნიჭით აღფრთოვანებული ხელოვანი ცნობილ ფრაზას ამბობს: „არასდროს მინახავს მომღერალი, რომელიც ასე თამაშობდეს და მსახიობი, რომელიც ასე მღეროდეს“ და სპეციალურად მისთვის დგამს სპექტაკლს — „ედიტ პიაფი“.*

*„ედიტ პიაფმა“ ნახევარი მსოფლიო დაიპყრო. სწორედ ამ სპექტაკლზე შედგა ელენა ობრაზცოვას და ნუცას გახმაურებული დუეტი. „გაოგნებული ვარ მისი ნიჭით და შესაძლებლობებით, ის უბრწყინვალესი, უდიდესი მომღერალია“ — თითქმის ყვირის სცენაზე ობრაზცოვა, ხელიდან ბრილიანტებით მოჭედილ ოქროს ბეჭედს იხსნის და ახალგაზრდა მომღერალს ჩუქნის.*

*ნუცასთვის დაიწერა მხატვრული ფილმის სცენარი...*

*ნუცაზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი სერიისთვის — „გამოჩენილი ადამიანები...“*

*წარმატების ზენიტში მყოფმა ყველაფერი მიატოვა და სამი თვით ნიუ-იორკს გაემგზავრა...*

***ცოტა ხნის წინ კი ნუცა თბილისში დაბრუნდა.***

*აქამდე რაც მოგახსენეთ, ჩვენმა მკითხველმა რამდენიმე თვის წინ ჩვენივე მასალიდან შეიტყო...*

*კონცერტი რესტორან „სარაჯიშვილში“ და თბილისობაზე შესრულებული სიმღერა — ამჯერად მხოლოდ ამ პროგრამით წარდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე. როგორც მღერის და როგორც თამაშობს, სწორედ ისევე ენერგიულად და ემოციურად საუბრობს... თვალები უცნაურად უელავს და ბედნიერებით გაბრწყინებულ სახეს ვერ მალავს...*

— ეს რა ყოფილა სიყვარული... საშინელი ძალა ჰქონია. ასე მგონია მთებს გადავდგამ. ექვსი თვის წინ გავიცანი ჩემი მენეჯერი თემურ ტაგიევი და ახლახან შევუღლდით. სიყვარულმა იმხელა ენერგია და ძალა მომცა, ვერ ვჩერდები — სულ მინდა რაღაც ვაკეთო — ვხატო, ვითამაშო, ვიმღერო...

— **ამერიკაში რას აკეთებდით?**

— ამერიკაში ვიჯექი და ვხატავდი საკუთარ სიმღერებს. თორმეტი წელია ფუნჯი ხელში არ ამიღია — საშინლად მომნატრებია ხატვა. უამრავი ნახატი შევქმენი.

— **როგორია ტილოზე გადატანილი თქვენი სიმღერები?**

— სხვათა შორის, ჩემი ხმისგან განსხვავებული, თუმცა, განწყობა საერთოა — ანუ თან ჰგავანან, თან — არა. ჩემი ხმა, მოგეხსენებათ, ცოტა ჩახლეჩილია, ნახატები კი — გამჭვირვალე გამოვიდა. ვთვლი, რომ ფერები შედარებით იმპრესიონისტულია.

— **თბილისში რამდენ ხანს დარჩებით?**

— სამწუხაროდ, 3 ნოემბერს უკვე მოსკოვში უნდა ვიყო — სპექტაკლები მაქვს.

— **შემდეგ, როგორც ვიცი, ისევ ამერიკაში მიემგზავრებით...**

— ზამთარში ნიუ-იორკში მოვაწყობ ჩემს გამოფენას და კონცერტს. ვგრძნობ, რომ არაჩვეულებრივი დღეები მელის. ნიუ-იორკის გარდა ვიმღერებ ნიუ-ჯერსის, ვაშინგტონის, ბოსტონის, ჩიკაგოს და ბოლოს კალიფორნიის საკონცერტო დარბაზების სცენებზე...

— **აქ კი მხოლოდ ერთი-ორი სიმღერით — მათ შორის აჩიკო მეფარისძესთან დუეტით გიცნობენ...**

— აჩიკოც გამოვა ჩემთან ერთად ამერიკაში და ამ სიმღერას შევასრულებთ. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი დუეტი ნიუ-იორკში რამდენიმე ტელეარხზე ყოველდღე ტრიალებდა.

— **ელენა ობრაზცოვას და თქვენს პროექტზე რას მეტყვით?**

— მე და ქალბატონ ელენას ახალი პროექტი გვაქვს — ვაპირებთ ერთად გავმართოთ ჯაზ-როკსაღამო. მოლაპარაკებები გვქონდა მარსალესთან და ალბათ ისიც შემოგვიერთდება. ეს საღამო პეტერბურგში შედგება.

— **თბილისობაზე რაღაც ახალი სიმღერა შეასრულეთ...**

— „ჰიმნი საქართველოზე“. ამერიკაში გავიცანი არაჩვეულებრივი ქალბატონი ტანია ლებედინსკაია, რომელსაც გაგიჟებით უყვარს საქართველო და ქართველები. ამ ქალბატონმა ისე შექმნა ლექსი საქართველოზე, რომ აქ ნამყოფი არ არის. მე დავწერე მუსიკა. ეს ჰიმნი უკვე მოისმინეს ქართველმა ემიგრანტებმა, აღფრთოვანდნენ და ცრემლად დაიღვარნენ. მგონი, თბილისელ მსმენელსაც მოეწონა.

— **ვიცი, რომ კიდევ ერთი ცნობილი ადამიანი გაიცანით ამერიკაში...**

— მართალია, შევხვდი დაიანა როსსა და მასთან ბევრი ვისაუბრე. დავრწმუნდი, რომ მართლაც არაჩვეულებრივი ქალბატონია... ჯერჯერობით ერთად არაფერს ვგეგმავთ, მაგრამ, ვინ იცის, რა იქნება მომავალში.

— **თქვენს აქ არყოფნაში დედათქვენი ახალგაზრდა რეჟისორმა მიიწვია საკუთარ ფილმში.**

— ვიცი. მასალა ვნახე. შოთიკო კალანდაძე ეროტიკულ ფილმს იღებს.... წელანაც გითხარით — ვგიჟდები ადამიანებზე, რომელთაც ჰყოფნით თავხედობა შექმნან რაღაც ახალი. ვერ ვხვდები, რატომ ვერ იგებენ ამას — მშვენიერი იდეა და მშვენიერი ფილმია. გავიგე, მონტაჟთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს პროცესი დავაჩქარო. თუ აქ არ გამოვიდა, ჩემს რუს ან უცხოელ მეგობრებს ვთხოვ დახმარებას. ისინი უარს ნამდვილად არ მეტყვიან.

— **ნუცა, თუ ხართ საქმის კურსში რა ხდება აქ, ქართულ ესტრადაზე?**

— არაფერი საგანგაშო. აქ გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე რუსეთსა და უცხოეთში. თბილისში გამუდმებით ჩართული მაქვს ტელევიზორი და სიამოვნებით ვუსმენ ახალგაზრდა ქართველ შემსრულებლებს. ქართველი ერი საოცრად ნიჭიერი და მუსიკალურია. მერწმუნეთ, ჩემი თანამემამულის ერთი წაკნავლება გაცილებით სჯობს რუსი პროფესიონალის ვითომდა კარგ სიმღერას...

— **თბილისს როდის ეწვევით „ედიტ პიაფით“ და სოლო კონცერტით?**

— გაზაფხულზე აუცილებლად დავბრუნდები ჩემს მონატრებულ ქალაქში და გავმართავ კონცერტს. უკვე მქონდა მოლაპარაკება დათო ოქიტაშვილთან. მანამდე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველო სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს.

***ეკა მახარაშვილი***

CMYK

# სოფლელი ვამეხი „გასვეტდება"



ტელესერიალის „ძილის წინ" ერთგული მაყურებელი უკვე შენიშნავდა ახალ პერსონაჟს, ღიმილისა და მხიარულების მომგვრელ ვამეხს, რომლის როლსაც ოჯახში გიორგი II-ედ წოდებული 12 წლის **გიორგი ბუბაშვილი** ასრულებს. ფილმში რუდოლფ ღონღაძის ძმისშვილი და სადამ ჰუსეინის სამეფო კარზე ერაყში აღზრდილი ვამეხი-გიორგი ძალიან საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა.

— **გიორგი, სამსახიობო ხელოვნებას დიდი ხანია ეუფლები?**

— ხუთი წელია. სკოლა-სტუდია „ბერიკებში" ვსწავლობ. მინდა პროფესიონალი მსახიობი გავხდე.

— **გავიგე მთელი ღამის უძილო ყოფილხარ, თურმე რაღაც ფილმის გახმოვანებაზე მუშაობ.**

— ჰო, გუშინ გავახმოვანე „პატარა სტიუარტი" კინოთეატრ „რუსთაველში" ზვიოსთან ერთად.

— **ტელესერიალში როგორ მოხვდი?**

— ამ ფილმის ჩვენება რომ დაიწყო, სურვილი გამიჩნდა ნინო ღონღაძის ძმა მეთამაშა და გიოსთვის „გამეხურებინა". თუმცა, ამ იდეას განუხორციელებლად ვთვლიდი, მამამ გადაწყვიტა ფილმის რეჟისორებს დაკავშირებოდა და ჩემი სურვილი მათთვის გაენდო. მიმიწვიეს სინჯებზე, ტიპაჟი მოეწონათ და ვამეხის როლზე დამამტკიცეს. სხვათა შორის, თავიდან ფიქრობდნენ, მხოლოდ ერთხელ მიმეღო ფილმში მონაწილეობა, მაგრამ როგორც ჩანს, მოვეწონე და გადაწყვიტეს, რომ სერიალში მონაწილეობას გავაგრძელებდი, ოღონდ გაგანდობთ და გეტყვით, რომ მოგვიანებით ვამეხი „გასვეტდება".

— **როგორც გავიგე, უცხოეთში უფრო გიცნობენ, ვიდრე საქართველოში. მონაკოში მაყურებელი გაგიგიჟებია „ბერიკების" სპექტაკლში ნათამაშები როლით.**

— ვფიქრობ, ეს გადაჭარბებული ნათქვამია. მართლაც ბევრი სპექტაკლი მაქვს ნათამაშები, კონცერტებზეც გამოვსულვარ, მაგრამ არავინ გამიგიჟებია. უბრალოდ, მოვეწონდი მაყურებელს, ალბათ ჩემი გულწრფელი თამაშის გამო. უცხოეთში ქართველები მოსწონთ. მახსოვს მონაკოში როგორ ყვიროდნენ ქუჩაში — ქართველებო, ძალიან მაგრები ხართო. საფრანგეთშიც და გერმანიაშიც საინტერესო პროგრამები წარვადგინეთ და ალბათ ამიტომ დაინტერესდა მაყურებელი.

— **გიორგი, მსახიობობა გადაწყვიტე?**

— დიახ. გადაწყვეტილი მაქვს ჰოლივუდში წავიდე და დავიპყრო. ალბათ ფიქრობთ, რომ ბაქია ვარ... არა, ვკითხულობ ჰოლივუდის მსახიობების ბიოგრაფიებს და ვგიჟდები, თითქმის ყველა ღარიბი ოჯახის შვილია და სანამ ვარსკვლავები გახდებოდნენ, ათას სისულელეს სჩადიოდნენ. მე კი, კაი ოჯახის და კაი დედ-მამის შვილს რამ უნდა შემიშალოს ხელი თუ შრომას და ენერგიას არ დავიშურებ.

— **კინოსკენ უფრო გეწევა გული თუ სცენისკენ?**

— რა გითხრათ? მგონი, კინოსკენ. ისე უცხოეთში სხვა ქვეყნების ბავშვების სპექტაკლებს რომ ვუყურე, მივხვდი, რატომ გავხდით მაშინ პირველები. ისინი მხოლოდ იმიტომ იმანჭებოდნენ და იგრიხებოდნენ, რომ სიცილი გამოეწვიათ მაყურებელში. ქართველები კი ვცდილობდით მაყურებელი ჩვენს თამაშში ჩაგვეთრია და შესაბამისად სხვა ემოცია ჩნდებოდა უკვე. ისე, იცით რა მინდა გითხრათ? ცუდი ტენდენცია შეიმჩნევა ჩვენს თაობაში. ბიჭებს თეატრზე მეტად კინო გვაინტერესებს.

— **როგორც ჩანს, შენ სერიოზულად დაუფიქრებიხარ ამ პრობლემას.**

— ჩვენი თაობა წიგნთან გაუცხოებული თაობაა და ამიტომაც ნაკლებად აქვს მისწრაფება თეატრალური ცხოვრებისკენ. ჩვენი თაობა კომპიუტერის, ტელევიზიის და მსგავსი მაცდუნებლების სამყაროში ცხოვრობს. თითოეული ჩვენგანი შინ რომ ჩაიკეტოს, ისე გაერთობა, რომ გარეთ გასვლაც კი არ გაახსენდება. ვფიქრობ, ეს ძალიან ცუდია და ჩვენი ტვინის უჯრედებს ჩაკეტვის საფრთხე ემუქრებათ.

— **შენთან საუბარმა დამარწმუნა, რომ პრეზიდენტის სტიპენდიანტიც შემთხვევით არ გამხდარხარ.**

— პრეზიდენტის სტიპენდიანტობაც ჩემი ოცნება იყო. შემდეგ ასე განვითარდა მოვლენები, „ბერიკებში" ყოფნამ წარმატებები მომიტანა და თავისთავად, ბუნებრივად ეს ოცნებაც ამისრულდა.

— **საოცარია, ტელესერიალში თამაში გინდოდა და აგისრულდა, პრეზიდენტის სტიპენდიანტობა გინდოდა, ესეც აგისრულდა. დღეს რაზე ოცნებობ?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით *(იცინის)*. მეშინია, არ გავითვალო. თანაც ამ წუთში, მიღწეულითაც კმაყოფილი ვარ.

— **გიორგი, თაყვანისმცემელი გოგონების ნაკლებობას ხომ არ განიცდი თუ გირჩევნია თავად იყო თაყვანისმცემელი?**

— აუ, გოგოებთან ფანტასტიკური, მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს, კაი ვინმეები არიან..

— **თქვენი თაობა ვაჟკაცობად რას მიიჩნევს?**

— ვფიქრობ, ვაჟკაცობის გამოვლინება თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. არიან ბიჭები, რომელთაც ვერაფერს გაუბედავ, იმიტომ რომ მათ თავისი ცხოვრების კანონები აქვთ. ხშირ შემთხვევაში შეიძლება ეს ძალაზე იყოს დამოკიდებული. მე ვერავინ დამჩაგრავს, იმიტომ, რომ ჩემი კაცური გაგება მაქვს.

— **რას ნიშნავს ეს თქვენი გაგება, როგორ ფიქრობ, კაცი ღმერთისგან უნდა იყოს დაფასებული თუ კაცისგან?**

— ადამიანი, რომელიც ცდილობს რომ კაცისგან დაფასებული იყოს, მარტო თავის ხორცზე, სხეულზე ფიქრობს. მაგრამ ის, ვინც სულიერებაზე ფიქრობს — ღმერთისა და ადამიანისგან ერთნაირად ფასდება.

— **შენს თაობას რას უსურვებ?**

— ყველაფერ კარგს. ასე მგონია, ჩვენი თაობის სახით ჭკვიანი, მებრძოლი სული, პატრიოტი ბავშვები მოდიან. შეიძლება ოცდაოთხი საათი საქართველოზე არ ვლაპარაკობდეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულობა ჩვენში ჩამკვდარია. რუსულ ტელეარხზე გადის გადაცემა „პატარა პოლიტიკოსები" და ვატყობ, რომ იქაც ისეთი თაობა მოდის, რომელსაც ომი არ უნდა. ამიტომ ვუსურვებ ჩვენს თაობას, რომ გონებრივად და სულიერად სრულყოფილები ვიყოთ.

*ეკა ლომიძე*

# კასკადიორივით ვიყავი თვითმფრინავის კაბინიდან გადმოკიდებული



პირველი სექტემბრიდან პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე" ეთერში **ნინო კურატაშვილთან** ერთად გავიდა. თუმცა, ნინო კარგა ხნით ადრე გახდა პოპულარული, „მაგთი GSM"-ის სარეკლამო კლიპით „ვერსად დამემალები", მას ტელე და შოუბიზნესის სამყაროში საინტერესო ფრაზით მოიხსენიებენ, „გოგონა, რომელსაც არ აწუხებს ვარსკვლავური დაავადებები". მართლაც, უშუალო, უბრალო და თბილი ღიმილით სავსე ნინო იოლად იპყრობს ირგვლივმყოფთა გულებს, ინტერვიუც ალბათ მისი უკეთ გაცნობის საშუალებას მოგცემთ.

— **როგორც ვიცი, ტელევიზიაზე ადრე, გადამღები კამერის წინ აღმოჩნდი...**

— როგორც ყოფილი მოცეკვავე, ხშირად ვიყავი კამერის წინ. ხშირად გვქონდა გადაცემები და კონცერტები. ნანა მჭედლიძეს უნდა გადავეღე ფილმში, მაგრამ იმ პერიოდში სახელმწიფო გამოცდები მქონდა და სამწუხაროდ, გადაღება ველარ მოხერხდა. როცა „მაგთის" კლიპის გადაღებაზე მიდგა საქმე, მაშინ კვლავ ქალბატონი ნანას ინიციატივით ჩემზე შეჩერდა არჩევანი. დამირეკეს და გადასაღებად მიმიწვიეს.

— **შენზე ამბობენ, ვარსკვლავური დაავადებები არ აწუხებსო.**

— არა, რა მოსატანია ამგვარი რამ. პოპულარობას ნამდვილად არ გავუმაყებივარ. სულაც არ მინდა ყურადღების ცენტრში ყოფნა მუდმივად. ზოგჯერ ვერ მცნობენ და ეს ძალიან მომწონს. ამას წინათ ტელევიზიაში შეცვლილი ვარცხნილობით მივედი, დაცვამ ვერ მიცნო და სანამ საშვი არ ვაჩვენე, სამსახურში არ მიშვებდნენ. გულიანად ვიცინე ამ ამბავზე.

— **შენზე ამბობენ, შვეულმფრენს მართავს და მგონი საკუთარის ყიდვაზეც კი ოცნებობსო.**

— ეგ ხუმრობაა. „მაგთის" 5 წლის იუბილესათვის გადაღებები გვქონდა და მაშინ ჩავჯექი პირველად შვეულმფრენში. ძალიან მეშინოდა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო ზემოდან ყველაფერი, ისეთი კარგი პილოტი გვყავდა, შიში გადამავიწყდა. მერე საჭესთანაც კი დამსვა პილოტმა და მანევრებიც მაკეთებინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მე, ვისაც შიშით გული მისკდებოდა, შვეულმფრენით ფრენის წარმოდგენაზე, წელზე თოკმიბმული, სანახევროდ კაბინიდან ჰაერში გადაკიდებული გადამიღეს ფილმში. ისე მომეწონა ყველაფერი ეს, რომ კასკადიორივით მერე თავად ვიღებდი კადრებს ვიდეოკამერით. ჩვენი რეჟისორი სერგო ბუილიშვილიც ძალიან მიწყობდა ხელს ამ ორიგინალურ გართობაში.

— **არ გეშინოდა, სერგოს სამაგიერო რომ გადაეხადა? მან ხომ ლამის შენი წყალობით გაიხეთქა ერთხელ ნიკაპი.**

— *(იცინის)* სულაც არ იყო ჩემი ბრალი. ბავშვობიდან მიყვარდა ციგურები და ფიგურული სრიალი. ერთხელ, 20 წლის მერე, ბავშვობის გახსენება გადავწყვიტე და ვინც კი აიტაცა ჩემი წინადადება, ყველა წამოვიდა ყინულის მოედანზე. სერგო, როგორც ყოველთვის, იქაც სერიოზულად, — ჰალსტუხსა და კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ჰოდა, ფეხი აუსხლტა და ნიკაპიც გაიხეთქა.

— **ალბათ მაშინ გამოიყენე შენი ნამდვილი პროფესია ექიმობა და პირველადი დახმარებაც აღმოუჩინე.**

— კი, ბატონო, რაც მთავარია, ის გამახსენდა პირველად, რომ ჰიპოკრატეს ფიცის თანახმად, დაზარალებული არ უნდა შემეშინებინა, მაგრამ ისეთი სანახავი იყო, ძლივს დავიოკე მღელვარება. ისე კი, სამედიცინო ცოდნას, ძირითადად, შინ ვიყენებ, თუ ვინმეს ნემსის გაკეთება სჭირდება, არ დავზარდები. ან თუ ვინმეს რამე ასტკივდება, ვურჩევ რა დალიოს.

— **მაინც რას არჩევ, ძირითადად, ლუმინალს თუ ანალგინს?**

— გააჩნია, ვინ რითია ავად.

— **ტელევიზიაში, როგორც ვიცი, მეორე არხით მოხვედი.**

— დიახ. იყო ასეთი გადაცემა „შავი ყუთი", რომელიც ერთხანს მიმყავდა. ჟურნალისტის პროფესია ძალიან მომწონს და კვალიფიკაციის მისაღებად ინტერნიუსის კურსებზეც დავდიოდი, სიუჟეტებიც გავაკეთე, მაგრამ ახლა ისეთი დატვირთული ვარ, რომ კორესპონდენტობას ნამდვილად ვერ შევძლებ.

*ეკა ლომიძე*

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისთვის და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73

სახლიდან გაუსვლელად

**ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნას ქართლის სამეფო, ანუ იბერია, როგორც მას ბერძნები და რომაელები უწოდებდნენ, ერთობ გაძლიერებული შეხვდა. სახელმწიფო, რომელიც დიდი ძალისხმევით შექმნა და შეაკავშირა ფარნავაზმა, აგრძელებდა საუკუნოვან ტრადიციებს, თუმცა, როგორც ყველა ქვეყნის ისტორიაში, ქართლშიც — ცენტრალიზებულ სისტემას, მეფის ძლიერ ხელისუფლებას, შინაომები და ქვეყნის შესუსტებაც მოჰყვებოდა, ამას კიდევ, ახალი აღორძინება და ასე, ქართლის ისტორია ბუნებრივი განვითარებით მიმდინარეობდა.**

## იწურებოდა ძველი ერა...

იყო დრო (მეორე საუკუნე ძვ. წ.), როდესაც რომის ძლევამოსილი ლეგიონების მიერ სელევკიდების სირიული სახელმწიფოს დამარცხებისა და დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულმა და მომძლავრებულმა სომხურმა სახელმწიფოებმა პრეტენზიები გამოაცხადეს საქართველოს სამხრეთ მიწა-წყალზე. ამ პრეტენზიებს ბრძოლაც მოაყოლეს და შესუსტებულ ქართლს მცირე და დიდმა არმენიამ ჩამოაჭრა ჭოროხის ხეობა, ტაო, კოლა-არტაანი, ქვემო ქართლი და ქიზიყი, რომელსაც ანტიკური ავტორები კამბისენედ, ანუ ჩვენებურად, კამბეჩოვნად მოიხსენიებდნენ.

ეს ფაქტი შემდგომაც ბევრჯერ გამხდარა ჩვენი სამხრეთელი მეზობლების ერთი, ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილისთვის საქართველოს მიმართ საფუძველი უსაფუძვლო პრეტენზიებისა. შესაბამისად, შოვინისტურად განწყობილი სომეხი მეცნიერების თუ პოლიტიკოსების მიერ იმდროინდელი რუკის ფრიალის სტიმული...

მაგრამ ტიგრან მეორის დროინდელი სომხეთის ძლიერებამ დიდხანს არ გასტანა და ლუკულუსის და პომპეუსის შემოტევებს გაჰყვა. რომაელთა ლაშქრობამ კიდევ ერთხელ ცხადყო სომხეთის სახელმწიფოს გადიდგულოვნების უსაფუძვლობა... სწორედ ამ დროს მიაწერენ ძალზე გახმაურებულ ფაქტს: როდესაც საკუთარი უზარმაზარი არმიით გულმოცემულ ტიგრან მეორეს ლუკულუსის მცირერიცხოვანი ჯარი დაუნახავს, ირონიულად წარმოუთქვამს: — თუ ელჩები არიან, ძალიან ბევრნი წამოსულან, ხოლო თუ მტრები, მეტისმეტად ცოტანი იო!.. ამ ომში ლუკულუსმა სასტიკად დაამარცხა ტიგრანი და სომხეთის ძლიერებაც ქარს გაატანა.

ქართლი და მისი მეფე არტაგი რომთან და პომპეუსთან ამ ძლევამოსილი დაპირისპირებიდან გაცილებით ღირსეულად გამოვიდნენ. მიუხედავად ძვ. წ. 65 წელს განცდილი მარცხისა, წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ. რომმაც გაითვალისწინა ქართლის მოთავეობა კავკასიაში, მასთან მეგობრობისა და კეთილგანწყობის მნიშვნელობა და მის საბოლოო დაპყრობაზე ხელი აიღო — მასთან სამოკავშირეო ურთიერთობით დაკმაყოფილდა. მეორე ქართული სახელმწიფო კოლხეთი კი პომპეუსმა უშუალოდ რომის ძლევამოსილი იმპერიის საზღვრებში მოაქცია და აქ მმართველად არისტარქე კოლხელი დატოვა...

## ახალ ერას ქართლის გაძლიერება მოჰყვა

სიკეთით იბრუნა პირი ქართლის მდგომარეობამ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. ახალ ერას ქართლის სახელმწიფოს მოღონიერება, გაძლიერება და სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება მოჰყვა.

იესო ქრისტეს ცხოვრების წლებში ქართლის მეფე იყო ადერკი, ანუ მირდატ პირველი. ქრისტეს თანამედროვე მეფის დროს სრულიად საქართველო — ამიერი და იმიერი კვლავ გაერთიანებულია.

ქრისტეს სწავლებამ და მოძღვრებამ საქართველოშიც მოაღწია. არადა, ეს ის დროა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარში, ტომსა თუ თემში თავ-თავიანთი წარმართული სალოცავები აქვთ. თაყვანს სცემენ მთვარეს, ხარის კულტს, მზესა და ვარსკვლავებს, სხვა უამრავ ძალასაც. უზენაესი ღვთაება მაინც მთვარე იყო, რომელიც ჩვენს წინაპრებს მამაკაცური სახიერებით წარმოედგინათ. საუკუნეები გამოიარა და ჩვენამდე მოაღწია ერთმა მშვენიერმა ხალხურმა ლექსმა, სადაც სისადავითა და სიღრმით არის გადმოცემული იმდროინდელი ქართველის გულისთქმა:

***მზე დედაა ჩემი,/ მთვარე მამაა ჩემი, / წვრილ-წვრილი ვარსკვლავები / და და ძმაა ჩემი...***

ერთიან საქართველოს ერთიანი კერპებიც გაუჩნდა: არმაზი, ზადენი, უფრო ადრე კი გაცი და გაიმი. ქართლოსიანთა ღვთაება არმაზი ხდება, რომელიც სავარაუდოდ, მესხურმა ტომებმა შემოიტანეს მცხეთაში...

## ქრისტეს მოძღვრების შემოღწევის პირველი ცდა

იესო ქრისტეს თანამედროვე ადერკის მეფობისას იწყება ქრისტეს ამბების შემოღწევა საქართველოში და არა მხოლოდ ამბების — მისი მოძღვრების შემოღწევის ცდაც. ეს კი ასე ყოფილა:

ბაბილონელთა მიერ, ნაბუქოდონოსორის დაქცეული და მსოფლიოში გაბნეული ებრაელთა ერთი ტალღა ქართლში გადმოხვეწილა და მცხეთასა და მის შემოგარენში დასახლებულა. ადერკის მეფობის ოცდამეათე წელს მოაღწია ქართლში ქრისტეს გასამართლების ამბავმა. ...პილატეს მმართველობის ჟამს და მისი თანხმობით ებრაელებმა შეიპყრეს ქრისტე და გასამართლება გადაუწყვიტეს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მიიწვიეს ებრაელთა სჯულის მცოდნე, დაფასებული ადამიანები. გადაწყდა, ამ მიზნით წასულიყვნენ პალესტინას სჯულის მეცნიერნი ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. დიდი სასოებით გააცილა დედამ ელიოზი, ბრძნული, დედობრივი დარიგებაც გააყოლა (თუ ქრისტეს დასჯას გადაუწყვეტდნენ, მასში არა და არ მიეღოთ მონაწილეობა)... და მართლაც, ჩვენებურ ებრაელებს არ მიუღიათ მონაწილეობა ქრისტეს გასამართლებაში — საბედნიეროდ, ამ საქმეში „წვლილი“ არ დაუდიათ. ისინი მხოლოდ ჯვარცმას დასწრებიან გოლგოთაზე, აქაც პროტესტი განზე დგომით გამოუხატავთ შეწუხებულთ... განგების ნებით და მათი დიდი მცდელობით ქრისტეს კვართი ელიოზსა და ლონგინოზს ერგოთ და ეს უზარმაზარი სიწმინდე მცხეთას ჩამოიტანეს.

პირველი დაი შეეგება ელიოზს. ტირილით გამოურთმევია ძმისთვის ქრისტეს კვართი, გულში ჩაუკრავს და იქვე სული განუტევებია.

# ახალი ერის ქართველი მეფეები და ამბავი უღბლო სიყვარულისა...



**... ქართლის სამეფოს სომხეთი ედავება.**
**... ახალ ერას ქართლის გაძლიერება მოჰყვა.**
**... ქრისტეს თანამედროვე მეფე — მირდატ პირველი (ადერკი).**
**... ქრისტეს ამბები ადერკის სამეფოშიც აღწევს.**
**... ებრაელები საქართველოში და საქართველოდან გოლგოთაზე.**
**... ქრისტეს მოციქულებს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ჩამოაქვთ.**
**... ფარსმან პირველი მეფე-მეომარი.**
**... ქართველი უფლისწული სომხეთის ტახტზე.**
**... ფარსმანი ძმის ოჯახს ანადგურებს.**
**... ფარსმანს სამეფო ტახტი შვილისთვისაც არ ემეტება.**
**... რადამისტისა და ზინობიას უღბლო სიყვარული.**

**დასუსტდა ზინობია, ძალა აღარ მოსდევდა, მისი ბედაურიც ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. შეშფოთებულმა ქალმა ქმარს მიმართა, ორივენი ერთად ტყვეობას თავს ვერ დავაღწევთ, დავიღუპებით, მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილი მიჯობსო. რადამისტმა თავის ცხენზე გადმოსვა ღონემიხდილი ქალი და კვლავ განაგრძო სრბოლა. მტრის ყიჟინა აღწევდა გაქცეულებამდე. „მომკალი და ტყვეობას გადამარჩინე!“ — არ ეშვებოდა ზინობია... რადამისტმა დიდი ჭოჭმანის შემდეგ სატევარი ჩასცა საყვარელ მეუღლეს და არეზის ტალღებს „მიანდო“ იგი...**

... მოსწონებია ადერკ მეფეს უფლის კვართი, მისი ჩაცმის სურვილიც გამოუთქვამს... მაგრამ ვერაფრით განაშორეს თურმე დიდი სიწმინდე სიდონიასაგან და ერთად დამარხეს. საფლავზე ულამაზესი სურნელოვანი ნაძვის ხე (ზოგიერთი წყაროს მიხედვით — კედარი) ამოსულა, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდგომ კიდევ ახალი სასწაულის მოქმედი გამხდარა (ეს ის სასწაულია, სვეტიცხოველს რომ უკავშირდება და რომლის შესახებაც მომავალში ვრცლად ვისაუბრებთ).

## საქართველო — ღვთისმშობლის წილხვედრი

პირველი საუკუნის ოცდაათიანი წლებია. ქრისტეს აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ მისი მოძღვრების საყოველთაოდ ქადაგების დრო დადგა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი აღმოჩნდა — დედაღვთისმშობელს ხვდა წილად ჩვენს მიწაზე ქრისტიანობის ქადაგება. ასაკის გამო მარიამი თავად ვერ წამოვიდა საქადაგებლად და ამ მისიით გამოგზავნა ქრისტეს მოწაფენი ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. თან გამოატანა ხელთუქმნელი ხატი (მოატანინა დაფა, რომელზეც გადავიდა მაცხოვრის ხატება). მოციქულთა მიერ ჩამოტანილი ხელთუქმნელი ხატი მრავალი საუკუნის შემდგომ თამარ მეფის სურვილით და მისივე ხარჯით მოუჭედავს ბექა ოპიზარს (ფოტოზე). მოგვიანებით, ხატი კლარჯეთში მდებარე ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში ესვენა და ამიტომაც ანჩის ხატი უწოდეს. მე-17 საუკუნეში დომენტი კათალიკოსმა თურქებს გამოარიდა იგი და თბილისის ძველ ეკლესიაში დაასვენეს. ამ ეკლესიასაც ანჩის ხატის სახელი უწოდეს. ამჟამად ანჩის ხატი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია...

მცხეთა წარმართულ კერპთა დიდი კერა იყო. კერპების ძალა და მეფე ადერკის პოლიტიკური ნება სრულიად საქართველოშიც ვრცელდებოდა. ამიტომ მოციქულებმა თავდაპირველად ქვეყნის განაპირა მხარეებში დაიწყეს ქადაგება. ანდრია პირველწოდებულს ეგრისში შეჰქონდა ქრისტეს მოძღვრება, სვიმონ კანანელს აფხაზეთში (მოგვიანებით, აქვე დაღუპულა იგი და ანაკოფიას, ანუ ახალ ათონში დაუკრძალავთ). ამის შემდგომ მესხეთში აცნობს ქრისტეს რჯულს წარმართ ქართველებს მოციქული. აწყურს დაასვენეს ხელთუქმნელი ხატი, ხალხიც ნელ-ნელა მოდის ჭეშმარიტ რწმენაზე. ტაოს, კლარჯეთისა და აჭარის დროც დადგა...

მეფე ადერკი ჯერ მოთმინებით ადევნებდა მოვლენებს თვალს, მაგრამ როდესაც რეალურად იგრძნო, რომ მის წარმართულ კერპებს აშკარა საფრთხე დაემუქრა, განრისხება მძვინვარებამ შეცვალა. მეფე ადერკიმ „ერისთავნი თვისნი“ გაგზავნა და შეამუსვრინა ჯვარ-ხატები, სისასტიკით აღმოფხვრა ქრისტიანობის პირველი ყლორტები.

ასე გასრულდა პირველი ცდა ქრისტეს მოძღვრების გავრცობისა საქართველოში, მაგრამ მოციქულთა ღვაწლს უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ მოციქულთა დიდმოღვაწეობა იყო ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იმისა, რომ ქართული ეკლესია საყოველთაო სამოციქულო ეკლესიად ეღიარებინათ.

## ფარსმან პირველი სამეფო ტახტზე

პოლიტიკური ვნებათაღელვანი თავისი გზით მიმდინარეობს. პირველი საუკუნის 30-იან წლებში ადერკის მცირე ხნით მითრიდატე ცვლის, ხოლო შემდეგ მისი ვაჟი, ფარსმან პირველი იკავებს ქართლის ტახტს. მეფე იბერიისა ჭკვიანი პოლიტიკოსი და უებრო მეომარი აღმოჩნდა.

რომის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკას პართიის (დღევანდელი ირანის ადგილას მდებარეობდა) ძლიერი სახელმწიფო დაუპირისპირდა. რომის იმპერატორი ტიბერიუსი, პართიის მეფე არტაბან მეორე და ქართლის მეფე ფარსმან პირველი ამ დაპირისპირების მთავარი მოქმედნი აღმოჩნდნენ. საჯილდაო ქვად სომხეთის ტახტი იქცა. რომი ერთგული რჩება სხვისი ხელით ნარის გლეჯის მისეული ნაცადი პოლიტიკისა და ამჯერადაც სომხეთის დაუფლებას ქართლის მეოხებით აპირებს. მისი წაქეზებით ფარსმანის ჯარი შედის სომხეთში, იღებს მის დედაქალაქს არტაქსატას და ტახტზე სვამს თავის ძმასა და მამის მოსახელე მითრიდატეს. 35 წელია ახალი წელთაღრიცხვით...

დიდი ომი პართიასა და ქართლს შორის სომხეთისთვის გარდაუვალი შეიქნა. განრისხებულმა არტაბანმა ჯარის შეკრება ბრძანა, რომელსაც თავისი მეორე ვაჟი, ოროდი უსარდლა. ქართველებმაც დიდი მზადება გამოაცხადეს საომრად, მოკავშირეებიც გამოუჩნდათ — მეზობელი ალბანელები.

რომაული წყაროების მიხედვით, ბრძოლის წინ ფარსმანმა მგზნებარე სიტყვით მიმართა თავის ჯარს: — აქ, ჩვენთან ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, იქ კი სიმდიდრეა, რომელიც ხელთ უნდა ჩავიგდოთო!

... და ხმალამოწვდილი საბრძოლო ყიჟინით პირველი შეუძლვა ისედაც გაალმასებულ მეომრებს. ოროდის ცხენოსან ჯარს ქართველები ცხენდაცხენ და ქვეითად ეკვეთნენ შუბებით, მახვილებითა და ლახვრებით (შუბის ერთ-ერთი სახეობაა). ფარსმანის ტაქტიკამ გაამართლა — პართიელ ცხენოსნებს შუბებით ძირს აგდებდნენ და ბოლოს ულებდნენ. განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ ორივე მხარის სარდლები — ოროდი და ფარსმანი. ბედის მეოხებით ერთმანეთს შეეჩეხნენ მთავარსარდლები. ეს იყო ბრძოლის კულმინაცია. ფარსმანმა ღირსეულად დაჯაბნა მეტოქე — მახვილის მძლავრი მოქნევით მუზარადი გაუპო ოროდს და მძიმედ დაჭრა. მართალია, ერთგულმა მცველებმა ბრძოლის ველს გააშორეს იგი, მაგრამ სისხლში მოსვრილი მხედართმთავრის დანახვამ დამთრგუნველად იმოქმედა პართიელებზე. მყისიერად ხმაც გავრცელდა მისი დაღუპვის შესახებ და ამანაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი...

სომხეთის ტახტზე ქართველი უფლისწული მითრიდატე (ფარსმანის ძმა) განმტკიცდა, თუმცა მკაცრი და მოურიგებელი ხასიათის გამო მალე აიმხედრა იქაური მოსახლეობა. ამას დაერთო ძმათა შორის შუღლი. ალბათ აქაც შიშმა იჩინა თავი, რომ მითრიდატე არ შესცილებოდა ქართლის ტახტს ფარსმანს. ფარსმანს კი თავის მხრივ, სომხეთის ხარჯზე თავისი ტახტის გაფართოება არ მოესურვებინა... ასე იყო თუ ისე, ბზარი ღრმავდა და ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებით დასრულდა.

ფარსმანს ახალი „კანდიდატი“ ჰყავდა სომხეთის ტახტზე — ეს გახლდათ მისი ვაჟი რადამისტი. რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის დახასიათებით, ჭაბუკი შემკული ყველა სიკეთით — ახოვანი, კაცი მეცნიერი და ხელოვანი და გმირი მეომარი. ფარსმანი შეაშფოთა შვილის დიდებამ და მეტოქეობამ. მისთვისაც არ ემეტებოდა საკუთარი ტახტი... ხოლო მისი სომხეთის ტახტზე გამწესების ვერაგული გეგმაც დაისახა: რადამისტი ეახლა ბიძას, მითრიდატეს, ვითომდაც გამწყრალი მამაზე და დედინაცვალზე. გაუშინაურდა სომხეთის დიდკაცობას და მათი ნაწილი უჩუმრად გადაიბირა კიდეც.

„დაზვერვა“ გასრულდა. დაბრუნდა მცხეთას რადამისტი და მამას მოახსენა, — რაც წინასწარ იყო საჭირო, ყველაფერი გავაკეთე, დანარჩენი იარაღმა გადაწყვიტოსო!..

რადამისტი ლაშქრით შეიჭრა სომხეთში, მოულოდნელად დაატყდა თავს ბიძას, რომელმაც მცირე რაზმით გარნის ციხეში შეასწრო, სადაც რომაული გარნიზონიც იდგა. რადამისტმა მოისყიდა გარნიზონის ვერცხლისმოყვარე რომაელი უფროსი. მისი რჩევით ძმისწულთან გამოცხადდა მითრიდატე, რომელმაც იგი მცხეთას გამოისტუმრა... ულმობელი ფარსმანის ბრძანებით მითრიდატე ოჯახთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს...

## რადამისტს სომხები უჯანყდებიან

მითრიდატეს სიკვდილმა, რომელიც ფაქტობრივად, რომაელთა მხარდაჭერით იყო მეფედ დასმული, მათივე ბანაკში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთი მხრივ, ეს იყო იბერიელთა მიერ რომაელთა პოლიტიკის იგნორირება, მეორე მხრივ, მათივე ხერხებსაც ესადაგებოდა, რაც ნიშნავდა „გათიშე და იბატონეს“ — კიდევ უფრო მეტი შუღლი ჩამოვარდება სომხებსა და ქართველებს შორისო. ბოლოს, რომაელებმა მაინც მოითხოვეს სომხეთის მეფედ დასმული რადამისტისა და ქართველთა ჯარის გაყვანა სომხეთიდან, რაზედაც ფარსმანისგან უარი მიიღეს. რომაელთა შურისძიებას წინ აღარაფერი ელობებოდა, თუმცა რადამისტმა კიდევ ერთხელ მოახერხა რომაელი მხედართმთავრების მოსყიდვა.

ამას დაერთო პართიელთა მეფის ვოლოგეზის შეტევა. სომხეთი ხელიდან ხელში გადადიოდა ქართლსა და პართიას შორის. რადამისტს სომხეთში დიდხანს აღარ უმეფია. ისიც სისასტიკითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა და სომხები აუმხედრდნენ, იერიში იმ ციხეზე მიიტანეს, სადაც იგი იყო თავშეფარებული.

## რადამისტი და ზინობია

ქართულ-პართიული ქიშპობა ტრაგიკული ცხოვრებისეული პასაჟით სრულდება: ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში რადამისტთან ერთად მისი საყვარელი ცოლი, მშვენიერი ზინობიაც იმყოფებოდა. ზინობია ფეხმძიმედ იყო. მათ გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ. ამიტომ ბოლო იმედად ფეხმარდი ბედაურებიღა რჩებოდა. ძლიერებით განთქმულმა რადამისტმა მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა. გამოიტაცა ულამაზესი ზინობია და ბედაურებით იბერიისკენ აიღეს გეზი.

სტრესმა და დაქანცულობამ თავისი გაიტანა, დასუსტდა ზინობია, ძალა აღარ მოსდევდა, მისი ბედაურიც ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. შეშფოთებულმა ქალმა ქმარს მიმართა, ორივენი ერთად ტყვეობას თავს ვერ დავაღწევთ, დავიღუპებით, მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილი მიჯობსო. რადამისტმა თავის ცხენზე გადმოსვა ღონემიხდილი ქალი და კვლავ განაგრძო სრბოლა.

მდინარე არეზსაც (მტკვრის შენაკადი) მოაღწიეს არაქათგამოცლილებმა. მტრის ყიჟინა აღწევდა გაქცეულებამდე. „მომკალი და ტყვეობას გადამარჩინე!“ — არ ეშვებოდა ზინობია... რადამისტმა დიდი ჭოჭმანის შემდეგ სატევარი ჩასცა საყვარელ მეუღლეს და არეზის ტალღებს „მიანდო“ იგი.

... არ ყოფილა განწირული ზინობია. მწყემსებმა იპოვეს მომაკვდავი, უწამლეს და სამეფო კარზე დააბრუნეს სომხეთში... აქ წყდება რადამისტისა და ზინობიას სიყვარულის ამბავი. მატიანეში არაფერია თქმული ზინობიას შვილის ან მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ.

რადამისტის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. ეჭვიანმა და დაუნდობელმა მამამ, ფარსმან პირველმა კიდევ ერთხელ ვერ სძლია ტახტის დაკარგვის შიშს და სიკვდილით დასაჯა თავისივე ვაჟი...

თავად ფარსმანის მეფობის ბოლო წლებიც ისეთივე ბურუსით მოსილია, როგორც არაერთი ქართველი ხელმწიფისა...

**P.S. ასე რომ, მთელი პირველი საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა, საქართველო ძლიერი სახელმწიფოა. ქართლი გამუდმებით პოლიტიკური მოვლენების ცენტრშია. ხოლო რაც შეეხება მეფეებს ადერკსა და ფარსმან პირველს, მართალია, მათ მრავალი ბრძოლა გადაიხადეს, მრავალჯერ მოიპოვეს გამარჯვება, მაგრამ ფარნავაზთან ოდნავადაც ვერ მივიდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ კოლხეთი ისევ რომის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ხოლო იბერიას დიდი ბრძოლის ფასად უჯდება საკუთარი დამოუკიდებლობა.**

*ისტორიული წყაროების მიხედვით ახალი ერის პირველი საუკუნე მიმოიხილა*
***ნოდარ შოშიტაშვილმა***

დღევანდელმა უკიდურესმა გაჭირვებამ ბევრს დაატოვებინა საქართველო და უცხო ქვეყანაში გადახვეწა ლუკმაპურის საშოვნელად. გამონაკლისი არც წერილის ავტორი, ქუთაისელი ეთერ ბოჭორიშვილი აღმოჩნდა. ქ-ნი ეთერი ამ სამი წლის წინ საბერძნეთში სამუშაოდ წავიდა. დედამ გულმშვიდად დაუტოვა ორი ვაჟი მამას. ათენში სამუშაო მალე იშოვა. უვლიდა მოხუცებულ ქალს, ხელფასს კი უკლებლივ შინ გზავნიდა. ეთერის მეუღლე გელა ბოჭორიშვილი ხარაზი იყო. ქალის გამოგზავნილი ფულით წელი კი მოიდგა ოჯახმა, მაგრამ ისეთი რამ მოხდა...

ნაწყვეტი წერილიდან: *„ჩემი ქმარი დაუახლოვდა ჩვენი ოჯახის ახლობელს, ქმარშვილიან მარინა კახაიას. იმის მაგივრად, რომ შვილებისთვის არაფერი მოეკლო, ჩემი შრომით ნაშოვნ ფულს მას ახარჯავდა. შვილებს ვებრალებოდი და არაფერს მატყობინებდნენ. ბოლოს, მშვიდად ვუსმენდი და თავს ძალას ვატანდი, რომ დამეჯერებინა მისი სიტყვები. ქმარი ძალიან მიყვარდა და ოჯახის დანგრევა არ მინდოდა ორი შვილის დედას. მოხდა ისე, რომ ჩემს ხელში აღმოჩნდა წერილები, რომელსაც ერთმანეთს წერდნენ. წერილებიდან გავიგე, რაზეც შეთანხმდნენ საყვარლები. მარინამ დანაპირები, რა თქმა უნდა, არ შეასრულა. ან კი, რაღად სჭირდებოდა?“*

გელა მიხვდა, რომ შეცდა. ხან პატიებას სთხოვდა ცოლს, ხან ემუქრებოდა. შვილები კი ისე იყვნენ დაშინებულნი, დედას სთხოვდნენ, ჯერ არ ჩამოხვიდეო.

ნაწყვეტი წერილიდან: *„საახალწლოდ შინ წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ 2001 წლის 17 დეკემბერს ჩემმა მეუღლემ ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. ცოცხალს ვეღარ ჩავუსწარი, რასაც ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თავს.... რამდენიმე თვეში ისევ უკან, ათენში დავბრუნდი, რადგან დიდი უბედურების მიუხედავად,*

# ჩემს შვილებს არასოდეს დაავიწყდებათ ცეცხლმოდებული მამის ყვირილი



*უმუშევრობის უფლება არ მქონდა.*

*ცრემლი არ მაშრება თვალზე. მე ხომ ასეთ დასასრულს ვერ წარმოვიდგენდი, მე ხომ ქმარშვილის გულისთვის გადმოვიხვეწე და სულ მათ ნატვრაში გავლიე ეს სამი წელიწადი... ჩემი ქალობა ჩემს ქმართან ერთად დავმარხე და შვილებიღა დამრჩა ნუგეშად. გული მიკვდება, როცა წარმოვიდგენ ჩემს შვილებს. მათ ხომ არასოდეს დაავიწყდებათ ცეცხლმოდებული მამის ყვირილი, მათ ხომ ვერაფრით უშველეს მამას...*

*ჩემი დამაქცევარი კი გელას დასაფლავებიდან 20 დღეში გათხოვდა აქ, საბერძნეთში. ერთ ქართველ ბიჭს (დუშელს) გაჰყვა ცოლად და თავს ბედნიერად გრძნობს“.*

კიდევ ერთი დანგრეული ოჯახი, დამსხვრეული ოცნებები, გაუნელებელი სევდა და ცრემლი...

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ეთერ ბოჭორიშვილის ტრაგედია არ გახლავთ მხოლოდ ერთი ადამიანის ტრაგედია. ანალოგიური ამბავი მრავალი ქართველის თავსაა დატეხილი, გამოსავალი კი არ ჩანს. ქალბატონი ეთერი უზომო დარდსა და საგონებელშია. იმას, რაც უკვე მოხდა, აღარაფერი ეშველება, მთავარია მოიძებნოს გზა, რომელიც ამ ვაებაში ჩავარდნილ ქალს ოდნავ მაინც მოჰგვრის შვებას. აჯობებს, ვიპოვოთ ისეთი „გზა ხსნისა“, რომელიც ათას ქართველს (თუნდაც ეთერ ბოჭორიშვილისნაირ ქალბატონებს) ავაცდენთ იმ საშინელებას, რასაც ოჯახის დანგრევა ან უარესი, უმძიმესი ცოდვა — თვითმკვლელობა ჰქვია.

წერილის ბოლოს ვკითხულობთ: *„პატივცემულო რედაქციავ, ძვირფასო მკითხველო! მინდა, გავერკვე, სად და როდის დავუშვი შეცდომა. რატომ ვყავარ ასე შებოჭილი დანაშაულის გრძნობას, რატომ დავისაჯე ასე და როგორ მოვიქცე, რომ ჩემი ტანჯვით შვილებს გული არ ვატკინო. ჩემი ოჯახის უბედურებაზე სხვამ თავისი ბედნიერება ააგო, მე კი ღმერთს ვთხოვ, საცოდავად დამწვარი გელას სული ზეცაში მიიღოს.*

*ველი თქვენს გამოხმაურებას.*

***პატივისცემით ეთერ გვენეტაძე-ბოჭორიშვილი. ათენი“.***

*ეს ამბავი ახლობლებმა შემატყობინეს. ეკონომიკურ სიდუხჭირეს გავექეცი, ოჯახური უბედურება კი მაინც არ ამცდა... ჩემმა მეუღლემ ნარკოტიკების მიღება დაიწყო, შეიცვალა ზნე, ბავშვებს ცუდად ექცეოდა, მე კი ტელეფონით ეჭვიანობის სცენებს მიწყობდა... მარინას პატიოსანი ქალის სახელი არასოდეს ჰქონია, თუმცა ამის დაჯერება მიჭირდა. რას ვიფიქრებდი, თუ 26 წლის გოგო ჩემი 40 წლის ქმრის საყვარელი გახდებოდა“.*

მარინა კახაიას, ეტყობა, არ აკმაყოფილებდა სხვისი ქმრის „შემოსავალი“, იფიქრა, ის ქალი თუ ამდენს ახერხებს, რომ თავისთვისაც ჰყოფნის და ოჯახსაც უგზავნის, მე რა ღმერთი გამიწყრებაო. გადაწყვიტა, თავადაც ეცადა ბედი. საყვარელს დაჰპირდა, საბერძნეთში წავალ, მოწვევას გამოგიგზავნი და ბედნიერად ვიცხოვრებთო. გზააბნეულ კაცსაც ჭკუაში დაუჯდა (ნეტავ, შვილებს ვის უტოვებდა?).

მარინა საბერძნეთში წავიდა.

ნაწყვეტი წერილიდან: *„მარინა კახაიამ ჩემი გამოგზავნილი ფულით მოახერხა საბერძნეთში ჩამოსვლა. თან ეყო თავხედობა და დახმარებისთვის მე მომადგა. ოღონდ ჩემი ოჯახისთვის თავი დაენებებინა და რითიც შემეძლო, ხელი გავუმართე. მეფიცებოდა, გელასთან არაფერი მაკავშირებს, ყველაფერი ჭორიაო.*

P.S. ძვირფასო მკითხველო, ჯერი თქვენზეა. რას ურჩევთ ქალს, რომელმაც ამხელა ტრაგედია გადაიტანა? როგორ იცხოვროს, რა გზას დაადგეს და რით შეიმსუბუქოს დარდი?

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ბაფთებო, ბაფთებო, ჭრელ-ჭრელო ბაფთებო...



მომავალი სეზონის ჰიტი, როგორც ლონდონში გამართული მოდის კვირეული „გაზაფხული-ზაფხული-2003“ ცხადყოფს, ბაფთა იქნება — კოპწია, ნაირფერადი და ნაირგვარი.

დიზაინერები — რასელ სეიჯი და ტაკა ნაკა ისე გაიტაცა ამ დეტალმა, რომ იგი კაბის არა მარტო ზურგს, არამედ ყველაზე მოულოდნელ ადგილს — შარვლის უკანა მხარესაც მიამაგრეს.

ბაფთა შემოგანათებს ხელჩანთებიდან, ბაფთა დაამშვენებს თმას და მოკრძალებულ, უბრალო საზაფხულო კაბასაც. ასე რომ, ძვირფასო ქალებო, მოიმარაგეთ ბაფთები.

## გამოხმაურება ჟურნალისტ მარინა ბაბუნაშვილის წერილზე: „ვერაფერს ვშველოდი... მერე მირჩიეს, ეგ ბავშვი სიზმრისაა და მალე მონათლეთო“

„წავიკითხე ეს წერილი („კვირის პალიტრა“ №41) და აღფრთოვანებული დავრჩი... დაილოცოს ღვთის სამართალი, მისი ნება-სურვილის გარეშე არაფერი ხდება! რაზეც თქვენ წერთ, ეგეც ღვთის ნებაა, თორემ ის თქვენი მოსახელე ქალბატონი რაღა მაინცდამაინც თქვენ დაგიკავშირდათ?

თქვენი რესპონდენტი კითხულობს, როგორ მოვიქცეო? იგი ქალია, თანაც საგონებელში ჩავარდნილი ადამიანი, რომელსაც გაჭირვებამ უამრავი საფიქრალი გაუჩინა.

ქალბატონო მარინა, აუცილებლად უნდა მიხვიდეთ იმ ადამიანთან, რომლის დედასაც ხშირად ნახულობთ სიზმარში, აუხსნათ თქვენი მდგომარეობა და გადასცეთ დედის დანაბარები. მეც ქალი ვარ და როგორც ახლობელს, ისე გთხოვთ, გადადგათ ეს ნაბიჯი. იცოდეთ, ღმერთი აუცილებლად დაგეხმარებათ. ბოლოს და ბოლოს, არ გაინტერესებთ, რას იზამს ის კაცი?

***პატივისცემით იზო ტაბატაძე, ქარელი***

## ღრიანკალი

# სიყვარულის ქურუმები

## (24 ოქტომბერი — 22 ნოემბერი)





ნოემბერი ღრიანკალთა თვეა. ამ ზოდიაქოში იწყება მზის ახალი ციკლი, რაც მოქმედებს მის რჩეულებზე.

ღრიანკალებს უკიდურესობები ახასიათებთ, დამოუკიდებლები არიან, არ უყვართ პირის გატეხა, ვნების ცეცხლშიც გაგხვევენ, სულსწრაფობითაც გამოირჩევიან, გულჩათხრობილნიც არიან და გულღიანიც, მაგრამ ამ ზოდიაქოში დაბადებულთ საერთო აქვთ თვალები...

მიუხედავად სხვადასხვანაირი თვალის ფერისა — ღია ცისფერი იქნება თუ შავი — მათი მზერა ნუსხავს ადამიანს. სხვათა შორის, მათ მშვენივრად იციან ეს, რითაც ოსტატურად სარგებლობენ კიდეც.

პლუტონის მფარველობის ქვეშ დაბადებული ღრიანკალები ძალიან მამაცნი არიან, სიკვდილსაც არ ეპუებიან. ყველა დარტყმას მედგრად ხვდებიან, რადგან სწამთ, მაინც მოიგებენ ბრძოლას. იგი ეჭვიანი და მგრძნობიარეა, არასოდეს ივიწყებს სიკეთეს, მაგრამ თუ ვინმემ უმტრო, არც იმას ივიწყებს.

### სიყვარულისათვის

პლუტონის შვილები ყველაზე ვნებიანნი არიანო, ნათქვამია და მართალიც არის. ღრიანკალის ასტროლოგიური ნიშანი ზამბარას ჰგავს, რომელიც იკრებს ენერგიას და თავისუფლდება მისგან, მათ შორის სექსუალურისგანაც. რომ არა ღრიანკალთა ვნება და ცეცხლი, ადამის შვილები ნამდვილად ცოტანი იქნებოდნენ დედამიწაზე.

სიყვარულში გამარჯვებებს ღრიანკალი ქვეყანას არ მოსდებს, გულში ინახავს. იგი საიდუმლო რომანებისა და ინტრიგების ოსტატია.

ღრიანკალის ნიშანი მკურნალთა მფარველად ითვლება, რადგან ის შხამიანია. პატარა დოზებით კი შხამი კურნავს, მთავარია დოზის სწორად განსაზღვრა...

### მისი იდუმალი მოკავშირეები

**სტიქია** — წყალი

**ფერი** — იისფერი და მუქი ლურჯი

**თილისმა** — ფენიქსი. ის ფერფლიდან აღდგება, აღდგომა და გარდასახვა მისი მთავარი ნიშანია.

**თვალი** — აკვამარინი. ეს გამჭვირვალე მოცისფრო-მოწვანო ქვა ცოლქმრული სიყვარულის და პატივისცემის საწინდარია. აკვამარინს სამედიცინო დანიშნულებაც აქვს. თუ მას მტკივან კბილთან გაიჩერებთ, ტკივილი გაქრება.

**ყვავილი** — გლადიოლუსი. ლათინურად ეს „გლადიატორის პატარა ხმალს“ ნიშნავს. ამ შემთხვევაში ადამიანს, რომელსაც ხმალი უჭირავს. გლადიოლუსი პრინციპულობის სიმბოლოა.

**სურნელი** — ამ თანავარსკვლავედის ჭეშმარიტი ქალიშვილები ირჩევენ ტკბილ, მათრობელა სურნელს, რომელიც, თუ ერთხელ შეიგრძენი, ვეღარასოდეს დაივიწყებ. მაგ., Poison (Dior) ან Obsession (Calvin Klein).

**საკვები** — სხვადასხვა თევზეულის დელიკატესები და ბოსტნეულის კერძები, რომლის მომზადებისას არ ხმარობენ სურნელოვან სანელებლებს: შაშკვლავს, ქინძს, სალბს, ვანილსა და ჟენშენს.

**ცხოველი** — შავი, სრიალაბეწვიანი კატა.

**ქვეყანა** — თურქეთი.

### ის ყველაფერს ხედავს, გნუსხავთ, ის ყველას უყვარს

**24-დან 31 ოქტომბრამდე** — ხელოვანი ღრიანკალები იბადებიან, უყვართ სილამაზე, არიან ფაქიზები.

**2 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე** — ცინიკოსი ღრიანკალები ევლინებიან ქვეყანას. ისინი არ მალავენ სკეპტიკურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი, თანაც გულში მორცხვები და სათუთნი არიან, სიყვარულში — დესპოტები. მათი ფიქრით, რადგან სამყარო სრულყოფილი არ არის, შინ და სამსახურში მაინც უნდა ჰქონდეთ ყველაფერი საუკეთესო.

**12-დან 22 ნოემბრამდე** — ალღოიანი და საზრიანი ხალხი იბადება. ბედიც წყალობთ და რასაც ჩაიფიქრებენ — უსრულდებათ.

# „მოხვალ ფილარმონიასთან, დადგები მუზასთან და...“

**თუ პირველ სიყვარულზე, პაემანზე, კოცნაზე საუბარი შეიძლება, ჩემს რესპონდენტებს შეყვარებულობის ჟამს სანუკვარი შეხვედრის ადგილის შესახებ რატომ არ უნდა ვკითხო-მეთქი, ვიფიქრე და უკვე ამდენი კითხვა-პასუხის წერაში დამეგობრებულ ქალბატონებს მივმართე — აბა, ერთი გაიხსენეთ, სად ხვდებოდით თქვენს გულთამპყრობელებს პაემანზე?**



**ლალი (48 წლის):** — გახსოვს ფილმი „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“? იქ ბიჭი გოგოს ფილარმონიის წინ, მუზასთან იბარებს პაემანზე. ეგ ფილმი რომ ვნახე, ვიფიქრე, რეჟისორი მე და ჩემს შეყვარებულს (ახლა უკვე ქმარია) გვითვალთვალებდა-მეთქი. მე რაიონიდან ვარ, ჩემი შეყვარებული კი თბილისელი იყო. მამაჩემს თვალში არ მოსდიოდა ქალაქელი ბიჭები და ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა ჩემი ხელის მიცემაზე. ერთხელაც შევხვდით მე და გუჯა მალულად ერთმანეთს და გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით, სხვა გზა არ გვქონდა. არადა, როცა მამა რაიონის პოლიციის უფროსი გყავს და თვალს არ გაშორებს, სად გაიპარები! მოკლედ, გავრისკეთ და... გუჯამ მითხრა, ჩამოხვალ თბილისში, მოხვალ ფილარმონიასთან, დადგები მუზასთან და ჩვენც მანქანით იქ დაგხვდებითო. მერე მამაშენმა გვდიოს, რამდენიც უნდაო. მივედი დანიშნულ ადგილზე, გუჯაც მოვიდა, მაგრამ მამაჩემის მსტოვრებმაც (პოლიციელებმა) არ დაახანეს. ისინი ფილარმონიის წინ მოედანზე ტრიალებდნენ. გუჯა მიწისქვეშა ჩასასვლელთან იდგა, მე — მუზასთან. ერთმანეთთან მიახლოებას ვერ ვბედავდით. ერთი თვე გაგრძელდა ასე. ბოლოს მამაჩემს უღალატეს „მსტოვრებმა“ და... მას მერე 29 წელი გავიდა. ახლა ღიმილით ვიხსენებთ იმ დღეებს მამაჩემთან ერთად.

**თეონა (23 წლის):** — რამდენიმე თვეა, მეტეხის ტაძრის ეზოს ჭიშკარს დიდი ურდულით კეტავენ. იცით, რატომ? საღამოს იმ ეზოში უამრავი შეყვარებული ხვდებოდა ერთმანეთს და მათ შორის მე და ჩემი შეყვარებულიც. ახლა ალექსანდრეს ბაღში გადმოვინაცვლეთ. მაგრამ ძველი ადგილი ძალიან გვენატრება. იქ ბევრი წყვილი პაემნიდან პირდაპირ ეკლესიაში მივიდა ჯვრის დასაწერად, მოკლედ, ეზოში შეყვარებულები მიდიოდნენ და იქიდან ცოლ-ქმარი გადიოდნენ.

**ლიკა (33 წლის):** — პაემნისათვის ერთი ამოჩემებული ადგილი არ გვქონია, ხან სად ვხვდებოდით ერთმანეთს და ხან სად. ერთხელ რუსთაველზე მივსეირნობდით, წვიმამ დასცხო. ჩვენ უცებ შენობებს კი არ შევაფარეთ თავი, ტაქსი გავაჩერეთ და მთელი ოთხი საათი თბილისის ქუჩებში ვსეირნობდით. მძღოლმა — რომ შეგვატყო, შეყვარებულები ვიყავით, მოგვეფერა — მე თქვენი „მეეტლე“ ვიქნები და საითაც გინდათ, იქით გაგაჭენებთო. შევუძახეთ — გვინდა თბილისი შემოვიაროთო. იმ კაცმა მგზავრობის საფასურის ნახევარი გამოგვართვა და დაგვლოცა. მერე, მოგვიანებით, ქორწილში დავპატიჟეთ.

**ნანა (52 წლის):** — ქაშუეთთან ვხვდებოდით ერთმანეთს მე და ჩემი მომავალი მეუღლე. ძალიან პატარებს შეგვიყვარდა ერთმანეთი. მშობლები ერთად ყოფნას გვიშლიდნენ. სულ ვიღაცა გვდევნიდა. ამიტომაც მოვძებნეთ გამოსავალი. ჩვენს პარტიულ მშობლებსა და ნათესავებს რას მოაფიქრდებოდათ ეკლესიაში შესვლა. ამიტომაც ქაშუეთი იქცა ჩვენი პაემნის ადგილად. გვაპატიოს ღმერთმა თუ ვცოდავდით ამით, მაგრამ ასე უფრო სჯობდა მგონი. ჩვენი სიყვარული ღვთის წყალობით არის ძლიერი დღემდე და რომ არა ასეთი სამალავი, ალბათ ჩვენი თაობელების მსგავსად ჯვარს ამ ბოლო წლებში დავიწერდით და არა მაშინ, 18 წლის ასაკში.

***ეკა ლომიძე***

## გვეკითხებიან

# თმა და ფენი

**ყოველდღიურად ვიბან თავს და ფენით ვიშრობ. ვიცი, რომ თმა ფუჭდება. რით შევამცირო რისკი?**

***ნანა რუხაძე***

თუ ჯანმრთელი თმა გაქვთ, შეგიძლიათ თამამად გაიშროთ ფენით რამდენჯერაც დაგჭირდებათ, მაგრამ აუცილებლად გამოიყენეთ თმის დასაყენებელი საშუალებები (გელი, მუსი ან ჟელე), რომელიც არა მარტო ვარცხნილობას მისცემს სასურველ ფორმას, არამედ თმას გამოშრობისაგან დაიცავს. გაშრობისას ფენი ათ სმ-ზე ახლოს არ მიიტანოთ თმასთან, ცხელი ჰაერის ნაკადი თმის ძირიდან წვერისაკენ მიმართეთ. პროფილაქტიკისათვის თვეში ერთხელ დამატენიანებელი და მკვებავი თმის ნიღაბი გაიკეთეთ.



ტროპიკული ქარი

სასპორტო ნაწარმის ფირმა

შავი ყურძნის ჯიში „ოცხანური...“

იბერიის ნახევარკუნძული

ამერიკელი კინომსახიობი ... თურმანი

ახალმოჭრილი წკეპლა

ცხენის სიმაღლის ასათვლელი წერტილი

წამლის მყარი სასაქონლო ფორმა

უმაღლესი სახელმწ. ორგანო ძვ. რომში



წლის საუკეთესო სხეულის პატრონი

აიეტის ქალიშვილი

სურნელოვანი ნივთიერება

ხატის მსახური

შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი

ამერიკელი მსახიობი, კარატეს ჩემპიონი

ქსელში გასატარებელი ძაფი

ავსტრალიური დათვი

... პუგაჩოვა

მოემის რომანი

წინასწარი მზადება

საჭადრაკო ფიგურა

გამყიდველის სამუშაო ადგილი

... ყანჩელი

ქართველი წმინდანი

არარიგითი, საგანგებო სხდომა

მეცნიერება ფაუნის შესახებ

შუა წერტილი | ავსტრიელი მწერალი

ფარული დაცინვა

სახელმწიფო აზიაში





„ტყავის წინდა“ კუპერის რომანებში

ტყვიანარევი მინა

მშვენიერების მოტრფიალე

ბულგარული ლუდი

გერმანული ელექტროტექნ. კონცერნი

კარუზოს სასიმღერო ხმა

ამხანაგი სამსახურში

კოვბოი ქართულად | ლერმონტოვის პოემა

ჯადოქარი, მისანი

F-1-ის ავტოდრომი იტალიაში

პრერიისა და უდაბნოს მცენარე

ცოდნის პირობითი მაჩვენებელი

პოპულარული ამერიკელი მსახიობი

ცხენის ნაშიერი

ბიუჯეტის შეზღუდვა

ავადმყოფის იზოლაცია ეპიდემიის დროს

ატომური დაბომბვის მსხვერპლი ქალაქი

ნაირფერი სინათლე გზაჯვარედინზე

მარცვლეული კულტურა | თვითმფრინავის გზა

იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი

დედამიწის ქერქის ზედა შრე

კომში

მოწინააღმდეგე სპორტში

მდინარე ლონდონში

ჰონკონგელი კინორეჟისორი

საგასტროლო მოგზაურობა

პარაგვაიული ჩაი

გერშვინის ოპერა „პორგი და ...“

შერეულ წყვილთა თანრიგი ჩოგბურთში

პურის საცხობი

ფრანგი იმპრესიონისტი



ხასიათი

ისტორიის მფარველი მუზა

წვეტიანი, მჭრელი, ბასრი



ბურუსი

დოსტოევსკის რომანი

ადამიანი მშობლების მიმართ

შეადგინა რამაზ ალანიამ

# ფუნთუშის ნაცვლად — მარიხუანა

კალიფორნიელი ფასთფუდის სარესტორნო ქსელის ერთ-ერთი თანამშრომელი ალბათ სამუდამოდ დაიმახსოვრებს საკუთარ დოყლაპიობას. ყოველ შემთხვევაში, იმ მონაკვეთს კი აუცილებლად, რომელსაც ციხის კედლებში გაატარებს.

26 წლის კარლოს აილა სარკმლიდან დაბრაწული ქათმის ნაჭრებს აწვდიდა ავტომობილიან კლიენტებს. ერთ მშვენიერ დღეს — ვინ იცის მოძალებულმა კლიენტებმა გადაღალეს თუ სხვა რამ დარდის გამო იყო „ყურადღებაგაფანტული“ — აილამ „იყოჩაღა“ და ქაღალდის პაკეტში კლიენტს ორი ფუნთუშის ნაცვლად, ორი პაკეტი მარიხუანა ჩაუდო. მშიერ კლიენტს ეტყობა „ბალახი“ დასანაყრებლად უვარგისი ეჩვენა და აილას ნარკოტიკი დაუბრუნა. სამაგიეროდ, თავისი ორი ფუნთუშა მიიღო და მომხდარიც პოლიციას აცნობა.

დაპატიმრებისას უიღბლო გამყიდველს მცირეოდენი მარიხუანა აღმოუჩინეს, პისტოლეტიც ჰქონია და 500 დოლარიც.

პოლიცია ვარაუდობს, რომ აილა კლიენტებს საგანგებო პაროლით ამარაგებდა მარიხუანათი — ნეტავ რამ დაუბნელა გონება იმ ავადსახსენებელ კლიენტთან?

***ეხო პლანეტი №42***



# ტანგო ძეგლის ღირსია

ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, არგენტინაში დაიწყეს თანხების შეგროვება ტანგოსთვის ძეგლის ასაგებად. ეს არის პირველი ძეგლი, რომელსაც ვნებიან ცეკვა ტანგოს დაუდგამენ. აქცია მიმდინარეობს დევიზით „ერთი პესო ტანგოსთვის“. ორიგინალური იდეა ჟურნალისტ რუბენ რეალეს ეკუთვნის, მას მიჰყავს პოპულარული რადიოგადაცემა „ტანგო სამუდამოდ“. ძეგლის პროექტზე გამოცხადდა კონკურსი, სპეციალური ჟიური საუკეთესოს შეარჩევს. მასში შედიან არგენტინის კულტურის მოღვაწეები, მსახიობები, მხატვრები. ტანგოს მრავალი წლის წინ უბრალო ხალხი ცეკვავდა, სხვათა შორის ორი მამაკაცი ეცეკვებოდა ერთმანეთს... ცეკვის უკვე ქალისა და კაცის შესრულებამ ისე გაზარდა მისი პოპულარობა, რომ ტანგოს ცეკვას უნივერსიტეტებში ასწავლიან და სკოლის პროგრამებშიცაა შეტანილი.

***იტოგი №40***

# ბუზები გვასწავლიან, როგორ ვიცხოვროთ ნაგავში



ავსტრალიელი მეცნიერები სწავლობენ ბუზებისაგან ახალი სამკურნალო პრეპარატის მიღების გზებს... ეს მწერები სიცოცხლის დიდ ნაწილს სიბინძურეში ატარებენ და ინფექციით არ ავადდებიან, მაგრამ გადამტანები, რა თქმა უნდა, არიან. დოქტორმა ჯოანა კლარკმა ბუზის ოთხ სხვადასხვა სახეობაზე აღმოაჩინა ანტიბიოტიკური ნივთიერება. მეცნიერი ამჟამად მათ ქიმიურ შემადგენლობას სწავლობს.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# ქალებს რომ მოეწონოთ, ნუ იქნებით მასწავლებელი...

...ამისათვის პოლიციელი ან თუნდაც ქვის მთლელი უნდა იყოთ.

იტალიაში თურმე ქალისთვის ყველაზე თვალში მოსახვედრი ფიგურა კარაბინერი ყოფილა. იტალიელი ქალების გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათ წარმოსახვაში სწორედ ასეთია ნამდვილი მაჩო.

კარაბინერის პროფესია სექსუალურად აღიარა 8 მილიონმა 20-დან 45 წლამდე იტალიელმა ქალბატონმა.

მიმზიდველ პროფესიათა სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ ქვის მთლელები, მათ მოსდევენ მენეჯერები, სპორტსმენები (განსაკუთრებით, ფეხბურთელები და ველოსიპედისტები), აგრეთვე — მუშები, ექიმები, იურისტები, ყასბები და ინტელექტუალური პროფესიების წარმომადგენლები. სიაში უკანასკნელ ადგილზე იტალიელმა ქალებმა მასწავლებლები დააყენეს.

***ეხო პლანეტი №41***

# ასიმეტრიული ხართ და ეჭვიანიც? — გასაგებია

ასიმეტრიული აღნაგობის ადამიანები გაცილებით ეჭვიანები ყოფილან, ვიდრე პროპორციული ფიგურის მქონენი, — დაასკვნა შოტლანდიელმა მეცნიერმა უილიამ ბრაუნმა ჩატარებული კვლევების შედეგად. ცდაში 50 ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. გამოკითხულთა პასუხების შეჯერებით დადგინდა, რომ ეჭვიანობას ავლენს 20% ასიმეტრიული აგებულების ადამიანებისა. „სიმეტრიულები“ ამ მხრივ, უფრო „ჯანსაღნი“ არიან და უფრო იზიდავენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს. დოქტორ ბრაუნის აზრით, ასეთები ნაკლებად ეჭვიანობენ, რადგან მიტოვების არ ეშინიათ.

***ნიუ ზუიქი***

# ტარაკანი — მზვერავი

იმ ბიზნესმენების ჯაშუშური არსენალი, რომლებიც კონკურენტებს ებრძვიან, შეივსო ფანტასტიკური სიახლით. ეს არის ტარაკანი-მზვერავი.

ტოკიოელ მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ ისიდორო სიმოიამის ხელმძღვანელობით დაამზადა ელექტრონული აპარატურის მიკროსქემა, რომელსაც ტარაკნისთვის იყენებენ. ამ მიკრომოწყობილობას მწერს ზურგზე აწებებენ. მის ყოველ ულვაშზე ამაგრებენ პაწაწინა გამათბობელ დგუშს, რომლის საშუალებითაც ტარაკნის მართვაა შესაძლებელი.

ასეთ ჯაშუშ ტარაკანს შეუშვებენ კონკურენტი ფირმის შენობაში, ხოლო ოპერატორი თვალს ადევნებს მის მოძრაობას და მართავს მიმართულებას. კომერციული კომპანიის უშიშროების სამსახურები კარგა ხანია ელექტროდეტექტორებით გულდასმით ათვალიერებენ ფირმის ხელმძღვანელი მუშაკების კაბინეტებს, რათა აღმოაჩინონ ჩამონტაჟებული „რადიოხოჭოები“ და მოსასმენი აპარატურა. ტარაკან-მზვერავებს კი ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებენ.

***ინტერპოლ-ექსპრესი №37***



# ფრთხილად, ზვიგენი!

ამერიკელმა ბილი შაუმანმა გამოიგონა ხელსაწყო, რომელიც წყალში მყოფ ადამიანს აფრთხილებს — ზვიგენი გიახლოვდებაო. შაუმანმა მას მერე დაიწყო ამ ხელსაწყოზე მუშაობა, რაც მის ცოლს თავს დაესხა მტაცებელი. ხელსაწყო სრულიად მარტივია, შეიძლება ითქვას, რომ ის არის პეიჯერი, რომელიც ხმის ან ვიბრაციის საშუალებით იტყობინება, რომ ახლოსაა ზვიგენი და დისპლეიზე მის ადგილსამყოფელსაც უთითებს. მაშველები, რომლებიც სანაპიროს კოშკებიდან აკვირდებიან წყლის გარკვეულ სივრცეს, პირველები ხედავენ ზვიგენს და მოცურავეებს ხელსაწყოზე, რომელიც მათ აქვთ, სიგნალს უგზავნიან. შეტყობინება რამდენიმე წამში აღწევს მოცურავეებამდე.

***ვლასტი №40***

# ყველაზე პუტკუნა მძღოლი



დიდი ბრიტანეთის ყველაზე სქელი მძღოლის ტიტული ერგო 36 წლის იენ სტურგესს — იგი არც მეტი, არც ნაკლები 241 კგ-ს იწონის, წელის გარშემოწერილობა კი მის სიმაღლეს აღემატება. სიმაღლით 1,73მ-ია.

რეკორდსმენი თავის წონას არ უჩივის და მადას არ იზღუდავს. ერთ იჯრად მიირთმევს ლორიან ერბოკვერცხს, სარდელს, ტორტს, ლობიოს, პუდინგსა და რამდენიმე ნაჭერ კარაქიან პურს. შესვენებისას პირს იგემრიელებს ხრაშუნაკარტოფილიანი ბურგერებით და ზედაც ორ ჭიქა ლუდს აყოლებს. საჭესთან შიმშილს შოკოლადის ბატონებით იოკებს. ისე, ვერ იტყვი, სიმსუქნე ხელს უშლისო, ოღონდ, პატარა ხიდის გადავლისას თავის მანქანიანად წონიან — რა იცი, რას დამართებს ხიდს? და კიდევ ერთი გასაჭირიც აქვს, ვერაფრით უპოვია წონით შესაფერისი სატრფო.

***მირ ნოვოსტეი***

# რას ფიქრობენ ასტროლოგები ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების თაობაზე?

## ვარსკვლავები სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ

ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ ერაყის ლიდერი შეიძლება დაიღუპოს შეთქმულების შედეგად და არა მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მანევრებისას. მიზეზი ის არის, რომ ჰუსეინის ჰოროსკოპში არის „მარსისა და სატურნის შეერთება“, რაც იმის ნიშანია, რომ იგი უახლოესი გარემოცვის ხელით დაიღუპება. ვარსკვლავები ამბობენ, რომ ეს მოსალოდნელია 2002 წლის დეკემბერში. ასე რომ, მანამდე დიდი დრო აღარ დარჩა...

***არგუმენტი ი ფაქტი №43***



# ჩვენი „უმცროსი ძმები“ — ცხოველები...

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ბინაში ძაღლი ბავშვების ჯანმრთელობის საწინდარია. თურმე ბავშვები, რომელთაც შინ შინაური ცხოველები — ძაღლი ან კატა ჰყავთ, ნაკლებად ხდებიან ავად, იშვიათად აცდენენ გაკვეთილებს. ძაღლებს და კატებს განსაკუთრებით დიდი სარგებლობა მოაქვთ 5-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, ისინი ეხმარებიან პატარებს ადვილად გაუმკლავდნენ ისეთ სტრესებს, როგორიცაა მშობლებს შორის კამათი ან გაყრა. მეცნიერებმა დაადგინეს, კატა ან ძაღლი აიძულებს ბავშვის ორგანიზმს აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ინფექციებს, აძლიერებს მათ იმუნურ სისტემას, ერთადერთი, რაც აღელვებთ ექიმებს, ეს არის, რომ ბავშვებს უყვართ თავიანთ საყვარელ ცხოველთან ერთად, ერთ საწოლში ძილი, რის შედეგადაც ისინი ჭიებით ავადდებიან. ექიმები ურჩევენ მშობლებს, თავიდანვე შეაჩვიონ ძაღლი ან კატა მათთვის გამოყოფილ ადგილას ძილს, პატარებს კი აუხსნან, რომ მისი „მეგობარი“ იქ უფრო კარგად გრძნობს თავს...

***ლიზა №42***

# პისტოლეტით ხელში... ჩაეძინა

ოცდაცამეტი წლის ავსტრალიელმა თავის სიცოცხლეში პირველად გადაწყვიტა ბანკის გაძარცვა. ამ ნაბიჯის გადადგმის ძალიან ეშინოდა და ამიტომ საკუთარი თავის გასამხნევებლად „საქმეზე“ წასვლის წინ ალკოჰოლის საკმაო დოზა მიიღო. ბანკთან მისულმა მანქანაში მჯდომმა ბოროტმოქმედმა პისტოლეტი ამოიღო, გასინჯა, სახეზე ნიღაბი გაიკეთა და... ჩაეძინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიციაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. რომელიღაც გამვლელმა პოლიციას შეატყობინა, რომ ბანკის შენობის წინ დგას მანქანა, რომელსაც წინ და უკან სხვადასხვა ნომერი აქვს, ხოლო სალონში ზის ნიღბიანი მამაკაცი პისტოლეტით ხელში.

***ნიუ ზუიქი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში სოფოკლეს სიტყვებს ამოიკითხავთ.**





**დ.** ჩეჩნეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი; **ა.** კავშირი; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **ვ.** რა ერქვა კიკვიძეს — წითელარმიელ მეთაურს; **ე.** მეგრული კერძი; **ნ.** კვიპროსის დედაქალაქი; **ე.** ვინ არის ბელზებელი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ჩ.** ქართველი კინორეჟისორი; **ვ.** იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი; **ე.** მთავარი მოქმედი გმირის სახელი ფილმში „შერეკილები“; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ს.** შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **გ.** ქვა, რომელიც ადამიანთა რწმენით მათ ავი თვალისაგან იცავს; **ა.** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება; **ზ.** წითელი ღვინო, რომელსაც ზიარების დროს ხმარობენ; **ე.** ვარდისა და ლამაზი ქალის „ატრიბუტი“; **თ.** ძველი ებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობაც მიეწერება მოსეს; **თ.** მღრღნელი; **ა.** ჩვილის სარწევი საწოლი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** უკრაინელ კაზაკთა სახალხო კრება; **თ.** დინების უნარის მქონე; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩლუნგი; **ვ.** ვაგნერი; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნინიძე; **ს.** საუნა; **გ.** გურია; **ა.** აფიშა; **ზ.** ზეტი; **ე.** ესკიმო; **თ.** თაბუნი; **თ.** თაობა; **ა.** ალბიონი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ექსცესი; **რ.** რეისი; **თ.** თემიდა; **ა.** არწივი; **დ.** დარიოსი; **ა.** არიზონა; **რ.** რუსეთი; **მ.** მუმია; **ო.** ორშიმო; **ი.** იპონი; **წ.** წაბლი; **ყ.** ყბედი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნაიკი; **თ.** თიანეთი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: უგუნური ტკბობა სიმწრის მშობელია.**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 60 წელს გადაცილებული. რამდენიმე თვის წინ უფუნქციო თირკმელი ამომკვეთეს. თავს ნორმალურად ვგრძნობ, მაგრამ მაინტერესებს, რამდენად შეძლებს ერთი თირკმელი სრულფასოვნად მუშაობას და როგორ შევუწყო მას ხელი?**

*უღრმესი პატივისცემით*
*ჯემალ გიორგაძე, თბილისი*

ფუნქციადაკარგული თირკმელი უფრო მეტს ავნებდა თქვენს ორგანიზმს, ამიტომ მისი მოშორება სწორი ნაბიჯი იყო. წყვილი ორგანოებიდან ერთ-ერთის ამოკვეთა ორგანიზმისათვის საკმაოდ სერიოზული სტრესია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, თუ დარჩენილი ორგანო ჯანსაღია, შესაძლებელი ხდება ამ სტრესის დაძლევა და ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენა. ჯანსაღი ორგანო მართლაც საოცრებას ახდენს ხოლმე — თავის თავზე იღებს ორივე ორგანოს ფუნქციას და მშვენივრად ასრულებს ახალ „ვალდებულებას“. თქვენი ხელშეწყობა ის იქნება, რომ პერიოდულად აკონტროლოთ დარჩენილი თირკმლის ფუნქცია ანალიზებით და საჭიროების შემთხვევაში დროულად უმკურნალოთ.

**ჩემს ვაჟს თვალები და ქუთუთოები შესამჩნევად აქვს შესივებული, დაჰკრავს სილურჯე, თვალები უბზინავს, უსიამოვნო შესახედავია, დილაობით ქუთუთოები ეწებება. სხვა მხრივ ჯანმრთელობას არ უჩივის.**

*მ. შუბლაძე*

თქვენი მონათხრობის მიხედვით თქვენს ვაჟს აქვს კონიუნქტივიტი (თვალის შემაერთებელქსოვილოვანი გარსის ანთება), მაგრამ კერძოდ რა არის მისი გამომწვევი, ეს მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის შემდეგ გაირკვევა. კონიუნქტივიტი შეიძლება იყოს ბაქტერიული, ვირუსული, ალერგიული, ტკიპისმიერი. გირჩევთ, მიბრძანდეთ თვალის კლინიკის სპეციალიზებულ ლაბორატორიაში, სადაც გამოიკვლევენ თვალის მიკროფლორას, მის მგრძნობელობას და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მკურნალობის შესაბამისი კურსის შერჩევა. ასეთ შემთხვევაში დადებითი შედეგი გარანტირებული იქნება.

**მაქვს წითელი ლოყები. გთხოვთ მირჩიოთ რაიმე საშუალება მის გასაუფერულებლად. წინასწარ გიხდით მადლობას.**

*თქვენი ერთგული ნათია*

— უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს, ლოყების ასეთი შეფერილობა ხომ არ არის გამოწვეული რაიმე პათოლოგიით, კერძოდ, ლოყების პათოლოგიური სიწითლე ახასიათებს შაქრიან დიაბეტს, ფილტვების ტუბერკულოზს... თუ მსგავსი ქრონიკული დაავადებების არსებობა გამორიცხულია, მაშინ შესაძლოა კანის ასეთი შეფერილობა გენეტიკური თავისებურებებით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში მიზნის მისაღწევად შეგიძლიათ სპეციალური კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება.

**მესაჭიროება მუცლის ექოსკოპიის გაკეთება. გთხოვთ გამარკვიოთ, გაიგებს თუ არა დედა ჩემს მეგობარ ბიჭთან რომ ვცხოვრობ?**

*ერთგული მკითხველი 19 წლის მარიშა*

თუ თქვენს სიახლოვეს არ მოჰყოლია ორსულობა, არ გაგიკეთებიათ აბორტი, მაშინ მუცლის ღრუს ზოგადი ექოსკოპიის გამოკვლევით თქვენი საიდუმლო არ გაიხსნება.

**ვარ 33 წლის. მაქვს ვენების გაგანიერება. ამ კომპლექსის გამო ზღვაზე, ხალხში გასვლასაც კი ვერიდები. ოპერაციის შემთხვევაში განვიკურნები და ვენებიც გამიქრება თუ არა სამუდამოდ?**

*ლ. მამაცაშვილი, ქუთაისი*

ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს ანგიოპლასტიკური ოპერაციის მეშვეობით ზედაპირული გაგანიერებული ვენები გადაიკეტება და მათში სისხლი აღარ მიედინება, კიდურების ვიზუალური მხარე საგრძნობლად უმჯობესდება და შედეგიც კარგია. ასე რომ, პლასტიკური ქირურგიის მეშვეობით თქვენი პრობლემა შესაძლოა იოლად გადაიჭრას.

**დიდი ხანია მაქვს ჩიყვი და მისგან გამოწვეული თრთოლა და ხელის კანკალი. ექიმთან მისვლის საშუალება არ მაქვს. მირჩიეთ, რა წამალი მივიღო ხელის კანკალის შესამცირებლად?**

*თბილისელი პედაგოგი*

იმედია, მკითხველი გაგვიგებს — შეუძლებელია, გაზეთის ფურცლიდან მოგაწოდოთ ზუსტი დასახელება იმ პრეპარატებისა, რომლებიც გესაჭიროებათ (მით უმეტეს, მათი დოზირება). ამასთან, თქვენი მონათხრობი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნის თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჩვენთვის უცნობია, როგორია ფარისებრი ჯირკვლის ზომები, ექოსტრუქტურა, მისი ფუნქციური მოშლის ხარისხი, ხომ არ არის ჯირკვლის სტრუქტურაში კვანძები; გიმკურნალიათ თუ არა დღემდე და როგორი იყო ჩატარებული მკურნალობის შედეგები.

თქვენ გესაჭიროებათ ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიური გამოკვლევა, თირეოიდული ჰორმონების: ტრიიოდთირონინის, თიროქსინისა და თირეოტროპული ჰორმონის დონის განსაზღვრა სისხლში და მხოლოდ ამის შემდეგ ენდოკრინოლოგი დაგინიშნავთ სათანადო მკურნალობას.

**მყავს 8 წლის გოგონა, რომელსაც 7 წლის ასაკიდან დაეწყო თმიანობის გაძლიერება. გთხოვთ მირჩიოთ, რომელ ექიმს მივაკითხო.**

*თქვენი მუდმივი მკითხველი*

თმიანობის პათოლოგიურ გაძლიერებას ყველაზე ხშირად იწვევს ჰორმონული ცვლის დარღვევა (კერძოდ, სასქესო ჰორმონების ცვლის მოშლა). ბავშვი დროულად უნდა მიუყვანოთ გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს.

## თბილისურ მეთოდს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის მარინა შადურისა და მისი კოლეგის, აწ განსვენებული გიორგი ჭიჭინაძის მეცნიერულ აღმოჩენას შეუძლია ადამიანის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის დაცვა და სიცოცხლის გახანგრძლივება.



მარინა შადური, გიორგი ჭიჭინაძე

ყოველივე კი სრულიად ჩვეულებრივად დაიწყო. პეტერბურგელმა მეცნიერმა კონსანტინ კოროტკოვმა გამოიგონა ხელსაწყო „Êàì åðà“, რომელიც აანალიზებს ადამიანის ენერგეტიკას, ხოლო მისმა თბილისელმა კოლეგებმა ეს ხელსაწყო გააუმჯობესეს...

უძველესი დროიდან ცნობილია დიაგნოსტიკის მრავალი საშუალება. ამჟამად კი, ექიმებს შეუძლიათ თითების, ცხვირის, ან იდაყვის ანაბეჭდებში დაინახონ ადამიანის ნებისმიერი დაავადებული ორგანო, დაწვრილებით აღწერონ ყველაფერი, რაც ორგანიზმში ხდება, ფსიქოთერაპიული მდგომარეობის ჩათვლით და რაც მთავარია — ექიმები ჯერ კიდევ უჯრედის, ჩანასახის დონეზე ხედავენ იმ დაავადებას, რომელიც ადამიანს რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩნდება. ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ონკოლოგიაში და ნევრალგიაში. თუკი ადამიანს ეცოდინება თავისი ორგანიზმის სუსტი ადგილები, მის ასაცილებლად დროული ზომების მიღებას შეძლებს. ამ დაუჯერებელი საოცრების განხორციელება შესაძლებელი გახდა ქართველი მეცნიერების, მარინა შადურისა და გიორგი ჭიჭინაძის მეთოდის საშუალებით, რომელსაც მეცნიერებმა ბიოტომოგრაფია დაარქვეს, ხოლო მიღებულ სურათებს — ბიოტომოგრამა.

მარინა შადურის თქმით, ბიოჰოლოგრაფია არის ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევისადმი სრულიად ახალი მიდგომა. ხდება თითების ბალიშების ანაბეჭდიდან წამოსული ენერგეტიკული იმპულსების სკანირება. მაგრამ მთავარია არა მარტო ინფორმაციის სკანირება, არამედ იმის გაშიფრვა, თუ რას ნიშნავს ეს ზიგზაგები და ლაქები.

— არც ერთ ფანტასტს არ მოსვლია აზრად, რომ ყელში 2მმ-იანი სიმსივნის სურათის მისაღებად ან ნეკნის მოტეხილობის დასათვალიერებლად გამოეყენებინათ ცხვირის ან თითის გამოსახულება, — ამბობს ქ-ნი მარინა, — ბუნების ამ ფენომენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმის პათოლოგიური უბნების ჰოლოგრაფიული ასლები აისახება სხეულის ზედაპირზე და მისი ელექტრომაგნიტური ველით გაღიზიანებისას ხდება შინაგანი ორგანოების დეტალური დათვალიერება. მარტივად რომ ვთქვათ, კონკრეტულ ორგანოს, ქსოვილის, სიმსივნის, ძვლისა და სახსრის ჰოლოგრაფიული ასლის მისაღებად საკმარისია ელექტრომაგნიტური იმპულსებით ვიმოქმედოთ ცოცხალი სხეულის ზედაპირის პატარა მონაკვეთზე და დავაფიქსიროთ მიღებული გამოსახულება ფოტფირზე ან კომპიუტერის მეხსიერებაში. ექიმებმა იოლად რომ გაიგონ, რა არის აღბეჭდილი სურათზე და მისი ინტერპრეტაცია ვიზუალურად მოახდინონ ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებით, ადიდებენ სურათს, ამჟღავნებენ ფოტოფირის მსგავსად. ექიმი უკვე მისთვის ჩვეულ გამოსახულებაზე მუშაობს, მაგრამ რენტგენისგან განსხვავებით, აქ შესაძლოა გამოვლინდეს ადამიანის სხეულის ნებისმიერი სტრუქტურები, მათ შორის, რბილი ქსოვილებიც, რომელიც რენტგენის სურათზე ბუნდოვანია.

ამ მეთოდით ხელსაწყო აფიქსირებს ორგანიზმზე უსუსტესი ზემოქმედების გამოვლენასაც. მაგ. თუკი პიროვნებას ჯიბეში მობილური ტელეფონი უდევს და მან დარეკა, ირღვევა იმ ადამიანის შინაგანი ფენა, რომლის აღდგენა მხოლოდ 45 წუთის შემდეგ ხდება. ადვილი წარმოსადგენია ხშირი დარეკვის დროს როგორ მდგომარეობაშია იმ ადამიანისა და, სხვათა შორის, მის გვერდით მდგომის (განსაკუთრებით კი, ფეხმძიმე ქალების) ენერგოინფორმაციული სტრუქტურა.

სხვათა შორის, ეს ხელსაწყო სიცრუის დეტექტორსაც სჯობს; ბიოჰოლოგრამა მომენტალურად რეაგირებს ორგანიზმის ნებისმიერ ცვლილებებზე და იმ ადამიანის თითი, რომელმაც მოიტყუა, იმ მოტყუების აურის თანდასწრებით



მარჯვენა ყურის ლოკოკინა — ბიოჰოლოგრაფიული გამოსახულება (მარცხნივ) და ნახატი ატლასიდან

ნახევრად ნათდება...

არაერთი ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერი (ი. ფრანგიშვილი, ლ. ჭავჭანიძე, ვ. ბოჭორიშვილი, ლ. გერასიმოვა, ბ. ვალდეკერი, რ. კოკერილი, ჯ. რაილი) აღიარებს, რომ ბიოჰოლოგრაფიული ფენომენის აღმოჩენით ბუნების შეცნობის დარგში ახალი ეტაპი დაიწყო. მაგრამ ზოგს აღიზიანებს და აეჭვებს ქართველი მეცნიერების წარმატება. მათ შორისაა კ. კოროტკოვი. თბილისის ბიოჰოლოგრაფიის ცენტრში, რომელსაც მარინა შადური ხელმძღვანელობს, სულ რამდენიმე თანამშრომელია, ენთუზიასტები, რომლებიც უფასოდ მუშაობენ. ცენტრს მატერიალურად უჭირს...

ქალბატონ მარინას უამრავი მიწვევა აქვს საზღვარგარეთიდან მაგრამ წასვლას არ ჩქარობს. სურს, რომ სწორედ მის სამშობლოში დაარსდეს ბიოჰოლოგრაფიის (მსოფლიოში პირველი) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საკუთარი ექსპერიმენტული ბაზით, ახალი თაობის სამედიცინო და კრიმინალისტიკური აპარატურით მომავალ ცენტრში, ზემოაღნიშნული მეთოდის საშუალებით შესაძლებელი გახდება ახალშობილთა და მცირეწლოვან ბავშვთა მასობრივი გამოკვლევა და დისპანსერული დაკვირვება ნევროლოგიური და ჰორმონალური დარღვევების დროული გამოვლენისა და პროფილაქტიკისათვის.

იმ რაიონებში, სადაც შეუძლებელია მაღალკვალიფიციური დიაგნოსტიკური სამსახურის უზრუნველყოფა (წყალქვეშა ნავები, მაღალმთიანი რაიონები, კოსმოსური ხომალდები) სატელიტური ანტენისა და მცირე ზომის მოწყობილობის მეშვეობით შესაძლებელი იქნება პირდაპირი კავშირის დამყარება დიაგნოსტიკურ ცენტრთან, რომლის ექსპერტებიც ბიოჰოლოგრაფიული ინფორმაციის გაშიფვრის საფუძველზე დაადგენენ ზუსტ დიაგნოზს.

ქალბატონი მარინა ოპტიმისტია და იმედს არ ჰკარგავს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და მისი ოცნება ასრულდება.

*ნონა ღამბაშიძე*

## კარაბადინი

**ხშირად მემართებოდა ხოლმე ანგინა. მეზობელს შევჩივლე და მან ასეთი რამ მიამბო: გურიაში ბებია ჰყოლია, რომელსაც 105 წელი უცოცხლია, ისე, რომ ფრჩხილიც არ წამოსტკივებია. მისი ჯანმრთელობის მთელი საიდუმლო ევკალიპტის ხე ყოფილა. ამ მცენარის ფოთლების ნაყენს ბებია გამუდმებით სვამდა თურმე, ბანაობის დროსაც ევკალიპტის ნახარშის აბაზანას იღებდა ყოველთვის. როცა ვინმე გაცივდებოდა ან ყელი ეტკინებოდა, ბებია ყველას ევკალიპტის ნაყენს უნიშნავდა ყელში გამოსავლებად ან დასალევად. მეზობლის რჩევას ყური ვუგდე და დავიწყე ევკალიპტის ნახარშით ყელის გამორეცხვა (100გ ფოთოლი უნდა ხარშოთ 1 ლიტრ წყალში. გაცივების შემდეგ გაწურეთ. გამოვლების წინ გააცხელეთ). შედეგი გასაოცარია — მას შემდეგ ყელის ტკივილს აღარ შევუწუხებივარ.**

*ნანი ბურდული, თბილისი*

ექიმის კომენტარი: ევკალიპტი მართლაც საოცარი მცენარე გახლავთ. მისი ფოთლების ნაყენს აქვს ანტიანთებითი და ანტისეპტიკური მოქმედება. ამასთან მას მოქმედების მეტად ფართო სპექტრი აქვს — თრგუნავს ოქროსფერ სტაფილოკოკს, ეშერიხიას, ტუბერკულოზის ჩხირის, დიზენტერიის, ამების და ტრიქომონიდების ზრდასაც კი. ფიტოთერაპიაში ევკალიპტის პრეპარატებს ფართოდ იყენებენ დაჩირქებითი პროცესების — აბსცესის, ფლეგმონის, ჩირქოვანი მასტიტების, დუნედ მიმდინარე ქრონიკული წყლულების, კანის სხვადასხვა დაჩირქებითი დაავადების დროს. გინეკოლოგიაში მისი ნაყენი საშოს გამოსარეცხად გამოიყენება, ხოლო სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ევკალიპტი გინგივიტების (ღრძილების ანთების), სტომატიტების დროს ინიშნება. საკმაოდ ეფექტურია ნახარშის გამოვლება ყელში ანგინის დროს, რასაც ჩვენი მკითხველიც ადასტურებს. მწვავე რესპირატორული დაავადების ტრაქეიტის (ტრაქეის ანთების), ლარინგიტის (სასის ანთების) დროს კი, ევკალიპტის ინჰალაციური სახით გამოყენებაა რეკომენდებული. მე-19 საუკუნის მედიცინაში ევკალიპტი მალარიის, დიფტერიის, ქუნთრუშის და ჭიებით ინვაზიის დროს გამოიყენებოდა.

რაც შეეხება ევკალიპტის ნახარშის დალევას გირჩევთ, ნაყენი წყლით გაზავებული მიიღოთ.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

## წვრილმანია, მაგრამ... საშიში



„ჯანმრთელობისთვის ისე არაფერი არ არის საზიანო, როგორც გაოფლიანებული და გახურებული სხეულის განიავება, რომელიც იწვევს თავის ტკივილს, წუხილს და სიკვდილსაც კი“ — ასე წერდნენ 100 წლის წინ მარაოს შესახებ. მართალია დღემდე ამისგან არავინ მომკვდარა, მაგრამ ქალის ტუალეტის სხვა საგნები კი, თურმე საშიში და საზიანო ყოფილა ჯანმრთელობისთვის!

წვრილი ქუსლები ნამდვილი მაგნიტია! ამტკიცებენ მედიცინის მუშაკები, რომლებიც სწავლობენ ელექტრომაგნიტური ველის ზეგავლენას ადამიანზე: ცნობილია, რომ ეს თვალით დაუნახავი მტერი, შეიძლება გახდეს სიმსივნის განვითარების მიზეზი, დაარღვიოს იმუნური, ენდოკრინული და ნერვული სისტემების ფუნქცია. მუშაობის პროცესში მეცნიერებმა გამოიკვლიეს ოთახები, საავადმყოფოები, ოფისები, სადაც მოწყობილობის საშუალებით გაზომეს ელექტრომაგნიტური ველი. ისრები და ციფრები ყოველთვის „მშვიდად“ იყვნენ, მაგრამ, ერთხელაც „გადაირივნენ“! ციფრებმა დაიწყეს ხტუნვა, ისრებმა მოძრაობა. რა მოხდა? გაიკვირვეს მეცნიერებმა. აღმოჩნდა, რომ ამ მოწყობილობათა ახლოს გაიარა უცხო ქალმა, რომელსაც წვრილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი („შპილკები“) ეცვა. ისარი მაშინვე „ცოცხლდებოდა“, როგორც კი მისი გადამცემი უახლოვდებოდა ფეხსაცმლის წვრილ ქუსლს („შპილკას“).

როგორც გაირკვა, ყველაფერში დამნაშავე აღმოჩნდა სუპინატორი, ფეხსაცმლის ლანჩაში ჩატანებული ლითონის ფირფიტა, რომელიც ყველა, ნებისმიერ ფეხსაცმელშია. მაგრამ წვრილქუსლიან ფეხსაცმელში ის ძალიან მაგარია, რათა ფეხი ადვილად არ გადაბრუნდეს და სხეულის სიმძიმეს გაუძლოს.

როგორ შევამოწმოთ, დამაგნიტებულია თუ არა ფეხსაცმელი? კომპასთან ახლოს გაატარეთ ფეხსაცმელი, თუ ისარმა მოძრაობა დაიწყო (მიიზიდა), ე.ი. დამაგნიტებულია, თუ არა — არა. რით გვემუქრება დამაგნიტებული ქუსლები? მართალია ჯერ კიდევ მეცნიერებს არ შეუსწავლიათ ადამიანის ორგანიზმზე ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ წვრილქუსლიან ფეხსაცმელში ფეხი ადრე იღლება, ოფლიანდება, რამაც შეიძლება სოკო გამოიწვიოს, ამავე დროს შეიძლება განვითარდეს თრომბი. ასე რომ, იფიქრეთ, როგორი ფეხსაცმელი იყიდოთ...

*მედიცინა*

# თაფლი, თაფლი...

**რას უხდება თაფლი და როგორ გამოვიცნოთ ნამდვილი?**

***მარინა ფერაშვილი, თბილისი***

ერთ ჯერზე ადამიანის ორგანიზმს თაფლის მხოლოდ დაახლოებით 100-150გ-ის ათვისება შეუძლია, რადგანაც იგი ორგანიზმიდან ოფლის გამოყოფას აძლიერებს, სითხის ჭარბი რაოდენობა სწორედ ოფლის საშუალებით გამოიყოფა.

თაფლი შაქრებისგან შედგება (95-98%), ჭარბობს მონოსაქარიდები — გლუკოზა და ფრუქტოზა. ეს იმას ნიშნავს, რომ თაფლი კუჭში ფერმენტების საშუალებით არ იხლიჩება, არამედ პრაქტიკულად სწრაფადვე შეიწოვება ნაწლავებში. გლუკოზა ზრდის ღვიძლის მიერ ტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებელყოფის უნარს, არტერიულ წნევას, აუმჯობესებს გულის მუშაობას. ამიტომაც თაფლი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ღვიძლის დაავადებების, გულის ფუნქციონირების დარღვევისას, სტენოკარდიის, სხვადასხვა მოწამვლის, ძლიერი გონებრივი და ფიზიკური გადაღლის დროს. ასევე ალკოჰოლური სასმელების მიღების შემდეგ, კუჭის წყლულის, გასტრიტის, ტუბერკულოზის, ზედა სასუნთქი გზების კატარის, პროსტატიტის, ჰემოროის, არაშეხორცებადი წყლულების და სხვა დაავადებათა დროს. თაფლში 180-ზე მეტი ბიოლოგიური ნაერთია, მათ შორის თითქმის ყველა ამინომჟავა, 8 ფერმენტი, 9 ვიტამინი, 22 მაკრო და მიკროელემენტი, რომლებიც ბუნებრივ ანტიბიოტიკებს წარმოადგენენ.

**აკაციის თაფლი** საუკეთესოა ბავშვებისთვის. მასში ბევრია A ვიტამინი (კაროტინი). ის მუქი ფერისაა, უფრო თხელია და ტკბილი; კონიუნქტივიტის, კატარაქტისა და გლაუკომის დროს დისტილირებულ წყალთან შერეული თაფლი (თანაფარდობა 1:2) ჩაიწვეთეთ თვალში საღამოს. ის ძალზე კარგია ღვიძლის და თირკმლის დაავადებების დროს, ასევე ნევრო-ფსიქიკური დარღვევებისას. აქვს ანტისეპტიკური თვისებები.

ენურეზის (შარდის შეუკავებლობა) დროს არ მისცეთ ბავშვს ძილის წინ სითხე, მიეცით 1 კოვზი თაფლი. აკაციის თაფლი ხელს უწყობს სითხის ორგანიზმში შენარჩუნებას, თან ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

**წაბლის თაფლი** მუქია, აქვს ძლიერი სუნი და გემო. ამიტომაც სხვადასხვა ტიპის თაფლის დეგუსტაციის დროს გირჩევთ, პირველად წაბლის თაფლი არ გასინჯოთ, თორემ ის დაფარავს სხვა გემოს. წაბლის თაფლი ზრდის ჭამის მადას, ნაწლავის ტრაქტის ფერმენტულ აქტივობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსს, კარგია ღვიძლისა და პროსტატისთვის. კუჭთან დაკავშირებული პრობლემების დროს რეკომენდებულია 1ჩ/კ თაფლის მიღება დილით, დააყოლეთ მას წყალი.

თაფლის ხარისხი დამოკიდებულია დრო და ეკოლოგიურ სისუფთავეზე — თუ სად ხდება მისი შეგროვება. სამრეწველო ცენტრებისა და დიდ ქალაქებთან ახლოს თაფლი გამდიდრებულია ისეთი ელემენტებით, როგორიცაა: გოგირდი, ტყვია და სხვა, რაც მავნებელია. ზოგიერთი მეფუტკრე ფუტკრებს შაქრის ვაჟინით კვებავს, რომელიც გადამუშავდება ე.წ. „შაქრის“ თაფლად. ის შეიძლება ფუტკრის საკვებად შეინახონ ზამთარში. სამკურნალო თვისებებითა და შემადგენლობით ასეთი თაფლი ნატურალურს ვერ შეედრება. როგორ მოვახდინოთ მათი დიფერენცირება? უმეტესწილად, „შაქრიან“ თაფლს ან არამწიფე თაფლს მომეტებული სინოტივე აქვს. ამაზეა დაფუძნებული შემდეგი ტესტი:



— ხარისხიან თაფლში დასველებული პურის ნატეხი 8-10 წუთში უნდა გამაგრდეს. თუ დარბილდა, თაფლი ნოტიოა.

— სუფრის კოვზით თაფლი დაატრიალეთ. თუ არ გადმოიღვარა და თაფლი კოვზის გარშემო ბრუნავს, თაფლი ხარისხიანია.

— კარგი თაფლი თეფშზე მრგვალ ფორმას იღებს, მის შიგნით არის ჰაერის ბუშტუკები.

თაფლის გემო უნდა იყოს ნაზი და უნდა იგრძნოთ ფხაჭნა ყელში. წაბლის თაფლს შეიძლება ჰქონდეს მწარე გემოც. კარამელის გემო კი თაფლის შეცხელების შედეგია.

თაფლიანი თავდახურული ქილა გადააბრუნეთ, თუკი თაფლი ნამდვილია, ბუშტუკები ძალიან ნელა აიწევს ზევით. ქაღალდი დაასველეთ თაფლით, ქიმიური ფანქრით დაწერეთ მასზე 8-იანი, თუკი ნაწერი გაიშალა, თაფლი ნოტიოა. გემოს გასინჯვისას თაფლი სუფრის კოვზით შუა ქილიდან უნდა ამოიღოთ. თაფლი შეგიძლიათ ძალიან დიდხანს შეინახოთ მინის ქილით და ბნელ ადგილას. ყველა თაფლი ადრე თუ გვიან კრისტალდება, ამიტომ შეათბეთ თბილ წყლიან ჭურჭელში. წყლის ტემპერატურა $50^0$-ს არ უნდა აღემატებოდეს. მოსახლეობის დაახლოებით 1% ალერგიულია თაფლის მიმართ. შაქრიანი დიაბეტის დროს 1ს/კ-ზე მეტს მაინც ნუ მიიღებთ.

ფიჭა ანტიანთებითი, ანტიტოქსიკური, სოკოს საწინააღმდეგო თვისებებისაა, ასევე ანტიკარიესული, სისხლის დენის შემაჩერებელი მოქმედება აქვს, ზოგიერთი წამლის მოქმედებას მნიშვნელოვნად აძლიერებს..

ნამდვილ ფიჭას ბალზამისმაგვარი არომატი უნდა ჰქონდეს; ცოტა ფიჭა დაღეჭეთ, თუ კბილზე მიგეკრათ და არანაირი გემო არა აქვს, ყალბია.

ფიჭა გამოიყენება: ანგინის, გრიპის, ზედა სასუნთქი გზების ანთების დროს — ღეჭეთ მცირე ზომის ნაჭერი.

**კბილის ტკივილის** დროს მოიითავსეთ მისი ნაჭრები კბილთან ახლოს.

**კოჟრების დროს** — დაიდეთ კოჟრზე და შეიხვიეთ, 3 დღე-ღამის მერე მოიხსენით, კოჟრი მოძვრება.

**ფიჭის სპირტხსნარი** ასე მზადდება: 10%-იანი ექსტრაქტი გამოიყენება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს. ჭამამდე 1 საათით ადრე 20 წვეთი გახსენით თბილ წყალში ან რძეში და მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 20 დღეა, ამავე დროს დიეტის დაცვა აუცილებელია. აუცილებლობის შემთხვევაში 10-12-დღიანი შესვენების შემდეგ მკურნალობის კურსი გაიმეორეთ.

**ანგინის დროს** — 20 წვეთი — 1/4 ჭიქა წყალზე. გამოივლეთ ყელში, მანამ კი სოდიანი წყალი გამოივლეთ ყელში.

**ქრონიკული შუაყურის ჩირქოვანი ანთების დროს:** მცენარეულ ზეთთან 1:1-ზე გააზავეთ. ცხიმიანი ტამპონი გაჟღინთეთ ამ ემულსიით და ჩაიდეთ ყურში. მკურნალობის კურსი — 1-15 პროცედურაა.

**ფიჭის მალამო:** 10%-იანი — დამწვრობისა და მოყინვის დროს, ჰემოროის, გაცივების დროს — 3-4-ჯერ დღეში ცხვირში ჩაიწვეთეთ თხევადი პრეპარატის 3-4 წვეთი. გინეკოლოგიური დაავადებების დროს (ანთებითი ცვლილებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, პოლიპი): 10-12 დღის მანძილზე 10-12 საათით ტამპონი მოათავსეთ საშოში, მეძუძურმა დედებმა დაზიანებულ კერტებზე უნდა დაიდონ. 15%-იანი — ჭრილობის სწრაფი შეხორცებისთვის, სახეზე გამონაყარის დროს, ეგზემის, კანის ქავილის დროს. 20%-იანი — სოკოვანი დაავადების, ფურუნკულოზის, კარბუნკულოზის დროს.

***მაია მუხიგული***

# ოჯახური თანხმობის მარტივი დიეტა...



**მისი უდიდებულესობა თევზი.** იგი უჯერი ცხიმების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების უშრეტი წყაროა. რაც უფრო ცხიმიანია თევზი, მით მეტად სასარგებლოა, ბევრად მეტი კვებითი ღირებულება აქვს ცხიმიან სკუმბრიას, ვიდრე პალტუსს ან ნოტოთენიას. სასარგებლოა თავისსავე წვენში ჩადებული სკუმბრიის კონსერვიც.

გაყინული თევზი შებრაწეთ ჰაერღუმელში და არა ცეცხლზე.

კვირაში 2-ჯერ მაინც უნდა მიირთვათ თევზი ან თევზის ქონის 2 კაფსულა.

**სეზონური ხილი და ბოსტნეული.** შეარჩიეთ მკვეთრი (კაშკაშა) ფერის (მათში ბევრი ვიტამინია) ახალი ხილი,ასევე ბოსტნეული, ტომელიც უმჯობესია არ მოხარშოთ, ანდა სულ ერთი წუთით ჩადეთ ცხელ წყალში. მოასხით ზეთი ან არაჟანი.

დღეში 3-4-ჯერ უნდა ჭამოთ ხილი და ბოსტნეული. გახსოვდეთ, მაცივარში დიდხანს (2-3 დღე) შენახული ბოსტნეული და ხილი კარგავს ვიტამინების ნაწილს.

**მცენარეული ზეთები.** უმჯობესია ზეთი დაამატოთ მზა კერძებს, სალათებს. ცხიმოვანი მჟავებით უფრო მდიდარია მზესუმზირის და ზეითუნის ზეთი. ნუ დატოვებთ სინათლეზე გახსნილ, თავღია ზეთს, რადგან ამ შემთხვევაში ის სწრაფად კარგავს სასარგებლო თვისებებს.

დღეში უნდა მიიღოთ 15-30 გ მცენარეული ზეთი.

**ხორცი. მკერდის ნაჭერი, სუკი, ფილე.** ხორცი ადამიანის რაციონის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასზეა დამოკიდებული კუნთოვანი სისტემის სიმკვრივე. ცხიმოვანი შემადგენლობის თვალსაზრისით, ყველაზე უვნებელია კანგაცლილი ქათმის მკერდი, ძროხის რბილი ხორცი და სუკი. გირჩევთ, არანაირი ხორცი ტაფაზე არ შეწვათ, არც მოხარშოთ, სანელებლებით შეაზავეთ, მოასხურეთ ლიმონის წვენი და ჰაერღუმელში ან გრილში დაბრაწეთ. სასურველია, ასაკის მომატებასთან ერთად თანდათანობით შეამციროთ ხორცის ულუფა და თევზს მიეძალოთ. ფიზიკური დატვირთვის დროს კი, სჯობს, უფრო მეტი რაოდენობით მიირთვათ ხორცი. საერთოდ, კარგი იქნება, თუ დღეში ერთხელ მაინც უარს არ იტყვით ხორციან კერძზე.

**კარაქი და არაჟანი.** ეს პროდუქტები მინერალური ნივთიერებების მნიშვნელოვანი წყაროა. ისინი უზრუნველყოფენ ნივთიერებათა სწორ ცვლას, ხელს უწყობენ საჭმლის მონელებას. ამიტომ არასასურველია საერთოდ რაციონიდან მათი ამოღება. გაითვალისწინეთ, ფოსფორი 2-ჯერ მეტია არაჟანში, ვიდრე კარაქში, ქოლესტერინი კი 4-ჯერ ნაკლები. მათი ცხიმები ადვილად ასათვისებელია. დღეში უნდა მიირთვათ არანაკლებ 20 გ კარაქი ან არაჟანი.

***ლიზა-ჰოროსკოპი №10***

# სასწაულმოქმედი ფინჯანი



თუ ჩვეულებრივ შავ ჩაის სამკურნალო ბალახებს დავუმატებთ, მას ბალზამად ვაქცევთ. ასეთი ჩაის დღეში 6-8 ჭიქის მიღება ებრძვის გაცივებას და ვირუსულ ინფექციებს და თუ მაინც გაცივდით, გამოჯანმრთელებაში ეს ბალზამი დაგეხმარებათ. შეურიეთ ერთმანეთს 250გ შავი ჩაი, 1 ს/კ ბეგქონდარა, 1 ს/კ დაქუცმაცებული კატაბალახას ფესვები, 2 ს/კ კრაზანა, 2 ს/კ პიტნა. 1 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და დალიეთ.

***ოტდოხნი! №41***



# როგორ ვუშველოთ თავის ტკივილს

თავის ტკივილს რომ ვუშველოთ, პირველ რიგში უნდა გამორიცხოთ მისი გამომწვევი მიზეზები: შეუფერებელი ზომის სათვალე, გადაღლილობა, სიმაძღრე, დაბალი ან მაღალი არტერიული წნევა და ა.შ.

დაბალი წნევის დროს დალიეთ ჩაი ან ყავა. ნერვიულობის ნიადაგზე გამოწვეული თავის ტკივილის დროს მიიღეთ თბილი აბაზანა, ჭამეთ მარილიანი თევზის პატარა ნაჭერი, დალიეთ ბარამბოს ნახარში ან ნაყენი.

კეფასთან ტკივილის დროს აქეთ-იქით გადახარეთ თავი, გაიკეთეთ თავის მასაჟი.

სისხლძარღვოვანი სპაზმების დროს იდაყვამდე ჩაყავით ხელები ცხელ წყალში. დალიეთ მაგარი ტკბილი ჩაი. დაბოლოს, პრაქტიკულად ყველა სახის თავის ტკივილის პროფილაქტიკაა — უზმოზე ერთი ჭიქა შრატის მიღება და ყელზე ქარვის მძივის შებმა.

***ტრუდ-7 №152***

**დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია გთავაზობთ:**

სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების დაავადებების, ჰეპატიტების B და C, ინფექციური მონონუკლეოზის, პაპილომა ვირუსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ქლამიდია, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, გონორეა და ა.შ.) დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.

**ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია**

მის: ჩიქოვანის ქ. 14 (ყოფ. ხილიანის) ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტ: 36-37-95; 899-55-61-97

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

**სამედიცინო ცენტრი „მედი“**

MEDI

- ლიპოსაქცია
- ნაოჭების გასწორება
- ტუჩების კორექცია
- მკერდის გადიდება
- სახის კანის გაახალგაზრდავება
- ბლეფაროპლასტიკა
- ოტორინოლარინგოლოგია
- თმის გადანერგვა
- კონტურული მაკიაჟი

**ოტორინოლარინგოლოგია**



- ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა
- ცხვირით სუნთქვის აღდგენა
- ფრონტიტის, ჰაიმორიტის მკურნალობა
- გამორეცხვით, ჩხვლეტის გარეშე
- ენდოსკოპიური ოპერაციები სრული გაუტკივარებით
- ოპერაციები რადიოტალღებით და თხევადი აზოტით

*ხელმძღვანელი: გია გვარამია*

ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

*ლიცენზირებულია*

**კავკასია**

## ალიევი ვაჟს მემკვიდრედ ამზადებს

ჰეიდარ ალიევი დსთ-ის ქვეყნების პოლიტიკური ოლიმპის ყველაზე ასაკოვანი წევრია. 79 წლის ალიევი კვლავ აპირებს მონაწილეობას 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

ჰეიდარ ალიევს და მის მეუღლეს (1985 წელს გარდაიცვალა) ორი შვილი ჰყავთ. ვაჟი — ილჰამი და ქალიშვილი სევილი. ქალიშვილი თავისი სახელობის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარეა. მასაც ილჰამივით 3 შვილი ჰყავს.

სახელმწიფოს მეთაური დიდებული ორატორია, უყვარს მრავალსაათიანი გამოსვლები. ხალხსაც უყვარს თავისი ლიდერი. აეროპორტიდან ბაქოსკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს ალიევის გამონათქვამებით დამშვენებული ფარებია ჩამწკრივებული. მისი მოღვაწეობის შესახებ იწერება წიგნები, იღებენ დოკუმენტურ ფილმებს. დღეს რესპუბლიკაში არ არსებობს დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა და საბავშვო ბაღიც კი, რომელსაც არ ამშვენებდეს ალიევის პორტრეტი, მისი სახელი ჰქვია სკვერებს, პარკებს და ა.შ.

როცა წლების წინ ითქვა, ალიევი თავის ვაჟს ამზადებს საპრეზიდენტოდო, მაშინ ილჰამმა განაცხადა, — ეს ან პროვოკატორის მო-



ჰეიდარ ალიევი ელისაბედ II-სთან და ქალიშვილთან ერთად

ნაჩმახია, ან სულელისო. გავიდა დრო. ილჰამი კარგა ხანია სათავეში უდგას ნავთობის სახელმწიფო კომპანიას და, როგორც ამბობენ, დიდ პოლიტიკაშიც აპირებს ჩაბმას. ალბათ ამის დასტურია ის, რომ იგი მამის მოადგილეა მმართველ პარტიაში, პარლამენტარიცაა. აზერბაიჯანში დღეს აღარავის უკვირს, რომ ალიევის ოჯახის წევრები, ახლო თუ შორეული ნათესავები აკონტროლებენ ტელე და რადიოარხებს, ჟურნალ-გაზეთებს, ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებს.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის ყოფილი სპიკერის რ. გულიევის (ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს) მტკიცებით, ალიევსა და მისი ოჯახის წევრებს საზღვარგარეთის ბანკებში მილიონობით დოლარი აქვთ დაბანდებული.

გამობრძმედილი პოლიტიკოსი ჰეიდარ ალიევი არა მარტო ერის ბედზე ფიქრობს, არამედ საკუთარ ოჯახზეც. რატომ არ უნდა იზრუნოს სამეფოს ან სახანოს შექმნაზე (საამისოდ ისტორიული წანამძღვრები არსებობს), სადაც მემკვიდრეობის უფლება გარანტირებული იქნება, მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც ამდენი ნავთობი და ხიზილალაა!

## ყარაბაღელებს დიასპორა უდგას მხარში

მთიანი ყარაბაღი საბჭოთა რუკებზე აზერბაიჯანის ფარგლებში შემავალი ავტონომიური ოლქი იყო, დღეს კი იგი აუღიარებელი, სომხეთთან დამოუკიდებლად მიერთებული რესპუბლიკაა. ბიშკეკის 1994 წლის 5 მაისის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის ფრონტზე სიმშვიდეა, თუ არ ჩავთვლით პოზიციურსა და სნაიპერულ ომს. ფაქტობრივად, მთიანი ყარაბაღი იზოლაციაშია მოქცეული.

აზერბაიჯანისგან დახსნილი მიწა სამხრეთიდან ირანს ესაზღვრება. მხოლოდ ჩრდილოეთით, ლაჭინის რამდენიმე წლის წინ გაყვანილი გზით უკავშირდება სომხეთს. ბლოკადისა და აუღიარებელი სტატუსის მიუხედავად, დე ფაქტო ყარაბაღი არსებობს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

10-წლიანი ომით დანგრეული ფაბრიკები და ქარხნები ცხადია, გაჩერებულია. ქალაქელებისაგან განსხვავებით, სადაც ძალიან ბევრია უმუშევარი, გლეხები განთიადიდან დაღამებამდე შრომობენ, ფაქტობრივად ისინი არჩენენ ქვეყანას. სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის მთავარი ქალაქი სტეფანაკერტი, სხვებიც, ნელ-ნელა შენდება. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფენომენი კარგად მომზადებული, შეიარაღებული არმიაა. ყარაბაღელ სამხედროებს არა აქვთ იმის ილუზია, რომ აზერბაიჯანი არ განაახლებს ბრძოლას, ამიტომაც ჯარს ისე წვრთნიან, რომ იგი მუდამ მზად იყოს პასუხის გასაცემად. ყარაბაღის ეკონომიკური აღმავლობა ორი წელია თვალსაჩინო გახდა. ამის საფუძველი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მიერ ჩადებული ინვესტიციებია — დაახლოებით 20-25 მლნ დოლარი.

იმის მიუხედავად, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში 4 კანდიდატი მონაწილეობდა, ხელისუფლებას რეალური ოპოზიცია არ ჰყავს, რადგან სტატუსის პრობლემა, თავდაცვის ამოცანები, ის, რომ ქვეყანა დამოკიდებულია ინვესტიციებზე, სხვადასხვა ლიდერს ფაქტობრივად ერთსა და იმავე მიზანს უსახავს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №225***

# მაჯისცემა

**მოსკოვში, 23 ოქტომბერს, თეატრალურ ცენტრში, სპექტაკლის დროს დარბაზში შეიჭრნენ ჩეჩენი ტერორისტები მოვსარ ბარაევის მეთაურობით და მძევლად აიყვანეს შენობაში მყოფი 800-მდე ადამიანი**

## შტურმამდე

● — **რას ითხოვთ?**

— *ჩეჩნეთიდან ჯარის გაყვანას.*

— **ეს ხომ დიდი ხნის საქმეა?**

— *არ ვჩქარობთ.*

● ჟურნალისტმა შეძლო დაკავშირებოდა დარბაზში მყოფ ერთ-ერთ მაყურებელს. იგი ჩურჩულით ლაპარაკობდა: „ყველაზე აგრესიულად ქალი-კამიკაძეები იქცევიან, ბევრნი არიან. ტანზე ასაფეთქებელი ნივთიერებები აქვთ შემოხვეული, მძევლებს სცემენ. მამაკაცები უფრო მშვიდად არიან, ხმას თითქმის არ იღებენ.“

● შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა პუტინმა გადადო ვიზიტები გერმანიაში, პორტუგალიასა და მექსიკაში.

● ბოევიკი ქალი ჩეჩნეთში მაინცდამაინც გავრცელებული მოვლენა არ არის. არსებობს ორი კატეგორია — სისხლის ამღები და ის, ვინც მხოლოდ ფულის გულისთვის სწირავს თავს. ეს უკანასკნელნი ხშირად მუსლიმანებიც კი არ არიან. სისხლის ამღებთა შორის უმეტესად არიან ქვრივები, ფანატიკოსები, იდეისთვის თავგანწირულნი.

● მოვსარ ბარაევი თავისი ბიძის, არბი ბარაევის ბანდას მისი სიკვდილის შემდეგ, 2001 წლის ივლისიდან ჩაუდგა სათავეში და მაშინვე თანამოძმეებს დაერია — საველე მეთაური რ. აჰმადოვი მოკლა, ფულის გამოძალვის მიზნით მძევლებად აიყვანა გროზნოს სამი მცხოვრები. ბარაევს ბრალად ედება არღუნის თავკაცის მკვლელობაც. მოვსარ ბარაევი ტერაქტების დროს კამიკაძე-ქალებს იყენებს, რომლებსაც დახოცილი ახლობლებისთვის შურისძიება ამოძრავებთ.

### დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების რეაქცია მომხდარზე

**გერმანია, „შპიგელი“:**

— ჩეჩნებმა ომი კავკასიიდან მოსკოვში გადაიტანეს.

**დიდი ბრიტანეთი, „დეილი ტელეგრაფი“:**

— მოსკოვში შექმნილმა მდგომარეობამ სერიოზული დარტყმა მიაყენა პრეზიდენტ პუტინის რეპუტაციას.




**აშშ, „ნიუ-იორკ ტაიმსი“:**

— ასეთი ტერორისტული აქტი რუსეთის დედაქალაქშივე დიდი მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდებოდა.

**თეთრი სახლის პრესსამსახურის წარმომადგენელი:**

— ჩვენ ვკიცხავთ ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას.

**ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი:**

— მხარს ვუჭერთ რუსეთის პოლიტიკას ტერორიზმთან ბრძოლაში.

**ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია:**

— ბოევიკებს შევთავაზე, ლორდი ჯადი აერჩიათ ჩეჩნეთიდან ჯარის გამოყვანის გარანტად. მათ ეს წინადადება მიიღეს და მითხრეს, — ლორდმა უნდა დაგვიდასტუროს ჩეჩნეთის თუნდაც ერთი რომელიმე რაიონიდან რუსეთის ჯარის გაყვანის ფაქტიო.

## შტურმის შემდეგ

● რფ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. გრიზლოვმა და რფ-ის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ნ. პატრუშევმა შაბათ დილას კრემლს მძევლების გათავისუფლების ოპერაციის დასრულება მოახსენეს.

● მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ არც ერთი მსახიობი და მუსიკოსი არ დაღუპულა. ეს დაადასტურა მიუზიკლის პროდიუსერმა ალ. ცეკალომ.



● სხვადასხვა ვერსიით, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თანამშრომლებმა შეძლეს თეატრის ქვეშ გვირაბის გათხრა. იქიდან დასაძინებელი გაზი შეუშვეს დარბაზში, სადაც იყო ტერორისტებისა და მძევლების უმეტესობა. სპეცრაზმმა კედელი ააფეთქა და დაიწყო შენობის შტურმი.

● მიუზიკლზე მისული მაყურებლის მძევლად აყვანის გეგმა პირადად ასლან მასხადოვს ეკუთვნის. ტერაქტამდე კარგა ხნით ადრე ტელევიზიით მან განაცხადა: „მალე მოხდება ისეთი რამ, რაც სრულიად შეცვლის ჩეჩნეთში მოვლენათა მსვლელობას“.

● დაფიქსირდა ტერორისტთა სატელეფონო კონტაქტები თანამზრახველებთან ჩეჩნეთში, თურქეთსა და ზოგ არაბულ ქვეყანაში, აგრეთვე მოსკოვში მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან.

● ჟურნალისტები, რომლებიც შენობას მთელი ღამის განმავლობაში გარედან უთვალთვალებდნენ, იტყობინებიან, რომ არ გაუგონიათ შენობაში სროლის ხმა. ისინი აცხადებენ, ბოევიკები თანახმანი იყვნენ, დაეცადათ შაბათ დილის 10 საათამდე, ვიდრე მათთან მოსალაპარაკებლად მივიდოდა საგანგებო წარმომადგენელი.

● ვერც ერთმა ტერორისტმა ქალმა ვერ შეძლო აემოქმედებინა ასაფეთქებელი მოწყობილობა.

● „ალფას“ მებრძოლებმა მძინარე ტერორისტი ქალები საფეთქელში სროლით დახოცეს.

● რფ-ის ხელისუფლებამ აკრძალა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ გადაცემები.

● საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილეპინმა მიულოცა პუტინს მძევლებთან დაკავშირებული აქციის კეთილად დამთავრება და მოითხოვა ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური გზით დაუყოვნებლივ მოგვარება.

● წინასწარი მონაცემებით, შტურმის შედეგად დაიღუპა 100-მდე მძევალი, მოკლულია 50 ტერორისტი — 32 მამაკაცი და 18 ქალი. გაუვნებლეს 30 ასაფეთქებელი მოწყობილობა. ორი ტერორისტი, მათ შორის ერთი ქალი, ცოცხლად შეიპყრეს.

**ტრაგედია გრძელდება.**



**ჩეხეთი**

## ნატოს სამიტის უსაფრთხოდ გამართვისათვის

21 ნოემბერს, პრაღაში შეიკრიბებიან ნატოს ლიდერები თავიანთ ელიტარულ ალიანსში ახალი წევრების მიღებაზე გადაწყვეტილების გამოსატანად; მაგრამ უსაფრთხოებაზე მსჯელობისას, მათი პირადი უშიშროებაც შესაძლოა საეჭვო გახდეს. ეს არც არის გასაკვირი, ჩეხეთში ხომ წლეულს სამხედრო ბაზებიდან დიდი რაოდენობით მოიპარეს იარაღი და შავ ბაზარზე გაყიდეს. სოზმიტალში, არმიის საწყობებიდან 100 ყუმბარმტყორცნი და ყუმბარებით სავსე რამდენიმე ათეული ყუთი გაქრა — 80 საბჭოური Ф-1 ხელყუმბარა „აორთქლდა“. ჩეხეთის ხელისუფლებამ არ იცის, სად წავიდა ამდენი უკონტროლო იარაღი. ტერორიზმის ექსპერტების ვარაუდით, მოპარული იარაღი ქვეყნის გარეთ არ გასულა.

ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ნატოს სამიტის მონაწილეების დასაცავად ყველა ზომას იხმარენ. პრაღის ქუჩებში 12 000 პოლიციელი და 2000 ჩეხი ჯარისკაცი იმორიგევებს. ქალაქის თავზე ამერიკის საჰაერო ძალების გამანადგურებლები იფრენენ. ქალაქის ირგვლივ კი ანტისარაკეტო კომპლექსებს განალაგებენ.

ოფიციალურ პრაღას იმედი აქვს, რომ სამიტის დღეებში ერთადერთხელ დაიქუხებს ზარბაზანი ჩეხეთის ნატოს წევრად მიღების აღსანიშნავად.

***ნიუ ზუიქი***

## სნაიპერი: კოშმარის დასასრული?

აშშ-ის პოლიციის მიერ დაკავებული აფროამერიკელი ჯონ ალენ მუჰამედი და 17 წლის ყმაწვილი, რომელსაც მის ნაშვილებად მოიხსენიებენ, ეჭვმიტანილნი არიან ვაშინგტონის გარეუბნებში მომხდარ მკვლელობებში. მანქანის საბარგულში აღმოაჩინეს შაშხანა, რომლ-



ითაც მოკლულია ათივე მსხვერპლი. მუჰამედი და მისი შვილი მალვო უკვე წარდგნენ ბალტიმორის სასამართლოს წინაშე. როცა მოსამართლემ ჰკითხა მუჰამედს, — იცი, თუ არა, რატომ იმყოფები აქო, მან უპასუხა, — ვიცი, სადაც და რატომ ვიმყოფებიო.

ჯერჯერობით არც ერთი ეჭვმიტანილისთვის არ წაუყენებიათ მკვლელობის ოფიციალური ბრალდება, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის გამო შესაძლებელია მათი ციხეში გაჩერება იმ დრომდე, ვიდრე გაირკვევა არის თუ არა მუჰამედი „ვაშინგტონელი სნაიპერი“.

მუჰამედი ამერიკელია, მისი ნამდვილი გვარია უილიამსი, მუჰამედი დაირქვა მუსლიმანობის მიღების შემდეგ. იგი ყოფილი სამხედროა, რომელმაც წვრთნა ვაშინგტონის სნაიპერთა მომზადების ცენტრში გაიარა.

გამომძიებლის ვარაუდით, მუჰამედი დამოუკიდებლად მოქმედებდა და არ უნდა იყოს დაკავშირებული ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

***როიტერი***

## მოკლედ

**რუსეთის** საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ბაქოში დახურა ჩეჩნეთის წარმომადგენლობა, რისთვისაც რუსეთის მთავრობის მადლობა დაიმსახურა.

**ვენეციაში** დიდი წყალდიდობაა, ლაგუნაში წყლის დონემ 110 სმ-ით აიწია, დატბორა წმინდა მარკოზის მოედანი და ისტორიული ცენტრის ქუჩების უმეტესობა. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ განუწყვეტლივ წვიმს.

**ჰავაის კუნძულებზე** გაიღვიძა მსოფლიოში ყველაზე დიდმა მოქმედმა ვულკანმა მაუნა-ლოამ, რომელსაც უკვე 18 წელია აქტიურობა აღარ გამოუჩენია. იმ რაიონებში, სადაც ვულკანი ლავას აფრქვევს, არც ფერმებია, არც საცხოვრებელი სახლები და არც სასტუმროები. სამაგიეროდ, არსებობს პატარა სამეთვალყურეო კოშკები, საიდანაც ექსტრემალური სიტუაციის მოყვარულები თვალს ადევნებენ ვულკანის მრისხანებას.

ანგარიშით 4:4 დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის **ვ. კრამნიკის** ორთაბრძოლა კომპიუტერთან. ბოლო პარტია „მეტოქეებმა“ ყაიმით დაასრულეს. ამის შემდეგ ჩემპიონმა, რომელსაც გადაეცა შეპირებული 750 ათასი დოლარი, აბაზანა მიიღო, ფინჯანი ყავა მიირთვა და დაისვენა. კომპიუტერი კი, რომელსაც არაფერი მიუღია, წყნარად გამოირთო...

# როდის იდებს იმპორტიორი გულზე ხელს

## ანუ სარფის საბაჟოდან თბილისში ტვირთების შემოტანა სარისკო ხდება




ბოლო ორი კვირაა იმპორტული, ძირითადად, თურქული პროდუქციით დატვირთული ავტომანქანების მძღოლები აჭარის ტერიტორიიდან შემოსვლას ველარ ბედავენ. ამის მიზეზი გახდა სულ ახლახან საგანგებო ლეგიონისგან სწორედ სარფის საბაჟოში განბაჟებული შაქრით დატვირთული მანქანების „დაპატიმრება“. ლეგიონის და, საერთოდ, ფინანსთა სამინისტროს გააქტიურებამ აჭარაში „არასწორად განბაჟებული ტვირთების“ წინააღმდეგ ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა საგრძნობლად დაძაბა და დღეს უკვე ამ თემამ მთლიანად პოლიტიკის სიბრტყეზე გადაინაცვლა. სანამ თბილისი და ბათუმი ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევენ, ჩვენ შევეცადეთ იმ იმპორტიორებს დავკავშირებოდით, რომლებსაც, როგორც წესი, ტვირთი სარფის საბაჟოს გავლით შემოაქვთ. ერთ-ერთი იმპორტიორი (მან სახელისა და გვარის დასახელება არ ისურვა) საუბარზე დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა. როგორც ირკვევა, იგი უკვე ხუთი წელია საქართველოს ბაზარს თურქული სარეცხი საშუალებებით ამარაგებს. სარფის საბაჟოდან დაახლოებით 20-30 მეტრში, რა თქმა უნდა, თურქეთის ტერიტორიაზე, მისი ძირითადი საწყობი მდებარეობს. სწორედ აქ იყრის თავს პროდუქცია, რომელიც შემდეგ საქართველოს სადისტრიბუციო ქსელში ნაწილდება. ტვირთს პირველად იღებენ თბილისსა და ბათუმში რეგისტრირებული შესაბამისი კომპანიები, სადაც მისი წილი 50 პროცენტია — დანარჩენს მისი ქართველი პარტნიორები ფლობენ. ისინი ყოველთვიურად 200-300 ტონა სარეცხის ფხვნილს ყიდიან და, შესაბამისად, დაახლოებით 200-ათასიანი ბრუნვა აქვთ. როგორც თავად განგვიცხადა, ბოლო ტვირთი, რომელიც თბილისის ოფისმა მიიღო, ლილოს ტერმინალში განბაჟდა.

**— ძირითადად, რომელი საბაჟოდან შემოგაქვთ ტვირთი?**

— სარფის საბაჟო ჩემთვის ძალიან მოსახერხებელია და სწორედ ამიტომ ხშირად მივდივარ რისკზე.

**— რას გულისხმობთ?**

— დიდი ხანი არ არის, რაც მე სარეცხი საშუალებების იმპორტი დავიწყე. მინდა გითხრათ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე თბილისში შესაბამისი უწყებებიდან არაერთხელ მიგვიღია, ასე ვთქვათ, მეგობრული რჩევა, რომ სარფის საბაჟოზე ტვირთი არ განგვებაჟებინა, ანუ წამოვსულიყავით ფოთის ან ვალეს საბაჟოთა გავლით. წარმოიდგინეთ, გვაწვებიან იმაზე, რომ რადგან კომპანია თბილისშია რეგისტრირებული და ძირითად საქმიანობასაც თბილისში ვეწევით, ამიტომ გადასახადებიც აქ უნდა გადაიხადოთო. ამ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ? ჩვენ რა შუაში ვართ, თუკი თბილისსა და ბათუმს ერთმანეთში ურთიერთობა ვერ გაურკვევიათ?

**— გამოდის, ეს დიდი ხნის პრობლემაა?**

— ასეა. რა თქმა უნდა, შეიძლება, სარფის საბაჟოს გვერდის ავლით წამოსვლა და ეს არაერთხელ გაგვიკეთებია, მაგრამ ისეთი საშინელი გზებია, იმხელა დანახარჯი, რომ ისევ ამ რისკზე მივდივართ. სხვათა შორის, რომ არა ის ხალხი, ვინც მე ზურგს მიმაგრებს, აქამდე ჩემს ბიზნესს ჩაძირავდნენ კიდეც.

**— რა გიჯდებათ ტვირთის განბაჟება?**

— იცით, ჩვენ უკვე კარგად ვისწავლეთ, თუ როდის იღიმება მებაჟე. ამისთვის ჯიბიდან ფულის ამოღება არ უნდა დააგვიანო (იცინის). ახალს ნამდვილად არაფერს ვამბობ. ეს რაში გჭირდებათ? თუ გინდათ, იმ თანხასაც დაგისახელებთ, რასაც ჩვენ მებაჟეებს ვუხდით, მაგრამ ეს საქმეს შეცვლის?

**— მაინც რამდენი უნდა გადაუხადოთ მებაჟეს, საბაჟოზე მშვიდობიანად რომ გაგატაროს?**

— ტვირთს გააჩნია, რა შემოგაქვს. ერთ დიდ მანქანას სულ მცირე 100-200 დოლარი მაინც უნდა. ამ მხრივ, ყველა საბაჟოზე ერთნაირი სიტუაციაა. თუმცა, გაცილებით მეტი მიჯდებოდა თუნდაც ოთხი წლის წინ.

**— რატომ?**

— მაშინ იმდენი ნაცნობი არ მყავდა, რამდენიც დღეს. ბევრთან ვმეგობრობ კიდეც. გაჭირვებაშიც ხელს ვუმართავ. დიდი ხანია, რაც საქართველოში ვმუშაობ. წლეულს ცოლ-შვილიც ჩამოვიყვანე თბილისში და ოჯახით აქ ვცხოვრობ.

საუბარში მისი ერთ-ერთი ქართველი პარტნიორიც ჩაგვერთო:

— რადგან ასე გულახდილად საუბრობთ, მე ერთსაც გეტყვით. საქმე ეხება ტვირთის განბაჟებისას ინვოისში ჩაწერილ თანხას. დღეს ისე ლაპარაკობენ მასთან დაკავშირებულ დარღვევებზე, თითქოს ეს მარტო მებაჟისა და იმპორტიორის გარიგების შედეგია და მეტი არაფერი. არადა, საოცარი სიტუაცია იქმნება. კანონი ისეა დაწერილი, რომ იძულებული ხდები პროდუქციის რეალური ღირებულება დამალო და ჩაწერო გაცილებით დაბალი. ამ ნაბიჯს მხოლოდ იმიტომ არ დგამ, რომ საბაჟო გადასახადები იკლებს, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ამით შენს კონკურენტ ფირმასთან დგები თანაბარ მდგომარეობაში. უფრო მეტიც, ეს დარღვევა შემდეგ სხვა დარღვევებისკენ გიბიძგებს.

**— რით გამოიხატება ეს?**

— როცა ასე არასწორად გაფორმებული საბუთებით პროდუქცია ბაზარზე შეგაქვს, წესით, მისი საცალო ღირებულებაც ნაკლები უნდა იყოს. ხდება პირიქით, შენს თავს შენ თვითონ ხომ არ გააკოტრებ და პროდუქციას იმ ფასს ადებ, რაც რეალურია. ამ დარღვევის შესახებ საგადასახადომ მშვენივრად იცის და, როგორც წესი, მოსვლასაც არ აგვიანებს. ჩვენი გამოჭერა კი ნამდვილად არ არის ძნელი. ფაქტი დახლზე დევს და გეუბნებიან, საბუთების მიხედვით ერთი კოლოფის ღირებულება უნდა იყოს ლარი, შენ რატომ ყიდი მას ორ ლარად? მერე რაც ხდება, თქვენც კარგად იცით...

**— ფულს აძლევთ თუ ამჯერადაც საქმეში ლობი ერევა?**

— შეიძლება ითქვას, ორივე ერთად. მინდა გითხრათ, რომ ის პრობლემები, რაზეც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ, ყველა იმპორტიორს თანაბრად აწუხებს. შეიძლება ვინმეს გაეღიმოს, მაგრამ ალალად გეუბნებით (და თან გულზე ხელს იდებს), ამ ქვეყანაში სუფთად მუშაობა შეუძლებელია, უბრალოდ ამის უფლებას არ მოგცემენ და როგორც წესი, ეს ასეც ხდება.

დღეს სარფის საბაჟოდან თბილისში ტვირთის შემოტანა სულ უფრო მეტად სარისკო ხდება — ამ ფაქტს იმპორტიორები ერთხმად აღიარებენ. ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ თუ პოლიტიკური სიტუაცია არ დარეგულირდა, სარფს სხვა საბაჟო ჩაენაცვლება, რაც, ფაქტობრივად, უკვე მოხდა და ყველაფერი ამით დასრულდება. იმპორტიორების პრობემები კი პრობლემებად დარჩება, რომლის გამოყენებასაც სახელმწიფო ჩინოვნიკები სათავისოდ ყოველთვის ოსტატურად ახერხებენ.

# ფინანსთა სამინისტრომ მეწარმეებს სიურპრიზები მოუმზადა



საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, როგორც იტყვიან, ბოლო არ უჩანს. ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოამზადა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ მორიგი კანონპროექტი და, სხვათა შორის, 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრებიც ამ ცვლილებების მიხედვითაა გათვლილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი სულ მალე უბრალოდ იძულებული გახდება, მხარი დაუჭიროს ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას. სხვა შემთხვევაში ბიუჯეტში ფინანსური გათვლები ხელახლა იქნება გასაკეთებელი და როგორც გასულ წელს, ბიუჯეტის მიღება ამჯერადაც დაგვიანდება. შედეგად, ქვეყანა რამდენიმე თვე ბიუჯეტის გარეშე იცხოვრებს, ხოლო სამინისტროს გადასახადების მობილიზება და თანხების ხარჯვა, ასე ვთქვათ, ზეპირად მოუწევს. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ასეთი ჩავარდნა მოსალოდნელი არ არის. ვნახოთ! პარლამენტი კანონპროექტის განხილვას მომდევნო სასესიო კვირას გეგმავს. მანამდე, საინტერესოა, ამჯერად რა სიურპრიზებს უმზადებს ფინანსთა სამინისტრო მეწარმეებს?

ამ კითხვაზე პასუხი ვთხოვეთ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს **ლევან ჩრდილელს:** „მინდა გაგახაროთ, სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ბევრი არაეფექტური გადასახადი გაუქმდება. გადასახადის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ტვირთია მეწარმისთვის და ბიუჯეტისთვის სარგებლობა არ მოაქვს, არსებობას აზრი არ აქვს. ახლა მე შევეცდები ზუსტად ჩამოგითვალოთ ის გადასახადები, რომლის გაუქმებასაც ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ. უნდა გაუქმდეს ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები: რეკლამის, საკურორტო, სასტუმროს და სხვ. გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ზოლში მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპლუატაციისთვის და სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისთვის გაუმართლებლად მიგვაჩნია. გაუქმდება გადასახადი, რომელიც ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის იყო დაწესებული. საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციისთვის დღემდე არსებული გადასახადიც, ვფიქრობთ, არ არის საჭირო. მართალია, რეკლამაზე გადასახადის გაუქმებას დღემდე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ბიუჯეტმა ამ გადასახადის ადმინისტრირებისთვის იმაზე გაცილებით მეტი უნდა დახარჯოს, ვიდრე თავად ამ გადასახადიდან უნდა მიიღოს. საკმაოდ რთულია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთლიანი გაკონტროლება და იქ გასული თითოეული რეკლამის აღრიცხვა. მეწარმეს კი ამ დროს რეკლამაში დღგ-ის გარდა, კიდევ მისი ღირებულების 8%-ის გადახდაც უწევს, ცენტრალურ ბიუჯეტში კი ერთი თეთრიც არ ხვდება.

არ ვიცი, ეს სიახლე რამდენად გაახარებს ჩვენს მეწარმეებს, მაგრამ აქციზური საქონლის ნუსხაც უნდა შემცირდეს. თუ პარლამენტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა, ხიზილალასა და მანქანის საბურავებზე აქციზი გაუქმდება.

მცირე მეწარმეებისთვის კი საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობა საგრძნობლად გაადვილდება. საქმე ის არის, რომ სამინისტრო მათთვის ერთი ფიქსირებული გადასახადის დაწესების ინიციატივით გამოდის. ეს გადასახადი ყველა (დღგ-ის, სოციალური, მოგების და სხვ) გადასახადს შეცვლის. იგი ნებაყოფლობითი იქნება, ანუ მეწარმეს შეეძლება აირჩიოს ერთი გადასახადი გადაიხადოს ან კიდევ „ათასი“. კანონპროექტი, სხვათა შორის, ახალი გადასახადის დაწესებასაც ითვალისწინებს. ვფიქრობ, დროა უძრავი ქონების ბაზარი საგადასახადო სივრცეში მოექცეს. მეწარმეს 1 კვმ-ზე 50 თეთრის გადახდა მოუწევს.

დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კანონპროექტი პარლამენტმა ერთიანი პაკეტით მიიღოს. სხვა შემთხვევაში, იმ ფისკალურ ეფექტს ვერ მივიღებთ, რისი იმედიც სამინისტროს ნამდვილად აქვს“.

***გვერდი მოამზადა ლელა წითლანაძემ***

# ჩვენ გვწერენ!

## რუბრიკა... რეგიონების შესახებ

**უკანონო მშენებლობების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას საქართველოში, თუმცა სამწუხაროა, რომ ეს სიმწვავე და რია-რია თბილისს არ შორდება, არადა საქართველო მხოლოდ თბილისი არაა.**

**მე, როგორც რიგითი ზუგდიდელი, დიდი გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ზუგდიდში, არშენების და დანგრევის სუნი უფრო ტრიალებს, ვიდრე შენების. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკანონო მშენებლობები ზუგდიდურმა კანონმა ალაგმა, არა, ბატონო, პირიქით. აქ მშენებლობამ არნახულ ფარგლებს მიაღწია და, როგორც წესი, მთავარ სამშენებლო კომპონენტებს „ჟეშტი“, „ფანერკა“ და ლურჯი ფერის ბრეზენტი წარმოადგენს. ქალაქი ქალაქს არ ჰგავს. სიტუაცია უფრო დაამძიმა ზუგდიდის მასშტაბებისთვის გრანდიოზულმა დემოგრაფიულმა „აფეთქებამ“, ძირითადად დევნილთა ხარჯზე. მოკლედ ვიტყოდი: იყო პატარა (არც-თუ ისე), კოპწია, კოხტა ქალაქი, დიდი და დანგრეული, დაჭაობული სოფელი.**

**ზუგდიდის დადიანების სასახლეთა კომპლექსი ისეთივე ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია, როგორიც ძველი თბილისი, უფლისციხე ან დავითგარეჯა. ამდენად, მასაც იგივე მოვლა სჭირდება, როგორიც სხვა ძეგლებს, მაგრამ იქ, სადაც ცხენს ლაგამის ნაცვლად ხმალი აქვს ლაშებში ამოდებული, ყვირილს ფოთლების შრიალის ფასი აქვს.**

**ბ-ნ გოჩა ფიფიას ქველმოქმედ ბიზნესმენად ვიცნობ და ამიტომაც მეძნელება მასზე ლაპარაკი (დღეს ხომ მოდაშია გინება!). რაც შეეხება ზუგდიდის ქალაქის ახალ გამგებელს, ბ-ნ ტარიელ ქანთარიას, იგი მოსწონთ ზუგდიდელებს და მოკლე ურთიერთობების მანძილზე, მეც მომეწონა ეს ადამიანი. მე თბილისიდან ვაკვირდები ზუგდიდში მიმდინარე პროცესებს და ამიტომაც გაურკვევლობაში მყოფს, მიჭირს დადიანების კომპლექსის ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის შესახებ საუბარი, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, რომ მთელი ეს კომპლექსი ბოტანიკური ბაღითურთ ძროხების სავანეა და შეშის დიდი საბადო.**

**მე იმედი მაქვს, ახლა მაინც, როცა ზუგდიდში ზუგდიდელების მოსაწონი კაცი მოვიდა, შეჩერდება ის ბინძური საქმიანობა, რაც წლების მანძილზე ხდებოდა აქ.**

**დაბოლოს — კარგი იქნება, თუ რედაქცია გაითვალისწინებს ჩემს თხოვნას და ერთ რუბრიკასაც აჩუქებს მკითხველს სახელწოდებით... ეს უკვე თქვენზეა, ოღონდაც რეგიონის შესახებ.**

***ღრმა პატივისცემით, გოგა ქარჩავა***

შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აბაშის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„ტოპვერონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭრები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და მეთაურობა, გარანტია
Zeus Biliardai Saluc Master Bilgame
☎ 95-88-46; 95-57-75
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 26 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1650 |
| ევრო | 2,1163 |
| ინგლ. ფუნტი | 3,3640 |
| რუსული რუბლი | 0,0683 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2879 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კომენდანტის გახაქირი, ანუ ქართული ენის სიწმინდისათვის

ერთხელ, ზესტაფონში ყველასთვის ცნობილი ოხუნჯი, ბიჭიკო ფიდიური ჩემთან შემოდის ფეროშენადნობთა ქარხანაში და ხელში რაღაც ფურცელი უჭირავს.

— დემურ, ეს ფურცელი ორი მანეთი და 80 კაპიკი უღირს მიშას, მივაშავოთ სამი მანეთი და დავიტოვოთ.



დავინტერესდი, რა იყო:

უჯრიანი რვეულის ფურცელზე, ხელით დაწერილი ცნობა აღმოჩნდა, — მომარაგების განყოფილების ექსპედიტორის, მიშასა და მისი თანმხლები მუშების მიერ ღამის გასათევად გადახდილი თანხის საბუთი. ცნობა ექსპედიტორს რუსთავიდან ჩამოუტანია და ახლა სამივლინებო საბუთებზე დასართავად უნდოდა.

აი, რა ეწერა ცნობაში:

*„ცნობა*

*ეძლევა ესე საქონელმცოდნეს ცქიტიშვილს მიხეილს აკაკის ძეს მასზედ, რომ მან ნამდვილად გაათია ღამე ქარხანა ცენტროლიტის ობშიჟიტიაში თავისი გრუპით.*

*გრუპა შედგებოდა ოთხი კაცისაგან. გრუპის უფროსი ცქიტიშვილი მ.ა. გადაიხადეს რაზმერი ფულისა ერთი კაცი 70 კაპ.*

*4X70 კაპ. 2 მან 80 კაპ.*

*კომენდატ თვალიაშვილი“*

ცნობას ქარხანა „ცენტროლიტის“ საერთო საცხოვრებლის სამკუთხა ბეჭედი და ხელმოწერა „ამშვენებდა“.

მე და ბიჭიკომ „სანახევროდ“ გადავიხადეთ 3 მანეთი, ცნობა კი ჟურნალ „ნიანგში“ იმ დროს არსებული რუბრიკისათვის „ქართული ენის სიწმინდე“, — გავაგზავნეთ.

გრამატიკული „შედევრი“ უახლოეს ნომერში დაიბეჭდა.

ალბათ, მაშინ, ჩვენსავით ბევრმა იცინა, მაგრამ ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ, რომ იმ პერიოდში აღნიშნული „ფაქტი“ პარტიული ორგანოების რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა.

— ბიჭო, რა გვიქნია იმ საცოდავისათვის, — მეუბნება ერთხელ ბიჭიკო, — რუსთაველმა ძმაკაცმა მითხრა, რომ კომენდანტი ბიუროზე „შეუხურებიათ“, პარტიიდან გაურიცხავთ და სამსახურიდანაც გაუთავისუფლებიათ. ყოველ წუთში აგინებს ზესტაფონელებს და ინტრიგანებს გვეძახისო.

აი, ასე ძვირი დაუჯდა ჩვენთვის უცნობ კომენდანტს სამმანეთიანი ხუმრობა.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## „ჟოლოპი“



ერთი უფროსი მეგობარი მყავს, კარგი კახელი, კარგი მუსიკოსი, კოლორიტული პიროვნება, ქეიფის ტრფიალი ოსიკო იობაშვილი — იგივე „ოსია კახელო“. ოსიასთან კურიოზი შემემთხვა ისეთი, ნაღდად რომ დამამახსოვრდება მთელი ცხოვრება: გამოცდა მქონდა მუსლიტერატურაში (კონსერვატორიაში ვსწავლობდი). მივედი ოსიკოსთან და ვუთხარი: ოსია, ძმაო, გამოცდა მაქვს, მიშველე რამე, თუ არა, ცუდადაა საქმე...

— გამომიარე და ერთად წავიდეთ! — იყო პასუხი.

მეორე დილით გავუყევით გზას კონსერვატორიისკენ. ოსიას დიდი სამეგობრო ჰყავს და ხან აქეთ ეპატიჟებიან კაფესა თუ რესტორანში, ხან იქით...

ამასობაში კიდეც შემომათვრა ხელში ჩემი უფროსი ძმაკაცი.

— აბა ჩემო კობა, წავიდეთ ახლა და გამოცდა ჩავაბაროთ!.. — გაახსენდა ბოლოს, მაგრამ... ნაბიჯი ვეღარ გადავადგმევინე. თქვენს მტერს, ისე მოეკიდა აქეთ-იქით მირთმეული სასმელი. რაღას დავეძებ გამოცდას, ახლა ტაქსის ვეძებ, რომ როგორმე შინ მივიყვანო. ბედად, იქვე იდგა ტაქსი. ოსიასთვის ხელის გაშვება და წაქცევა ერთი იქნებოდა, ამიტომ დავაყენე „ჟოლოპთან“ (საწვიმარ ღართან). მივედი მძღოლთან, როგორც იქნა, მოველაპარაკე, არ უნდოდა მთვრალი კაცის წაყვანა და მოვბრუნდი ოსიას წასაყვანად, მაგრამ საქმეში ხარ? — „ჟოლოპს“ ვერ მოვაცილე, ისე იყო ჩახუტებული. ბოლოს ორივე ხელი მოვხვიე წელში და გამოვქაჩე მთელი ძალით. მაგრამ „ჟოლოპს“ მაინც ვერ მოვაშორე — ლამის ორმეტრიანი საწვიმარი მილი მოაგლიჯა კედელს ჩემმა რეპეტიტორმა. ფიქრის დრო სადღა იყო და თავის ჟოლოპიანად ჩავაკვეხე მანქანაში, მილის თავი ფანჯარაში გავყავი... მძღოლმა ერთი თქვა — ერიჰაა!.. და გააქანა მანქანა. მივედით სახლში, როგორც იქნა, მაგრამ ახლა მანქანიდან არ გადმოდის, ხვრინავს გემრიელად... მივედი, ბოდიში მოვუხადე მძღოლს, ამოვიღე თუმნიანი და ვაძლევ. ის კი გაბრაზებული მიყვირის — არ მინდა, ბიძია, შენი თუმანი, მიდი ახლა, წაართვი ამ კაცს ეს დასაწვავი „ჟოლოპი“ და გადმოვა მანქანიდან, აბა რა ჯანდაბას იზამსო! გაკვირვებულმა ჯერ მძღოლს შევხედე, მერე ოსიას... ფეთიანივით მივვარდი, მოვქაჩე „ჟოლოპს“ და მართლა არ გადმოჰყვა? მოვიგდე ბეჭზე და შევიყვანე სადარბაზოში...

ასე „ჩავაბარე“ გამოცდა...

***კობა ლილუაშვილი, ქუთაისი***

## მიწვევა... საიქიოდან



ქარელის რაიონში არის სოფელი იმერხევი, სადაც მაღალი მთების გამო მობილური ტელეფონით სარგებლობა გაძნელებულია. ამ ზაფხულს თბილისიდან ნათესავთან დასასვენებლად ჩამოსულმა ვანო ბერაძემ დიდი მცდელობის შედეგად მიაკვლია ადგილს, საიდანაც შეიძლებოდა კავშირის დამყარება გარე სამყაროსთან. ეს გახლდათ მაღლობზე მდებარე სოფლის სასაფლაო, საიდანაც ვანო თითქმის ყოველდღე ურეკავდა მეგობრებთან ერთად ბათუმში, ზღვაზე დასასვენებლად წასულ ვაჟიშვილს, გიგლას.

ერთხელაც ვანოს შეღამებულზე მოუწია შვილთან გასაუბრებამ. სწორედ ამ დროს სათიბიდან შინ, სასაფლაოს გავლით ბრუნდებოდა სოფლის მკვიდრი გიგლა გაგიშვილი.

და, აი მას სასაფლაოს სიღრმიდან ესმის: — გიგლა, როგორ ხარ? (ეს, ვანო ესაუბრება შვილს)...

კაცი ადგილზე გაქვავდა...

გიგლამ მექანიკურად ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და ენა ჩაუვარდა...

— ძალიან ხომ არ გაგიტკბა მანდ ყოფნა (მოძღვრავდა შვილს ვანო), მე მგონი, დროა წამოხვიდე, დედაშენი მოუთმენლად გელის...

ეს უკვე მეტისმეტი იყო და სამოცდაათს გადაცილებული ბერიკაცი ისე გაენთო შინისკენ, ჯეელ ბიჭს შეშურდებოდა...

ის დღე იყო და გვარიანად დამფრთხალ გიგლას ღამე კი არა, დღეც აღარ გაუხედავს სასაფლაოსკენ...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## როგორი მადა გაქვთ?

### პაროდიის კუთხე

### ტესტი



**1. შედიხართ რესტორანში მეგობრებთან ერთად, თქვენ:**

ა) უკვეთთ თქვენთვის ორ ოჯახურს, 20 ხინკალს, ერთ ულუფა მწვადს, სალათს, რაიმე დესერტს და ღვინოს (100 კგ).

ბ) უკვეთთ თქვენთვის შემწვარ კარტოფილს სოსისთან ერთად და ხაჭაპურს (50 კგ).

გ) უკვეთთ თქვენთვის ყავას და სასიამოვნო მუსიკას (10 კგ).

**2. ღამით წვებით დასაძინებლად, თქვენ:**

ა) ფიქრობთ, რა ჭამოთ მეორე დღეს (100 კგ).

ბ) ფიქრობთ რა დალიოთ მეორე დღეს (50 კგ).

გ) იხსენებთ, თუ რა ჭამეთ გუშინ (10 კგ).

**3. სამსახურში დადგა შესვენების დრო, თქვენ:**

ა) გარბიხართ საჭმელად (100 კგ).

ბ) ნელა, მაგრამ მაინც მიდიხართ საჭმელად (50 კგ).

გ) ადგილზე სვამთ ყავას (10 კგ).

**4, დაგპატიჟეს დაბადების დღეზე, თქვენ:**

ა) მიდიხართ ნაჭამი, რადგან ფიქრობთ, რომ გვიან დაჯდებით სუფრასთან (100 კგ).

ბ) მიდიხართ უჭმელი, რადგან ფიქრობთ, რომ იქ შეჭამთ რამეს (50 კგ).

გ) მიდიხართ უჭმელი, თანაც იქაც არაფრის ჭამას არ აპირებთ, მოკლედ, რას ფიქრობთ თქვენ, მე არ ვიცი (10 კგ).

**5. სახლში მიხვედით გვიან ძალიან მშიერი, თქვენ:**

ა) ჭამთ ყველაფერს, რასაც იპოვით სამზარეულოში (100 კგ).

ბ) ჭამთ ცოტას, რადგან უკვე გვიანია (50 კგ).

გ) სვამთ ჩაის (10 კგ).

**6. ამ გამონათქვამებიდან ყველაზე მეტად მოგწონთ:**

ა) ჭამა სიამოვნებაა (100 კგ).

ბ) ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი (50 კგ).

გ) მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო (10 კგ).

### დაითვალეთ ქულები:

**თუ დააგროვეთ 120 კგ-მდე, მაშინ თქვენ ძალიან უჭმელი ხართ, თითქმის შიმშილობთ, ეს უკვე დიეტა აღარ არის. აუცილებლად მიიღეთ ვიტამინები, თაფლი, კარაქი და სხვა. ისე, სხვა როგორა ხართ. თქვენები ხომ კარგად, გმადლობთ, ჩვენც არა გვიშავს, კარგად ბრძანდებოდეთ. თქვენი ბილეთი აღებული იქნება...**

**თუ დააგროვეთ 120-დან 450 კგ-მდე, მაშინ საკმაოდ ნორმალურად იკვებებით, როცა კარგ სუფრაზე მოხვდებით, უარს არ ამბობთ გემრიელ კერძებზე. თუმცა, მაინცდამაინც არა ხართ გემრიელი კერძების ძიებით დაკავებული. პრინციპში, ასეც უნდა იყოს, აბა, ზოგი რომ არის, რა ჭამოს აღარ იცის, ესაა კაი?**

**თუ დააგროვეთ 450 კგ-ზე მეტი, მაშინ თქვენი ჭირიმე, თქვენ ყოფილხართ, რაც ყოფილხართ! ახლა ერთი კაი მყუდრო ადგილი შევარჩიოთ და ჩვენი მეგობრებით და მუსიკოსებით წავიდეთ ახლავე. არ დამიწყოთ, ახლა დრო არ მაქვს და რამე, ვქეიფობთ ყველა, ქეიფს ვიწყებთ დილიდან!..**

***ტესტი თქვენთვის პირდაპირ საქეიფო სუფრიდან გამოგვიგზავნა ზაქრო ინწკირველმა***

## ყურადღება! ვიღებ!..



ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა... სამოცდაათს გადაცილებული ბებიაჩემი ვარდიკო ფოტოგრაფს ესტუმრა სურათის გადასაღებად. ფოტოგრაფმა მოხერხებულად დასვა მოხუცი სკამზე და თან გააფრთხილა: — აბა, ყურადღებით, ვიღებ!.. ეს ფრაზა მან რამდენჯერმე გაუმეორა სკამზე მოუთმენლად მჯდარ ბებიაჩემს, რომ დაემშვიდებინა. ვარდიკოს მობეზრდა გაუნძრევლად ჯდომა და დაუფიქრებლად, პირდაპირ მიახალა ფოტოგრაფს:

— რა გამიწყალე გული, ამოიღე ერთი, რას იღებ ამისთანას!

***გ.ს., თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

მიხო შვილთან ერთად ამერიკაშია.

— მამი, ორასსართულიანი სახლიდან კაცი რო ჩამოვარდეს, რამდენ ხანში დაეცემა ძირს?

— ეგრე, ორ კვირაში!

— მამი, დაბლა რო დაეცემა, მოკვდება?

— მა რას იზამს, ჯო?

— რით მოკვდება?!

— რითა და შიმშილითა, ორი კვირა რა გააძლებინებს ჰაერში მშიერსა!

***პაატა წიქარიშვილი, ხაშური***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

C M Y K

## ნინო ქათამაძეს არ სურს, მისი სიმღერები ბაზრობის ჰიტად იქცეს

**— რუბრიკას „ანიდან ჰოემდე“ ვთხოვთ დამეხმაროს და მიპასუხოს, გამოსულია თუ არა ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაითის“ ალბომი და თუ არა, როდის გამოვა?**

*თიკა ქადაგიძე*



კითხვაზე უპასუხებს **ნინო ქათამაძე**

დღეისთვის მე და ჯგუფი „ინსაითი“ ერთად ვმუშაობთ და ამიტომაც ერთად ვწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს. ალბომი არ გამოსულა და არც ვიცით, როდის გამოვა. შესაძლოა, ვინმეს მეტად პრეტენზიული მოვეჩვენო, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ, უბრალოდ დღეისთვის შეუძლებელია საქართველოში კარგი, ხარისხიანი ჩანაწერი გაკეთდეს იმ სიმღერებზე, რომლებსაც ჩვენ ვასრულებთ. ამას ემატება უკონტროლო სიტუაცია არალეგალურ ბაზარზე, მეკობრეობა და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც თითქმის ყველა მომღერალი დგას საქართველოში. ჩემს პოზიციას „ინსაითიც“ იზიარებს. ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ სულაც არ მსურს ჩემი სიმღერები ბაზრობის ჰიტად იქცეს. დღეისთვის მაკმაყოფილებს საკონცერტო ჩანაწერიც. იმასაც დავამატებ, რომ მე მომღერალი ვარ და მუშაობას უნდა განვაგრძობდე ამ კუთხით და არა კომერციული საქმიანობით. სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოს ცოცხალი მუსიკის კულტურა აღარ გააჩნია. მინდა ცოცხალი მუსიკის მიმდევრის იმიჯი დავიმკვიდრო, რადგანაც ვთვლი, რომ ვერც ერთი კლიპი თუ ჩანაწერი ვერ შეცვლის იმ განწყობას, რასაც კონცერტზე გრძნობს მომღერალი. ეს არის უშუალო, გულახდილი კონტაქტი მსმენელსა და მომღერალს შორის. ახლო მომავალში არც კლიპის გადაღებას ვაპირებ, რადგანაც ვთვლი, რომ შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი სიუჟეტი, რომელიც ჩემს სიმღერას დაედება ფონად. ამისთვის ერთადერთი შესაფერისი სიუჟეტი საკონცერტო ჩანაწერი გახლავთ, რომელიც ბუნებრივია და რეალურად გამოხატავს გრძნობებსა თუ ემოციებს.

## იზრუნეთ მომავალ თაობაზე!!!

**— ჩემი შვილი დამყავს თბილისის ერთ-ერთი რაიონის ბაგა-ბაღში. ვიხდი 20 ლარს. შემთხვევით შევესწარი ბავშვების საუზმეს და მენიუმ შოკში ჩამაგდო. ოფიციალურად რა დადგენილი თანხა უნდა გადაიხადოს მშობელმა სახელმწიფო ბაღში, რაზე ნაწილდება ეს თანხა და როგორ ხდება ბაღის საკვებით მომარაგება?**

*მედიკო ხუციშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **თინათინ ჭიჭაშვილი**, განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი



— თბილისის საკრებულომ 1999 წლის დადგენილებით სკოლამდელ დაწესებულებებს (ბაგა-ბაღებს) დაუწესა გადასახადი 5 ლარისა და 40 თეთრის ოდენობით. ეს გახლავთ ოფიციალური სავალდებულო გადასახადი თბილისის ბაგა-ბაღებისთვის. თანხა ირიცხება სპეციალურ საბანკო ანგარიშზე. ხოლო დანარჩენი თანხა, რომელსაც მშობელი იხდის, არის ე.წ. ფონდის გადასახადი, რომელიც მშობელთა ნებაყოფლობით შემოწირულობად ითვლება. ეს თანხა თბილისის სხვადასხვა რაიონში განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი გადამხდელუნარიანია იქ მცხოვრები მოსახლეობა (მაგ: გლდანში, ვარკეთილში გადასახადი ცენტრისგან განსხვავებით დაბალია). ოფიციალური გადასახადი ისევე, როგორც ფონდის შემოწირულობა, ძირითადად იხარჯება ბავშვთა კვებაზე. ბანკში შესული თანხა ირიცხება სახელმწიფო მაღაზიებში, რომელზედაც მიმაგრებულია ესა თუ ის ბაღი, სწორედ ამ სახით ხდება ბაგა-ბაღების საკვები პროდუქტით მომარაგება. ხოლო ფონდის შემოწირულობას განკარგავს ბაღის გამგე მშობელთა კომიტეტთან შეთანხმებით. საკითხს იმის თაობაზე, რა ოდენობის თანხა დაიხარჯოს საკვებსა თუ საჭირო ინვენტარის შეძენაზე, დირექციასთან ერთად მშობლები წყვეტენ. ბაღის გამგე კი ვალდებულია აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა და გააკეთოს პირადი ჩანაწერი (ოქმებისა თუ ჟურნალის სახით), თუ რაში ხარჯავს შემოწირულ თანხას.

თუ მშობელმა რაიმე კონკრეტული დარღვევა აღმოაჩინა, მას შეუძლია ამ საკითხით მიმართოს ბაღის გამგეს. დაესწროს კერძების მომზადების პროცესს და თავად აკონტროლოს, თუ როგორ საკვებს აწვდიან მის შვილს, იცავენ თუ არა სანიტარულ ნორმებს და სხვა. სკოლამდელი დაწესებულებები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ ჯანმრთელობისა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული კვების ნორმებით.

## ვინ გამოიგონა ტელეფონი?

**— ვმუშაობ კავშირგაბმულობის სისტემაში, ვიცი, ტელეფონი ალექსანდრ ბელმა გამოიგონა, მაგრამ გამიგია, რომ მას ვიღაც პირველობაში ედავებოდა და ყველაფერი რამდენიმე დღით დაგვიანებამ გადაწყვიტა. იქნებ მოგვითხროთ ეს ისტორია.**

*გიორგი ბურდული*



— სიტყვა „ტელეფონი“ ბერძნული წარმოშობისაა: „ტელე“ — შორს, „ფონე“ — ხმა. ტელეფონის გამოგონებასთან, ისევე როგორც არაერთ სხვა მნიშვნელოვან მიღწევასთან, დაკავშირებულია ბევრი კურიოზი თუ საინტერესო ამბავი. იმის მიუხედავად, რომ იდეის ავტორად ალექსანდრ ბელს მიიჩნევენ, სინამდვილეში, ამ გამოგონებასთან ერთდროულად რამდენიმე ადამიანი იყო ახლოს. 1861 წელს, გერმანელმა ფილიპ რეისმა ფრანკფურტის ფიზიკოსთა შეკრებაზე გააკეთა განცხადება ახალი გამოგონების შესახებ. თუმცა მისი აპარატი, რომელსაც მან „ტელეფონი“ დაარქვა, ხმის ტონსა და ტემბრს დამახინჯებით გადასცემდა და ამიტომ მას „უაზრო სათამაშო“ უწოდეს. 15 წლის შემდეგ, ორმა ამერიკელმა ერთსა და იმავე დღეს, 1876 წლის 14 თებერვალს, შეიტანა განაცხადი ტელეფონის გამოგონებაზე. ელაიშა გრეის ნამდვილად არ გაუმართლა, ალექსანდრ ბელმა მას ორი საათით დაასწრო და ისტორიაში ჩაწერა საკუთარი სახელი. გრეის კი ისღა დარჩენოდა, რომ „წარმატებით“ დამარცხებულიყო სასამართლო დავაში... პირველი ცდა ბელმა ჩაატარა 1876 წლის 10 მარტს.

პირველი ტელეფონ-ავტომატი სამყარომ 1890 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე იხილა. იმავე წელს რამდენიმე ამერიკულ ქალაქში უკვე ფუნქციონირებდა ტაქსოფონების ქსელი, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორებას ჩვეულებრივი მოკვდავი კონტროლიორი აწარმოებდა...

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## უმთავრესი რჩევა მძევლებს

**— რედაქციაში დარეკა მოქალაქე ბადრი გრძელიშვილმა, რომელმაც გამოთქვა გულისტკივილი რუსეთში ჩვენი ქვეყნის სამი თანამოქალაქის მძევლად აყვანის გამო (რომლებიც 23 ოქტომბერს დაახლოებით 800 ადამიანთან ერთად მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში აიყვანეს მძევლად) და გვთხოვა გამოგვექვეყნებინა ის ზოგადი რჩევები, რომლებიც დაეხმარება ადამიანებს მსგავს ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრის დროს.**

კითხვაზე უპასუხებს **ფარნა კანდელაკი**, ყოფილი „მე-8 პოლკის“ თადარიგის ოფიცერი



— მძევლად აყვანის თითოეული შემთხვევა სპეციფიკური და განსხვავებულია ერთიმეორისგან, თუმცა მაინც არსებობს საერთო კანონზომიერებანი ტერორისტებისა და მძევლების ქმედებაში. ხშირად ბევრი რამ თავად მძევალზეა დამოკიდებული, ანუ მოვლენათა განვითარება რა კუთხით წარიმართება, ხშირად მძევლის ქმედებაზეა დამოკიდებული.

ჩემი რჩევაა, თუ ადამიანები იმყოფებიან დანაღმულ შენობაში, არავითარ შემთხვევაში არ მოახდინონ ტერორისტების პროვოცირება, რადგანაც ტერორისტებმა შესაძლოა მიმართონ უკიდურეს ზომებს, ურჩი მძევლების დასამორჩილებლად. მძევლები უნდა შეეცადონ ზედმეტად არ მიიქციონ მათი ყურადღება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათთან მომთხოვნი, კატეგორიული ტონით საუბარი. შეეცადეთ მათ ზედმეტად არ მოაბეზროთ თავი, თუნდაც გაწუხებდეთ წყურვილის გრძნობა ან გესაჭიროებოდეთ სხვა აუცილებელი დახმარება. დააკვირდით ტერორისტების საქციელს და იმოქმედეთ ადეკვატურად, ამოირჩიეთ მათ შორის ყველაზე ლოიალური და თხოვნით მიმართეთ მას. არ შეაწუხოთ აგრესიული ადამიანი, არ ჩაუდგეთ ჯიბრში.

ასევე გასათვალისწინებელია ამგვარ სიტუაციებში ისიც, რომ ადამიანებმა მხოლოდ თავიანთ სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე არ უნდა იზრუნონ. საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების ფასად არ უნდა შეიწირონ სხვა უდანაშაულო მძევლის სიცოცხლე. წინააღმდეგობის გაწევა, გაქცევის მცდელობა შესაძლოა წარმატებით არ დაგვირგვინდეს და ამიტომ სჯობს მოითმინოთ დამცირება და თვით შეურაცხყოფაც. ასეთ სიტუაციაში ადამიანმა უნდა შეძლოს საკუთარი ემოციებისა და გრძნობების მართვა. რა თქმა უნდა, რთულია და თითქმის შეუძლებელიც კი სიმშვიდის შენარჩუნება, მაგრამ ამისთვის უკანასკნელი ძალისხმევის მოკრება მართებს ადამიანს. სამწუხაროდ, რაც უფრო იწელება მძევლობაში ყოფნის დრო, მით უფრო დიდ სტრესს ღებულობს ადამიანი. მძევლებმა უნდა გაუწიონ ერთმანეთს მორალური დახმარება, რადგანაც ერთი ადამიანის ისტერიკასა და არაადეკვატურ ქმედებას შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ თუ შეამჩნევთ, რომ თქვენ გარშემო მყოფი ხალხი მოთმინების ზღვარზეა, შეეცადეთ ისინი ანუგეშოთ, თუმცა ისე, რომ ტერორისტების ყურადღება არ მიიქციოთ. ეს გახლავთ ზოგადი წესები, თუ როგორ უნდა მოიქცეს მძევალი, თუმცა თავდაპირველად უკვე აღვნიშნე, რომ რთულია რაიმე კონკრეტულ წესზე საუბარი, რადგან ყველა შემთხვევა თავის მხრივ ინდივიდუალურია და სერიოზულ დაფიქრებასა თუ გააზრებას საჭიროებს.

მთავარ რჩევად კი შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შეძლებისდაგვარად ეცადოთ არ აღმოჩნდეთ ვინმეს მძევალი...

## ყვინთვის რეკორდი

**— ვის ეკუთვნის ყოველგვარი ტექნიკური საშუალებების დახმარების გარეშე წყალქვეშ ყოფნის რეკორდი და რამდენ წუთს შეადგენს იგი?**

*მერაბ ხელაშვილი*

— უკანასკნელი რეკორდი ეკუთვნის ამერიკელ ჯონ ანდერსონს, შტატ ილინოისის მცხოვრებს. მან გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა გარი გუდინის უკანასკნელი რეკორდი, რომელიც შეადგენდა 4 წუთსა და 16 წამს. ჯონ ანდერსონი წყალში ჟანგბადის გარეშე გაჩერდა 4 წუთსა და 20 წამს. მისმა წინამორბედმა გარი გუდინმა ეს რეკორდი ხელებშეკრულმა შეასრულა, გარდა ამისა, იგი ახერხებდა როგორც ხელბორკილებისაგან გათავისუფლებას, ასევე ზანდუკის გახსნას, რომელშიც თავად იყო მოთავსებული. ხოლო რაც შეეხება ინდოელ იოგს, ეს ამბავი ნაკლებად დასაჯერებელია, თუმცა ასევე რეგისტრირებულია როგორც რეკორდი. 70 წლის იოგმა — რავინდა მიშრამ მოახერხა სასუნთქი აპარატის გარეშე, ტბის ფსკერზე, ღრმა მედიტაციაში წყლის ქვეშ გაჩერებულიყო 144 საათის, 16 წუთის და 22 წამის განმავლობაში. მან ეს რეკორდი შეასრულა 400 თვითმხილველის თვალწინ, ასევე კალკუტის უნივერსიტეტის მეცნიერების დაკვირვებით. რავინდა მიშრას გასინჯვისას ექიმმა აღნიშნა, რომ არ შეიმჩნევა არც ორგანოებისა და არც კუნთების დაზიანება, ხოლო თავად რეკორდსმენმა ამ საკვირველებას სულისა და ხორცის გამოცდა დაარქვა, რომელიც ქალღმერთი კალის დახმარებით შეძლო.

## სტალინი მავზოლეუმიდან «გაასახლეს»

**— შემთხვევით ვნახე დედაჩემის ძველი ფოტოალბომი, სურათები ძირითადად მოსკოვშია გადაღებული, 50-იანი წლების ბოლოს. ძალიან გამიკვირდა, რომ მავზოლეუმზე ლენინის გვართან ერთად სტალინიც ამოვიკითხე. 10 წლის წინ თავად გახლდით წითელ მოედანზე და გარკვევით მახსოვს, რომ იქ მხოლოდ ლენინი წერია. იქნებ ამიხსნათ რა მოხდა...**

*დოდო იოსელიანი*




ეს ისტორია ძველი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ, თუმცა დაზუსტებით ბევრმა არ იცის, რომ სტალინის სიკვდილიდან, 1961 წლამდე, მისი ნეშტიც მავზოლეუმში იყო „გამოფენილი“ ლენინის გვერდით. 1961 წლის 31 ოქტომბერს, სრული საიდუმლოების დაცვით გენერალისიმუსის ნეშტი გამოასვენეს მავზოლეუმიდან და დაკრძალეს მოკრძალებულ ადგილას, კრემლის კედლის ძირში. ეს გადაწყვეტილება მიიღო კომპარტიის XX ყრილობამ, 30 ოქტომბერს. ასე რომ, 8 წლის განმავლობაში მოსკოვის მავზოლეუმს მართლაც ორი გვარი „ამშვენებდა“.

## ვინ არის ეს «მაკინტოში»

**— ბაბუაჩემი ჩემს ლაბადას „მაკინტოშს“ უწოდებს, ადრეც გამიგია სხვებისგან ეს სახელი. ბაბუა ვერ მიხსნის, თუ რატომ ჰქვია ლაბადას „მაკინტოში“, იქნებ თქვენ მითხრათ?**

*მალხაზ ბაქრაძე*

1819 წლის 12 ოქტომბერს, ახალგაზრდა შოტლანდიელი ქიმიკოსის, ჩარლზ მაკინტოშის ცხოვრებაში გარდამტეხი დღე დადგა. კაუჩუკზე ჩატარებული ქიმიური ექსპერიმენტის დროს მას შეცდომა მოუვიდა, აერია კოლბები და წებოვანი სითხე მაგიდის გადასაწმენდ ჩვარზე დაეღვარა. რამდენიმე დღის შემდეგ მან შეამჩნია რომ ჩვარი ვერ ასრულებდა თავის უშუალო მოვალეობებს, ანუ ვერ ამშრალებდა მაგიდას, რადგანაც საერთოდ არ იკარებდა წყალს. ამ აღმოჩენამ მაკინტოშს დიდი ფული და სახელი მოუტანა. მალევე დაიწყო რეზინაგადაკრული საწვიმრების წარმოება. მხოლოდ საკმაო ხანის შემდეგ დადგინდა, რომ რეზინაგადაკრული ნაჭერი არც ისე კარგი საშუალება იყო, როგორც თავიდან ჩანდა. თუმცა, მაკინტოშის სახელი უკვე ისტორიას ეკუთვნოდა, რეზინის ლაბადების წარმოება შეწყვიტეს, მაგრამ სახელი „მაკინტოში“ მაინც დარჩა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

[illegible]

Сборка и наладка компьютеров на заказ.Тел: 78-36-38

[illegible]

Обучение работе на компьютере на дому. Начальные сведения (DOS, WINDOWS и др.), на русском языке. Тел: 78-36-38. Роберт

## იყიდება

[illegible] ტელ: 22-66-96

[illegible] ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

[illegible] ტელ: 64-38-23; 893 34-70-50

## სხვადასხვა

[illegible] www.gamma.ge [illegible]

## ხსოვნა

თბილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის სამღვდელოება და მრევლი იუწყება

**კობა (კონსტანტინე) ჯანიკაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას. თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს და ლოცულობს მისი სულის განსვენებისათვის.



თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1964 წლის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლალი ყაჭიური**

ხალისი, მოკრძალებული, სიკეთით აღსავსე, შრომისმოყვარე – ასეთი გახსოვს იგი, ასეთი დარჩება მუდამ ჩვენს გულებში.

*თანაკურსელები*

### ვახო ეხვაიას ხსოვნას!

ჩვენო უერთესო ძმაო, ამ ქვეყნიდან შენი უეცარი წასვლა თავზარდამცემი იყო. შენ სიკვდილს უნდა დაეხდე, რადგან ყველას პატრიოტი, მრჩეველი, უღალატო და სამართლიანი იყავი. როგორ გაყვარდით, გვიყვარდი, სითბოს გვიწილადებდი.



ძალიან განიცდი, რომ მორის მეორეს უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილე. მუდამ სიკეთის მკეთებელი, უბედური სიყვარული და მოგონება ისევ ისე თანამდევს, როგორც სიცოცხლეში იყო. მადლობელი ვართ ჩვენთვის გაწეული სიკეთისა და სიყვარულისათვის. შენ ჩვენი სამუდამო ტკივილი იქნები. შენ ღმერთმა გამოგარჩია და წილად გარგუნა მკაცრი ცხოვრების ბედი, რომელსაც ნაწრთობი ფიზიკური ძალის და ვაჟკაცური ულრეკი სულის წყალობით წლობით ბრწყინვალედ გაუძელი და სამართლიანი ვაჟკაცის სახელით ამაღლებული დამკვიდრდი. ეს სახელი ყოველთვის სიწმინდესთან, სამართლიანობასთანაა დაკავშირებული და ამ სახელს მუდამ პატივს ვცემთ. შენი დაბადების დღეს, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა, ორმოცდამეხუთედ უნდა შეეგებებოდი. ახლა კი მწუხარებით სავსე ათ ნოემბერს ზეციურ სასუფეველში გილოცავთ, ჩვენო საყვარელო ვახო. ახალ სამყოფელში ნათელში იყოს მარად შენი კეთილი სული. მე კი აქ, პარიზის ქართულ ეკლესიაში, ყოველთვის დაგინთებ წმინდა ხსოვნის სანთლებს.

*შენი დაიკო, დეიდაშვილი მაია*

ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს

**დადუნა სურგულაძეს!**

მენატრებით სიგიჟემდე, უფრო მეტი მონატრების გრძნობა არ არსებობს. 30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა – 14 წლის ხდები, შემოგევლოთ ბებია. 27 ოქტომბერი ჩემი დაბადების დღეა. გთხოვთ, ხუთივე სიზმარში გამომეცხადეთ. ეს იქნება ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი თქვენგან.



*სიყვარულით, ხათუნა ბებია*

**ჩემო დადუნა!**

შენ შემოგევლოს შენი დედიკო, ჩემო თვალებბრიალა, ლამაზო, ჭკვიანო გოგოვ! გილოცავ დაბადების დღეს, დღეს შენ 14 წლის გახდი. დედიკო, იქ ხათო – შენი საყვარელი დაიკო და მამიკო მოგილოცავენ დაბადების დღეს, მე აქედან გილოცავ. ძალიან მიჭირს და მიმძიმს, გაუსაძლისია ჩემთვის უშენოდ ყოფნა. სიგიჟემდე მენატრები.

*შენი დედიკო ნანა კვანტალიანი*

### ზაირა გიორგის ასული ბუხიაშვილი-ტერტერაშვილის ხსოვნას!

ერთი წელი გასულა, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა და მარადისობაში გადავიდა. ჩვენო თბილო და კეთილო, ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენატრები, ყველას დაგვაკლდა შენი სითბო და ზრუნვა. შენი ოჯახი მუდამ ვილოცებთ შენთვის. ღმერთს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგანიჭოს სამუდამო სასუფეველში. დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული გზა.



*შვილები და შვილიშვილები*

### გურამი კაჭარავას მონატრება



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა, უზომო ტკივილს იწვევს შენი მონატრება, ჩვენო საყვარელო მამიკო! გვეამაყება, რომ შენი შვილები ვართ, იმ კაცის შვილები, რომელსაც ნამუსის ქუდი ეხურა და არასოდეს ქვეყანა უხალხოდ კაცობდა. მამიკო! იმ სურვილს, რომელიც თან წაიყოლე, ჩვენ ღირსეულად ავასრულებთ. ცრემლმორეულნი გეძებთ და გნატრობთ, ოცნებით შენთან ვართ ყოველ წუთს და წამს. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები, ჩვენო კეთილო, ლამაზო და საყვარელო მამიკო.

*შენი მზია და მარინა*

### ოთარ ბუბაშვილის ხსოვნას!

30 ოქტომბერს 40 დღე შესრულდება, რაც წახვედი ამ წუთისოფლიდან. ღვთისმშობლობის დღეს დატოვე შენი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, ჩვენო კეთილო, ჭკვიანო, ერთგულო, ყველას მოსიყვარულე ბრძენკაცო.



ძალიან გაკლიხარ შენს შვილიშვილებს, რომლებიც ყოველთვის გამოძღვრავდი და გზის გაკვალვაში გვეხმარებოდი. ჩვენ კი შევეცდებით, რომ ისეთები გამოვიდეთ, როგორიც შენ გინდოდა ვყოფილიყავით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. ილოცე აქ დარჩენილი, შენთვის საყვარელი ადამიანების ღირსეული სიცოცხლისათვის. ჩვენ კი, აქედან ვილოცებთ შენი სულისათვის.

*შვილიშვილები: თეონა, ლევანი, ბექა დოხნაძეები; ოთიკო, თამუნა ბუბაშვილები*

### მერი ტყებუჩავა-კვიჭიძის გახსენება



ჩემო საყვარელო დედა, რომ იცოდე, როგორ მენატრები, რომ იცოდე, როგორ მიჭირს ამ სიტყვების წერა, რასაც შენზე მოგონება ჰქვია. ერთი წელია, შენს ოჯახში აღარ ისმის შენი ხმა, შენი ფუსფუსი. შენ ნამდვილად დააკლდი შენს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს. შენი მზრუნველი ხელი ჯერაც სჭირდება შენს ოჯახს, რომელსაც 3 წლის წინ მოიხდარმა უბედურებამ, დედისერთა დათოს დაღუპვამ, მძიმე და შავი ღრუბელი გადააფარა. ეს საშინელი სევდა გახდა შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მთავარი მიზეზი. ვერარ აიტანა შენმა კეთილმა სულმა ეს დარდი და საყვარელ შვილიშვილს მიუახლოვ იმ ნათელ ქვეყანაში. ალბათ ერთად ხართ ბებია და შვილიშვილი. ჩვენ, ორივენი უსაზღვროდ გვაკლიხართ და გვენატრებით.

რომ იცოდე, როგორ ძალიან მიმძიმდება ხოლმე შენი ხმის გაგონება, რომ იცოდე, ხანდახან როგორი ძალიან მჭირდები, მაგრამ ვაი, რომ ეს მხოლოდ მონატრებად რჩება. ვლოცულობთ და ღმერთს ვთხოვთ, სიზმარში მაინც გამოგვეცხადო და ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქო ეს მძიმე სევდა, რასაც თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლა ჰქვია. ილოცეთ ჩვენთვის და პატარა იაკობისთვის, რომელიც მხოლოდ სურათებით გვცნობთ. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ. იძინეთ მშვიდად. სასუფეველი დაგიმკვიდროთ იმ ქვეყნად.

*იაკობ კვიჭიძე, რუსუდანი, ლევანი, ნინო, მურმანი, ზვიადი, გოგა და იაკობი*

### ნუგზარი ქობალიას მონატრება

ორი წელი გავიდა იმ ავად სახსენებელი დღის შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი, ჩემო ნუგზარი. რა მწარეა სიცოცხლე უშენოდ, ჩემო ძვირფასო მეუღლევ, ჩემო მეგობარო, ჩემო კეთილო ადამიანო. ჩვენ ხომ ნამდვილად ტკბილი და თბილი ოჯახი გვქონდა, რაც შენი დიდი დამსახურება იყო. ნუგზარი, შენ მარტო შენს ოჯახს არ დააკლდიხარ, შენ დააკლდი შენს და-ძმებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, რომლებიც ტკბილად გიგონებენ, როგორც ნამდვილ კაცურ კაცს. შენ ხომ მართლაც კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და კარგი კაცის სახელიც დატოვე, რითაც შენი ცოლ-შვილი, შენი გარდაცვალებით დამწუხრებულები, თავს ვინუგეშებთ და ვამაყობთ. ჩემო ნუგზარი, მე იმ იმედით ვცოცხლობ, რომ ვიცი, ჩვენ სასუფეველშიც შევხვდებით ერთმანეთს, უკვე სამარადისოდ. ახლა კი, ვცდილობ, ჩვენს შვილებს ისე დავუდგე მხარში, როგორც შენ გაგიხარდებოდა.



მამიკო, უშენობას ვერ ვეგუებით, ვუყურებთ შენს ფოტოებს, ქვაზე გარინდულ შენს მომღიმარ სახეს და ისევ დაგვრჩენია, შენი ლამაზი სულისათვის ვილოცოთ, საფლავზე წმინდა სანთლები ავანთოთ და შენზე მოგონებებით ვიცხოვროთ. ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

### ჯუმბერ ბუცხრიკიძის მონატრება



მამა, 2 ნოემბერს ერთი წელი გავა, რაც შენმა სათნო სულმა ეს ქვეყანა დატოვა და მარადისობაში გადავიდა. ეს იყო ცრემლის, ტკივილის და ტანჯვის ერთი წელი. უშენობამ საშინელი დარდი და წარსულის მონატრება დაგვიტოვა. შენ ხომ თვითონ სიკეთე და სათნოება იყავი. შენ გარშემო სხვანაირი სითბო, ალერსი და სიმშვიდე იფრქვეოდა.

ძალიან გვეცოდება დედა, რომელიც ჩვენ ყველას ერთად თავშეყრილს რომ დაგვინახავს, ჩუმად მიიპარება შენს სურათთან და გულამოსკვნილი მოგეტირის. თქვენ ხომ ურთიმანეთოდ ერთი დღეც ვერძლებდით, ახლა კი ცალფრთიანად ებრძვის ამ ცხოვრებას, შენს ლამაზად მოკირწყლულ ეზო-კარ-მიდამოში. მას გულის ფანჯარაში ახარებს, ის მხოლოდ შენზე მოგონებებით ცოცხლობს.

უშენობა გვიჭირს შენს შვილებსაც. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ შენი ამ ქვეყნიდან წასვლით მოყენებულ ტკივილს ვერაფერი ცვლის. გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, ჩვენო ტკბილო და კეთილო მამა, უშენოდ არაფერს აქვს სითბო და სიხარული. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენატრები, ყველას დააკლდა შენი სითბო – განსაკუთრებით შენს შვილებს და შვილიშვილებს.

შენი დიდი ოჯახი მუდამ ვილოცებთ შენთვის. დაე, ჩვენ მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შვილები: ვალერი, ლუიზა, ინგა ბუცხრიკიძეები*

### ეკა კეკელიძის მონატრება

უშენოდ მესამედ მოვიდა ფოთოლცვენის თვე. რა შემზარავია. შენი ღიმილი დააკლდა თბილისს. შენი კარგი მეგობრობა და სიყვარული დააკლდა ძალიან ბევრს – არა მარტო მშობლებს და დედმამიშვილებს, არამედ ახლობლებს, ყველას, ყველას. შენ ხომ ყველას დამხმარე იყავი, შენ კი ვინ დაგეხმარა? ავტოკატასტროფამ უკვდ შეიწირა 5 ახალგაზრდის ლამაზი სიცოცხლე. ასეთი



დიდი უბედურების შემდეგ, მშობლის სიცოცხლე არის ტანჯვა და წამება უსასრულოდ. ყველგან შენს ხატებას დავეძებთ. შენ ლამაზ სტრიქონად შერჩი ამ მუხთალ წუთისოფელს. სინამდვილე მკაცრია და დაუნდობელი, როცა ჩვეულ ადგილას ვეღარ ხედავ ლამაზ, ღიმილიან ხატებას. გულიდან ვერ ამოშლი მოგონებებს, რაც სიალერსივით ცრემლით იფარება და აუტანელი ხდება მონატრება.

### ნაზო (ნუკრი) მარკოზაშვილის ხსოვნას!



ნაზო, ჩვენო საყვარელო ძმაო, შენმა უდროოდ წასვლამ ყველას უზომოდ გვატკინა გული. 5 ნოემბერს ხომ შენი დაბადების დღეა – 23 წლის გახდებოდი, რომ არა ის ავბედითი დღე...

ნაზო, შენი მეგობრები პირველად ვხვდებით შენ გარეშე ამ ლამაზ დღეს. გპირდებით, რომ არ დაგივიწყებთ, მუდამ მოვალთ შენს საფლავზე, ავანთებთ წმინდა სანთლებს, შენი სპეტაკი სულის გასანათლებლად და მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენი კლასის სახელით, ყველანი გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და გეფერებით!

*თამარ კახნიაშვილი*

### გოგა ლატარიას გახსენება

40 ცრემლიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო გოგა. „რამდენიმე წლიწადს ცხოვრობდი, იცინოდი, გიყვარდა და სხვებითაც იმედოვნებდი. ახლა კი, ყველაფერი გათავებულია შენთვის და არასოდეს სიცოცხლეს არ დაუბრუნდები." – არ გვინდა იმის დაჯერება, რომ ეს სიტყვები შენ გეკუთვნის. ყველას ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. თურმე, რატომ ჩქარობდი სულ მუდამ, გინდოდა, ყველას მოგფერებოდი. შენ ხომ ბავშვივით სუფთა და ლამაზი სული გქონდა.



ძნელია უშენობა, გოგა. ძალიან გვენატრები. გვჯერა, ჩვენი ლოცვა და ანთებული სანთლები მარადიულ სასუფეველს გაგინათებს.

*შენი მაკა, თამუნა და ბექა*

ორმოცი დღეა უკვე ნატვრად ქცეული, მოგონებებში განბნეულხარ. 21 წლისამ გადაინაცვლე მარადისობაში. ასე მგონია, ერთად დავიბადეთ და გავიზარდეთ, მაინც რამდენი რამ დამრჩა სათქმელი. მე თვითონ სანუგეშებლმა, რით ვანუგეშო შენი გამწარებული მშობლები. შენი ძმა?! თქვენი ძმობა ხომ მართლაც შესაშური იყო.

ჩემთვის ყოველი დღე კოშმარია, აუტანელი და გაუსაძლისი, ხოლო ღიმილი და იმედი – საბოლოდ, რადგან ის შენს ძმას სჭირდება.

ჩემო კეთილო, ნიჭიერო და ულამაზესო ბიჭო, შენ დაფრინავდი, მხიარულობდი და ესიყვარულებოდი ყველას, შენ გიყვარდა სიცოცხლე.

არა, გოგა! შენ არ მომკვდარხარ, შენ მხოლოდ ფრენის სიმაღლეს უმატე გაფრინდი მაღლა, საიდაც მიგიღოს ისე, როგორც ეს შენ გეკუთვნოდა. ჩვენი ოცნების ზეცას მხოლოდ შენი სევდიანი თვალები ახატია. მუდამ დარჩები ტკივილამდე მოგონებად, ჩემო ძმაო გოგა.

მსუბუქი და უმტკივნეულო ყოფილიყოს შენთვის მშობლიური „მიქამგარიოს" მიწა. ამინ!

*შენი ნათია*

### გოდერძი ჩალათაშვილის გახსენება



9 სექტემბერს ერთი წელი გავიდა შენი შემზარავი სიკვდილიდან. ეს დღე მეხის გავარდნას ჰგავდა ჩვენს უბანში. 25 ოქტომბერს 20 წელი შეგისრულდებოდა. მეორე წელია, თვალცრემლიანნი ვხვდებით ამ დღეს. როგორ გვენატრები და გვაკლიხარ. 18 წლის წახვედი ჩვენგან და იმდენი მოასწარი, რომ უსაზღვრო სიყვარული ჩაგვეტოვებინა ყველას გულში. დაე, მშვიდად იყოს შენი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფეველი, ჩვენო გოდორა.

*შენზე დამწუხრებული მეზობლები*

### თემურ მახმუდოვის მონატრება

27 ოქტომბერს 40 დღე შესრულდა, თემო, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ. ავადმყოფობამ არ გაცალა მეგობრებთან ყოფნა. უსაზღვროა ჩვენი ტკივილი. თავს ვინუგეშებთ ნათქვამით: ღმერთსაც კარგი უნდა, და რჩეულებშიც შენ ამოგირჩია.



ყველას ძალიან გვიძნელს შენზე წარსულში ლაპარაკი. თურმე რატომ ჩქარობდი სულ მუდამ, გინდოდა, ყველას მოეფერებოდი, ყველა გულში ჩაგეკრა. შენ ხომ ბავშვივით კეთილი და სუფთა გული გქონდა. ნათელში იყოს, თემო, შენი სული. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი უახლოესი მეგობრები: კეტხო, ზაზა, მაია, ნინო, რუსიკო*

### რევაზ ესიავას ხსოვნას



ნახევარი წელი მიდის შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. ნაადრევად წახვედი ამ წუთისოფლიდან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მწუხარება. უსაშველოდ გვენატრები ყველას და გვაკლიხარ. ჩვენს გულებში ხომ შენს ადგილს ვერავინ ვერასოდეს დაიკავებს. დატოვე სახელი ნაღდი კაცისა, რომელიც მხოლოდ სიკეთით და სიყვარულით სულდგმულობდა. ვაჟკაცი და გულკეთილი იყავი და ასეთი დარჩები ჩვენს გულში მარად. უფალს ვთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი გაუბედურებული და დატანჯული დედა თინა, მეუღლე აზა, შვილი ბაჩანა ცოლ-შვილით, ძმა თემური ოჯახით*

### მარიამ ქუთელია-ვახანიას გახსენება

ჩვენო დედა და ბებიავ, ორმოცი დღე გავიდა რაც შენი სიცოცხლე შეწყდა, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ. ძნელი ყოფილა უშენობა, ყველას გვენატრები. შენი სითბო და მოფერება აკლიათ შვილებსაც და შვილიშვილებსაც, მთელ ოჯახი ვცდილობთ გავუმკლავდეთ მწუხარებას და ღირსეულად ვატაროთ შენი სახელი.



თბილ საბნად ჰქონდეს შენს სხეულს მშობლიური ლევახანეს მიწა და დაე, მფარველ ანგელოზად ჰყავდე შენს სათაყვანებელ ოჯახს.

*ოჯახი*

### რეზო ყურუას გახსენება



ყველასათვის უძვირფასესო, უსაყვარლესო, დიდო ტკივილო და სევდავ! 27 ოქტომბერს ერთი წელი შესრულდა, რაც მარადისობაში გადახვედი და მხოლოდ განუზომელი სევდა და მწუხარება დაგვიტოვე. ძალიან გვენატრები, როგორ გვიჭირს უშენოდ. დრო ნამდვილად არ ყოფილა ამ ტკივილის მკურნალი. ჩვენს ტკივილს მისხალიც არ დაჰკლებია და არც დააკლდება, რა დროც არ უნდა გავიდეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ზაზა ყურუა ოჯახით*

### თამთა ნადირაძის მონატრება

თათული! ჩემო ერთადერთო სიხარულო, ჩემო ერთადერთო იმედო, როგორ შეიძლება დავიჯერო, რომ მე თათული აღარ მყავს. შენ იყავი, ხარ და მუდამ იქნები ჩემი ერთადერთი საყვარელი შვილი. შენზე წარსულ დროში ვერასდროს ვილაპარაკებ. ყველაფერს ისე ვაკეთებ შენთვის, როგორც შენ მოგწონს, გიყვარს და გიხარია. ახლა 10 წლის გახდი, შემპირდი, რომ სიზმარში მოხვალ დედიკოსთან, გულში ჩაგიკრავ და მოგილოცავ დაბადების დღეს.



ფიქრით და ოცნებით მე მუდამ შენთან ვარ. აბა როგორ შევძლებდი უშენოდ სიცოცხლეს, ჩემო სიცოცხლევ.

*შენი გულგაყინული დედა თეა ნადირაძე*

ცრემლიანი თვალებით გილოცავთ დაბადების დღეს, თამთა! ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, გული გვტკივა, ჩვენ გვერდით რომ აღარ თამაშობ, არასდროს არ დაგვავიწყდები ჩვენი ეზოდან გაფრენილო პატარა ფერიავ.

*ამირანი, გურამი, ნიკა*

თათი! ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო ლამაზო, ჩემი გულის დიდო ტკივილო, დაბადების დღეს გილოცავ. როგორ ძალიან მენატრები. იმ დიდ ტკივილს, რომელიც გულში დაუტოვე ყველას, ვერავინ და ვერაფერი მოარჩენს არასოდეს დამავიწყდები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უმანკო სული.

*ნინო ხუციშვილი*

შენ იყავი, ხარ და მუდამ დარჩები ჩვენი პატარა ანგელოზი – თათული!

მინდა ვთქვა ჩემი გულის ღრმა ფსკერზე დალექილი ნაღველი, რომელიც თათულიმ ჩვენს გულებში სამუდამოდ დატოვა.

პატარა თამთას ახლა ათი წელი შეუსრულდებოდა, რომ არა ის მეათე საფეხური, რომელიც მას ბედისწერამ უსამართლოდ ჩაუმტვრია, სულით უმანკო, ფიქრით და გონებით უბიწო თამთა, დღევანდელ დღეს ჩვენთან ერთად აღარ ატარებს, იგი ველარ ჩაიფიქრებს სურვილს და ველარ ჩააქრობს იმ სანთლებს, რომლებიც მას ყოველ წელს, ერთის მიმატებით უნდა ჩაექრო, ქუჩაში მისი შემხვედრები ველარ იტყვიან, – ცხონდეს შენი გამჩენიო. დიახ, ეს ყველაფერი აღარ მოხდება, მაგრამ ჩვენ მუდამ გვემახსოვრება ის კაშკაშა მოღიმარი ვარსკვლავი, რომელიც ჩვენს გულებს ყოველთვის ახარებდა.

*შენდამი ტკბილი მოგონებებით, ცირა ფაცურია*

### რევაზ გოგიას გახსენება

ერთი წელი უკვე ნატვრადქცეული, მოგონებებში გაბნეულხარ. 1-ს ნოემბერს უდროოდ შეაჩერა სიცოცხლისა და შრომისათვის ანთებული გული. 62 წლისამ გადაინაცვლე მარადისობაში.



რევაზ, შენ სხვანაირი ბუნების იყავი, გამორჩეული, სიკეთით სავსე, უანგაროდ იხარჯებოდი ყველასთვის. მთელი შენი ცხოვრების მანძილზე სპორტს ემსახურებოდი. ბოლო 20 წელი ს/კ „ფეიქარის" თავმჯდომარე იყავი. შენს შვილებს და შვილიშვილებს ცხოვრების მეგზურად გაჰყვებათ შენი სუფთა და კაცური სახელი. შენ ჩვენგან დავიწყება არ გიწერია. შენით ვამაყობთ, გვიყვარხარ და გვენატრები.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები*

### სოსო ბურჭულაძის მონატრება



გაუსაძლისი, ტანჯვის და წამების ერთი წელი გავიდა უშენოდ, ჩემო მონატრებულო შვილო. ყოველი დღის გათენება უშენოდ, ახალი სიკვდილია შენი დედისთვის. ირგვლივ ყველაფერი შენს თავს მახსენებს, მენატრება შენი ხმის გაგონება, როგორ ვიფიქრებდი, თუ უშენოდ ამდენს კიდევ ვიცოცხლებდი; როგორ ძალიან მენატრები, ჩემო კეთილო, ალალმართალო შვილო. შეუძლებელია ჩვენი მწუხარების გამოთქმა, აზრი დაკარგა ჩვენმა ცხოვრებამ.

ენატრები და აკლიხარ შვილო, შენს დას, დისშვილებს, სიძეს, მეგობრებს, ნათესავებს. ნათელში იყავი, მარად ჩვენო იმედო და სიხარულო, შვილო სოსო.

*უშენობით გატანჯული შენი მშობლები*

### ზაირა გელენიძის გახსენება

ერთი წელი შესრულდა უშენოდ, ჩვენო ზაირა! როგორ უცბად წახვედი, როგორი დიდი ტკივილი მოგვაყენე ყველას, როგორ გვაკლია შენი სითბო, სიყვარული, მეგობრობა, ყველასათვის ნუგეშის მომცემი იყავი, მაგრამ სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი.



ნათელი გეფინოს სამარადჟამოდ.

*თანამშრომლები თბილისის საკვანძო პოლიკლინიკიდან*

### გივი ოზბეთელაშვილის მონატრება



პირველ ნოემბერს ორმოცი დღე სრულდება, რაც სიცოცხლიდან მარადისობაში გადაინაცვლე, ჩვენო სიკეთით, სიხალისით, იუმორით სავსე, გივი ივანიჩ, უშენოდ თითქოს დაცარიელდა ჩვენი ეზო. არაფერს აქვს ხალისი. გვიჭირს უშენობა.

დაე, ჩვენ მიერ დანთებულმა სანთელმა გაგინათოს მიმავალი გზა მარადიული სასუფევლისკენ.

*შენი სამეგობრო*

### ოლეგ ქორაიას ხსოვნას!

24 ოქტომბერს 46 წელი შეგისრულდა ოლეგ, მაგრამ შენს ცოლ-შვილთან, ახლო მეგობრებთან არ დაგცალდა მისი აღნიშვნა. მხოლოდ საყვარელი დედა, რომელიც ოთხი თვის წინ წავიდა, სასუფეველში ჩაგიკვრავს და მოგეფერება.



ოლეგ, უეცარი ელდა იყო შენი გარდაცვალება ოჯახისათვის, ყველა აბაშელისათვის. სიცოცხლეში ჩუმი და უპრეტენზიო, ასევე წყნარად და მშვიდად წახვედი ამ ქვეყნიდან. ფრთამოტეხილი, ეული დამტოვე. ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვიყავით. შევქმენით სტუდენტური ოჯახი და 24 წელი ერთგულად ვეწეოდით ჭაპანს; ვხარობდით ჩვენი ვაჟკაცების – ოთიკოსა და დათოს წარმატებით. თვალცრემლიანი, გულდასერილი გილოცავთ დაბადების დღეს, ოჯახის ბურჯო, მოამაგე მამავ და ერთგულო მეუღლევ, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

*მეუღლე ცარო, შვილები ოთარი და დათო ქორაიები*

## ჩვენ გვწერენ!

# აი, თურმე, რატომ გასკდა ლარნაკი...



ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ შემემთხვა. მაშინ სკოლის დირექტორად ახალი დანიშნული ვიყავი.

ერთი ხანობა უცნაურობა დამჩემდა — კაბინეტში ფეხს შევაბიჯებდი თუ არა, თვალები ამიჭრელდებოდა, თავბრუ მესხმოდა და გონება მებინდებოდა. ისე ცუდად ვხდებოდი, რომ კინაღამ სამსახურს თავი დავანებე.

ჩემმა თანამშრომელმა, მარინემ, რომელმაც მეუღლესთან ერთად იერუსალიმის წმინდა ადგილები მოილოცა, სამახსოვროდ ხატი ჩამომიტანა — გოლგოთაზე არის ნაკურთხი და ყველანაირი ხიფათისგან დაგიცავსო. საღამო ხანი იყო. ვისხედით ჩემს კაბინეტში და ვუსმენდით მარინეს მონათხრობს. ხატი დროებით მაგიდაზე მდგარ ვარდებიან ლარნაკზე მივაყუდე. უეცრად ჭახანი გაისმა — ბროლი შუაზე გადაიხსნა და ყვავილები მიმოიფანტა.

ყველანი გავოგნდით.

ის იყო, იამზემ ხელი ყვავილების ასაღებად გაიწოდა, რომ გველნაკბენივით უკან გახტა და მაგიდას უაზროდ დააშტერდა — თითოეულ ღერს ბოლოში თმადახვეული ნემსი ჰქონდა გარჭობილი.

ვიღაცამ თქვა — უთუოდ ჯადოაო. უფრო მცოდნეებმა ყვავილები სასწრაფოდ დაწვეს და ფერფლი გამდინარე წყალს გაატანეს.

აი, თურმე, რატომ გასკდა ლარნაკი. უკეთურებისგან გიხსნა წმინდა ხატმაო, — მეუბნებოდნენ ჩემი თანამშრომლები. მირჩიეს, მოძღვარს უამბე ყოველივეო.

მოძღვარმა მომისმინა, ავი თვალის საწინააღმდეგო ლოცვები წამიკითხა, დამარიგა. მას შემდეგ ჩემი უცნაურობები ნელ-ნელა, უწამლოდ გაქრა.

ვეცადეთ, მაგრამ ვერაფრით დავადგინეთ ყვავილების მომრთმევის ვინაობა.

გაიარა რამდენიმე თვემ. ერთ დღეს გაკვეთილზე შეუძლოდ გახდა ბიოლოგიის მასწავლებელი. სანამ სასწრაფო მოვიდოდა, ქალბატონმა იულიამ ხელი ჩამავლო და ძლივძლივობით ამოღერღა, — შენთან სალაპარაკო მაქვს და მარტონი დავრჩეთო. როცა კაბინეტიდან ყველანი გაიკრიფნენ, ქალბატონმა იულიამ, როგორც იქნა, ამოთქვა, — ჯადოს მე გიკეთებდი, სიძულვილის ჯადოს... შენ, ჩემზე ახალგაზრდა, დირექტორად რომ დაგნიშნეს, შემშურდა... თუ შეგიძლია, მაპატიეო.

ვერ აგიწერთ, რა დამემართა. გავშრი...

ქალბატონმა იულიამ რამდენიმე თვე იავადმყოფა. მერე განცხადება გამოგზავნა — სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა...

ასე გადამარჩინა გოლგოთიდან ჩამობრძანებულმა ჯვარცმის ხატმა.

***თბილისი, ელენე კ.***

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

## (29 ოქტომბერი – 10 ნოემბერი)



**29-30/X** — ბინის პირველი გათბობა. შეშის ჭრა, ხეხილზე წანაზარდების შეჭრა, გასხვლა, დეკორატიულ მცენარეთა რგვა, გულის სამკურნალო მცენარეთა შეგროვება. მიუღებელია ნიადაგის განოყიერება. აუცილებელია ბინის განიავება. ნუ გადატვირთავთ გულის არეს, დიაფრაგმას და სისხლის მიმოქცევის სისტემას. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა. ორგანიზმში ქიმიური რეაქციის შენელებამ 29 რიცხვში შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული გასტრიტის გამწვავება, აპათია, შიში, სტრესი და აქტიურობის შესუსტება. საჭიროა სიდინჯე და წინდახედულობა. აუცილებელია მსუბუქი ვარჯიშები, ორგანიზმის გაწმენდა, აბაზანის მიღება. საკვებად უმჯობესია გამოიყენოთ თევზი, ხბოსა და ფრინველის ხორცი, პარკოსნები, ხმელი ხილი და კუნელის ნაყოფის ან ფოთლის ჩაი დღეში სამჯერ.

**31/X-1/XI** — ღობის საყრდენი ბოძების დასობა. ხეხილისა და დეკორატიული ბუჩქების გადარგვა, ოთახის ყვავილებისა და ნივრის რგვა, ნიადაგის განოყიერება, კომპოსტის მომზადება. მიუღებელია ხილისა და ბოსტნეულის დაბინავება. ამ დღეებში იოლად ცივდებიან. მოუფრთხილდით საჭმლის მომნელებელ სისტემას, სისხლის მიმოქცევას და კუჭქვეშა ჯირკვალს. 31-ში მოერიდეთ საქმიან შეხვედრებს. დღე კონფლიქტურია, მოსალოდნელია თავის ტკივილები და სტრესი. მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვებს. ეფექტურია ფიტოთერაპია. ამ დღეებში სასარგებლო საკვებია — წიწიბურა, შვრია, კვერცხი, რძის პროდუქტები, თაფლი და ნიგოზი.

**2-3/XI** — გამძლე სააავეჯე-სამასალე ხის ჭრა. დამუშავებული ნიადაგის გაფხვიერება. ნივრის რგვა. ნეიტრალური პერიოდია ნებისმიერი სამუშაოს ჩასატარებლად. აუცილებელია ოთახის განიავება, ბინის დასუფთავება, საკუჭნაოსა და სარდაფის დალაგება, კედლების წმენდა. უნდა გაუფრთხილდეთ თირკმლებს, შარდის ბუშტს, ჯირკვლებს. აუცილებელია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. გაუფრთხილდით გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ერიდეთ ტრავმებს და კონფლიქტებს. საკვებად აუცილებელია შვრიის ან წიწიბურას ფაფა, მაწონი, ხაჭო, თევზი, ფრინველის ხორცი, ბოსტნეული, ხილი, თაფლი, ნიგოზი.

**4-5/XI** — ღვინის გადაღება, ნიადაგის განოყიერება ნაკელით. ოთახის ყვავილებისა და დეკორატიულ მცენარეთა რწყვა. სამკურნალო მცენარეთა თესვა, რგვა. მიუღებელია ხეხილზე გამხმარი ტოტების შეჭრა. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, სწორ ნაწლავს და სასქესო ორგანოებს. მოერიდეთ სექსუალურ ურთიერთობას. ჯანმრთელობის თვალსაზრისით მეტად რთული დღეებია. მთვარის მოზღვავებული ენერგია ასუსტებს სისხლის მიმოქცევას თავის არეში, აქვეითებს საქმიან აქტიურობას. ყურადღება დაუთმეთ კუჭ-ნაწლავის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის მოქმედებას. ამ დღეებში მოამზადეთ შესაბამისი სამკურნალო საშუალებები და ჩაიტარეთ პროფილაქტიკა. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს. საზიანოა კანის მოვლა, თმის შეჭრა, პირის გაპარსვა. სითხე და საკვები უნდა იყოს მსუბუქი, რომელიც უნდა მიიღოთ მცირე ოდენობით და ხშირად. აუცილებელია წიწიბურა, რძე, იოგურტი, ხაჭო, ბოსტნეული და ხილი. ალკოჰოლს ნუ მიიღებთ.

**6-7/XI** — ბინის პირველი გათბობა. ხეხილის რგვა, ხეხილზე წანაზარდების შეჭრა, გასხვლა, ნიადაგის განოყიერება. კიტრის თესვა სათბურში. გაუფრთხილდით სისხლძარღვებს და გრძნობის ორგანოებს. მოსალოდნელია დაბნეულობა, ძალების ტყუილად ხარჯვა წვრილმანზე, თავის ტკივილი, სტრესი და უძილობა. ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას და კარგად აწონ-დაწონეთ თქვენი გადაწყვეტილებები. მოერიდეთ ხელშეკრულების დადებას და შეთანხმებებს. ძირითადად იკვებეთ პარკოსნებით, ბოსტნეულით, ხილით. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ კომბოსტო და ბრინჯი. მოერიდეთ ალკოჰოლს.

**8-9-10/XI** — სათბურში მწვანილებისა და ბოსტნეულის თესვა, ნიადაგის განოყიერება. დეკორატიულ მცენარეთა რგვა. მოერიდეთ გაცივებას. მოუფრთხილდით კანს, მუხლებს, სახსრებს და ძვლის სისტემას. აუცილებელია ამ ორგანოებზე თვითმასაჟი. მარგებელია სუნთქვითი ვარჯიში, რათა შთანთქათ კოსმოსური ენერგია, ასევე შედეგიანია გამაახალგაზრდავებელი პროცედურები. ყურადღება დაუთმეთ სასუნთქი ორგანოებისა და გულის მუშაობას. საქმის თეორიულად დაგეგმვისთვის კარგი პერიოდია. ამ დღეებში კარგია ერთკვირიანი ვაშლის დიეტის დაწყება. საკვებად გამოიყენეთ თევზი, კარტოფილი, ბრინჯი, მწვანილი, ხილი. ნუ მიიღებთ ხორცს, კვერცხს და ალკოჰოლურ სასმელებს.

***დურმიშხან ყიფიანი***

# ბედისწერის ნიშანი



რა არის ხალი? რატომ ხდება, რომ ამ „თანავარსკვლავედის“ განლაგების რუკა ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია. რატომ არის, რომ ზოგი ხალი თანდაყოლილია და ზოგი შეძენილი, სიბერეში კი განსაკუთრებით მომრავლდება? ძალიან ხშირად, ხალის მოცილების შემდეგ, ადამიანი რატომ კვდება? შეკითხვა ბევრია, პასუხი — ცოტა. მაგრამ რაღაც ჰიპოთეზები, თანაც საყურადღებო, მაინც არსებობს.

არავის უკვირს, რომ ადამიანის განკურნება აკუპუნქტურით შესაძლებელია. ეს ბიოლოგიურად აქტიური წერტილები თავისებურ ანტენებს წარმოადგენენ, რომელთა საშუალებითაც ორგანიზმი კოსმოსურ ენერგიას ცვლის.

ერთ-ერთი ბოლო ვერსიის თანახმად, ხალები და პიგმენტური ლაქები სხეულზე სწორედ ბიოაქტიურ წერტილებში, ენერგეტიკულ მერიდიანებზე და რეფლექსოგენურ ზონებშია განლაგებული. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ლაქები თავისებური ბიოლოგიური რეზონატორები — ფილტრებია, რომლებიც არეგულირებენ ადამიანისა და კოსმოსის ენერგეტიკულ და ინფორმაციულ გაცვლა-გამოცვლას. ისინი თითქოს ამოჭრიან ორგანიზმისთვის საჭირო სპექტრის ნაწილს, ბლოკავენ არასაჭირო სიხშირეებს. ამასთან, მნიშვნელობა აქვს პიგმენტის ფერს, ფორმას და ზომას — ამაზეა დამოკიდებული ორგანიზმის მიერ მიღებული და გამოსხივებული სპექტრის სიხშირე. და თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ხალის მთავარი ამოცანაა — ორგანიზმში ამა თუ იმ ენერგიის სახეობის რაოდენობის მიღებისას დარღვეული ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესების დაბალანსება.

ზოგჯერ ხალი ადამიანს გარეგნობას უმახინჯებს. საჭიროა თუ არა მისი მოცილება? ეს საკითხი მხოლოდ ხალის „პატრონის“ გადასაწყვეტია. თუკი ხალი მართლაც ის „ფილტრია“, რომელიც ადამიანს სერიოზულ პრობლემებს აცილებს, მაშინ სიფრთხილეა საჭირო. იმავე ჰიპოთეზის თანახმად, ხალის მოცილების შემდეგ შესაძლოა ადამიანის თვისებების შეცვლა. მაგ. ბუზღუნა — აგრესიული ხდება, ეჭვიანს დევნის მანია უვითარდება და ა.შ.

თუკი ჰიპოთეზა, ხალის ენერგოფუნქციის შესახებ დამტკიცდება, შეიძლება საინტერესო მოვლენების მოწმენიც გავხდეთ. ხალის „რუკა“ ბევრს მოგვითხრობს ადამიანზე. ახალწარმოქმნილი ხალი შესაძლოა რომელიმე ავადმყოფობის დასაწყისის მაჩვენებელიც გახდეს. თანდაყოლილი ხალი კი შეგვატყობინებს მემკვიდრეობით თავისებურებებზე და ადამიანის მომავალსაც განჭვრეტს.

რეინკარნაციის ფენომენის მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს ძალიან საინტერესო ფაქტს. იმ ადამიანების ხალების განლაგება, რომლებიც „წარსულ ცხოვრებას“ იხსენებენ, ძალიან ხშირად შეესაბამება ჭრილობებს, რომლებიც მათ წინა ცხოვრებაში მიიღეს.

1953 წელს ხუთი წლის ინდოელმა ბიჭუნამ რაკი შანკარამ მშობლებს მოუთხრო თავისი წარსული ცხოვრება, ზუსტად დაასახელა მამის — დალაქისა და თავისი მკვლელების სახელებიც. ბიჭს წინა ცხოვრებაში თურმე ყელი გამოსჭრეს. საოცარია, მაგრამ რაკის ყელზე ჰქონდა 5 სმ სიგრძისა და 6 მმ სიგანის მუქი ფერის ხალი. მკვლევარების თქმით, ლაქა დანის ჭრილობით მიყენებულ ძველ ნაწიბურს ჰგავდა...

ინდოეთშივე, პატარა ტიტუმ მოულოდნელად დაიწყო იმის მტკიცება, რომ მას წინა ცხოვრებაში ერქვა სერეჟ ვარმა და ქალაქ აგრაში რადიოსაქონლის მაღაზია ჰქონდა. ტიტუს მშობლები დაინტერესდნენ შვილის მონაყოლით, აგრაში გაემგზავრნენ და გაოცებულებმა გაიგეს, რომ იქ მართლაც ცხოვრობდა ასეთი პიროვნება, რომელიც 10 წლის წინ მოკლეს — თავში ტყვია დაახალეს.

და ისევ საოცარი დეტალი: საფეთქელზე, სადაც მოკლულს ჭრილობა ჰქონდა, ტიტუს თანდაყოლილი ხალი ემჩნეოდა, ხოლო გამჭოლი ტყვიის ადგილას — შეხორცებული ნაწიბური.

ეს ფაქტი კი შარშან რუსეთში დაფიქსირდა. 45 წლის ინჟინერს, ანდრეი კ-ს შიში თანგავდა და ზურგის საშინელი ტკივილი ეწყებოდა, როცა უკან სამი ან ოთხი კაცი მიჰყვებოდა. მკვლევარებმა ჩაატარეს რეგრესიული ჰიპნოზის სეანსი — ანდრეი წინა ცხოვრებაში „გადაისროლეს“. დაჰიპნოზებული ანდრეი ჰყვებოდა, რომ ოდესღაც ზურგში ტყვია ესროლეს და მოკლეს... როცა ანდრეიმ შეიტყო თავისი აუხსნელი შიშის მიზეზი — განიკურნა. მას ნატყვიარის ადგილას ჰქონდა.... ხალი. ე.ი. უწინდელი ცხოვრების ნაკვალევი გადაეცემა ახალ ფიზიკურ სხეულს. როგორ ხდება ეს? ეზოტერიკული ტრადიცია გვაუწყებს, რომ სერიოზული ტრავმები არა მარტო ფიზიკურ, არამედ ადამიანის ეთერულ სხეულზეც ტოვებს კვალს და დაბადებისას ახალ ფიზიკურ სხეულზე ხალის, უცნაური ნაწიბურისა და ნაიარევის სახით გადმოდის.

შესაძლოა დადგეს დრო, როცა ხალების განლაგებით და გარეგნობით შევძლებთ სულის „ვარსკვლავური რუკის“ წაკითხვას. ახალგაზრდა მშობლები კი ჩვილის „თანავარსკვლავედში“ გაიგებენ არა მარტო მის ძლიერსა და სუსტ მხარეებს, არამედ შეიტყობენ მის ვარსკვლავურ გზასა და ამოცანას, რისთვისაც ის კიდევ ერთხელ მოვიდა დედამიწაზე.

***სოვერშენნო სეკრეტნო №10***

# მკურნალი ძროხა



კამბოჯელები არ იშურებენ უკანასკნელ კაპიკებს ქვეყნის სამხრეთით მდებარე პატარა სოფელში გასამგზავრებლად. გამგზავრების მიზანი კი ის არის, რომ ამ პატარა სოფელში ცხოვრობს 59 წლის სკოლის მასწავლებელი, რომელსაც ჰყავს უჩვეულო ვეებერთელა ყავისფერი ძროხა.

მასწავლებელს ერთხანს ძალიან აწუხებდა ფეხების ტკივილი. როცა ძროხამ მას ფეხების ლოკვა დაუწყო, რევმატიზმმა გაუარა.

ამ დროიდან მოყოლებული, მასწავლებელი ყველას, ვინც კი საამისოდ საჭირო თანხას გაიღებს, სთავაზობს მკურნალობის მის მიერ აღმოჩენილ მეთოდს — ძროხის ენის ასმას.

ძროხა არა მხოლოდ რევმატიზმს კურნავს, არამედ ბევრ სხვა დაავადებასაც. იგი მაგიური ძალის მქონეა. ოღონდ, ეს კია: თუ ძროხასთან მივა ვინმე, ვინც სერიოზულადაა ავად, მასწავლებელი მას საავადმყოფოში დაწოლას ურჩევს.

და კიდევ: კამბოჯის ბევრი მცხოვრები ცდილობს, საკუთარ ძროხაშიც აღმოაჩინოს განკურნების საოცარი უნარი, მაგრამ ამაოდ.

***სობესედნიკი №39***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა გამოიცანი**
1) — ბ); 2) — დ); 3) — ა);

**II. რებუსი**
ახალ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიაფდებაო.

**III.** იმედი;

**IV.** მე-2 და მე-5 ცხენები.


სამედიცინო ცენტრი „მედი“

ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ლიპოსაქცია
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი

ულტრაბგერითი ლიპოსაქცია







▼სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
▼უმტკივნეულოდ
▼საუკეთესო შედეგებით

ალ. ყაზბეგის გამზ №1
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

ტელ: 25 02 02 93 89 75
ხელმძღვანელი გია გვარამია
ლიცენზირებულია

# „ინტერმა" ხიზანიშვილი გაიხსენა



ნიჭიერ მოთამაშეთა აღმოჩენის უნარი მხოლოდ გამორჩეული ალღოსა და გაქანების ადამიანთა ხვედრია.

ერთი ასეთი კაცი მცირე ხანს მოღვაწეობდა საქართველოში და საზოგადოებას სრულიად უცნობი მოთამაშეები აღმოუჩინა — ისინი, ვინც მწვრთნელებს მრავალი წლის მანძილზე თვალწინ ჰყავდათ, მაგრამ მაინც ვერ ხედავდნენ. მიხვდით, ალბათ, მრისხანე ჰოლანდიელს, ბოსკამპს რომ ვგულისხმობ. სწორედ მან მოარგო პირველად ეროვნული ნაკრების მაისური 17 წლის ზურაბ ხიზანიშვილს.

2000 წლის ნოემბერში ლონდონის „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა გადაწყვიტა ქართველი ახალგაზრდის შეძენა, მაგრამ ზურას მაშინდელი კლუბის, „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ 7 მილიონი დოლარი მოითხოვა, რაზეც ბრიტანელებმა ცივი უარი შემოთვალეს. მოსკოვის „სპარტაკიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ სატრანსფერო საკითხებში სიძუნწით ცნობილი კლუბის პრეზიდენტმა იგრძნო, რომ ქართველს იაფად ვერ ჩაიგდებდა ხელში და ბრძოლას გაერიდა. ყველასათვის მოულოდნელად ხიზანიშვილი ფინანსურად გაცილებით სუსტმა შოტლანდიურმა კლუბმა, „დანდიმ" შეიძინა, რადგან დაადგინა, რომ მოთამაშეს „ლოკომოტივთან" კონტრაქტიც არ აკავშირებდა. სქოთების იტალიელმა მწვრთნელმა ბონეტიმ ხიზანიშვილი 2000 წლის ოქტომბერში იტალიელების წინააღმდეგ მატჩში იხილა და პრეზიდენტი აიძულა, ზურას შესასყიდი თანხა გამოეძებნა.

ბონეტის იმედები გაუმართლდა, ქართველი მშვენივრად ათამაშდა და მალე კვლავ აღმოჩნდა გრანდების ყურადღების ცენტრში. „რეინჯერსი", „ინტერი" და „რომა" ხიზანიშვილზე დაკვირვებას შეუდგნენ. ჩვენი ინფორმაციით, იტალიური კლუბები თავად ბონეტიმ დააინტერესა, რადგან მისი შეძენის შემთხვევაში, ჯიბესაც ახეირებდა. სხვათა შორის, ერთი წლის წინ „დანდის" მწვრთნელმა თავად გაამხილა იტალიური კლუბების ინტერესი.

სამწუხაროდ, სწორედ მაშინ დაიმტვრა ხიზანიშვილი და ორი კვირის წინ, 11 ოქტომბერს ითამაშა პირველად საქართველოს ნაკრებში რუსების წინააღმდეგ. ამდენად, მოულოდნელი აღმოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ დღეს ესტუმრა თბილისს საგანგებოდ ხიზანიშვილზე დასაკვირვებლად „ინტერის" მენეჯერი. ინფორმაციის გადასამოწმებლად ზურა ხიზანიშვილს შოტლანდიაში დავუკავშირდით.

— **ზურა, მართალია, რომ „ინტერი" გიწვევს?**

— ბონეტიმ შარშან მითხრა, რომ „ინტერი" საგანგებოდ ჩემზე დასაკვირვებლად სკაუტს გამოაგზავნიდა, მაგრამ სანამ ფორმა არ აღმიდგენია, ტრანსფერზე ლაპარაკი ნაადრევია.

— **მართალია, თითქოს ბოლონიაში მკურნალობისას „ინტერის" მენეჯერი დაგიკავშირდა?**

— ტრავმის დროს მხოლოდ უახლოესი ადამიანები და ჟურნალისტები მიკავშირდებოდნენ.

— **იტალიელთა წარმომადგენელს თბილისში არ ესაუბრე?**

— თუკი მაკვირდებოდა, ეს არ ნიშნავს, რომ იქვე კონტრაქტზე ჩამომიგდებდა სიტყვას. შეიძლება ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდეს, ან სულაც აღარ გააგრძელონ დაკვირვება. სერიოზული კლუბები ფეხბურთელებს ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ კი არ ყიდულობენ, მისი მონაწილეობით მინიმუმ 15-20 თამაშს მაინც ნახავენ და შემდეგ საბოლოო აზრსაც გამოიტანენ.

— **შეგიძლია თქვა, რომ ტრავმისგან საბოლოოდ განიკურნე?**

— ტრავმა წარსულია, მაგრამ ჯერ არ ვარ საუკეთესო ფორმაში... როცა შევიტყვე, რუსებს უნდა შევხვედროდით, სულით და გულით მინდოდა მათ წინააღმდეგ თამაში. ეტყობა, ღმერთმა ინება, ეს შანსი დღემდე რომ დამრჩა, თამაში ჩაიშალა და იმედი მაქვს, რომ 30 აპრილს ნაკრებში მათამაშებენ.

— **ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშე, მაგრამ ეპიზოდებში ჩანდა, რომ ტრავმის შიში გაქვს...**

— ეს სხვებმაც მითხრეს. თავს არ მინდა გამოვუტყდე, მაგრამ გარედან ბევრი რამ სწორად ჩანს. მაინც ვფიქრობ, რომ ეს დროებითია.

— **ედიკ საჯაიას „დანდიში" ჩარიცხვა საბოლოოდ გადაწყდა?**

— მოსკოვის „ტორპედოსთან" კონტრაქტი მას დეკემბერში უმთავრდება და ალბათ მალე შემოგვიერთდება.

# ქართველი ახალგაზრდების წარმატება



შაბათს თბილისში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის შეხვედრები 19-წლამდელთა შორის. ოთარ კორღალიძის გუნდმა ტურნირი ბელგიელებთან მარცხით დაიწყო — 0:1 და ფარერის კუნძულების გამანადგურებელ უკრაინელებთან მოგების იმედი თითქმის ყველა გულშემატკივარს გადაეწურა. თუმცა, მოხდა საოცრება: ქართველმა ახალგაზრდებმა ირაკლი მოდებაძისა და გიორგი ჭელიძის მიერ გატანილი ბურთების წყალობით, 2:0 გაიმარჯვეს, ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ფარერის კუნძულების გუნდს აჯობა ამავე ანგარიშით და პირველი ჯგუფური ეტაპი წარმატებით დასძლია.

# ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**A ჯგუფი**

არსენალი 1:2 ოსერი

დორტმუნდი 1:1 პსვ ეინდჰოვენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

**B ჯგუფი**

სპარტაკი 1:3 ლივერპული

ბაზელი 2:2 ვალენსია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

**C ჯგუფი**

რომა 0:0 გენკი

რეალი 2:2 აეკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:5 | 8 |
| რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |

**D ჯგუფი**

ლიონი 3:3 ინტერი

აიაქსი 1:1 რუსენბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |

**E ჯგუფი**

დინამო 2:0 ფეიენოორდი

ნიუკასლი 1:0 იუვენტუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| ფეიენოორდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ნიუკასლი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |

**F ჯგუფი**

ლევერკუზენი 2:1 მაკაბი

ოლიმპიაკოსი 2:3 მანჩესტერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:5 | 12 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:9 | 6 |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 9:12 | 3 |

**G ჯგუფი**

მილანი 2:1 ბაიერნი

ლანსი 3:1 დეპორტივო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| ლანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბაიერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |

**H ჯგუფი**

ბარსელონა 1:0 ლოკომოტივი

ბრიუგე 3:1 გალათასარაი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

# შუქური, გიუნეში და რუშტუ ქართველები არიან(?!)

## ეძებეთ მეკარე „სამსუნსპორში" – ისიც ქართველია

ცხოვრების მძიმე პირობებმა საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი უამრავი სპორტსმენი აიძულა, უცხოეთისთვის შეეფარებინა თავი და შინდისფერი დროშის განდიდების ნაცვლად სხვა ფერის დროშებისთვის ეასპარეზა.

კახა კახიაშვილის, დავით მუსულბესის, გოჩა სისაურისა და კიდევ ბევრი ქართველის ისტორია თითოეულ თქვენგანს სმენია. ემიგრანტების მეორე ტალღაში არაქართული წარმომავლობის სპორტსმენებიც აღმოჩნდნენ. ბერძენ ომარ თეთრაძეს (ოსიპოვი) რუსეთის ნაკრების მიწვევაზე თანხმობის გარდა კარიერის გაგრძელების სხვა შანსი არ ჰქონდა. აფხაზი ახრიკ ცვეიბასთვის წარმოუდგენელი იყო „შინდისფერი" მაისურის მორგება. ამავე მიზეზით გაიხიზნენ რუსეთში ცხინვალელი ბახვა თედეევი და რუსთაველი ძმები ჯამბულათ და გიორგი ბაზაევები.

უცხო ქვეყნის ნაკრებებში უკვე გამოჩნდნენ ქართველი ფეხბურთელები, რომელთა ოჯახებიც წლების წინ გახდნენ იძულებულნი, სამშობლო დაეტოვებინათ.

ერთი ასეთი ფეხბურთელი დათო ლორიაა. მამამისი, გრიგოლ ლორია ყაზახეთის ჩემპიონის, ასტანის „ჟენისის" პრეზიდენტი გახლდათ და შუააზიურ ქვეყანაში დიდი ხანია ცხოვრობს. ბუნებრივია, ქვეყანა, რომლის ეროვნული ნაკრებიც მაღალკვალიფიციური მეკარის მწვავე ნაკლებობას განიცდის, უარს არ იტყოდა დათოს გასინჯვაზე. ერთი შეხედვით, ლორიას დაკარგვაც საწყენი უნდა იყოს, მაგრამ ცნობილი მწვრთნელისა და მენეჯერის, ვოვა გუცაევის თქმით, ბევრი არაფერი დაგვიკარგავს — თურმე, გუცაევს თანამეგობრობის თასის გათამაშებაში „ჟენისის" მეკარის გამოსვლისთვის თვალი მიუდევნებია და მას განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.



შენოლ გიუნეში



ჰაქან შუქური

შარშან მოსკოვის „ლოკომოტივში" გასასინჯად გამგზავრებული ლორია ყაზახეთში ტაქტიანი უარით გაისტუმრეს. „ჟენისში" მცირე ხნის წინ ქართველი ფეხბურთელებიც გამოდიოდნენ და გუცაევის ნათქვამს ისინიც ადასტურებენ.

მისგან განსხვავებით გაცილებით საინტერესო მოთამაშეა დათო მიქაძე. სოჭის „ჟემჩუჟინას" 21 წლის მცველი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, თუმცა ბოლო ხანს აღარ იწვევენ.

მისი მოგვარე, 19 წლის გიორგი მიქაძე კი „შინდისფერთათვის" სერიოზული დანაკლისია. ამჟამად გიორგი რუსეთის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთი ლიდერის, „სატურნის" შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობს, მეტად მოსწონს რუსეთის ნაკრების მწვრთნელ გაზაევს და გუნდის გაფართოებულ სიაშიც დაასახელა. მართალია, გაზაევმა მისთვის ადგილი ვერ მოძებნა, მაგრამ მიქაძე რუსეთის ახალგაზრდულ გუნდს გამოჰყვა თბილისში. გიორგი გაოცებული დარჩა ქართველი ჟურნალისტების მიერ გამოჩენილი ყურადღებით და საუბარზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— **ალბათ ჯობდა, სტუმარი მოსკოვში ყოფილიყავი და საქართველოს ნაკრებში გეთამაშა.**

— მე ქუთაისში დავიბადე და როგორც ნებისმიერი ბავშვი, თავის დროზე ვოცნებობდი თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრებში თამაშზე. სამწუხაროდ, 11 წლის რომ გავხდი, ისე აირია საქართველოში ვითარება, მამაჩემი იძულებული გახდა ადლერში გადასულიყო. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება რუსეთს დაუკავშირდა. სოჭში დავამთავრე სკოლა და ფეხბურთშიც იქიდან გავიკვლიე გზა. თავიდან კრასნოდარის „კავკაზში" ვთამაშობდი, შემდეგ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" და წელს „სატურნში" ჩავირიცხე.

— **მოსკოვის „სპარტაკში" ჩარიცხული მაჩაიძე თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ თამაშს ერიდებოდა. შენ არ გთრგუნავს შენიანებთან თამაში?**

— ძნელი სათქმელია ახლა რასაც განვიცდი... გაორებული ვარ. თან მინდა მწვრთნელს თავი მოვაწონო, მეორე მხრივ კი... მაინც ქართველი ვარ, ქუთაისელი.

— **ქართულად ლაპარაკი აშკარად გიჭირს.**

— ძალიან ვცდილობ ქართველებთან ურთიერთობით ენა შევინარჩუნო, მაგრამ ძნელია. რუსული სკოლა დავამთავრე, სამეგობროშიც უმრავლესობა რუსია და სიტყვები მავიწყდება.

— **მიხეილ ფოცხვერიამ და დათო ხმელიძემ უკრაინელთა და რუსების წინადადება უარყვეს და მხოლოდ საქართველოს ნაკრებში თამაში ისურვეს. შენ ასეთივე ინიციატივა არ გამოგიჩენია?**

— ხმელიძე ჩემი მეგობარია და მან იუნიორთა ნაკრების მწვრთნელებს ჩემზე ინფორმაცია მიაწოდა. სანამ ესენი ჩემზე დამატებით ცნობებს აგროვებდნენ, მანამდე რუსებმა ნაკრებშიც მიმიწვიეს და მათამაშეს. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა და ერთი წამითაც რომ ჩამორჩე ცხოვრებას, არ გაპატიებს. თანაც, აბა გაიხსენეთ, იმავე დათო ხმელიძემ რა მოიგო საქართველოს ნაკრებში თამაშით? ვინმეს ახსოვს ეს ბიჭი? არანაირ ყურადღებას არ აქცევენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი ჰგონიათ. მე თუ საქართველოს ნაკრებს არ ვჭირდებოდი, მწვრთნელებს თხოვნით ხომ არ შევაწუხებდი, ნიჭიერი ვარ და არ დამკარგოთ-მეთქი.

— **მოკლედ, არჩევანით ბედნიერი ხარ?**

— თქვენ გგონიათ სამშობლოში ცხოვრება ჩემს ოჯახს არ ერჩივნა და მე არ მიფიქრია საქართველოს ნაკრებში თამაშზე? მაგრამ ცხოვრებამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და არც მე ვარ გამონაკლისი. მე რომ რუსეთის ნაკრებში კარგად ვითამაშო, მგონი, ესეც საქართველოს სახელისთვის იქნება უკეთესი. რუსეთში ვცხოვრობ, მათი ნაკრების ინტერესს ვემსახურები, მაგრამ ქართველობას ვერ დავკარგავ. მამაჩემი ამის უფლებას არ მომცემს.

*ზემოთქმულიდან ზოგიერთი ფაქტი, შესაძლოა უცნობი იყო, მაგრამ ის, რაზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ, არა მხოლოდ უცნობია ქართული საზოგადოებისთვის, არამედ უდიდესი სენსაციაცაა. ეს ამბავი სრულიად შემთხვევით შევიტყვე: მეგობარს თურქეთიდან ბიზნესმენი ესტუმრა, რომელიც ქართულად ისე კარგად საუბრობდა, რომ ბუნებრივი კითხვა დამებადა — ქართველი ხომ არა ხართ-მეთქი? ჩემი ეჭვი გამართლდა კიდეც — იგი თურქეთში მცხოვრები ქართველი — მუსტაფა ჯარაჰოლი, სინამდვილეში კი გეგიძე აღმოჩნდა. ბუნებრივ ინტერესს, თუ რამდენი ქართველი ცხოვრობს თურქეთში, შოკის მომგვრელი ამბებიც მოაყოლა:*

— ბევრი ვართ ქართველები, 5 მილიონამდე და უმრავლესობას მშვენივრად გვახსოვს ჩვენი წარმომავლობა და ნამდვილი გვარი. დედაჩემი 8 წლამდე მხოლოდ ქართულს მასწავლიდა, თურქული შემდეგღა ვისწავლე. თურქეთის ქართველობას მრავალი სასახელო შვილი გვყავს, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, კულტურის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი რაფაიტინ შაჰი, იგივე გოგიტიძე. სპორტში ხომ ძირითადად ქართული წარმოშობის ვარსკვლავებით იწონებს თავს თურქეთი.

— **ვის გულისხმობთ?**

— ნაკრებს ლაზი, შენოლ გიუნეში ავარჯიშებს, ტრაპიზონელი კაცი. ქართველია აბდულაც, რუშტუ და ჰაქან შუქურიც.

— **შუქური და რუშტუ?!**

— დიახ ასეა, შუქურმა ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენა კიდეც თავისი წარმომავლობა.

— **მისი ისტორიული გვარი იცით?**

— ეს ნამდვილად არ მიკითხავს. ვარსკვლავების გარდა შედარებით უცნობი ქართველი ფეხბურთელებითაც სავსეა თურქული კლუბები. ჩემი ბიჭიც ფეხბურთელია.

— **სად თამაშობს?**

— ამჟამად „სამსუნსფორის" მეკარეა. მიუხედავად მცირე ასაკისა — ის 20 წლისაა — მეორე ბუნდესლიგის გუნდში გამოსვლაც მოახერხა.

— **საქართველოს ნაკრებში რომ მოიწვიონ, ითამაშებს?**

— როგორ არ ითამაშებს! ჯერ ნახონ, თუკი არ დაიწუნებენ, კი არ ითამაშებს, სიხარულით წამომყვება საქართველოში. ეს ქვეყანა ჩვენი ტკივილია.

*მუსტაფასთან საუბრის შემდეგ ბუნებრივია, გაჩნდა ფიქრი: ჩვენც ხომ არ მიგვებაძა სომხებისთვის, რომლებიც მთელ მსოფლიოში ეძებენ თვისტომთ ნაკრების გასაძლიერებლად. ვინ იცის, ვის აღმოვაჩენთ, იქნებ ამ საქმეში მაინც გაგვიმართლოს.*

**ზვიად კალანდაძე**

# „НУЖНА ПОБЕДА... ЗА ЦЕНОЙ НЕ ПОСТОИМ!“

# ანუ „გაზის კამერა“ საკონცერტო დარბაზში

## რა მოხდა საკონცერტო დარბაზში?

თითქმის აღარავის ეეჭვებოდა, რომ ყოფილი საბჭოთა მზვერავი, ამჟამინდელი რუსეთის პრეზიდენტი პუტინი თავისი წინამორბედის, ელცინის მსგავსად, ბუდიონოვსკისა და პერვომაისკის აკლებას შეარჩენდა ჩეჩნებს და


გაზით გათიშული კამიკაძე-ქალები თავში საკონტროლო გასროლებით დახვრიტეს

უთუოდ გასცემდა ბრძანებას, იერიში მიეტანათ თეატრალურ ცენტრში გამაგრებულ ჩეჩენ ტერორისტებზე.

მაგრამ იერიშიცაა და იერიშიც.

მძევლების გათავისუფლების ოპერაცია, ფაქტობრივად, მათივე არცთუ მცირე ნაწილის განადგურებით დასრულდა. შეიარაღებული ჩეჩნების დაახლოებით 50-კაციანმა ჯგუფმა სამი დღე-ღამის განმავლობაში 4 ქალი და კაცი მოკლა, რუსეთის სპეცსამსახურების ოპერაციას უკვე 100-ზე მეტი (რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, ეს ციფრი 118-ია, უცხოურის — 150) ადამიანი შეეწირა და ეტყობა, სამწუხაროდ, მათი რიცხვი კვლავ გაიზრდება, რადგან საავადმყოფოებში მოთავსებული ყოფილი მძევლების დიდი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია და მოწამლულებთან ჯერჯერობით მნახველებსაც არ უშვებენ(!)...


წელზე შემორტყმული 2კგ-იანი „შაჰიდის“ ქამრების ამოქმედება ტერორისტებმა ველარ მოასწრეს

ეს უბედურება კი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საკონცერტო დარბაზში გაზის გაშვებას მოჰყვა, რომელიც სავენტილაციო სისტემიდან იქნა გაშვებული.

მძევლები, ისევე, როგორც მათთან მყოფი ტერორისტები, ნელ-ნელა გონს კარგავდნენ და


დარბაზის შუაგულში განთავსებულ თვითნაკეთ ბომბს დიდი ნგრევა უნდა გამოეწვია

ეწყებოდათ ღებინება. დარბაზში მყოფთა უმეტესობა სწორედ ღებინებამ დაახრჩო — ამ დროს წარმოქმნილმა მასამ გონებაგათიშულ ადამიანებს სასუნთქი გზები გადაუკეტა.

## მაინც რა სახის გაზი გამოიყენეს რუსულმა სპეცსამსახურებმა?

ამას ოფიციალური მოსკოვი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუმცა საზღვარგარეთელ ექსპერტებს საკუთარი მოსაზრებები გააჩნიათ. აშშ-ის სამხედრო ექსპერტები და ტოქსიკოლოგები ფიქრობენ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა თეატრალური ცენტრის იერიშის დროს გამოიყენეს ვალიუმის შემცველი გაზი. მძევლების თქმით, ისინი ნელ-ნელა ძილბურანში ეხვეოდნენ, მოითენთნენ, თუმცა არც ერთ მათგანს არ შეუმჩნევია გაზის ღრუბლის გამოჩენა დარბაზში. ცრემლსადენი გაზის გაშვებას კი სწორედ ასეთი ღრუბლის წარმოქმნა ახასიათებს.

აშკარაა, რომ რუსებმა რაღაც ახალი ტიპის აირი გამოიყენეს, სავარაუდოდ, ძლიერმოქმედი დამაწყნარებელი გაზი ვალიუმი ან BZ ტიპის აირი. ეს უკანასკნელი ძლიერ ჰალუცინაციებს იწვევს ადამიანში. მინიშნებას აგრეთვე აკეთებენ 3-ჰინუკლიდინილბენზილატის შემცველ გაზზეც. ამ ტიპის გაზების ჩასუნთქვისას ადამიანის თავის ტვინის უჯრედებს შორის წყდება ქიმიური მიმოცვლა, რაც იწვევს მოთენთვას და მძლავრ ჰალუცინაციებს. ეს პრეპარატები ადამიანზე ზემოქმედებას იწყებენ გავრცელებიდან ერთ საათში. ცნობიერების მოშლა და ჰალუცინაციები შეიძლება ორი-სამ დღეს გაგრძელდეს.

სწორედ იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული გაზები გაშვებიდან ერთ საათში იწყებენ მოქმედებას, გარკვეულწილად ადასტურებს ინკოგნიტო სპეცრაზმელი, რომელმაც რუს ჟურნალისტს უამბო ნანახის შესახებ.

დილის ხუთი საათისათვის, სანამ იერიშს დაიწყებდა, რუსეთის ФСБ-ს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ დანაყოფმა (ის სპეციალიზებულია სწორედ შენობებში ანტიტერორისტული ოპერაციების განსახორციელებლად, სხვა დანაყოფებს კი სატრანსპორტო საშუალებებში — თვითმფრინავებში, მანქანებში, მატარებლებსა და გემებში შესაღწევად „ხვეწენ“), 40-45 წთ-ით ადრე, მიწისქვეშა სავენტილაციო სისტემიდან თეატრალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში შეუშვა ზემოხსენებული გაზების დიდი კონცენტრაცია, რამაც გამოიწვია იქ მყოფთა აზროვნების ნელ-ნელა გათიშვა, ბევრს კი ღებინება დაეწყო. ამის შემდეგ „ალფას“ მებრძოლები, წინასწარ გაკეთებული ხვრელებიდან (საერთოდ, მიწისქვეშა კომუნიკაციების გამოყენებით, რისთვისაც სპეცსამსახურებმა მოსკოველი „დიგერების“ გამოცდილება გამოიყენეს), შეიჭრნენ დარბაზში და დაიწყეს მეთოდურად, გათიშული ხალხის დახვრეტა საკონტროლო გასროლით საფეთქელში. რამდენიმე ავტომატური ჯერი იარუსზეც მიუშვეს. სპეცრაზმელებს აირწინაღები ეკეთათ. მათ ჩაცხრილეს სკამებზე ჩაძინებული ჩეჩენი ქალი-კამიკაძეები, რადგან ეშინოდათ, გამოღვიძებული ან გონს მოსული ჩეჩენი მებრძოლების ქვრივებს არ აეფეთქებინათ წელზე შემოკრული 1-2 კგ-იანი ტროტილის ასაფეთქებელი მოწყობილობები.

მაგრამ, სავარაუდოდ, დიდი შეცდომა მოუვიდათ სპეცრაზმელებს დარბაზის გარეთ, ფოიეში. როდესაც ორმხრივი სროლა ატყდა, მართალია, ალფელებმა მოიგეს ეს შეტაკება, მაგრამ ჯერ კიდევ მღვიძარე, დამფრთხალი მძევლები დარბაზიდან გამოიქცნენ და გასასვლელს მიაწყდნენ, სადაც უკვე ცეცხლი მილიციის სპეცდანაყოფებმა გახსნეს — მათ ისინი ტერორისტები ეგონათ.

## რამდენად აუცილებელი იყო მომწამვლელი გაზის გამოყენება?

მძევლების გასათავისუფლებლად შექმნილი შტაბის წევრები არცთუ უსაფუძვლოდ უფრთხოდნენ მძლავრ აფეთქებას, რასაც, ეტყობა, თეატრალური ცენტრის შენობა ვერ გაუძლებდა და შეიძლება მძევლების დიდი ნაწილი დაღუპულიყო. ამიტომაც მათ არჩევანი ძლიერმოქმედ გაზზე შეაჩერეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერ მოზომეს, რასაც მძევალთა საერთო რიცხვის 15%-ზე მეტი მსხვერპლი უკვე მოჰყვა.

ასეთი საბედისწერო შეცდომა რუსეთის ФСБ-ს ბოლო ხანს უკვე მესამედ მოსდის. რამდენიმე წლის წინ ტერორისტებმა მოსკოვის ცენტრში უცხოელი დიპლომატის „ვოლვო“ ჩაიგდეს ხელში და მისი მფლობელის სიკვდილით იმუქრებოდნენ. მოლაპარაკებების პერიოდში, ტერორისტებმა კონიაკი მოითხოვეს, მაგრამ ჯერ მიმტანს, „ალფას“ პოლკოვნიკს დაალევინეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ФСБ-ს კონიაკში ძლიერი ფსიქოტრონული საშუალება ჰქონია გარეული, რამაც ტერორისტები გათიშა და ისინი უმტკივნეულოდ აიყვანეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაუმართლა მათსავე კოლეგას — ასაკოვანი პოლკოვნიკის გულმა ვერ გაუძლო საწამლავის დიდ დოზას.


მოწამლული მძევლები ჰაერზე გამოჰყავთ

მეორე ამგვარი შემთხვევა ამას წინათ მოხდა, როდესაც სპეცოპერაციის შედეგად ჩეჩნეთის მთებში განადგურებული იქნა ოდიოზური საველე მეთაური ხატაბი. ФСБ-მ და მისი რიგებიდან გამოსულმა რუსეთის პრეზიდენტმა ეს რუსეთის სპეცსამსახურის უდიდეს წარმატებად მიიჩნიეს, თუმცა ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ ხატაბმა თან ФСБ-ს რამდენიმე ოპერატიული მუშაკიც „წაიყოლა“. წერილი, რომელიც ხატაბს გაუგზავნეს, მანამდე ФСБ-ს საიდუმლო ქიმიურ ლაბორატორიაში გაჟღინთეს ძლიერმოქმედი შხამით, რომელიც ადამიანის ორგანიზმში შესუნთქვით ან ხელის მოკიდებით აღწევდა. ხატაბამდე კი მოწამლულ წერილთან ურთიერთობა აწ გარდაცვლილ ФСБ-ს ოპერატიულ მუშაკებს ჰქონდათ.

## ვინ გაუკეთა პროვოცირება იერიშის დაწყებას?

26 ოქტომბერს, დილაადრიან, იერიშის დაწყებისთანავე, საკოორდინაციო შტაბმა დაიწყო ინფორმაციის გავრცელება (რომელსაც ნამდვილად ეტყობოდა იასტრჟემბსკის ხელწერა), რომლის თანახმადაც, ჩეჩენმა ტერორისტებმა დაიწყეს მძევლების დახვრეტა, რის გამოც სპეცსამსახურები იძულებულნი გახდნენ, დაეწყოთ იერიში.

სინამდვილეში, გამთენიისას, ჩეჩნებმა მართლაც ესროლეს დარბაზში სავარძლიდან მოულოდნელად წამოვარდნილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და ბოთლით ხელში ჩეჩენი კამიკაძე-ქალისკენ გაქანდა. ავტომატური ჯერის ერთი ტყვია მას თვალში მოხვდა, ხოლო მეორემ ფერდში დაჭრა მძევალი ქალი. მათთვის ტერორისტებმა სასწრაფო დახმარების ექიმები გამოიძახეს. სინამდვილეში დაღუპული და დაჭრილი მძევლები არ გამხდარან იერიშის დაწყების მიზეზნი, რადგან ამ დროისთვის „ალფას“ წევრები უკვე შენობის შიგნით იმყოფებოდნენ და ამზადებდნენ გაზს სავენტილაციო სისტემით დარბაზში გასაფრქვევად, ანუ იერიშის დაწყების შესახებ ბრძანება რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან უკვე გაცემული გახლდათ.

ФСБ დროს უქმად არ კარგავდა. ჩვენი მოსაზრებით, მათმა აგენტებმა იერიშამდე შეძლეს დარბაზში, სადაც მძევლები იყვნენ თავმოყრილნი, საიდუმლო მიკროფონების და ძალზე პატარა სათვალთვალო ვიდეოკამერების დამონტაჟება, რამაც მძევლების გასათავისუფლებლად შექმნილ ოპერატიულ შტაბს საშუალება მისცა, გაეგოთ კამიკაძე-ქალებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ადგილსამყოფელი. უკვე


მძევლებიდან, ვინც ნახევარ საათზე მეტ ხანს იმყოფებოდა მოწამლულ დარბაზში, სავარაუდოდ, ველარ უშველიან...

იერიშის შემდეგ დადგინდა, რომ ბარაევის ტერორისტი-კამიკაძეების რაზმს თეატრალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში ხუთი მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობა ჰქონდა დამონტაჟებული. აქედან ბალკონის სვეტებზე ოთხი, ხოლო ერთი ყველაზე მძლავრი — მაყურებელთა დარბაზის ცენტრში. მათი აფეთქების შემთხვევაში ბალკონი ჩამოინგრეოდა და დასრესდა დაბლა მსხდომ მძევლებს.

## საიდან იმართებოდნენ ტერორისტები?

კრიზისის დღეებში პრეზიდენტმა პუტინმა არცთუ ორაზროვნად განაცხადა, — თეატრალურ ცენტრში შეჭრილი ტერორისტები საზღვარგარეთიდან იმართებიანო. მუდმივ ბრალდებებს მიჩვეულმა ოფიციალურმა თბილისმა თავიდან ეს თავის თავზე მიიღო, თუმცა პუტინი ამჯერად ნამდვილად არ გულისხმობდა საქართველოს. უბრალოდ, რუსეთის სპეცსამსახურების რადიოელექტრონული დაზვერვის საშუალებებმა დააფიქსირეს თეატრალური ცენტრიდან თანამგზავრული კავშირგაბმულობის სისტემით გასული არანაკლებ სამი საზღვარგარეთული ზარი — თურქეთში, საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. ამის პარალელურად, მოსკოვში მოქმედი ყველა მობილური კავშირის ოპერატორმა კრემლის მოთხოვნით, მოხსნა ხაზის კრიპტოდაცვა, რამაც სპეცსამსახურებს საშუალება მისცა, მოესმინათ თეატრალური ცენტრიდან წარმოებული მობილური სატელეფონო საუბრებისთვის.

სავარაუდოა, რომ ФСБ-მ და ФАПС-მა (სამთავრობო კავშირის ფედერალური სააგენტო) სწორედ ამ გზით გამოავლინეს ის 30-მდე საეჭვო პირი, რომლებიც ამჟამად დაკავებულნი არიან. ფიქრობენ, რომ ისინი თეატრალური ცენტრის სიახლოვეს ზვერავდნენ სპეცსამსახურების სამხედრო დანაყოფების ყოველ გადაადგილებას და ამის შესახებ ინფორმაციას ოპერატიულად აწვდიდნენ შენობის შიგნით მყოფ ბარაევს.

## ახალი სინდრომი სპეცსამსახურებისთვის?

რუსეთის ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო — არ დათანხმდა ტერორისტებს მოთხოვნების შესრულებაზე (თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ ეს უკანასკნელნი მხოლოდ ომის შეწყვეტას მოითხოვდნენ ჩეჩნეთში, რასაც თანდათანობით რუსეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილიც უერთდება), მაგრამ სამაგიეროდ, შექმნა ახალი სინდრომი, რასაც მძევლების მასობრივად სასიკვდილო მოწამვლა ჰქვია. ეს სინდრომი მუდმივად ერთგვარი ზეწოლის საბაბი გახდება ყველა იმ ქვეყნის სპეცსამსახურისთვის, რომელსაც მომავალში მოუწევს მძევლების გათავისუფლებაზე ფიქრი.

დაბოლოს, როგორც ჩეჩენი ქალი-კამიკაძე ამბობდა, ჩვენ დავიღუპებით, მაგრამ ჩვენ გარდა, კიდევ ბევრნი არიან, რომლებიც ჩვენს საქმეს გააგრძელებენო. ვფიქრობთ, ეს სერიოზული სიგნალი უნდა იყოს რუსული სპეცსამსახურებისთვის, რადგან ბოევიკებმა დაამტკიცეს, რომ მათ ამის ძალა შესწევთ.

P.S. საბოლოო ჯამში, 50 ტერორისტია ლიკვიდირებული, აქედან 18 ქალი და 32 მამაკაცი. სამი ტერორისტი დაკავებულია. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მათმა მცირე ნაწილმა მიმალვა მოახერხა ან კიდევ, არ არის გამორიცხული, გადაცმული ტერორისტები დღესაც საავადმყოფოებში წვანან უგონოდ და ისინი მძევლები ჰგონიათ.

მოსკოვი ანტიტერორისტულმა აგონიამ მოიცვა — აკავებენ ყველას, ვისაც თუნდაც პატარა, გაუპარსავი და თანაც შავი წვერი აქვს. სპეცსამსახურები ამაყობენ, რომ თვით ჟურნალისტთა გვერდითაც დაიჭირეს ერთი ტერორისტების დამხმარე. ამ შემთხვევის ამსახველმა კადრებმა მთელი მსოფლიო შემოიარა, რასაც მალე ოფიციალური ბაქოს მოსკოვისადმი თხოვნა მოჰყვა — ბოდიში, მაგრამ ჩვენი, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი დაგიკავებიათ, რომელიც, სამწუხაროდ, შავტუხააო!

P.P.S. 27 ოქტომბრის მონაცემებით მიუზიკლზე გაიყიდა 711 ბილეთი. ამის გარდა შენობაში იმყოფებოდა 60 მსახიობი, 56 ტექნიური მუშაკი და 15 დაცვის თანამშრომელი. ამ დროისათვის დაღუპულთა რიცხვმა 110 ადამიანს გადააჭარბა, ხოლო 120 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

***ირაკლი ალადაშვილი***

# ტატიანა სამოილოვა: „ვნანობ, ლანოვოის რომ დავცილდი“

ტატიანა სამოილოვა ეგზოტიკურად ლამაზი იყო, მაგრამ ოჯახური ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო. იქნებ მის მიერ ეკრანზე განსახიერებული ქალების ტრაგიკულმა ბედმა („მიფრინავენ წეროები“, „გაუგზავნელი ბარათი“, „ანა კარენინა“) დაუთალხა იღბალი?..

— ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული ვასილი ლანოვოი იყო, — გვიამბობს ტატიანა სამოილოვა, — მასთან მაკავშირებს პირველი კოცნა. 6 წელი ვიყავით ცოლ-ქმარი. სასაცილოდ დავქორწინდით. ბოტკინის საავადმყოფოსთან შევხვდით ერთმანეთს, პასპორტები სარეგისტრაციოდ მმაჩის ბიუროში ჩავაბარეთ. შემდეგ ლანოვოიმ მაისური მიყიდა, მე კი — ტრუსი და შინისაკენ გავეშურეთ. საოცრად ბედნიერები ვიყავით. ერთმანეთს ჩავაბარეთ უბიწოება. ქალი რომ გავხდი, ყველა სატკივარმა გამიარა. მე ხომ ომის შვილი ვარ — მჭირდა ტიფი, წითელა, დიფტერია. ბავშვობიდან წამლებს ვყლაპავდი.

ლანოვოისგან ფეხმძიმედ დავრჩი. ტყუპი უნდა მყოლოდა, მაგრამ ბავშვებს დაბადება არ ეწერათ. ვასიამ მითხრა: „აბორტს თუ გაიკეთებ, ძალიან მეწყინებაო“. მაგრამ... ბედს მაინც შეურიგდა... სად უნდა გვეცხოვრა ბავშვებიანად. ბინა არ გვქონდა — ჩვენ ხომ ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით ერთ პატარა ოთახში... გავიკეთე აბორტი. მახსოვს, შინ რომ ვბრუნდებოდით, ხვავრიელად თოვდა, დიდხანს ვტიროდი... ცხადია, მაშინ რომ გამეჩინა, ახლა გაცილებით უკეთ ვიქნებოდი...

23 წლის ვიყავი, ტუბერკულოზით რომ დავაავადდი. ფილტვის ოპერაცია გამიკეთეს და პლევრა დამიზიანდა. ყოველდღიურად უამრავ ნემსს მიკეთებდნენ. ვასიას მარწყვი მოჰქონდა ხოლმე... ერთხელ ვუთხარი, — აღარაფერი მინდა, ავად ვარ-მეთქი. საშინლად შეწუხდა, ორივენი გულამოსკვნით ვტიროდით...

...ლანოვოიმ ცოლად მოიყვანა ტამარა, იგი სატელევიზიო ცენტრში მუშაობდა. საწყალი, ავტოავარიაში დაიღუპა. შემდეგ ირინა კუპჩენკო შეირთო, რომელმაც შვილები გაუჩინა...

ამას წინათ ინსტიტუტის დამთავრებიდან 40 წელი აღვნიშნეთ თანაკურსელებმა. ლანოვოიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ დამინახა. მეც ავარიდე თვალი. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჯერაც არა ვართ გულგრილი ერთმანეთის მიმართ...

ლანოვოის შემდეგ მწერალ ვალერი ოსიპოვს გავყევი ცოლად. ამას არ ეთქმოდა სიყვარული, საინტერესო კაცი იყო. 10 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ვალერის რჩევით ვკითხულობდი წიგნებს, ვნათლდებოდი...

ჩვენ სისხლის შეუთავსებლობა გვქონდა, ამიტომ შვილი ვერ გავაჩინე. ორჯერ მომეშალა მუცელი. შვილი სიგიჟემდე მინდოდა. „ანა კარენინას“ გადაღების დამთავრებისთანავე ოსიპოვს ვუთხარი: — 33 წლისა ვარ, დედობა მინდა-მეთქი. მან მიპასუხა: — დიდი ხანია მამაკაცი აღარ ვარო. იმპოტენციისგან მე ვერ ვიხსნიდი... გადავწყვიტე, გავშორებოდი. მალე ექიმს გავესინჯე, რაღაც პრობლემები მქონდა. თქვენ ფეხმძიმედ ხართო, — მითხრა. გავოგნდი. წარმოუდგენელია, მაგრამ მე მაინც დავფეხმძიმდი ვალერისგან! არ დაიჯერა, რომ ბავშვი მისი იყო... მამამ მიტია წლინახევრის შემდეგ ინახულა და... იტირა. რას ვიფიქრებდი, კიდევ თუ შემიყვარდებოდა ვინმე. ცოლად გავყევი ცირკის ადმინისტრატორ ედიკ მიშკოვიჩს. 6 წელი ვიცხოვრეთ ერთად. თავქარიანი აღმოჩნდა... ერთხელ ვუთხარი: ან იმუშავებ და ოჯახში ფულს შემოიტან, ან წახვალ-მეთქი. წასვლა ირჩია. კინაღამ გავგიჟდი...

ახლა ერთ კაცს მოვწონვარ, არქიტექტორია. მაგრამ... ვიღას სჭირდება მეორე ახალგაზრდობა? მაგრამ მაინც მიხარია, რომ მეგობარი მყავს.

ჩემი შვილი აშშ-ში, მიჩიგანის უნივერსიტეტში ეუფლება ექიმობას. ჰყავს ცოლი, მარტა იუნგი, ამერიკელი, განათლებით იურისტი. ვფიქრობ, მათი ქორწინება დროებითია. სულ ჩხუბობენ...



ბოლო წლებში ნაკლებად მიღებენ. ძალიან გავსუქდი. არც თეატრში ვმუშაობ. ამას წინათ ერთმა ცნობილმა რეჟისორმა შემომთავაზა როლი სპექტაკლში „ჩემი სიყვარული“. ბებრუხანა უნდა მეთამაშა, მკერდს იშიშვლებს ერთ ადგილას... დიდ ფულს მთავაზობდნენ, მაგრამ... მომწონს, როცა ახალგაზრდები აჩენენ ლამაზ სხეულს, 68 წლის ქალი ვერ გავშიშვლდები. უარი ვთქვი...

მაყურებლის სიყვარული არ მაკლია. მაჩერებენ ქუჩაში, მკოცნიან, მადლობას მიხდიან, ყვავილებს მჩუქნიან... არა, რაც არ უნდა ითქვას, ბედნიერი ადამიანი ვარ.

**ტვ პარკი**



# ჯონ ტრავოლტა ახალ ამპლუაში



ჯონ ტრავოლტა ახალმა საქმემ გაიტაცა — იგი გულმოდგინედ ემზადება მფრინავის ლიცენზიის მოსაპოვებლად — საკუთარი ბოინგიც კი შეიძინა. „უკვე სამი წელი გავიდა, რაც თვითმფრინავი ვიყიდე და მას შემდეგ მე და კელი, ბავშვებთან ერთად ხშირად ვმოგზაურობთ. რაც მთავარია, ყველას მოგვწონს ამგვარი ცხოვრება! გარდა ამისა, გარეგნობაზეც უფრო მეტს ვზრუნავ. ცოტა ხნის წინ ღაბაბი და ღიპი „მამშვენებდა“, ახლა ათი კილო დავიკელი. ესეც ძალიან მომწონს“, — ამბობს ჯონ ტრავოლტა.

როგორც გაირკვა, ჯონმა ეს ბოინგი იმავე მილიარდერისგან იყიდა, რომლისგანაც 15 წლის წინ სანტა-ბარბარას რანჩო შეიძინა. სახლიცა და ბოინგის სალონიც 60-იანი წლების ფერებითაა მოხატული. ფეშენებელურ თვითმფრინავში არის სამი სააბაზანო, ორი ოთახი, ბუდუარებად გადაკეთებული მოზრდილი სალონები, პატარა კინოდარბაზი და სამზარეულო. საგანგებოდ მოწვეული მზარეული გემრიელი კერძებით უმასპინძლდება ბოინგის პატრონებს და მის სტუმრებს. ჯონს სამოგზაუროდ არც შვილების მეგობრების წაყვანა ავიწყდება.

— ჯეტის და მისი დის თანატოლებს მსოფლიოს სანახავად ერთად დავატარებთ, — ამბობს კელი პრესტონი, ჯონის მეუღლე, ტანწერწეტა, დახვეწილი, მომხიბლავი ქალი და სიყვარულით აღსავსე თვალებს მიაპყრობს თავის „მფრინავს“.

ტრავოლტას ფრენის დროს აჩრდილივით თან დასდევს მწვრთნელი, რასაც მსახიობი ასე ხსნის: „ბუნებით დიდი გურმანი ვარ, რამდენიმე ხნის წინ კი ორი ამოცანის წინაშე დავდექი: ან დიეტაზე უნდა გადავსულიყავი, რომელიც ნამდვილი ტანჯვაა ჩემთვის, ან დღეში ორი საათი მევარჯიშა. მეორე ვარჩიე“.

როგორც მზრუნველმა მამიკომ, კელის მაროკოში გადაღებებზე ყოფნის დროს, ჯონმა პატარა გემი დაუქირავა ბავშვებს პარიზის დასათვალიერებლად.

— ჯეტი ძალიან ჭკვიანი, ძლიერი, მგრძნობიარე, მაგრამ მოუსვენარი ბავშვია. მას ყველაფერი მოსწონს, რაც მოძრაობს: გემები, თვითმფრინავები, მანქანები. ელა ნამდვილი იზაბელ აჯანია, ვარსკვლავის მიხრა-მოხრით, ძალიან პრანჭიაა და მართლაც ხატავს ლამაზი დიდრონი თვალები. ბრიტნი სპირსის რეპერტუარიც ზეპირად იცის, — ამბობს ჯონი და გოგონას წაბლისფერ კულულებზე ეფერება, — მართალია, ჩემს შვილებს ნებიერი ბავშვობა აქვთ, მაგრამ კელი და მე ვცდილობთ, მათ სხვების პატივისცემა და სიყვარული ჩავუნერგოთ.

ყურადღებიანი ჯონი ბავშვებს არაფერზეეუბნება უარს, მათთვის არ არსებობს არც სადილის და არც ძილის ზუსტი საათი. მათ შეუძლიათ ნამცხვარი შუაღამისასაც მიირთვან ან უყურონ თავიანთ საყვარელ მულტიპლიკაციურ ფილმებს, როცა ამის სურვილი გაუჩნდებათ.

— ჩემს მშობლებს ჩემთვის არასოდეს დაუდგენიათ რაიმე წესები. შეიძლება იმის გამო მანებივრებდნენ, რომ ნაბოლარა შვილი ვიყავი და დედას საკმაოდ გვიან ვეყოლე. სწორედ ამან მასწავლა, რომ არასოდეს ჩამედო გულში წყენა და უფრო შეგიყვარდება ყველა და ყველაფერი, — იღიმება ჯონი.

ფილმის გადაღებიდან დაბრუნებული კელი აღფრთოვანებულია: „მაროკო იმდენად მომეწონა, რომ ჯონთან ერთად კიდევ ერთხელ უსათუოდ უნდა მოვინახულო ეს ქვეყანა. კელი ახლაც ისევეა შეყვარებული, როგორც 11 წლის წინ, პარიზში გატარებული თაფლობის თვის დროს...“ ტყუილად კი არ უწოდებენ მათ ჰოლივუდის განსაკუთრებულ წყვილს. „მე და ჯონს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ოჯახიც გვაქვს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის“. ქმარს მონატრებულმა კელიმ ისიც კი განაცხადა, მესამე ბავშვის გაჩენასაც ვაპირებთ ახლო მომავალშიო. ჰოლივუდის ერთ-ერთი უმდიდრესი ვარსკვლავი, მართლაც განსაკუთრებულია თავისი უბრალოებით და ოქროს გულით: „ყოველ დილით მადლობას ვწირავ ღმერთს, რომელმაც ჩემს თავზე ასეთი იღბლიანი ვარსკვლავი აანთო“.

ჯონს კელის სამშობლოში — ჰაიტიზეც აქვს სახლი. „2003 წლისთვის ფრენის ლიცენზიაც მექნება და ზაფხულში ჩემი ბოინგით მე თვითონ ჩავიყვან ცოლ-შვილს იქ“, — ოცნებობს ტრავოლტა.

ალბათ ამ ვოიაჟში ტრავოლტების მესამე შვილიც მიიღებს მონაწილეობას.

**პარი მატჩი**

# ჯონი დეპის ფეხქვეშ მიწა იწვის



კალიფორნიის შტატში, ფილმ „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გადაღებისას, სტუდია „უოლტ დისნეიში“ ძლიერი ხანძარი გაჩნდა. მისი ჩაქრობა მხოლოდ 1 საათის შემდეგ მოხერხდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ ზარალი კი შთამბეჭდავია — 500 000 დოლარი — დაიწვა დეკორაციების უდიდესი ნაწილი.

ხანძრის მიზეზებს იკვლევენ, მაგრამ თვითმხილველთა მტკიცებით, მოედანზე ხანძარსაწინააღმდეგო ყველა წესს იცავდნენ. ერთი სიტყვით, მისტიკაა და სხვა არაფერი.

ამბობენ, ეს ყველაფერი შესაძლოა ჯონი დეპთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ფილმში მთავარ (დადებით) გმირს თამაშობს. მსახიობი ანდამატივით იზიდავს უსიამოვნებებს. ფილმის „კაცი, რომელმაც მოკლა დონ-კიხოტი“ გადაღებისას (მასში ჯონი სანჩო პანსას თამაშობდა) ჯერ წყალდიდობამ გადარეცხა დეკორაციები, მერე კი მძიმედ გახდა ავად „დონ კიხოტი“ — ფრანგი მსახიობი ჟან როშფორი. ყოველივე ამის გამო გადაღება განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.



# ალექსანდრას ძამიკო ეყოლება

დევიდ ბოუის და მის მშვენიერ მეუღლეს, იმანს, ძალიან უნდათ, რომ მათ ორი წლის ქალიშვილს, ალექსანდრას, ასაკით ცოტა უფროსი ძამიკო ჰყავდეს.

პირველი ქორწინებიდან ორივეს დიდი შვილები ჰყავს.

ბავშვის გაჩენას ცოლ-ქმარი ვერ რისკავს, რადგან დევიდი 55 წლისაა, იმანი კი — 47-ის.

ამიტომ გადაწყვიტეს, ბიჭუნა იშვილონ. დედმამა უკვე დაჰპირდა პატარა ალექსანდრას, მალე ძამიკო გეყოლებაო.

# იოკო ქმრის ასისტენტს ისევ უჩივის



იოკომ ჯერ კიდევ 1999 წელს ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ჯონ ლენონის ყოფილი ასისტენტის ფრედერიკ შიმანის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებს, რომ შიმანმა დაარღვია მასა და ლენონის ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად შიმანს მუსიკოსის პირადი ცხოვრებიდან რაიმე ინფორმაციის გამჟღავნება ეკრძალებოდა. ონოს აზრით, შიმანს არ ჰქონდა ლენონის საოჯახო ფოტოების გამოქვეყნების უფლება მომღერლის უკანასკნელ დღეებზე შექმნილ წიგნში. ყოფილ ასისტენტს ჯონ ლენონის დღიურების, ასობით ფოტოს მოპარვასა და გაყიდვაშიც ადანაშაულებენ.

ასისტენტს პირობით ხუთი წელი მიუსაჯეს და მოპარულის უკან დაბრუნება აიძულეს. მაგრამ ონოს ადვოკატი ამბობს, რომ ყველაფერი არ დაუბრუნებია.

სასამართლო მალე განახლდება.

**როიტერი**

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №42 (316) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

42-ე რეიტინგს 526 მონაწილე ჰყავდა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 196-მა ქალმა და 321-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე ამბიციური პოლიტიკოსი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მიხეილ სააკაშვილის ამბიციებს საზღვარი არ ჰქონია, მან საკმაოდ შესამჩნევი სხვაობით ჩამოიტოვა უკან ყველა კონკურსანტი და **8,00** საშუალო ქულით ამბიციურთა რეიტინგში პირველი ადგილი დაიმკვიდრა. მაქსიმალური — 9 ქულით სააკაშვილი რესპონდენტთა 53-მა შეაფასა, მინიმალური — 1 ქულა კი მხოლოდ ექვსმა მკითხველმა (1,2) მიაკუთვნა.

რეიტინგის შედეგებს თუ დავუჯერებთ, №1 ლეიბორისტიც საკმაოდ ამბიციური ადამიანი ყოფილა, საშუალო ქულაა 6,64. მკითხველთა 14-ისაგან მიიღო ნათელაშვილმა მაქსიმალური შეფასებები.

ამბიციურ პოლიტიკოსთა სამეულში მესამე ადგილს ვახტანგ რჩეულიშვილი იკავებს საშუალო ქულით 5,91, რომელსაც მცირე სხვაობით აბაშიძე და ჟვანია მოსდევენ.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა შორის შედარებით ნაკლებამბიციურნი არიან დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე და ნინო ბურჯანაძე. ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა გამყრელიძემ დაიმსახურა — მხოლოდ ერთმა მკითხველმა შეაფასა იგი 9 ქულით.

როგორც ვხედავთ, პირველი სამი ადგილი ისეთ პოლიტიკოსებზე გადანაწილდა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ყველაზე ემოციურ პოლიტიკოსებად დასახელდნენ მკითხველის რეიტინგში. ლოგიკური იქნება თუ დავასკვნით — ამბიციურობა აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსებს იმდენად ახასიათებთ, რომ რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭებაც კი ძნელია. რეიტინგში ქულების მიკუთვნებაში გადამწყვეტი მაინც ისაა, თუ ვის როგორ შეუძლია ამ ამბიციურობის გაკონტროლება.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 39 წლის თბილისელი **მაია ჭელიძე.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ნინო ბურჯანაძეს ერთის ნაცვლად სამი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო დავით გამყრელიძეს სამის ნაცვლად — ერთი (მეცხრე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, 17 საათზე.

## № 43 (317) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ნომინაციებში.*

**№43 (317) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 30 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 31 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №43 (317) — თბილისი

**რის ძალაძს უწოდებდით დღევანდელ თბილისს პირველ რიგში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№43(317) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | რესტორნების | |
| 2 | მათხოვრების | |
| 3 | პოლიციელების | |
| 4 | ბაზრობების | |
| 5 | კრიმინალების | |
| 6 | სარეკლამო დაფების | |
| 7 | ტოტალიზატორების | |
| 8 | მიტინგების | |
| 9 | ჩაბნელებული ქუჩების | |

*მკითხველის ნომინაცია*

**დაასახელეთ ოქტომბრის თვის ადამიანი მსოფლიოში**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

*მკითხველის ნომინაციის შედეგები*

*ყველაზე მდიდარი ქართველები*

| | ქულა |
|---|---|
| 1. ბადრი პატარკაციშვილი | 858 |
| 2. ედუარდ შევარდნაძე | 753 |
| 3. ასლან აბაშიძე | 286 |
| 4. ნუგზარ შევარდნაძე | 112 |
| 5. ბიძინა ივანიშვილი | 102 |
| 6. გოგი თოფაძე | 88 |
| 7. ნიკო ლეკიშვილი | 67 |
| 8. ვანო ჩხარტიშვილი | 54 |
| 9. კახა თარგამაძე | 50 |
| 10. გია ჯოხთაბერიძე | 36 |

*მკითხველთა 2%-ს გაუჭირდა მდიდარი ადამიანების დასახელება.*

***მკითხველის რეიტინგში 468-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

**1. ვაჟა გაგაშელი — „ის კაცი მე მოვკალი და რომ გაცოცხლდეს, ხელმეორედ მოვკლავ...“ — 134 ხმა**

**2. ზურაბ მჭედლიშვილი — „ჩვენ საზოგადოებაც არ გვქვია...“ — 92**

**3. რუსუდან ხუბულავა — „საქართველოს ბაბუები“ — 48**

**4. ინგა ჯაყელი — „ნისლისფერითაა სავსე აქაურთა დღეები...“ — 40**

**5-6. ზვიად ჩაკვეტაძე — „არარსებული“ ხელშეკრულებით გასხვისებული დადიანის სასახლის ტერიტორია“ — 7**

**5-6. ინგა ჯაყელი — „ეს რა ვნახე, კაცო, ა?“ — 7**



**„მკითხველის პრემიის“ ლაურეატთა ნუსხას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აშკარა ლიდერი „ვერსიის“ ავტორი ვაჟა გაგაშელია, რომელსაც არც დღეს უღალატია ტრადიციისთვის და უკვე მეშვიდედ თქვენი პრემიის მფლობელია.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 392-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# · ფოტოპალიტრა · ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



კობა დავითაშვილი, მიხეილ სააკაშვილი

**„ფოტოანტიკვარში“ რესპონდენტთა 40%-მა სწორად ამოიცნო ძილის წინ უკვე ლამის ყველა ოჯახის წევრად ქცეული იმედა კახიანი. 20%-მა კი ამ პატარა ბიჭუნაში პირველი არხის ტელეჟურნალისტი, „დღის ბოლოს“ წამყვანი ნუგზარ რუხაძე „შეიცნო“.**

**მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა მალხაზ ქვრივიშვილი, ნიკა ტაბატაძე, დათო კიკალიშვილი, დუტა, ვახტანგ რჩეულიშვილი დაასახელა.**

**დასახელებულებში მანდილოსნებიც აღმოჩნდნენ — ნინელი ჭანკვეტაძე და ეკა ხოფერია. მინიშნებამ — „ლამის ყოველღამე ჩემთან ერთად იძინებთ...“ ზოგიერთი რესპონდენტი ლამის ეთერის ტელეწამყვანების არასწორ კვალზე დააყენა.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



იმედა კახიანი, ოთხი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— ჯუ, რა ყოფილა ეს რემონტი!!

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



29/X უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:
29/X — 15-დან 18 სთ-მდე
2/XI — 15-დან 18 სთ-მდე

# ოჯახური იდილია



როგორ არ ცდილობენ ჟურნალისტები კეტრინ ზეტა-ჯონსის გარშემო ჭორების გავრცელებას! ვითომდა, ბავშვიც გააჩინა, მხოლოდ იმიტომ, რომ მაიკლ დუგლასს ცოლად შეერთო და თავად მაიკლიც მას სჭირდება მხოლოდ უზარმაზარი გავლენის გამო ჰოლივუდის წრეებში. ერთი სიტყვით, დასრულებული კარიერისტია და მეტი არაფერი. და ვითომდა წყვილი ცალ-ცალკე ცხოვრობს, ვინაიდან ინგლისელი კეტრინი მოიხიბლა ჰოლივუდით, ხოლო მაიკლს ურჩევნია თავის შუა საუკუნეების ვილაში ცხოვრება. და აი, უეცრად აღმოჩნდა, რომ წყვილი უკვე მეორე ბავშვს ელოდება და კეტრინს საერთოდ არ აღელვებს, რომ ფეხმძიმობა ხელს შეუშლის მის არტისტულ კარიერას. არჩევანის წინ აღმოჩენილმა, მან ოჯახი არჩია, რითიც, რა თქმა უნდა, ძალიან ასიამოვნა თავის ვარსკვლავურ ქმარს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოციაციური წყვილი), იმავე რაოდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.

Vertical clues:
- წონა, დიალექტი
- კასიუს კლეი, ლამაზი მავნე არსება
- [illegible]; რუსული როკ-ჯგუფი, კინემატოგრაფი; დინასტია კორეაში, ინგლისელი მახიობი
- რომაული ღმერთი, თვე; პირველყოფილი წყობილება, მისნობა
- გულის მარცხენა პარკუჭი, სისხლძარღვი
- [illegible]
- „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...", დურგალი
- თაიგული, იაპონია; გამოხედვა, ჭვრეტა
- ძვირფასი ქვა, ცისარტყელა; ლაოსი აბორიგენი
- წარღვნა, გადარჩენილი
- გალილეი, ცა; მონაკო, გრეის კელის მეუღლე

Horizontal clues:
- კინოფესტივალი, სხეული
- მწერალი, წმინდანი
- ქალის სახელი, ხვიარა მცენარე
- ინგლისი, სატირიკოსი-მორალისტი
- ამბიცია, დედალოსი; თანხმობა, ნოტი
- ქალი და მამაკაცი, მსუბუქი ტრფიალი; შანელი, კრუხი
- ეკლესიები, გაერთიანება; ელინთა, ტრანსპორტის სადგომი
- გაკაფული ტყე, ყანა; ხილი, ქულა
- ჩირაღდანი, ჯოჯოხეთი
- ზურგის ტვინი, ძვალი; ნიადაგი, ნესტი
- ონის რაიონი, სოფელი და მდინარე
- ნადირობა, ქალღმერთი; ზღვა, სიგრძის ერთეული
- სეზონები, ანსამბლი; მოხარშული ცომი, ხაჭაპური
- ატმოსფერო, ნახვრეტი
- იაპონელი მწერალი, ქენძაბური...
- ძროხა, ჩვილი
- დედმამიშვილი, გრამატიკული კავშირი



„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია – თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში – გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში პეტრიწის ქ. 3 – სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ – ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში – მევიბრონის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში – კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში – გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. – ვეძისელას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე – იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (43) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

ვთხოვთ ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№43 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 31 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




* * *



ბაყაყი ტბის პირას ჩამომჯდარა და თათებს წყალში აჭყუმპალავებს. უახლოვდება ბეჰემოთი და საარშიყო ტონით ეკითხება:

— ბაყაყო, გეთაყვა, მითხარი როგორია დღეს წყალი?

ბაყაყი დიდხანს დუმს, ექვით შეჰყურებს ბეჰემოთს და შემდეგ კეკლუცად პასუხობს:

— მე აქ ვზივარ როგორც ქალი და არა როგორც თერმომეტრი!!!


**ფირმა „ბერმუხა"**

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50






R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი პაპასკირი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნესტა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა" ©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".